290/1988/3
ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის უნივერსიტეტის შრომები
ТРУДЫ ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
PROCEEDINGS OF TBILISI UNIVERSITY
280, 1988

ISSN 0376—2637

N280

# სკკპ ისტორია მეცნიერული კომუნიზმი

# ИСТОРИЯ КПСС. НАУЧНЫЙ КОММУНИЗМ

# HISTORY OF THE CPSU. SCIENTIFIC COMMUNISM

109
0.280

თბილისი Тбилиси Tbilisi
1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
TBILISI UNIVERSITY PRESS

ეროვნული ბიბლიოთეკა

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
PROCEEDINGS OF TBILISI UNIVERSITY

280, 1988

# ИСТОРИЯ КПСС. НАУЧНЫЙ КОММУНИЗМ

# HISTORY OF THE CPSU. SCIENTIFIC COMMUNISM

ТБИЛИСИ TBILISI
1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის უნივერსიტეტის შრომები

280, 1988

# სკკპ ისტორია
# მეცნიერული კომუნიზმი

თბილისი 1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

გ. გამსახურდია, რ. გრძელიძე (რედაქტორი), ა. ებრალიძე, ა. კუხიანიძე, მ. მაცაბერიძე (მდივანი), გ. ფირცხალავა

Редакционная коллегия

Г. К. Гамсахурдиа, Р. К. Грдзелидзе (редактор), А. В. Кухианидзе, М. Б. Мацаберидзе (секретарь), Г. С. Пирцхалава, А. Е. Эбралидзе

Editorial board

G. K. Gamsakhurdia, R. K. Grdzelidze (editor), A. V. Kukhianidze, M. B. Matsaberidze (secretary), G. S. Pirtskhalava, A. E. Ebralidze

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1986

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета

280, 1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქტომბრის რევოლუცია და ეროვნული საკითხი

რ. ბრძელიძე

ეროვნული საკითხი საზოგადოებრივი ცხოვრების, მსოფლიო ისტორიის ფრიად რთული და უაღრესად დრამატული საკითხია, რომლის გადაწყვეტაზეც ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები, მაგრამ ისინი ეროვნულ საკითხს განიხილავდნენ როგორც დამოუკიდებელ ფენომენს, არ უკავშირებდნენ მას სოციალურ საკითხს, კლასობრივ ბრძოლას და ამდენად, არ შეეძლოთ ეროვნული საკითხის სწორი გადაწყვეტა მოეცათ.

საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში პირველად კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დააყენეს ეროვნული საკითხი მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე, როცა იგი მჭიდროდ დაუკავშირეს და დაუქვემდებარეს სოციალური რევოლუციის გამარჯვების საკითხს. მარქსიზმის ფუძემდებლები სავსებით სამართლიანად მიუთითებდნენ, რომ არცერთი ეროვნების ადამიანი არ იქნება თავისუფალი, სანამ მუშა დაქირავებულ მონად რჩება, რომ „ერის შიგნით კლასთა წინააღმდეგობის დაცემასთან ერთად დაეცემა ეროვნებათა მტრული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი“ (1, 33).

წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ძირითადი, ამოსავალი იდეები ეროვნულ-კოლონიურ საკითხზე, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე ეტაპზე, როცა განმათავისუფლებელი რევოლუციების მძლავრი დარტყმების შედეგად საბოლოოდ დაიმსხვრა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა და ასზე მეტი ქვეყანა დამოუკიდებელი, სუვერენული განვითარების გზას დაადგა.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ფუძემდებლური დებულებები ეროვნულ-კოლონიურ საკითხზე იმპერიალიზმის ეპოქაში შემოქმედებითად განავითარა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების თეორიის, პროგრამისა და პოლიტიკის მწყობრ სისტემად ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინმა. ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მსოფლიო რევოლუციური პროცესის უშუალო შემადგენელი ნაწილი გახდა, რომ ამის გამო მუშათა კლასის გამარჯვება და ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლება შეუძლებელია საერთო რევოლუციური ფრონტის შექმნისა და განმტკიცების გარეშე.

ვ. ი. ლენინმა მარქსიზმის ისტორიაში პირველად შეიმუშავა სისტემური



საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახით ერისა და ეროვნული ურთიერთობის მეცნიერულად დასაბუთებული თეორია, რომელიც საფუძვლად დაედო პარტიის პროგრამასა და პოლიტიკას, სტრატეგიასა და ტაქტიკას ეროვნულ საკითხში. ვ. ი. ლენინი იყო ხალხთა მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის პოლიტიკის შემოქმედი, თავისუფალ ერთა ძმური კავშირის, მუშათა და გლეხთა პირველი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელი.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სავსებით დაადასტურა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სისწორე, რომ ეროვნული საკითხის წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სოციალური საკითხის გადაწყვეტის ბაზაზე. სოციალური ანტაგონიზმის ლიკვიდაციასთან ერთად წარსულს ჩაბარდა ეროვნული შუღლი და მტრობა, ყოველგვარი ეროვნული და რასობრივი უთანასწორობა და ჩაგვრა. ოქტომბრის რევოლუციამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის გამოაღვიძა რუსეთის იმპერიის ჩაგრული ხალხები და რეალობად აქცია ათასწლოვანი ოცნება ხალხთა თანასწორობაზე, მეგობრობასა და ძმობაზე.

ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ისტორიულმა გამოცდილებამ თვალნათლივ დაამტკიცა, რომ მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ქმნის ყველა შესაძლებლობას და პირობას ეროვნული საკითხის გადაწყვეტისათვის, ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთა და ეროვნებათა ნებაყოფლობითი გაერთიანებისათვის.

კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე მიზნად ისახავდა ეროვნული ჩაგვრისა და მტრობას სოციალურ-ეკონომიკური და იდეურ-პოლიტიკური მიზეზების აღმოფხვრას, ხალხებს შორის არსებული ეკონომიკური და კულტურული განვითარების ჩამორჩენილობის დაძლევას, ყველა მოძმე რესპუბლიკის ეკონომიკურ და კულტურულ წინსვლას, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის გადაქცევას საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად. და ეს ამოცანა წარმატებით გადაწყდა.

სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ძმობის დამკვიდრება, ყველა სოციალისტური ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის აყვავება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარება, მათი მტკიცე ერთიანობა, ნაყოფიერი თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება და წარმატებით ფუნქციონირება, დამაჯერებლად ადასტურებენ კომუნისტური პარტიის ეროვნული პროგრამისა და პოლიტიკის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების ცხოველმყოფელობასა და ქმედითუნარიანობას.

ეროვნული საკითხის დაყენებისა და გადაწყვეტის დროს პარტია ნიადაგ ხელმძღვანელობდა ეროვნული ურთიერთობის შესწავლის ლენინური მეთოდოლოგიური პრინციპებით, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ეროვნული საკითხისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომის პრინციპი. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ არაფრად არ ვარგა ეროვნული საკითხის აბსტრაქტული დაყენება, რომ საჭიროა მისი განხილვა განსაზღვრულ ისტორიულ ჩარჩოებში. „ყველაზე ხშირად და ყველაზე მეტად, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ამ საკითხზე მსჯელობის ნაკლია ისტორიული თვალსაზრისისა და კონკრეტულობის უქონლობა“ (2, 358).

ამ ლენინური მეთოდოლოგიური პრინციპის გათვალისწინების საფუძვე-

ლზე ეროვნული საკითხის დაყენებისა და გადაწყვეტის ისტორიულ პროცესში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი ეტაპი: პირველი ეტაპი დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდთან და იგი ცნობილია როგორც ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დემოკრატიული ეტაპი; ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მეორე ეტაპი მოიცავს სოციალიზმის მშენებლობის ეპოქას, ხოლო მესამე, თანამედროვე ეტაპი, სოციალიზმის სრულყოფის პერიოდთან არის დაკავშირებული.

ეროვნული საკითხის დაყენების ამ სამ ისტორიულ ეტაპს შორის გარკვეული მემკვიდრეობითი კავშირი არსებობს, რაც რა თქმა უნდა, არ შლის მათ შორის არსებულ თვისებრივ განსხვავებას. გასაგებია, რომ კონკრეტულ-ისტორიული ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით იცვლებოდა ეროვნული საკითხის დაყენების შინაარსი, მისი გადაწყვეტის მეთოდები, ფორმები და საშუალებანი.

ეროვნული საკითხის დაყენების პირველ ეტაპზე, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდს მოიცავს, ეს პრობლემა განიხილებოდა როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის, მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის საერთო საკითხის შემადგენელი ნაწილი, როგორც საერთო-დემოკრატიული ბრძოლის პრობლემა. ამ ეტაპზე მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობა, დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება, ბატონყმობის ნაშთებისაგან ქვეყნის სრული განთავისუფლება ეროვნული საკითხის დემოკრატიული გადაწყვეტის აუცილებელი პირობა იყო.

მეოცე საუკუნის დასაწყისში მეფის რუსეთში, რომელსაც სამართლიანად უწოდებდნენ „ხალხთა საპყრობილეს", მომწიფდა როგორც ობიექტური პირობები, ასევე სუბიექტური წანამძღვრები იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუციისათვის. ამ რევოლუციის ბედი ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ ვის მხარეზე დადგებოდნენ რუსეთის ჩაგრული ხალხების მშრომელი მასები, რა როლს შეასრულებდა დემოკრატიისათვის ბრძოლის საერთო ნაკადში მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. უნდა შექმნილიყო რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნების მშრომელთა ერთიანი ფრონტი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთ პირობებში ეროვნული საკითხი, ბუნებრივია, წინა პლანზე დადგა და თავიდანვე მოექცა ვ. ი. ლენინის, ბოლშევიკების ყურადღების ცენტრში.

ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პროგრამისა და პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ვ. ი. ლენინმა 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინახანებში, პარტიის II ყრილობისათვის მზადების პერიოდში შეიმუშავა . ვ. ი. ლენინმა რუსეთის კონკრეტულ-ისტორიული პირობების, ეროვნულ საკითხში ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე ჯერ კიდევ 1902 წლის დასაწყისში შედგენილ „რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის პროგრამის პროექტში" ჩამოყალიბა ორი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი: ჯერ ერთი, ყველა ეროვნების ადამიანთა პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებისა და სრული თანასწორუფლებიანობის მოთხოვნა, და მეორე — რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისათვის თვითგამორკვევის უფლების აღიარება. ეს პრინციპები შემდგომ უცვლელად შევიდა პარტიის მეორე ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში.

რსდმპ მეორე ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ეროვნულ საკითხს. ყრილობაზე ლიტვის, პოლონეთისა და რუსეთის ებრაელ მუ-

შათა საყოველთაო კავშირი — ბუნდი პარტიის აგების ფედერაციული პრინციპის მოთხოვნით გამოვიდა. ყრილობამ გადაჭრით უარყო ბუნდის ორგანიზაციული ნაციონალიზმი, რაც ეროვნული ნიშნის მიხედვით პროლეტარიატის დაყოფას და მუშათა მოძრაობის დაქუცმაცებას ნიშნავდა, და მტკიცედ მოითხოვა პარტიის აგება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

რსდმპ მეორე ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული ეროვნული პროგრამის და პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელთა საფუძველზედაც ბოლშევიკურმა პარტიამ რუსეთის პირველ რევოლუციაში უზრუნველყო რუსეთის მუშათა კლასისა და განაპირა მხარეების ჩაგრული ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა, მშრომელთა კლასობრივი და ეროვნული ერთიანობა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხრაას ხუთი წლის რევოლუციამ, ხაზგასმით მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, „გააერთიანა რუსეთის ყველა ერის მუშები".

1905 — 1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამეფებული რეაქციის, თვითმპყრობელური შავრაზმული ნაციონალიზმის მოზღვავებისა და მის საპასუხოდ ადგილობრივი ნაციონალიზმის გაძლიერების ვითარებაში ეროვნული საკითხი კვლავ აქტუალურ მნიშვნელობას იძენს.

შავრაზმული ნაციონალიზმის მოწამლულმა ატმოსფერომ მავნე გავლენა მოახდინა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ ნაწილზე, რაც ეროვნულ საკითხში პარტიული პროგრამის უარყოფით დაგვირგვინდა.

1912 წლის აგვისტოში ვენაში გამართულმა ლიკვიდატორთა კონფერენციამ, რომელზედაც ტროცკის ხელმძღვანელობით ანტიპარტიული ბლოკი შეკოწიწდა, კავკასიელი ლიკვიდატორების წინადადებით, მისაღებად ცნო „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის" იდეა და ამით დაარღვია ეროვნულ საკითხში პარტიის მეორე ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა. კონფერენციის ამ გადაწყვეტილებას თვით მენშევიკმა გ. პლეხანოვმაც კი „სოციალიზმთან ნაციონალიზმის შეგუება" უწოდა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთი ნაწილის ნაციონალისტური მერყეობის გამო ეროვნული საკითხი ვ. ი. ლენინისა და ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა. ნაციონალიზმის გამოცოცხლება, წერდა ვ. ი. ლენინი ამ პერიოდში, „განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვს რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისაგან წინანდელზე მეტი ყურადღება მიაქციონ ნაციონალურ საკითხს და გამოიმუშაონ მისი თანმიმდევრად-მარქსისტული გადაწყვეტილებანი მტკიცე ინტერნაციონალიზმისა და ყველა ერის პროლეტართა ერთიანობის სულისკვეთებით" (3, 290).

1913 წლის ივლისის პირველ ნახევარში ვ. ი. ლენინმა ეროვნულ საკითხზე რეფერატები წაიკითხა შვეიცარიის ქალაქებში — ციურიხში, ჟენევაში, ლოზანასა და ბერნში, ხოლო იმავე წლის 24 აგვისტოს ასტრახანში ს. გ. შაუმიანს გაუგზავნა წერილი — თხოვნით — მიეწოდებია მისთვის სტატისტიკური მასალები ეროვნებათა ურთიერთობის შესახებ სპარსეთში, თურქეთსა და რუსეთში.

1913 წლის სექტემბრის ბოლოს კრაკოვის მახლობლად, პორონინოში, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ჩატარდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის

თათბირი პარტიულ მუშაკებთან, რომელსაც კონსპირაციის მიზნით „ზაფხულის“ ანუ „აგვისტოს“ თათბირი ეწოდა. თათბირმა, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილა ვ. ი. ლენინის მოხსენება ეროვნულ საკითხზე და მიიღო მის მიერ შედგენილი რეზოლუცია, რომელშიც შემოქმედებითად არის განვითარებული პარტიის მეორე ყრილობაზე მიღებული ეროვნული პროგრამისა და პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

პორონინოს თათბირის რეზოლუციაში დაკონკრეტებულია ერთა თვითგამორკვევის უფლების არსი. იგი განმარტებულია როგორც გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება. ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკები ერთა თვითგამორკვევის უფლებას ყოველთვის პოლიტიკური თვითგამორკვევის, ე. ი. გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების აზრით განმარტავდნენ. მიუხედავად ამისა, ყველა ჯურის ნაციონალისტები სარგებლობდნენ იმით, რომ მეორე ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში ერთა თვითგამორკვევის უფლების პუნქტი ზოგადად იყო ფორმირებული, თვითნებურად განმარტავდნენ და ამახინჯებდნენ მას, კულტურული თვითგამორკვევის უფლებამდე, ე. წ. „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ იდეამდე დაჰყავდათ იგი. ამიერიდან ამ მოთხოვნის თვითნებურ გაგებას ბოლო ეღებოდა.

პორონინოს თათბირზე პირველად იქნა წამოყენებული ფართო საოლქო ავტონომიის მოთხოვნა ნაცვლად საოლქო თვითმმართველობისა, რომელიც შეტანილი იყო პარტიის მეორე ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში. ამასთან ავტონომიური ოლქების საზღვრების დადგენა უნდა მომხდარიყო სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობების, ეროვნული შემადგენლობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

ეროვნულ საკითხზე პორონინოს თათბირის რეზოლუციაში უარყოფილია სავალდებულო სახელმწიფო ენის აუცილებლობა, რაც რსდმპ მეორე ყრილობის მიერ მიღებული პროგრამით იყო გათვალისწინებული და მის ნაცვლად წამოყენებულია ყველა ერისა და ენის სრული თანასწორუფლებიანობის მოთხოვნა.

პორონინოს თათბირზე პრინციპულად იქნა დაგმობილი კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პროგრამა, რომელიც „ნაციონალური კულტურის“ ლოზუნგით ცდილობდა განეხორციელებინა დახვეწილი, სოციალისტური ფრაზეოლოგიით შენიღბული ნაციონალიზმი. მის საპირისპიროდ თათბირმა ყურადღება გაამახვილა ყველა ეროვნების მშრომელთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის აუცილებლობაზე.

ამრიგად, პორონინოს თათბირის რეზოლუცია ეროვნულ საკითხზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ იცავდნენ ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკები პარტიის ეროვნულ პროგრამას სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტების მხრივ ხელყოფისგან და ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდის ვითარების შესაბამისად როგორ ავითარებდნენ, ხვეწდნენ და აზუსტებდნენ პარტიის მეორე ყრილობის მიერ მიღებულ ეროვნული პროგრამის ძირითად პრინციპებს.

ამასთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინი, 1913 წლის 6 დეკემბერს ს. გ. შაუმიანს სწერდა, რომ ოპორტუნისტები პარტიის ეროვნულ პროგრამას „ცვლიან ფარულად, საძაგლად, ცუდი მხრივ. ჩვენ კი მისი მიმართულებით, თანმიმდევარ-დემოკრატიული მიმართულებით, მარქსისტული (ანტიავსტრიული) მიმართულებით ვსაზღვრავთ, ვაზუსტებთ, ვავითარებთ, ვამტკიცებთ. ეს უნდა გვექნა.

აბა შემოჰყონ ახლა ცხვირი ოპორტუნისტულმა (ბუნდელმა, ლიკვიდატორულმა, ნაროდნიკულმა) არამზადებმა — აბა მოგვცენ თავიანთი ასევე ზუსტი და ასევე სრული პასუხი ყველა ჩვენს კითხვაზე, რომელიც აღძრულია და გადაწყვეტილია ჩვენს რეზოლუციაში" (3, 599).

პორონინოს თათბირის დამთავრების შემდეგ ვ. ი. ლენინი წერს ისეთ საპროგრამო შრომებს ეროვნულ საკითხზე, როგორიცაა „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე" (1913 წ.) და „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ" (1914 წ.). ამავე პერიოდში გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი", რომელსაც ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა.

ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პროგრამის და პოლიტიკის ძირითადი პრინციპების დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინის თანამებრძოლების ს. ორჯონიკიძის, ს. შაუმიანის, პ. სტუჩკას, ს. კინგისეპის და სხვათა თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას.

იმპერიალისტური ომის დროს ეროვნული საკითხი საერთაშორისო დისკუსიის საგანი შეიქნა. პოლონელმა სოციალ-დემოკრატებმა, ჰოლანდიელმა მემარცხენე სოციალისტებმა, ხოლო რუსეთში ბუხარინ-პიატკოვ-რადეკის ჯგუფმა ერთხმად გაილაშქრეს ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პროგრამისა და მისი ძირითადი მოთხოვნის — ერთა თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ. ერთა თვითგამორკვევის უფლება და საერთოდ ყოველგვარი დემოკრატიული მოთხოვნა მათ იმპერიალიზმის ეპოქასთან შეუთავსებლად, განუხორციელებელ მოთხოვნებად გამოაცხადეს.

ვ. ი. ლენინმა მსოფლიო ომის წლებში დაწერილ შრომებში „შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ", „პასუხი პ. კიევსკის (ი. პიატკოვს)", „მარქსიზმის კარიკატურისა და „იმპერიალისტური ეკონომიზმის" შესახებ" და სხვა, დამაჯერებლად უჩვენა, რომ იმპერიალიზმის ეპოქა არათუ გამორიცხავს ერთა თვითგამორკვევის უფლებას, არამედ, პირიქით, აუცილებელს ხდის მისი როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი ფორმისა და ერთ-ერთი მოთხოვნის განხორციელებას (4, 414).

ვ. ი. ლენინი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების განხორციელებაში ხედავდა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მტკიცე გარანტიას. 1913 წელს, მაქსიმ გორკისადმი წერილში, იგი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები+სომხები+თათრები+რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტა" (5, 76).

ლენინური ეროვნული პროგრამითა და პოლიტიკით შეიარაღებულმა ბოლშევიკურმა პარტიამ ამხილა და იდეურად გაანადგურა მენშევიკ-ლიკვიდატორები, ბუნდელები და სხვა წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც ავსტრიელი ოპორტუნისტების ფართოდ რეკლამირებულ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის რეაქციულ პროგრამას იზიარებდნენ და მუშათა რევოლუციურ მოძრაობას ნაციონალიზმის შხამით წამლავდნენ. სწორედ ამის შედეგად უზრუნველყვეს ბოლშევიკებმა რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნების მშრომელთა მასების საბრძოლო თანამეგობრობა ცარიზმის და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ბურჟუაზიის ბატონობის პირობებში შეუძლებელია ეროვნული ჩაგვრის სრული ლიკვიდაცია და ხალხთა თანასწორუფლებიანობის განხორციელება. ამისათვის საჭიროა სოციალისტური რევოლუცია და მუშათა კლასის პოლიტიკური ძალაუფლების დამყარება, ეროვნული საკითხის სოციალისტური გადაწყვეტა.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მეორე ეტაპი დაკავშირებულია სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის ეპოქასთან, როცა კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩვენს ქვეყანაში წარმატებით იქნა გადაწყვეტილი ეროვნული საკითხი.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ თანმიმდევრულად განახორციელა ბოლშევიკური პარტიის ლენინური ეროვნული პროგრამა და პოლიტიკა, უზრუნველყო სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ყველა ფორმის აღმოფხვრა და როგორც პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაშია ნათქვამი, საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტას (6, 80).

კომუნისტურმა პარტიამ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძირითად პრინციპზე დაყრდნობით, მათი თანამიმდევრული პრაქტიკული დამკვიდრების მეოხებით სამუდამოდ აღმოფხვრა ხალხებს შორის ეროვნული შუღლი და მტრობა, საბჭოთა მრავალეროვანი ქვეყნის ასზე მეტ ერსა და ეროვნებას შორის დაამკვიდრა სრული თანასწორუფლებიანობა, ძმური თანამშრომლობა და უანგარო მეგობრული ურთიერთობა.

როგორც ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, ეროვნული საკითხის სოციალისტური გადაწყვეტა ნიშნავს: ჯერ ერთი, ეროვნული ჩაგვრისა და მტრობის ობიექტური და სუბიექტური მიზეზების აღმოფხვრას; მეორე, ხალხთა შორის პრინციპულად ახალი ურთიერთობის — ნამდვილი თანასწორუფლებიანობის და თანამშრომლობის, პატივისცემისა და ნდობის დამყარებას და განვითარებას; მესამე, ერთა და ეროვნებათა არა მარტო უფლებრივი, არამედ მათ შორის ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევას; მეოთხე, სოციალისტური ერებისა და ეროვნებების ყოველმხრივი განვითარების საფუძველზე მათ სულ უფრო მეტად დაახლოებას; მეხუთე, ყველა ეროვნების ადამიანთა ინტერნაციონალისტური შეგნების ფორმირებას; მეექვსე, ახალი ინტერნაციონალური და სოციალური ერთობის — მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ფორმირებას და წარმატებით ფუნქციონირებას.

ვ. ი. ლენინმა რევოლუციის გამარჯვებისთანავე ცხადყო, რომ სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად, რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად საჭირო იყო საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი, თანასწორუფლებიანობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე მათი ძმური გაერთიანება.

„მე ღრმად ვარ დარწმუნებული, წერდა ვ. ი. ლენინი 1918 წლის იანვარში, რომ რევოლუციური რუსეთის irgvliv სულ უფრო და უფრო შემოიკრიბება თავისუფალი ერების ცალკეული სხვადასხვა ფედერაცია. სრული ნებაყოფლობით სიცრუისა და მახვილის გამოუყენებლად გაიზრდება ეს ფედერაცია, და იგი უძლეველია“ (7, 560).

მართლაც, სსრ კავშირის შექმნის ისტორიულ პროცესში გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა რესპუბლიკამ, რომლის გარშემოც შემოიკრიბა და მტკიცედ შეკავშირდა ყველა ერი და ეროვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ფედერაცია პირველი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო იყო და ამდენად სსრ კავშირის პირველსახეს, მისი შექმნის მტკიცე საფუძველს წარმოადგენდა.

როგორც სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია ხაზგასმული, ჩვენი ქვეყნის ხალხთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლების, მათი ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის საქმეში პარტიამ ჩააქსოვა თავისი დაუცხრომელი შრომა, კომუნისტთა ნიჭი და სულიერი გზნება, ცოდნა და კადრების ორგანიზატორული ხელოვნება.

საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგარი ურთულესი და უძნელესი ეკონომიკური, სოციალური, საგარეო-პოლიტიკური ამოცანები გადაჭრით მოითხოვდა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებას.

მაგრამ ამ გაერთიანების ფორმების და იმ პოლიტიკური ინსტიტუტების ძიება, რომელთა მეშვეობითაც ეს გაერთიანება უნდა მომხდარიყო, მძაფრი ბრძოლისა და წინააღმდეგობათა გადალახვის გზით მიმდინარეობდა. ერთმანეთს უპირისპირდებოდა სულ სხვადასხვა გეგმა ერთიანი სახელმწიფოებრივი კავშირის შექმნისა — კონფედერაციის ფარგლებში საბჭოთა რესპუბლიკების ამორფული გაერთიანების პროგრამით დაწყებული და რუსეთის ფედერაციაში ავტონომიზაციის პრინციპის საფუძველზე რესპუბლიკების გაერთიანების მოთხოვნით დამთავრებული.

ასეთ ვითარებაში საჭირო იყო ვ. ი. ლენინის გენიალური წინასწარხედვა, რათა პარტიას დროზე აღმოეფხვრა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პროცესში დაშვებული შეცდომები, დაესახა მათი გაერთიანების ერთადერთი სწორი გზა — სოციალისტური ფედერალიზმის გზა. სსრ კავშირის შექმნა, რაც 1922 წლის დეკემბერში განხორციელდა, არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება იყო.

სსრ კავშირის შექმნამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებაში, მათი სოციალისტურ ერებად ჩამოყალიბების საქმეში. მართალია, ოქტომბრის რევოლუციამ მტკიცედ დაამკვიდრა ეროვნული თანასწორუფლებიანობა, მაგრამ თავისთავად ეს მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მონაპოვარი შეიძლება ლიტონ სიტყვად დარჩენილიყო, თუ არ შეიქმნებოდა საჭირო პირობები და რესურსები ადრე ჩამორჩენილი ხალხების დაჩქარებული ტემპით განვითარებისათვის. ბუნებრივია, რომ ჩამორჩენილ ხალხებს არ შეეძლოთ მათთვის მინიჭებული უფლების რეალიზაცია სხვაგვარად, თუ არა მოწინავე ერების მხარდაჭერისა და დახმარების გზით, მათი ძმური თანადგომით.

ოქტომბრის რევოლუციამ წამოაყენა ერების არა მარტო უფლებრივი, არამედ აგრეთვე ფაქტობრივი უთანასწორობის ლიკვიდაციის ამოცანა, ხოლო ბოლშევიკური პარტიის მეათე და მეთორმეტე ყრილობებმა ამ ამოცანის გადაჭრის თანმიმდევრული გზა და პრაქტიკული ღონისძიებები დასახეს. ეს იყო ახალი მომენტი, რომელიც ბოლშევიკებმა ეროვნულ საკითხში შეიტანეს მისი გადაწყვეტის სოციალისტურ ეტაპზე. ამ მომენტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან რუსეთში ოცამდე ჩამორჩენილი ეროვნული განაპირა მხარე იყო, სადაც მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობდა.

ამიტომ ამ ხალხების დაჩქარებული ტემპით განვითარება პარტიის ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერების ფაქტობრივი უთანასწორობის ლიკვიდაციის პრობლემა ეროვნული საკითხის დაყენების სოციალისტურ ეტაპზე არსებითად გადაწყდა. „ჩვენი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, აღინიშნა პარტიის XXVI ყრილობაზე, საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე ისე იგებოდა, რომ რაც შეიძლება მალე დაგვეწინაურებინა რუსეთის ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეები მისი ცენტრის განვითარების დონემდე. და ეს ამოცანა წარმატებით გადაწყდა. აქ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მჭიდრო თანამშრომლობამ და, უწინარეს ყოვლისა, რუსი ხალხის უანგარო დახმარებამ“ (8, 85).

სსრ კავშირში სოციალიზმის ძირითადად აშენების შედეგად არსებითი ცვლილებანი მოხდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში, ეროვნული ურთიერთობის სფეროში. სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად საბოლოოდ გაიმარჯვა ერთა თანასწორუფლებიანობის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიამ. ჩვენი ქვეყნის ხალხების ურღვევი მეგობრობა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მძლავრი მამოძრავებელი ძალა გახდა.

ხალხთა ლენინური მეგობრობის მკაცრი გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი. ფაშისტური გერმანია ვარაუდობდა, რომ საბჭოთა ხალხების ერთიანობა და შეკავშირება ომის განსაცდელს ვერ გაუძლებდა, მაგრამ მტრის ვარაუდი არ გამართლდა. ომმა კიდევ უფრო მტკიცედ შეაკავშირა მოძმე ერები, საბჭოთა ხალხების ძმური ერთიანობა და ურღვევი მეგობრობა. „კაცობრიობამ არ იცის სხვა ისეთი მაგალითი, განაცხადა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის ზეიმზე, რომ ომს ესოდენ მჭიდროდ შეეკავშირებინოს ქვეყნის ყველა ერი და ეროვნება აგრესორის წინააღმდეგ საბრძოლველად. ხალხთა ძმურ ერთიანობაში მთელი ძალით გამოვლინდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა. დიადი სოციალისტური კავშირი მტკიცე და ურყევი დარჩა“ (9).

ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების პირობებში მთელი ძალით გამოვლინდა ხალხთა ლენინური მეგობრობის გიგანტური ძალა, რომელმაც უზრუნველყო სახალხო მეურნეობის აღორძინება, სოციალიზმის მშენებლობის სრული და საბოლოო გამარჯვებით დაგვირგვინება.

მოძმე საბჭოთა ხალხების გმირული ბრძოლისა და ერთობლივი შრომის შედეგად, პირველად ჩვენს ქვეყანაში, აშენდა სოციალისტური საზოგადოება, რომელშიც არა მარტო მიღწეულია ყველა ერისა და ეროვნების იურიდიული და ფაქტობრივი თანასწორობა, არამედ ძირითადად გადაწყდა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების დონეთა გათანაბრების ამოცანა. განმტკიცდა და განვითარდა ხალხთა ძმური მეგობრობის მატერიალური საფუძველი — ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი. სოციალისტური ერების შემდგომი განვითარებისა და დაახლოების საფუძველზე ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი.

ახალი საზოგადოების მშენებლობის პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიოს უჩვენა ეროვნული საკითხის სოციალისტური გადაწყვეტის ნიმუში.

პარტიამ გააკეთა დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნა იმის შესახებ, რომ ეროვნული საკითხი იმ სახით როგორიც ჩვენ წარსულისაგან მემკვიდრეობით გვხვდა წილად, ჩვენს ქვეყანაში წარმატებით არის გადაწყვეტილი.

ეროვნული საკითხის წარმატებით გადაწყვეტა პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის იმდენად დიდი მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომ იგი სამართლიანად შეიძლება დავაყენოთ სოციალიზმის მშენებლობაში მოპოვებულ ისეთ გამარჯვებათა გვერდით, როგორიც არის ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუცია.

ეროვნული საკითხის სოციალისტური გადაწყვეტის დედაარსია ხალხებს შორის ეროვნული შუღლისა და მტრობის აღმოფხვრა; მათი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევა; ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის უზრუნველყოფა; სოციალიზმის მშენებლობის პროცესში სოციალისტური ერების ჩამოყალიბება და თავისუფალი განვითარება, პრინციპულად ახალი ტიპის ეროვნული ურთიერთობის ფორმირება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ჭეშმარიტი თანასწორობა, მეგობრობა და ძმობა.

ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში ხაზგასმულია: „განვლილი გზის შედეგები დამაჯერებლად მოწმობს: წარსულისაგან შემორჩენილი ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში წარმატებით გადაიჭრა“ (6, 212). ამ დასკვნას არსებითი მნიშვნელობა აქვს ეროვნული საკითხის გადაწყვეტის არსის გაგებისათვის, რადგან არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენს სამეცნიერო-პოლიტიკურ თუ პროპაგანდისტულ ლიტერატურაში დომინირებდა დებულება იმის შესახებ, რომ ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში გადაწყვეტილია მთლიანად, სრულად და საბოლოოდ. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ავტორი იმ აზრსაც კი გამოთქვამდა, რომ ეროვნული საკითხი ჩვენს ქვეყანაში უკვე მოხსნილი იყო დღის წესრიგიდან.

ეროვნული საკითხისადმი ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის (1983 წ.) მითითებას იმის შესახებ რომ „ეროვნული საკითხის იმ სახით გადაჭრა, რა სახითაც გვერგო წარსულისაგან, სულაც არ ნიშნავს, თითქოს ეროვნული საკითხი საერთოდ მოხსნილიყოს დღის წესრიგიდან“ (10, 69).

საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს არსებობა და განვითარება, მოსახლეობის მრავალეროვანი სტრუქტურის ჩამოყალიბება, საეროვნებათაშორისო კავშირ-ურთიერთობის გაღრმავება და გაფართოება დღენიადაგ წარმოშობს ახალ პრობლემებს და ამოცანებს, რომელთაც პარტიის ყოველდღიური ზრუნვა და ყურადღება ესაჭიროებათ. სწორედ ეროვნული ურთიერთობის სრულყოფის ამ ახალ ამოცანებზეა გამახვილებული ყურადღება პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში.

ეროვნული ურთიერთობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე წამოჭრილი პრობლემებისა და ამოცანების გადაწყვეტა ახლებურ მიდგომას, მომწიფებული საკითხების გადაჭრის ახალ ფორმებსა და საშუალებებს მოითხოვს, რაც სოციალიზმის სრულყოფის პირობებში ეროვნული საკითხის მეცნიერული მართვისა და პროგნოზირების აუცილებელი პირობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური საზოგადოების ეტაპობრივი განვითარება, ბუნებრივია, ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ეტაპობრივ ხასიათს განაპირობებს. ასე, მაგალითად, თუ სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო საბჭოთა ერებსა და ეროვნებებს შორის ფაქტობრივი უთანასწორობის დაძლევაზე, ახლა, გარდაქმნისა და დაჩქარების თანამედროვე ეტაპზე, მთავარი ყურადღება ექცევა თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის წვლილის ამაღლებას ჩვენი ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში, იმას, რომ განუხრელად ავამაღლოთ ყველა ერისა და ეროვნების მატერიალური და სულიერი პოტენციალი, მაქსიმალურად გამოვიყენოთ იგი მთელი ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისათვის.

ბუნებრივია, რომ ისეთ მრავალეროვან სახელმწიფოში, როგორიც საბჭოთა კავშირია, ეროვნული ურთიერთობა არ შეიძლება იყოს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული უცვლელი სისტემა. ეს კი მოითხოვს ნიადაგ ვზრუნავდეთ ეროვნული ურთიერთობის სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის, საერთო-საკავშირო და ადგილობრივი ინტერესების სწორად შეხამებისათვის, სოციალისტური ერებისა და ეროვნებების ყოველმხრივი აყვავებისა და თანდათანობითი დაახლოებისათვის, როგორც მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე 1984 წლის 10 დეკემბერს — ყველა ერისა და ეროვნების ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევა, მათი ყოველმხრივი განვითარება და დაახლოება, ურღვევი ძმური მეგობრობა, ერთიანი ოჯახის ღრმა გრძნობა, ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება — ყოველივე ეს ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოვებული უდიდესი მიღწევებია ეროვნული საკითხის გადაწყვეტის სფეროში.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა ადამიანის ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, კიდევ უფრო იზრდება ეროვნული საკითხის პიროვნული ასპექტის როლი სოციალიზმის სრულყოფის საქმეში.

ჩვენი ეპოქის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, საწარმოო ძალების სწრაფი განვითარება, მოსახლეობის მოძრაობისა და მრავალეროვნულობის ზრდა ხელს უწყობს სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა უშუალო კონტაქტების გაღრმავებას და გაფართოებას, ეროვნული საკითხის პიროვნული ასპექტის გააქტიურებას. ამ გარემოებას ახალი მომენტები შეაქვს ეროვნული ურთიერთობის სფეროში, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ლენინური ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების დროს. ასეთ პირობებში დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ეროვნული ურთიერთობის სოციალურ-ფსიქოლოგიური საკითხების — ეროვნული განწყობისა და ღირებულებითი ორიენტაციის, ეროვნული ცნობიერების, ეროვნული და საერთოსაბჭოური სიამაყის ფორმირების კანონზომიერებათა შესწავლას, ეროვნული ურთიერთობის სფეროში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დამკვიდრებას.

თანამედროვე ეტაპზე ეროვნული ურთიერთობის მეცნიერული მართვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ წინააღმდეგობათა პრობლემას. ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა ყურადღება გაამახვილა იმის შესახებ, რომ საჭიროა დროულად გამოვავლინოთ ეროვნული ურთიერთობის სფეროში წამოჭრილი

პრობლემები და წინააღმდეგობანი, უნარიანად გადავჭრათ ისინი (11, 109).

.სოციალიზმის პირობებში წინააღმდეგობანი ეროვნული ურთიერთობის სფეროში თავს იჩენს მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. კერძოდ, ობიექტური ფაქტორებია — ერებს შორის ჯერ კიდევ არსებული ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონეთა შორის არსებული განსხვავება, მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურის თავისებურებანი, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის წინააღმდეგობრივი ერთიანობა, ხოლო სუბიექტურ მიზეზებს განეკუთვნება — ადგილებზე ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში დაშვებული შეცდომები, ერებისა და ეროვნებების ეკონომიკური და კულტურული ინტერესების გაუთვალისწინებლობა, პარტიის საკადრო პოლიტიკაში ეროვნული მომენტის უგულებელყოფა და სხვა.

ეს წინააღმდეგობანი თავისი ბუნებით არაანტაგონისტურია, რადგან ისინი გამოხატავენ არა დაპირისპირებული, მტრულად განწყობილი ერების ინტერესებს, არამედ ერთიან ძმურ ოჯახში გაერთიანებული მოძმე ხალხების მისწრაფებებს, რომლებიც გაერთიანებული არიან ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ერთობით, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო მიზნებით და ამოცანებით.

კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის, ეროვნული ურთიერთობის მეცნიერული მართვისა და პროგნოზირების უპირველესი დანიშნულება ის არის, რომ დროულად გამოავლინოს ამ სფეროში არსებული წინააღმდეგობანი, მათი წარმოშობის მიზეზები, დასახოს მათი აღმოფხვრის ეფექტური გზები და საშუალებანი, რათა ამ წინააღმდეგობათა განვითარებამ არ გამოიწვიოს ეროვნული ურთიერთობის სფეროში დეფორმაციული პროცესები.

ისმება კითხვა, თუ რა სახის წინააღმდეგობებმა შეიძლება იჩინოს თავი ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში სოციალიზმის პირობებში. ეს არის უწინარეს ყოვლისა, ის წინააღმდეგობანი, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული და ინტერნაციონალური მიზნების, თითოეული საბჭოთა ერისა და მთლიანად საბჭოთა ხალხის ინტერესების სწორად შეხამებასთან. რა თქმა უნდა, მთელი საბჭოთა ხალხისა და მასში შემავალი ერებისა და ეროვნებების ინტერესები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნული და ინტერნაციონალური, რესპუბლიკური და საერთო-საკავშირო ინტერესები ერთმანეთს დროებით არ დაშორდეს. ეს გასაგებიცაა, რადგან საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოკავშირე რესპუბლიკების, ან ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ერებისა და ეროვნებების ინტერესების მარტივი არითმეტიკული ჯამი კი არ არის, არამედ მთელისა და ნაწილის დიალექტიკით დაკავშირებული რთული კომპლექსია. ამ ნიადაგზე შეიძლება აღმოცენდეს დროებითი ხასიათის წინააღმდეგობანი, ევრეთწოდებული ზრდის სიძნელეები, საბჭოთა ხალხის ინტერესებსა და ცალკეული ერებისა და ეროვნებების ინტერესებს შორის.

წინააღმდეგობანი შეიძლება აღმოცენდეს აგრეთვე მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებს შორისაც. სოციალისტურ საზოგადოებაში ერებისა და ეროვნებების ძირეული ინტერესების ერთობა გულისხმობს აგრეთვე სპეციფიკური ინტერესების გამოვლენას, რაც განპირობებულია ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით, გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებით, მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურით, ეროვნული ტრადიციებით და წეს-

ჩვეულებებით და სხვა. ამ ნიადაგზედაც ცალკეულ ეროვნულ რესპუბლიკებს შორის შეიძლება წარმოიშვას გარკვეული წინააღმდეგობანი, დროებითი სიძნელეები, რომელთა დაძლევაც ხდება ყველა ერისა და ეროვნების ფაქტობრივი თანასწორობის განმტკიცებით, მათი ეროვნულ-სპეციფიკური ინტერესების უფრო სრული გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა მოსახლეობის მრავალეროვნული სტრუქტურა. ყველა საბჭოთა რესპუბლიკა დღეს მრავალეროვანი და მრავალენოვანია. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა შემდგომი დაახლოებისა და ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით მათი აღზრდის საქმეს. მაგრამ, ამავე დროს, მოსახლეობის მრავალეროვნულობის ზრდამ შეიძლება წარმოშვას წინააღმდეგობანი მკვიდრი და არამკვიდრი ეროვნების წარმომადგენელთა შორის. ამის უშუალო მიზეზი შეიძლება იყოს ეროვნული ნიშნით კადრების არასწორი განაწილება, არამკვიდრ ეროვნებათა სპეციფიკური ინტერესების შეუფასებლობა, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის შოვინიზმისა და ნაციონალიზმის, ეროვნული ქედმაღლობისა და ეგოიზმის გამოვლინებისათვის, რომელთა დროული დაძლევა ჩვენი პარტიის ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

მოსახლეობის მრავალეროვნულობის ზრდის პირობებში კიდევ უფრო ღრმავდება და ფართოვდება სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა უშუალო კონტაქტები და კავშირურთიერთობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. საეროვნებათაშორისო კავშირურთიერთობის გაძლიერების პირობებში მრავალეროვანი შრომითი კოლექტივი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ეროვნული განწყობისა და ორიენტაციის წყარო. ასეთ კოლექტივებში პირადმა კონფლიქტებმა შრომის პროცესში შეიძლება მიიღოს ეროვნული შეფერილობა, გამოიწვიოს უარყოფითი ეროვნული განწყობისა და ორიენტაციის ჩამოყალიბება, ამა თუ იმ ზომით ეროვნული ურთიერთობის დეფორმაცია. ასეთივე კონფლიქტური სიტუაცია შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ კოლექტივში, სადაც ინტერნაციონალურ-აღმზრდელობით მუშაობას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

სკკპ მეცნიერულად დასაბუთებული ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე დროულად ხდება ამ წინააღმდეგობათა გამოვლენა და მათი დადებითად გადაწყვეტა, რაც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ინტერნაციონალური ერთიანობის, ეროვნული ურთიერთობის სფეროში ჯანსაღი სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს განმტკიცებას.

ამრიგად, ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა ეროვნული საკითხის წარმატებით გადაწყვეტას, ხოლო სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკამ მსოფლიოს უჩვენა ამ ურთულესი პრობლემის გადაჭრის მაგისტრალური გზა.

კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მშენებლობის ეტაპობრივი პროცესი განაპირობებს ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ეტაპობრივ ხასიათს. თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიული ამოცანაა ეროვნულ ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფა, სოციალისტური ერების ყოველმხრივი აყვავება და დაახლოება, მრავალენოვანი საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური ერთიანობის განმტკიცება.



საქ. სსრ კ. მარქსის

სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში დოკუმენტებში ჩამოყალიბებულია ეროვნული ურთიერთობის სფეროში პარტიის ახალი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა შემდგომ განამტკიცებს და განავითარებს ოქტომბრის რევოლუციით შობილ ხალხთა ლენინურ მეგობრობას.

## ლიტერატურა


1. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1950.
2. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23.
3. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19.
4. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22.
5. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35.
6. სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბილისი, 1986.
7. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26.
8. სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბილისი, 1981.
9. გაზ. „კომუნისტი“, 1985 წლის 10 მაისი.
10. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1983 წლის 14—15 ივნისი, თბილისი, 1983.
11. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წლის 27—28 იანვარი, თბილისი, 1987.


ГРДЗЕЛИДЗЕ Р. К.

## ОКТЯБРЬСКАЯ РЕВОЛЮЦИЯ И НАЦИОНАЛЬНЫЙ ВОПРОС


### Резюме

В статье освещается теоретическое решение национального вопроса основоположниками научного коммунизма, показывается вклад В. И. Ленина в разработку программы и политики партии по национальному вопросу, анализируются сущность и значение успешного решения национального вопроса в нашей стране в свете решений XXVII съезда КПСС.


**R. GRDZELIDZE**

## THE OCTOBER REVOLUTION AND THE NATIONAL QUESTION


### Summary

The article elucidates the theoretical solution to the national question put forward by the founders of Scientific Communism. It shows Lenin's contribution to the work of the Party programme and politics of the national question. In addition, it analyzes the essence and significance of a successful solution to the above question in our country in the light of the decisions of the XXVII Congress of the CPSU.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета

280, 1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვ. ი. ლენინი რუსეთის 1905 — 1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის შესახებ

ა. ებრალიძე

საბჭოთა ხალხმა ფართოდ აღნიშნა რუსეთის პირველი რევოლუციის 80 წლისთავი, როგორც ღირსშესანიშნავი მოვლენა პარტიისა და ქვეყნის, მსოფლიო კომუნისტურ, მუშათა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

რუსეთის ხალხთა ამ გამათავისუფლებელი ბრძოლის სათავეში იდგა ბოლშევიკური პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით, რომელმაც საქმით განახორციელა მუშათა მოძრაობასთან რევოლუციური თეორიის შეერთება. რევოლუციის წლებში გამოვლინდა ვ. ი. ლენინის, როგორც დიდი თეორეტიკოსისა და პროლეტარიატის ბელადის, შემოქმედებითი გენია. მან შეიმუშავა მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგია და ტაქტიკა, განსაზღვრა მშრომელთა ბრძოლის უახლოესი და შორეული პერსპექტივები და ამოცანები, მიუთითა იმ კლასზე, რომელსაც რევოლუციის ჰეგემონობა უნდა ეკისრა. ეს კლასი კი პროლეტარიატი იყო.

„უკვე 1905 — 1907 წლების რევოლუციამ, იმპერიალიზმის ეპოქის პირველმა სახალხო რევოლუციამ — ცხადყო მუშათა კლასის ძალა, იგი გახდა პროლეტარიატის მომავალ გამარჯვებათა პროლოგი“ (I, 192—193).

მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის საკითხი უშუალოდ დემოკრატიული ამოცანების გადაწყვეტასთანაა დაკავშირებული, ამდენად მისი შექმნა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შედეგია.

კონკრეტულად ასეთი დიქტატურის დამყარების საკითხი რუსეთის სინამდვილეში დაისვა 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში, რაც არ წამოუყენებია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ადრეულ პერიოდში მომხდარ ბურჟუაზიულ რევოლუციებს.

მაშასადამე, უნდა გაირკვეს საკითხი, თუ რამ განაპირობა ის მდგომარეობა, როცა სოციალური შინაარსით ერთი და იმავე ტიპის რევოლუციებისაგან ისტორიული განვითარების პროცესი ურთიერთგანსხვავებული ტიპის დიქტატურის საკითხს აყენებს.

ამიტომ საჭიროა მივუთითოთ იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს ადრეული და გვიანდელი პერიოდის ბურჟუაზიულ რევოლუციებს შორის.

ცნობილია, რომ სოციალური რევოლუცია, რომელიც მნიშვნელოვანი ეტაპია საზოგადოების განვითარებაში, ნიშნავს ძირეულ გადატრიალებას საწარმოო ძალთა განვითარებასა და წარმოებით ურთიერთობაში.

სოციალური რევოლუციის ეკონომიკური საფუძველია კონფლიქტი ახალ საწარმოო ძალებსა და ძველ წარმოებით ურთიერთობას შორის. როგორც კ. მარქსი წერდა, „თავის განვითარების გარკვეულ საფეხურზე საზოგადოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალური საწარმოო ძალებივარდებიან წინააღმდეგობაში არსებულ წარმოებით ურთიერთობასთან, ან რაც ამის მხოლოდ იურიდიულ გამოხატულებას წარმოადგენს — საკუთრების ურთიერთობასთან. საწარმოო ძალთა განვითარების ფორმებიდან ეს ურთიერთობანი მათ ბორკილებად იქცევა. მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა“ (2, 269—270).

სოციალური რევოლუციის სიღრმე განისაზღვრება მასში ხალხის ფართო მასების მონაწილეობის ხარისხით, ხოლო რევოლუციაში მათი მონაწილეობა, ინიციატივა, საბრძოლო აქტივობა და რევოლუციური შემოქმედება, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია სოციალურ წინააღმდეგობათა სიღრმესა და სიმწვავეზე.

ამის მიხედვით, სოციალური რევოლუციები განსხვავდებიან თავისი ხასიათითა და მამოძრავებელი ძალებით, თავისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური შედეგებით.

აქედან გამომდინარე, ჩვენს წინაშე დგას ამოცანა, მივუთითოთ იმ თავისებურებებზე, რომლებიც დამახასიათებელია სხვადასხვა ეპოქის ბურჟუაზიული რევოლუციებისათვის.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: — „ბურჟუაზიული რევოლუცია ისეთი რევოლუციაა, რომელიც არ სცილდება ბურჟუაზიული, ე. ი. კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების ფარგლებს. ბურჟუაზიული რევოლუცია კაპიტალიზმის განვითარების საჭიროებას გამოხატავს. იგი არამცთუ არ სპობს მის საფუძვლებს, არამედ, პირიქით, აფართოებს და აღრმავებს მათ, ამიტომ ეს რევოლუცია არა მარტო მუშათა კლასის, არამედ მთელი ბურჟუაზიის ინტერესებსაც გამოხატავს“ (3, 44).

ბურჟუაზიული რევოლუციის არსის ეს განმარტება თანაბრად მიუდგება ისტორიაში მომხდარ ყველა ბურჟუაზიულ რევოლუციას, მათ შორის რუსეთის 1905 — 1907 წლების რევოლუციასაც.

რევოლუციის სოციალურ-ეკონომიკური შინაარსია ის ძირითადი საფუძველი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივუთითოთ იმ საერთოზე ან განმასხვავებელ თავისებურებებზე, რომელიც არსებობდა ადრეული და გვიანდელი ეპოქის რევოლუციებს შორის. ამიტომ, ამ რევოლუციების არსებითი შინაარსი არ იცვლება, ვუწოდებთ მას ბურჟუაზიულს, თუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულს.

ზოგიერთი მკვლევარი ორი ეპოქის ბურჟუაზიული რევოლუციების არსებით მხარეს იმით ასხვავებს ერთმანეთისაგან, რომ ევროპის რევოლუციებს წმინდა ბურჟუაზიულს უწოდებს, ხოლო 1905 — 1907 წლების რევოლუციას — ბურჟუაზიულ-დემოკრატიულს.

ვფიქრობთ, ეს მოსაზრება არ უნდა იყოს სწორი.

მივმართოთ ვ. ი. ლენინის შრომებს.

ვ. ი. ლენინი წერს: — „დასავლეთ, კონტინენტალურ (ე. ი. ინგლისის გარდა — ა. ე.) ევროპაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების ეპოქა მოიცავს საკმაოდ განსაზღვრულ ხანას, დაახლოებით 1789 წლიდან 1871 წლამდე. სწორედ ეს ეპოქა იყო ეროვნულ მოძრაობათა და ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნის ეპოქა... აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციათა ეპოქა მხოლოდ 1905 წელს დაიწყო. რევოლუციები რუსეთში, სპარსეთში, თურქეთსა და ჩინეთში, ომები ბალკანეთში —

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ჩვენი ეპოქის, ჩვენი „აღმოსავლეთის“ მსოფლიო ამბების ჯაჭვი“ (4, 495 — 496).

ე. ი. ვ. ი. ლენინი ევროპის კონტინენტზე მომხდარ რევოლუციებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებად თვლის. როგორც ჩანს, გამონაკლისს წარმოადგენს ინგლისის 1648 წლის რევოლუცია.

როცა ლენინი ლაპარაკობს 1905 წლის რევოლუციის მიზანზე და მიუთითებს მის წინაშე მდგომ ძირითად ამოცანებზე — დემოკრატიული რევოლუცია, რვასაათიანი სამუშაო დღე და მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია, — აღნიშნავს, რომ ეს იყო „ყველა ზომა, რომლებიც თითქმის მთელი მოცულობით განახორციელა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ საფრანგეთში 1789 — 1793 წლებში“ (5, 314).

ისიც ცნობილია, რომ ლენინი ბოლშევიკებს სოციალ-დემოკრატიის იაკობინელებს უწოდებს და მიუთითებს, რომ XX საუკუნის პროლეტარიატის წარმომადგენლები, ე. ი. სოციალ-დემოკრატები ისეთსავე ორ ფრთად იყოფიან (ოპორტუნისტულ და რევოლუციურ), როგორადაც იყოფოდნენ XVIII საუკუნის მოწინავე კლასის ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც, — ე. ი. ჟირონდისტები და იაკობინელებიც (3, 58).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია საერთო ჯამში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო.

მაინც რა ავიღოთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ცნების არსის საზომად, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს ბურჟუაზიული რევოლუციის საერთო ცნებიდან?

ამასთან დაკავშირებით, პირველ ყოვლისა, უნდა მოვიშველიოთ ვ. ი. ლენინის ცნობილი მითითება იმის შესახებ, რომ დემოკრატიული გადატრიალება თავისი შინაარსით ბურჟუაზიულია, ყოველი დემოკრატიული რევოლუცია ბურჟუაზიული ხასიათისაა (3, 248).

ამ დებულებიდან გამომდინარე, ბურჟუაზიული რევოლუციების შეფასებისას, საჭიროა გავაკეთოთ იმ კონკრეტულ-ისტორიული ვითარების ანალიზი, რომლის პირობებშიაც ეს რევოლუცია მიმდინარეობს, კერძოდ, რა ზომითა და მასშტაბით არის მასში ჩაბმული მშრომელთა და დემოკრატიული ფართო მასები და გამოდიან თუ არა ისინი თავიანთი დამოუკიდებელი პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნებით. ეს განსაზღვრავს ბურჟუაზიული რევოლუციის დემოკრატიული გაქანების სიღრმესა და სიფართოვეს.

თუ ჩვენს ამ მოსაზრებას სწორად მივიჩნევთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპის 1848 წლის რევოლუციებიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო.

1848 წლის რევოლუციებს, ადრეული პერიოდის რევოლუციებისაგან განსხვავებით, ის თავისებურება ჰქონდათ, რომ პოლიტიკურ არენაზე გამოდის მუშათა კლასი, რომელსაც გააჩნია თავისი მოთხოვნები და კლასობრივი ორგანიზაციის პირველი ჩანასახები. ამიტომ, ბურჟუაზია, რომელიც უკვე აღარ არის პროგრესული ძალა, ვერ ბედავს იარაღით ხელში გადამწყვეტი იერიში მიიტანოს ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ, ბოლო მოუღოს მას. ასე რომ, ძველის წინააღმდეგ ბრძოლაში, დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატი მარტოდმარტო აღმოჩნდა, კიდევ მეტი, იგი ბურჟუაზიას ეპირისპირდება.

1848 წლის ივნისში პარიზის მუშების აჯანყება პირველი სერიოზული

ბრძოლა იყო ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ამ აჯანყების შეფასებასთან დაკავშირებით კ. მარქსი წერდა: «Это была борьба за сохранение или уничтожение буржуазного строя» (6, 29).

ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინმა ეს აჯანყება დაახასიათა, როგორც პირველი დიდი სამოქალაქო ომი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის (7, 305).

მონაწილეობდა თუ არა ამ რევოლუციაში ხალხთა დემოკრატიული ფენები? რა თქმა უნდა, მონაწილეობდა.

კ. მარქსი 1848 წლის მარტში გერმანიაში დაწყებულ რევოლუციასთან დაკავშირებით წერდა: — „ხალხმა გაიმარჯვა, მან მოიპოვა აშკარა დემოკრატიული ხასიათის თავისუფლებანი, მაგრამ უშუალო ბატონობა გადავიდა არა მის ხელში, არამედ მსხვილი ბურჟუაზიის ხელში, რევოლუცია ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი“ (3, 153).

მართალია, როგორც ვ. ი. ლენინი შენიშნავს, — გერმანიის რევოლუციაში, მისი ჩამორჩენილობის გამო, მოძრაობის პროლეტარული ნიშნები, მისი პროლეტარული ნაკადი ნაკლებად აშკარავდებოდა, მაგრამ მასში მასების მონაწილეობით ეს რევოლუცია დემოკრატიული იყო (3, 159).

მუშათა კლასმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1848 წელს ავსტრიაში მიმდინარე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

ვ. ი. ლენინი პირდაპირ მიუთითებს ავსტრიის 1848 წლის რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხასიათზე და აღნიშნავს, რომ ეს რევოლუცია, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ავსტრიაში დაიწყო „...1848 წელს და 1867 წელს დასრულდა. ამის შემდეგ იქ, თითქმის ნახევარი საუკუნეა, ბატონობს ჩამოყალიბებული, საერთოდ და მთლიანად ბურჟუაზიული კონსტიტუცია“ (4, 496).

1848 წლის რევოლუციების დამარცხების მიზეზი ეს არის რევოლუციასადმი ბურჟუაზიის ღალატი, რომელიც მუშათა კლასის რევოლუციურობისადმი შიშის გამო ბურჟუაზიულ მონარქიასთან შეთანხმებაზე წავიდა.

1848 — 1849 წლების რევოლუციებმა, მიუხედავად დამარცხებისა, მაინც პროგრესული როლი შეასრულეს. მათ გაწმინდეს გზა კაპიტალიზმის განვითარებისაკენ.

ევროპაში დამთავრდა ბურჟუაზიული რევოლუციები და შემდგომში მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი რუსეთი გახდა.

რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია დაიწყო იმპერიალიზმის ეპოქაში, კლასობრივი ბრძოლის ახალ, უფრო განვითარებულ პირობებში.

ეს რევოლუცია როდი იყო ჩვეულებრივი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, იგი, როგორც ვ. ი. ლენინი შენიშნავს, — „ხალხური რევოლუცია“ იყო, რომელშიაც ჩაბმული ხალხის მასების დიდი უმრავლესობა აქტიურად გამოდის თავისი დამოუკიდებელი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებით.

რუსეთის რევოლუცია, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — „...ნამდვილი „ხალხური რევოლუცია“ იყო, ვინაიდან ხალხთა მასა, მისი უმრავლესობა, საზოგადოების უღრმესი „ქვედა ფენები“ ჩაგვრითა და ექსპლოატაციით გასრესილნი, დამოუკიდებლად დგებოდნენ ფეხზე, მათ რევოლუციის მთელ მსვლელობას დაასვეს ბეჭედი თავიანთი მოთხოვნებისა, თავიანთი ცდებისა —

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისებურად აეშენებინათ ახალი საზოგადოება ძველი საზოგადოების ნაცვლად, რომელსაც ისინი ანგრევდნენ“ (8, 512 — 513).

ვ. ი. ლენინის ამ სიტყვებიდან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა:

1. ვ. ი. ლენინი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საერთო ცნებიდან გამოჰყოფს „ხალხური რევოლუციის“ ცნებას.

2. რევოლუცია „ხალხური“ შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როცა იგი პროლეტარიატსა და გლეხობას მოიცავს, სწორედ ამ ორ კლასს უწოდებს ვ. ი. ლენინი „ხალხს“.

3. „ხალხური რევოლუცია“ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საერთო ცნებისაგან განსხვავდება არა თავისი სოციალ-ეკონომიური შინაარსით, არამედ რევოლუციაში მშრომელი მასების, ხალხის, ე. ი. პროლეტარიატისა და გლეხობის ჩაბმის მასშტაბით.

4. სწორედ რევოლუციის „ხალხურობაა“ რუსეთის დემოკრატიული რევოლუციის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არა მარტო ევროპის 1848 წლების რევოლუციებისაგან, არამედ XX საუკუნეში პორტუგალიისა და თურქეთში მიმდინარე ბურჟუაზიულ რევოლუციებისაგან (8, 512—513).

რუსეთის სინამდვილეში იმპერიალიზმის ეპოქის დემოკრატიულ რევოლუციაში ხელმძღვანელ ძალად გამოდის არა ბურჟუაზია, არამედ პროლეტარიატი, ხოლო გლეხობა ბურჟუაზიის რეზერვიდან პროლეტარიატის რეზერვი, მისი მოკავშირე ხდება.

მაშასადამე, რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას ახასიათებდა თავისებურება, რომელსაც არ მოეპოვებოდა პრეცედენტი დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციების ისტორიაში.

რატომ უნდა გამოსულიყო პროლეტარიატი რევოლუციის ხელმძღვანელად? რით იყო იგი დაინტერესებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში?

მიზანი, რომლისკენაც დემოკრატიული რევოლუცია მიისწრაფოდა და რომლის განხორციელება მას შეეძლო, იყო: დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღება, მსხვილმემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია, მიწების ძირეული გადანაწილება გლეხობის სასარგებლოდ. ამ ამოცანების გადაწყვეტით დაინტერესებული იყო არა ბურჟუაზია, არამედ პროლეტარიატი და გლეხობა, ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები მოითხოვდა, რომ რევოლუციას არ მოესპო ძველი დროის ყველა ნაშთი, რადგან იგი ამ ნაშთებს ეყრდნობოდა რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი იყო, რომ დემოკრატიული გარდაქმნები ჩატარებულიყო თანდათანობით, ფრთხილად, რეფორმების გზით, რათა ასეთ გარდაქმნებს ნაკლებად შეეწყო ხელი პროლეტარიატის რევოლუციური თვითმოქმედების, ინიციატივის, ენერგიის გაშლისა და განვითარებისათვის.

რევოლუციის სრული გამარჯვება ბურჟუაზიას საფრთხეს უქმნიდა. აქედან, ბურჟუაზიის მისწრაფება — ბოლომდე არ მიეყვანა რევოლუცია, დაემთავრებინა იგი შუა გზაზე, ნახევრად მოპოვებული თავისუფლებით, მეფესა და მემამულეებთან გარიგებით.

ამრიგად, რევოლუციის ბოლომდე მიყვანით მისი თანმიმდევარი განვითარებით — ე. ი. ცარიზმის დამხობითა და დემოკრატიული წყობილების დამ-

ბიბლიოთეკა

ყარებით, დაინტერესებული იყო პროლეტარიატი და გლეხობა, ეს ორი კლასი იყო რევოლუციის მამოძრავებელი ძალები. აქედან გამომდინარეობდა საკითხი: რომელი კლასების ხელისუფლება უნდა დამყარებულიყო რუსეთში, თუ დემოკრატიული რევოლუცია გაიმარჯვებდა? ეს საკითხი ბოლშევიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის ცენტრალური საკითხი იყო მენშევიკებთან ბრძოლის პროცესში. მენშევიკები აღნიშნავდნენ, რომ რუსეთში პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლა მიმდინარეობს ბურჟუაზიასა და მემამულეებს (ცარიზმს) შორის და რომ რუსეთის რევოლუცია დაგვიანებით იმეორებს იმას, რაც მოხდა დასავლეთ ევროპაში. ამიტომ ისინი ხელისუფლების პრობლემას წყვეტდნენ დასავლეთის სქემის მიხედვით.

მენშევიკებს რევოლუცია წარმოდგენილი ჰქონდათ უბრალო აღმავალი ხაზით: ჯერ ხელისუფლების სათავეში უნდა მივიდეს ლიბერალური მსხვილი ბურჟუაზია, შემდეგ — რევოლუციური წვრილი ბურჟუაზია, ხოლო ბოლოს შორეულ ისტორიულ პერსპექტივაში — პროლეტარიატი, ე. ი. მათი გეგმა იყო ცარიზმის შეცვლა ბურჟუაზიული მონარქიით, ე. ი. ცარიზმის შეზღუდვა, ხოლო შემდეგ — წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა. აქ მთლიანად უარყოფილია რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონია.

ამასთან დაკავშირებით მენშევიკები იმოწმებდნენ მარქსის აზრს გერმანიის 1848 წლის რევოლუციის შეფასების შესახებ და დოგმატურად განმარტავდნენ მას.

კ. მარქსი, ითვალისწინებდა რა იმდროინდელ გერმანიაში პოლიტიკურ ძალთა განლაგებას, იგი მართლაც ამბობდა, რომ თვითმპყრობელობა შეიცვლება ბურჟუაზიული მონარქიით[1], ხოლო შემდეგ წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკით, მაგრამ საერთოდ მარქსი არ ახდენდა ხელისუფლების ასეთი გადანაწილების აბსოლუტიზირებას, ხოლო, მეორეს მხრივ, ამის შესახებ მარქსმა მხოლოდ მაშინ თქვა, როცა გერმანიაში თვითმპყრობელობა უკვე შეცვალა ბურჟუაზიულმა მონარქიამ (5, 258).

რუსეთის რევოლუციაში, ევროპის რევოლუციებისაგან განსხვავებით, გამოდიოდა არა ორი, არამედ სამი პოლიტიკური ბანაკი, კერძოდ, ცარიზმის (ე. ი. მთავრობის), ლიბერალურ-ბურჟუაზიული და რევოლუციურ-დემოკრატიული ბანაკი. ცარიზმის პოლიტიკური არსი გასაგები იყო. რაც შეეხება ლიბერალურ ბურჟუაზიას, მისი კლასობრივი ფორმირება ხდება იმ პერიოდში, როცა ეპოქის განვითარების მთავარი ძალა იყო პროლეტარიატი, ამიტომ რაც უფრო მეტად ირაზმება რევოლუციური ხალხი პროლეტარიატის გარშემო, ბურჟუაზიის ეს ნაწილი მით უფრო სწრაფად მიიწევს კონტრრევოლუციის ბანაკისაკენ. აქედან, ცხადია, რომ რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში ხელისუფლების სათავეში უნდა მისულიყო არა ლიბერალური ბურჟუაზია, არამედ რევოლუციური ხალხი — პროლეტარიატი და გლეხობა.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა კიდეც, რომ რუსეთის პირობებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება ნიშნავს არა მსხვილი ბურჟუაზიის ხელისუფლებას, არამედ რევოლუციურ მთავრობას, რომელიც იქნებოდა მუშათა კლასის და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა.

---

[1] ცნობილია, რომ 1848 წლის მარტში აჯანყებულ მუშათა გავლენით ფრიდრიხ ვილჰელმ IV დანიშნა მთავრობა მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა მეთაურობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი დიქტატურა საჭირო იყო რევოლუციური გარდაქმნების პროცესში კონტრრევოლუციური ძალების შემოსევის დასათრგუნავად, როგორც მარქსი მიუთითებდა გერმანიის რევოლუციის მაგალითზე, „ხალხის თვითმპყრობელობის განსამტკიცებლად“[1].

პროლეტარიატის დიქტატურა ორი კლასის — მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს გულისხმობს პროლეტარიატის ხელმძღვანელობის პირობებში, ხოლო მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის შიგნით კავშირი მყარდება პროლეტარიატსა და დემოკრატიულ ბურჟუაზიას შორის, რომლის ძირითადი მასა გლეხობაა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გაირკვეს „ბურჟუაზიული დემოკრატიის“ ნამდვილი შინაარსი, ვის ვგულისხმობთ ბურჟუაზიულ დემოკრატიაში?

თანამედროვე ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები (ამერიკელი ისტორიკოსი ბ. ვოლფი) დღესაც იმეორებენ მენშევიკთა აზრს იმის შესახებ, რომ თითქოს ბოლშევიკები დემოკრატიული რევოლუციის პროცესში ანგარიშს არ უწევდნენ ბურჟუაზიულ დემოკრატიას, რომ ისინი რევოლუციის მოხდენას ვარაუდობდნენ ასეთი დემოკრატიის გარეშე. რა თქმა უნდა, ასეთი აზრი ყალბია.

იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიულ რევოლუციაში იზრდება პროლეტარიატის მოკავშირეთა რიგები. მას შეუძლია იმედი ჰქონდეს მრავალრიცხოვანი არაპროლეტარული დემოკრატიული მასების მხარდაჭერისა, მაგრამ, მენშევიკებისაგან განსხვავებით, ბოლშევიკები ბურჟუაზიული დემოკრატიის საკითხს განიხილავდნენ არა აბსტრაქტულად, არამედ ეპოქის, კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესაბამისად.

მენშევიკები, რომლებიც უარყოფდნენ რუსეთის რევოლუციის გლეხურ ხასიათს, ბურჟუაზიულ დემოკრატიას აიგივებდნენ კონტრრევოლუციურ ლიბერალიზმთან და არ ესმოდათ რომელ დემოკრატიულ ფენებს უნდა ებრძოლათ პროლეტარიატთან ერთად.

როცა ვლაპარაკობთ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ დემოკრატიის სხვადასხვა სახე.

„ერობის მოღვაწე მონარქისტიც, — შენიშნავს ვ. ი. ლენინი, — ...რომელიც საყოველთაო საარჩევნო უფლებას მოითხოვს, ხოლო ფარულად ურიგდება ცარიზმს შეკვეცილი კონსტიტუციის შესახებ — ბურჟუაზიული დემოკრატი გახლავთ და ბურჟუაზიული დემოკრატი ის გლეხია, რომელიც იარაღით ხელში ილაშქრებს მემამულეთა და მოხელეთა წინააღმდეგ“ (3, 48).

მაშასადამე, მიუთითებს ვ. ი. ლენინი, — ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ რესპუბლიკურ-რევოლუციური და მონარქისტულ-ლიბერალური ბურჟუაზიული დემოკრატია, ხოლო ასეთი გარჩევა საჭიროა იმისათვის, რომ ვიცოდეთ მათი სხვადასხვა მიზნის შესახებ რევოლუციაში. კერძოდ, ლიბერალური ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია დემოკრატიული გარდაქმნები მოხდეს უფრო ნელა, თანდათანობით, ფრთხილად, გაუბედავად, რეფორმების გზით. იგი, საერთოდ, მომხრეა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წესებისა, მა-

---

[1] ვ. ი. ლენინმა ცნება „ხალხის თვითმპყრობელობა“, რომელშიაც იგულისხმებოდა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, არაერთხელ გამოიყენა თავის შრომებში. მაგ.: პარტიის პროგრამის პროექტში (1902 წ.), მასზე მითითებულია აგრეთვე II ყრილობაზე მიღებულ პარტიის პროგრამაში.

გრამ, — შენიშნავს ვ. ი. ლენინი — „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წესები შეიძლება იყოს ისეთი როგორიცაა ინგლისში, ისეთიც როგორიცაა [illegible]ში და ისეთიც, როგორიცაა ამერიკაში ან შვეიცარიაში“ (3, 48—49).

აქედან გამომდინარე, რევოლუცია წმინდა დემოკრატიულ ხასიათს ღებულობს მაშინ, როცა მასში ებმება რევოლუციურ-ბურჟუაზიული დემოკრატიის ფართო ფენები, უწინარეს ყოვლისა, გლეხობა.

ასეთ დემოკრატიასთან კავშირში, რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში, პროლეტარიატის ხელმძღვანელობის პირობებში უნდა შექმნილიყო დროებითი რევოლუციური მთავრობა, რომელიც გამოხატავდა ორი კლასის ნებას, ამ კლასების დიქტატურას.

როგორი იყო ასეთი დიქტატურის პირველი რიგის ამოცანა? ასეთ ამოცანად ვ. ი. ლენინი თვლიდა: ახალი ტიპის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებას, რომელიც განსხვავებული იქნებოდა ბურჟუაზიულ-პარლამენტარულ სახელმწიფოსაგან.

ასეთი დიქტატურის დამყარება ნიშნავდა ძველი ბიუროკრატიული აპარატის მსხვრევას, რევოლუციური სახალხო თვითმმართველობის შექმნას, რომელიც იქნებოდა ხალხის ნების გამომხატველი, ძველი არმიის დაშლას და მის შეცვლას შეიარაღებული ხალხით — რევოლუციური არმიითა და სახალხო მილიციით.

ეს დიქტატურა ვერ შეეხებოდა კაპიტალიზმის საფუძვლებს.

„საუკეთესო შემთხვევაში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — იგი შეძლებს მოახდინოს მიწის საკუთრების ძირეული განაწილება გლეხობის სასარგებლოდ, გაატაროს თანმიმდევარი და სრული დემოკრატიზმი თვით რესპუბლიკის შექმნით, ძირფესვიანად აღმოფხვრას არა მარტო სოფლის, არამედ ფაბრიკის ყოფაცხოვრებიდანაც ყველა აზიური, კაბალური ნიშანი, საფუძველი ჩაუყაროს მუშათა მდგომარეობის სერიოზულ გაუმჯობესებას და მათი საცხოვრებელი დონის ამაღლებას“ (3, 54).

დემოკრატიული დიქტატურის ლოზუნგი უშუალოდ დაკავშირებული იყო რუსეთის რევოლუციის ეკონომიურ შინაარსთან.

რუსეთის ეკონომიური განვითარება ბურჟუაზიულ საფუძველზე შესაძლებელი იყო ორი გზით:

1. პრუსიული — ე. ი. მონარქიისა და მემამულური მიწათმფლობელობის შენარჩუნება და ამ უკანასკნელის თანდათანობით გარდაქმნა კაპიტალისტურ მეურნეობად.

2. ამერიკული — ე. ი. მემამულური საკუთრების მოსპობა, ფერმერული მეურნეობის განვითარება, მეურნეობისა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა შუასაუკუნეობრივი ნაშთებისაგან.

პროლეტარიატი და გლეხობა დაინტერესებული იყო განვითარების ამერიკული გზით, რომელსაც უზრუნველყოფდა დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება, დემოკრატიული დიქტატურის დამყარება.

დემოკრატიული დიქტატურის ლოზუნგი განსაზღვრავდა ძველი სახელმწიფო აპარატის ბედსაც.

რევოლუცია მარქსისტული გაგებით, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — არის ძალით დამსხვრევა მოძველებული პოლიტიკური ზედნაშენისა, რომელიც წინააღმდეგობაშია ახალ წარმოებით ურთიერთობასთან (3, 146).

მენშევიკები უარყოფდნენ რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას,

რადგან ასეთი დიქტატურის სისტემაში არ შეიძლება რევოლუციურ პროლეტარიატს ნების ერთობა ჰქონდეს გლეხობასთანო.

აქედან გამომდინარე — მიუთითებდნენ ისინი, — დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შექმნილი მთავრობა არ შეიძლება იყოს არა მარტო სოციალისტური, არამედ — არც მუშათა და გლეხთა მთავრობა.

ცნობილი მარტინოვი თავის „ორ დიქტატურაში" წერდა, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება თავის ისტორიაში ჩაწერს ორ რევოლუციურ დიქტატურას: ა) ბურჟუაზიის რადიკალური ელემენტების რევოლუციური დიქტატურა რევოლუციის დასაწყისში, ხოლო ბ) პროლეტარიატის დიქტატურა — რევოლუციის დასასრულში.

ეს იყო მცდარი გაგება ე. წ. „ერთიანი ნების" ცნების არსისა, ეს იყო ამ ცნების განყენებული მეტაფიზიკური გაგება.

ვ. ი. ლენინი, აკრიტიკებს რა „ერთიანი ნების" საკითხში მენშევიკ-ლიდერთა მცდარ შეხედულებას, აღნიშნავს: „ნება შეიძლება ერთიანი იყოს ერთ შემთხვევაში და არაერთიანი მეორე შემთხვევაში. სოციალიზმის საკითხებში და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ერთიანობის უქონლობა არ გამორიცხავს ნების ერთიანობას დემოკრატიის საკითხებში და რესპუბლიკისათვის ბრძოლაში" (3, 90).

„პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას... აქვს წარსული და მომავალი. მისი წარსულია — თვითმპყრობელობა, ბატონყმობა, მონარქია, პრივილეგიები. ამ წარსულთან ბრძოლაში, კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში შესაძლებელია პროლეტარიატისა და გლეხობის „ნების ერთიანობა", რადგან არსებობს ინტერესთა ერთიანობა. მისი მომავალია — ბრძოლა კერძო საკუთრების წინააღმდეგ, დაქირავებული მუშის ბრძოლა მეპატრონეებთან, ბრძოლა სოციალიზმისათვის, აქ ნების ერთიანობა შეუძლებელია. აქ ჩვენს წინაშეა არა გზა თვითმპყრობელობიდან რესპუბლიკისაკენ, არამედ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული რესპუბლიკიდან სოციალიზმისაკენ" (3, 90—91).

ვ. ი. ლენინის ამ სიტყვებში ასახულია ქვეყნად მიმდინარე ორი სოციალური ომი და ამ ომში კლასთა ურთიერთობის საკითხი — მთელი ხალხის ბრძოლა ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ და მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ამასთან ერთად, მითითებულია იმის შესახებ, რომ დროებითი რევოლუციური მთავრობა წარმოადგენდა წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ამრიგად, ვ. ი. ლენინი, შესაძლებლად თვლიდა რა რევოლუციის დემოკრატიულ ეტაპზე ორი კლასის „ნების ერთიანობას", მიუთითებდა, რომ „ახლანდელი რევოლუციის სრული გამარჯვება იქნება დემოკრატიული გადატრიალების დასასრული და სოციალისტური გადატრიალებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყისი" (3, 149).

მაშასადამე, რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა რევოლუციის დამთავრების საშუალება კი არ იყო, არამედ პირიქით — იგი იყო რევოლუციური მდგომარეობის გახანგრძლივებისა და პროლეტარიატის პოლიტიკური განათლებისა და დარაზმვის საშუალება, რის შედეგად რევოლუციურ პროლეტარიატს მოსახლეობის ნახევრადპროლეტარულ, ექსპლოატატორულ მასებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად, პარტიის ხელმძღვანელობით უნდა დაეწყო ბრძოლა სოციალისტური გადატრიალებისათვის.

„როცა ფაქტი იქნება რევოლუციის სრული გამარჯვება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მაშინ ჩვენ „შევცვლით" დემოკრატიული დიქტატურის ლოზუნგს პროლეტარიატის სოციალისტური დიქტატურის, ე. ი. სრული სოციალისტური გადატრიალების ლოზუნგით" (3, 249), ხოლო „...ამჟამად, — მიუთითებს ვ. ი. ლენინი, — არ არის და არც შეიძლება იყოს სოციალიზმის მოახლოების სხვა საშუალება გარდა სრული პოლიტიკური თავისუფლებისა, გარდა დემოკრატიული რესპუბლიკისა, გარდა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურისა" (3, 126).

ბოლშევიკები, რომლებიც აყენებდნენ დემოკრატიული დიქტატურის ლოზუნგს, ჯერჯერობით ღია ტოვებდნენ ხელისუფლების ფორმის საკითხს, რადგან, — როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, — ეს საკითხი უნდა გარკვეულიყო კლასთა ურთიერთობის, მასების რევოლუციური შემოქმედებითი გამოცდილების განზოგადების საფუძველზე.

ვ. ი. ლენინი, 1917 წლის მარტში წერდა: „ჩვენ გვესაჭიროება არა მზამზარეული" სახელმწიფო მანქანა, როგორც ის არსებობს ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, არამედ შეიარაღებული და ორგანიზებული მუშათა უშუალო ძალაუფლება... თავისი არსებით ასეთი სახელმწიფო იყო 1871 წლის კომუნა და მუშათა დეპუტატების საბჭოები 1905 და 1907 წლებში" (9, 474).

საბჭოები, რომლებშიაც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების — ბოლშევიკების, მენშევიკების და ესერების — წარმომადგენლები შედიოდნენ, დაკავშირებულნი იყვნენ ქალაქის ღარიბ ფენებთან, ჯარისკაცთა მასებთან და რევოლუციურ გლეხობასთან. ასე რომ, საბჭოები რაღაც სახესხვაობა იყო რევოლუციური სახალხო ფრონტისა, რომლის შიგნით მიმდინარეობდა მწვავე იდეური ბრძოლა საბჭოების როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

მენშევიკები და ესერები, რომლებიც ბურჟუაზიულ პარლამენტარული რესპუბლიკის დამყარებაზე ოცნებობდნენ, საბჭოებს თვლიდნენ წმინდა პროფესიულ ორგანიზაციებად. საბჭოებს, მათი აზრით, უნდა დაეცვათ მუშათა ეკონომიური ინტერესები და ამიტომ მათ პრეტენზია არ უნდა ჰქონოდათ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობაზე.

რუსეთის პირველი რევოლუციის გამოცდილებამ კი დაადასტურა, რომ საბჭოები იყო სახალხო ხელისუფლების ორგანოს ჩანასახი.

ვ. ი. ლენინი წერდა,რომ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში წარმოშობილი საბჭოები „...პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის დასაწყისი იყო. პროლეტარიატისა, რომელიც რევოლუციურ წვრილბურჟუაზიას, განსაკუთრებით გლეხობას ეყრდნობოდა" (10, 204) და რომ რუსეთის საბჭოების ისტორიული განვითარება, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — უნდა წარმოადგენდეს „...მუშათა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არა სქემატურ გაგრძელებას სრულიად რუსეთის მუშათა ყრილობაზე, არამედ რევოლუციური ძალაუფლების ჩანასახი ორგანოების (სწორედ ასეთი ორგანოები იყვნენ მუშათა დეპუტატების საბჭოები) გადაქცევას გამარჯვებული რევოლუციური ძალაუფლების ცენტრალურ ორგანოებად, რევოლუციურ დროებით მთავრობად" (II, 402).

რა თქმა უნდა, ლენინი არ ახდენს საბჭოების აბსოლუტიზირებას და მიუთითებს, რომ გარდამავალ პერიოდში პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა შეიძლება იყოს სხვადასხვა. ისტორიამ ლენინის მოსაზრება დაადასტურა. კერძოდ — პარიზის კომუნა საფრანგეთში, საბჭოები — რუსეთში, სახალხო დემოკრატია — ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა ორიგინალურად, თავისებური სახეცვლილებით განხორციელდა, რამდენადაც საბჭოები მარჯვნივ, ლიბერალური ბურჟუაზიისაკენ შემობრუნდნენ. ამიტომ დემოკრატიული დიქტატურის იდეა სრულად არ ყოფილა რეალიზებული, მაგრამ საერთო ჯამში მან მაინც ხელი შეუწყო პროლეტარიატის დიქტატურის მიმართულებით მის განვითარებას, რამდენადაც, ამ პერიოდშიაც დემოკრატიული დიქტატურის სოციალური ბაზა პროლეტარიატი და გლეხობა, ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზია იყო.

ამიტომ, თუ დამყარდებოდა, როგორც ლენინი აღნიშნავდა, — დემოკრატიის რევოლუციური დიქტატურა პროლეტარიატის მეთაურობით და თუ განხორციელდებოდა ლენინის აპრილის თეზისებში წამოყენებული მოთხოვნები, მაშინ „...ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალიზმი, მაგრამ ეს უკვე აღარც კაპიტალიზმია. ეს არის უზარმაზარი ნაბიჯი სოციალიზმისაკენ, ისეთი ნაბიჯები, რომ თუ სრული დემოკრატია იქნება შენარჩუნებული, ასეთი ნაბიჯიდან უკვე შეუძლებელი იქნებოდა მასების მიმართ გაუგონარი ძალადობის გარეშე, უკან, კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება" (12, 556).

ამრიგად, ვ. ი. ლენინი რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის პრობლემას უკავშირებს დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის პრობლემას, სწორედ ამასთან დაკავშირებით წერდა იგი, რომ დემოკრატიულ დიქტატურას აქვს თავისი წარსული და მომავალი. ამრიგად, მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა არის გარდამავალი ხელისუფლება. მისი ამოცანაა განამტკიცოს რევოლუციურ-დემოკრატიული გარდაქმნები, წინ წასწიოს რევოლუცია, გადოს ხიდი დემოკრატიული დიქტატურის სახელმწიფოდან პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოსაკენ. ამდენად, ეს დიქტატურა პროლეტარიატის დიქტატურის ჩანასახია.

ცნობილია, რომ სახალხო-დემოკრატიულ რევოლუციებს, რომლებმაც გაიმარჯვეს ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ანტიიმპერიალისტური, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა. ამ ქვეყნებშიაც კაპიტალისტური, ნახევრადფეოდალური, ეროვნული და იმპერიალისტური ჩაგვრა კლასობრივ ბრძოლას განსაკუთრებულად ამწვავებდა. ყოველივე ამას ემატებოდა ბრძოლა ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. შექმნილმა ვითარებამ მეორე მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე განაპირობა რევოლუციური სიტუაცია, რაც გადაიზარდა სახალხო-დემოკრატიულ რევოლუციაში. ამ რევოლუციებში მამოძრავებელი ძალა მუშათა კლასი და გლეხობა იყო, რომლის საფუძველზე იქმნება ერთიანი სახალხო ფრონტი, რომელშიაც ამ ორ კლასთან ერთად ერთიანდებოდა პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენცია, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია და საშუალო ბურჟუაზიის ნაწილი.

ახალი სახალხო ხელისუფლება თავისი კლასობრივი შინაარსით წარმოადგენდა მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში დემოკრატიული დიქტატურა არ დამყარებულა რევოლუციის დამარცხების გამო, ამიტომ [illegible] იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდებოდა დიქტატურის დემოკრატიული ფორმა სოციალისტური დიქტატურისაკენ, რა თქმა უნდა, ძნელია. მაგრამ, როცა პარალელს ვავლებთ ორი ეპოქის დემოკრატიულ რევოლუციებს შორის, ერთი რამ ფაქტია:

1. დემოკრატიული რევოლუციების გამარჯვების პირობები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გაცილებით უკეთესი იყო, ვინემ 1905 — 1907 წლების პერიოდში.

2. ორი კლასის დიქტატურის სოციალური ბაზა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში უფრო ფართოა, რამდენადაც იგი ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული, ამიტომ დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდა, დემოკრატიული დიქტატურის პროლეტარიატის დიქტატურად გარდაქმნა შედარებით უმტკივნეულოდ მოხდა.

რუსეთის 1905 — 1907 წლების სახალხო რევოლუციამ პოლიტიკური ცხოვრებისათვის გამოაღვიძა მშრომელთა ფართო მასები, ხოლო მუშათა კლასმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, მაღლა ასწია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, შექმნა ყველა ეროვნების მშრომელთა ბრძოლის ერთიანი ფრონტი, მიმართული სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

რევოლუციამ ევროპის, ამერიკისა და აზიის ჩაგრული მასების მხურვალე თანაგრძნობა და მხარდაჭერა ჰპოვა. განმტკიცდა მუშათა კლასის ინტერნაციონალური სოლიდარობა, ბევრ ქვეყანაში აზვირთდა რევოლუციური და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა.

„რუსეთის პირველი რევოლუციის დროს თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლებში შეძენილმა გამოცდილებამ გაამდიდრა კლასობრივი ბრძოლის თეორია და ტაქტიკა, დაეხმარა ხალხს 1917 წლის თებერვალში დაემხო ცარიზმი, ხოლო ოქტომბერში — ბურჟუაზიის ბატონობა. ეს გამოცდილება ახლაც ინარჩუნებს წარუვალ მნიშვნელობას სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობისათვის მებრძოლი ხალხებისათვის“ (13).

## ლიტერატურა


1. სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბილისი, 1986.
2. კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები, ტ. I.
3. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9.
4. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20.
5. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23.
6. К. М а р к с, Ф. Э н г е л ь с, соч., т. 7.
7. В. И. Л е н и н. Полн. собр. соч., т. 38.
8. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25.
9. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 27.
10. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 16.
11. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 12.
12. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29.
13. რუსეთის 1905 — 1907 წლების რევოლუციის 80 წლისთავის შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. — გაზ. „კომუნისტი“, 1984, I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

А. Е. ЭБРАЛИДЗЕ

## В. И. ЛЕНИН О РЕВОЛЮЦИОННО-ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ ДИКТАТУРЕ РАБОЧЕГО КЛАССА И КРЕСТЬЯНСТВА В РОССИЙСКОЙ БУРЖУАЗНО-ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦИИ 1905 — 1907 гг.

### Резюме

В труде рассматривается проблема революционно-демократической диктатуры рабочего класса и крестьянства, непосредственно связанная с решением задач демократической революции. Установление такой диктатуры является результатом победы буржуазно-демократической революции. В российской действительности этот вопрос конкретно был поставлен в период революции 1905 — 1907 годов, тогда как перед буржуазными революциями в странах Западной Европы подобная проблема не возникала. В связи с этим, в работе показана та разница, которая существует между буржуазными революциями раннего и позднего периода.

Проблему революционно-демократической диктатуры В. И. Ленин связывает с проблемой перерастания демократической революции в социалистическую, оба эти типа революции он рассматривает в диалектическом единстве и указывает на Советы, как на государственную форму диктатуры пролетариата.

A. EBRALIDZE

## LENIN ON THE REVOLUTIONARY — DEMOCRATIC DICTATORSHIP OF THE WORKING CLASS AND PEASANTS IN THE RUSSIAN BOURGEOIS — DEMOCRATIC REVOLUTION OF 1905 to 1907

### Summary

The article considers the question of the revolutionary-democratic dictatorship of the working class and peasants, which is directly connected with the solution to the tasks of democratic revolution. Its establishment is a result of the victory of the bourgeios-democratic revolution. In Russian reality, this question was conccetely formulated in the period of the revolution of 1905 — 1907, but such a question did not arise during the bourgeois revolutions of Western Europe. The article shows the difference which exists between the bourgeois revolutions of the early and late periods.

Lenin connects the problem of the revolutionary-democratic dictatorship with the problem of the development of democratic revolution into the socialist one. He considers both these types of revolution in dialectical unity and points to the Soviets as the state form of the proletarian dictatorship.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета
280, 1988

ბიბლიოთეკა

# ვ. ი. ლენინი პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და ამოცანების შესახებ

რ. ჯამრიშვილი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის ისტორიას იწყებს XIX საუკუნის დამლევს, პირველი არალეგალური მარქსისტული წრეებით. მისი ისტორია განუყოფლადაა დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელთან. მან შეიმუშავა საზოგადოების ძირეული გარდაქმნებისათვის ბრძოლის პოლიტიკური ამოცანები და მეთოდები, პარტიის იდეოლოგიური და ორგანიზაციული პრინციპები. ვ. ი. ლენინის მოღვაწეობაში პარტია წარმოდგენილია, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, როგორც პარტიულ ორგანიზაციათა სისტემა.

პარტიის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა სკკპ XXVII ყრილობამ, რომელიც შეიკრიბა ჩვენი ქვეყნის, მთელი თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრების გარდატეხის მომენტში. ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება და ყრილობის მიერ მიღებული დოკუმენტები მთელი სიცხადით ასაბუთებენ პარტიის თეორიულ სიბრძნეს, მისი პოლიტიკის რეალიზმსა და მომავლისაკენ მისწრაფებას.

სკკპ XXVII ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ მან ყოველმხრივ გააანალიზა და განავითარა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1985 წ.) პლენუმის მიერ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიული კურსი, რომლის საფუძველზედაც უნდა მოხდეს საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალ მდგომარეობაში გადასვლა.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანები მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, მისი ორგანიზაციული და წარმმართველი როლის ამაღლებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1986 წ.) პლენუმზე აღნიშნა, რომ „მხოლოდ ყოველმხრივი პოლიტიკური, ორგანიზატორული, იდეოლოგიური საქმიანობა პარტიული ხელმძღვანელობის ყველა დონეზე უზრუნველყოფს ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებას“. (1, 49). ყრილობის გადაწყვეტილებანი ხაზს უსვამენ, რომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა აამაღლონ მასების, შრომითი კოლექტივების წევრთა აქტივობა, უნდა უზრუნველყონ მატერიალური და შრომითი რესურსების სრულად გამოყენება, აქტიური ბრძოლა გამოუცხადონ თაღლითებს, გამცდენებსა და ზარმაცებს.

თანამედროვე პირობებში, პარტიის ღირსების, მისი რიგების სიწმინდისა და სიმტკიცის დაცვასა და პარტიის მუშაობის გარდაქმნა-გაუმჯობესებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ლენინის მეთოდოლოგიური კონცეფცია პარტიის მოღვაწეობაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და ადგილის შესახებ.

ვ. ი. ლენინის მოძღვრებას პარტიის პირველადი ორგანიზაციების როლი-

სა და ამოცანების შესახებ საფუძვლად უდევს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ფუძემდებლური დებულებები. მათ პირველებმა წამოაყენეს იდეა ორგანულად ურთიერთდაკავშირებული პარტიის წევრისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მათ მიერვე შექმნილ „კომუნისტთა კავშირის“ წესდებაში მოგვცეს პარტიის პირველადი ორგანიზაციის აგების სტრუქტურა, განსაზღვრეს მისი უფლება-მოვალეობა. წესდების მეხუთე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ კავშირი შედგება თემების, ოკრუგების, ცენტრალური კომიტეტისა და კონგრესისაგან.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაასაბუთეს, რომ პროლეტარიატს უნდა შეექმნა განსაკუთრებული, წვრილბურჟუაზიული პარტიისაგან განსხვავებული, ორგანიზაცია, რომელიც მუშათა კლასის ბირთვი და ცენტრი იქნებოდა (2, 104).

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის იდეებმა პარტიის ძირეული ორგანიზაციის შესახებ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მძიმე პერიოდის გამოცდას გაუძლო.

ვ. ი. ლენინი მთელი გულისყურით სწავლობდა საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას, — არალეგალური ორგანიზაციების, რევოლუციური ნაროდნიკობის, რუსეთის პირველი მუშათა ორგანიზაციების საქმიანობას, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის დებულებებს პარტიისა და მისი პირველადი ორგანიზაციების შესახებ.

ვ. ი. ლენინმა ახალ ისტორიულ ეპოქაში რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოცდილებაზე დაყრდნობით შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმის ყველა შემადგენელი ნაწილი. მან ჩამოაყალიბა II ინტერნაციონალის რეფორმისტული პარტიებისაგან განსხვავებული, ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური, პოლიტიკური და ორგანიზაციული საფუძვლები, პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა, პარტიული ცხოვრების ნორმები და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპები. ლენინური პარტია წარმოიშვა მსოფლიო ისტორიის გარდატეხის მიჯნაზე, როდესაც ერთი ეპოქის შესაცვლელად ყალიბდებოდა მეორე — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქა.

როგორც ცნობილია, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა დასავლეთიდან რუსეთში გადმოინაცვლა, რომელიც იმ დროს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ყველა წინააღმდეგობის კვანძად იქცა. რუსეთში დამოუკიდებელ კლასად ჩამოყალიბდა პროლეტარიატი — საზოგადოების ერთადერთი კლასი, რომელსაც შესწევს უნარი — თავის გარშემო შემოიკრიბოს ყველა მშრომელი, მოსპოს კაპიტალისტური წყობილება და ააშენოს ახალი, სოციალისტური საზოგადოება. გამართლდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ 1882 წელს გამოთქმული მოსაზრება: „რუსეთი წარმოადგენს ევროპის რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმსო“ — მუშათა კლასისა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლები, საერთო დემოკრატიული ბრძოლები, იმის მაუწყებელი იყო, რომ რუსეთში მომწიფდა იმპერიალიზმის ეპოქის პირველი რევოლუცია.

რუსეთში და მთელ მსოფლიოშიც რევოლუციის ბედი ახლა იმაზე იყო დამოკიდებული — აღმოჩნდებოდა თუ არა რუსეთის პროლეტარიატი მოწოდების სიმაღლეზე, ეყოფოდა თუ არა მას ორგანიზებულობა და შეგნებულო-

ბა იმისათვის, რომ სათავეში ჩასდგომოდა ყველა მშრომელის თავისუფლები-სათვის ბრძოლას. ერთადერთი საშუალება, რომლითაც პროლეტარიატი ამ მისიას შეასრულებდა, ეს იყო ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნა და რევოლუციური მოძრაობისადმი მისი ხელმძღვანელობა. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის და პრაქტიკა ადასტურებს, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა ხდება არა სტიქიურად, არამედ მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი მასების შეგნებული რევოლუციური ბრძოლის შედეგად. ეს შეგნებულობა კი მასების ძალად მხოლოდ მუშათა კლასის რევოლუციურ პარტიას, მის მოწინავე, ორგანიზებულ რაზმს შეუძლია გადააქციოს.

შეცვლილი ისტორიული პირობები მუშათა კლასისა და მისი პარტიისაგან მოითხოვდა სწორ პოლიტიკურ ორიენტაციას, ცხოვრებისაგან წამოწეულ მრავალ საკითხზე პასუხის გაცემას და მუშათა რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკულ ხელმძღვანელობას. ამ ამოცანების განხორციელება არ შეეძლოთ II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს, რადგანაც მათ უღალატეს მარქსიზმს და უარყვეს მისი ძირითადი დებულებები.

ვ. ი. ლენინმა, მეცნიერულად შეისწავლა რა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ახალი II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიული პარტიებისაგან განსხვავებული, პარტიის შექმნა. „ჩვენ, წერდა ვ. ი. ლენინი, — გვესაჭიროება ისეთი პარტიები, რომელნიც მუდამ ნამდვილად დაკავშირებული იქნებიან მასებთან და შესძლებენ ამ მასებს ხელმძღვანელობა გაუწიონ“ (3, 281). ახალი ტიპის პარტია უნდა შეიარაღებულიყო მოწინავე, მარქსისტული თეორიით, რადგან მოწინავე რევოლუციური თეორიის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს რევოლუციური მოძრაობა.

პროლეტარული პარტიის ყველა წევრის იდეური გაერთიანება უნდა მოხდეს მარქსიზმის საფუძველზე, მაგრამ პარტიამ რომ ხელმძღვანელის როლი შეასრულოს, ამისათვის მას მარტო იდეური ერთობა არ ეყოფა, საჭიროა იდეური ერთობა განმტკიცდეს ორგანიზაციულად. პარტია, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, მხოლოდ მაშინ გახდება უძლეველ ძალად თუ მარქსიზმის პრინციპებით მის იდეურ გაერთიანებას განამტკიცებს მატერიალური ერთიანობა ორგანიზაციისა, რომელიც მშრომელთა მილიონებს რაზმავს მუშათა კლასის არმიად.

ვ. ი. ლენინმა მთელი თავისი ტიტანური ენერგიით დაიწყო ბრძოლა რუსეთში ახალი ტიპის პარტიის შესაქმნელად და სულ მოკლე ხანში გადაიდგა უდიდესი ნაბიჯი მთელ რუსეთში გაფანტული მუშათა წრეების და სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების ერთიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიად გაერთიანებისათვის. ვ. ი. ლენინმა უკვე პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ შექმნის დროს მიუთითა კლასობრივ ბრძოლაში პარტიის ძირეული რგოლის ადგილზე.

1895 წლის შემოდგომაზე დაარსებული „პეტერბურგის მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ წარმოადგენდა ახალი ტიპის პარტიის პირველ ჩანასახს. ამ ორგანიზაციამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით პირველად გამოიყვანა რუსეთის პროლეტარიატი კლასობრივი, პოლიტიკური ბრძოლის გზაზე და მოუწოდა მას იერიშისაკენ ცარიზმის ციხე-სიმაგრის დასანგრევად. უკვე მაშინ ვ. ი. ლენინი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ რუს სოციალ-დემოკრატების მთავარ ამოცანად გაეხადათ ახალი ტიპის პარტიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნა და რუსეთის პროლეტარიატის ორგანიზება და დარაზმვა. ნაშრომში „რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები“ 1897 წელს იგი წერდა: „მაშ ხელი მივყოთ მუშაობას, ამხანაგებო! ნუ დავკარგავთ ძვირფას დროს! რუს სოციალ-დემოკრატებს ბევრი საქმე აქვთ შესასრულებელი ახლად გამოღვიძებული პროლეტარიატის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მუშათა მოძრაობის მოსაწყობად, რევოლუციური ჯგუფებისა და მათი ურთიერთკავშირის განსამტკიცებლად, პროპაგანდისტული და სააგიტაციო ლიტერატურის მუშების მოსამარაგებლად, მთელ რუსეთში გაფანტული მუშათა წრეებისა და სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების გასაერთიანებლად ერთიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად“ (4, 427).

ვ. ი. ლენინმა ხაზი გაუსვა მუშათა წრეების ორგანიზაციის აუცილებლობას. მან მიუთითა, რომ აბსოლუტიზმის პირობებში ყოველი რგოლი უნდა მუშაობდეს არალეგალურად, ცენტრის ხელმძღვანელობით.

ვ. ი. ლენინის მიერ პარტიის შესახებ წამოყენებულმა დებულებებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა მის კლასიკურ ნაშრომებში: „რით დავიწყოთ?“, „რა ვაკეთოთ?“, „ნაბიჯი წინ და ორი ნაბიჯი უკან“, „წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ“ და სხვა. ვ. ი. ლენინმა შრომაში „რა ვაკეთოთ“? შეიმუშავა ახალი ტიპის პარტიის აგების ორგანიზაციული გეგმა, რომლის მიხედვითაც პარტია უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან: ხელმძღვანელი მუშაკების ვიწრო წრისაგან, უმთავრესად პროფესიონალი რევოლუციონერებისაგან და მშრომელთა თანაგრძნობითა და მხარდაჭერით გარემოსილი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ფართო ქსელისაგან.

სტატიაში „წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ“ (1902) ვ. ი. ლენინმა თანმიმდევრულად დაამუშავა პირველადი პარტიული ორგანიზაციის აგების გეგმა. დაასაბუთა საფაბრიკო-საქარხნო წრეების, როგორც პარტიის პირველადი უჯრედების, შექმნის აუცილებლობა, „საქარხნო წრეებს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. რადგან მოძრაობის მთელი მთავარი ძალა დიდი ქარხნების მუშათა დარაზმულობაშია“ (5, 296). საფაბრიკო-საქარხნო წრეები ვ. ი. ლენინს მიაჩნდა პარტიის მასებთან კავშირის ძირითად დასაყრდენ ძალად. მათ პარტიის პოლიტიკის შესასრულებლად ყოველდღიურად უნდა ეწარმოებინათ პროპაგანდისტული, სააგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — განსაზღვრავს პარტიის მთელ მუშაობას. რადგან პარტიის პირველადი ორგანიზაცია ესაა პარტიის რთული და დიდი ორგანიზმის ცოცხალი, განვითარებადი უჯრედი; იგი მოქმედებს მასების შუაგულში მთელი თავისი მუშაობით, იგი აქტიურად უწყობს ხელს მასების ცოცხალ შემოქმედებასთან პარტიის პოლიტიკის შერწყმას, სამეურნეო, პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას (6, 92). ითვალისწინებდა რა პარტიული წრეების უდიდეს მნიშვნელობას პარტიის საერთო მუშაობაში, ვ. ი. ლენინს ფაბრიკა-ქარხნებში, ქალაქის მუშებში მტკიცე რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა სოციალ-დემოკრატიის პირველ და არსებით ამოცანად მიაჩნდა (4, 405).

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციების, პარტიის ძირეული რგოლებისა და თითოეული კომუნისტის ერთობლივ მოღვაწეობას, პარტიის წევრთა ძალების ცოდნის გა-

მოცდილებისა და ენერგიის სწორად განაწილებას. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება დაეყრდნოს „შტაბი“ არმიის ნამდვილ კეთილ და შეგნებულ სურვილს.

ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა პარტიის ადგილობრივი კომიტეტებისა და წრეების ძირითადი ფუნქციები და ვალდებულებანი. სტატიაში „წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანის შესახებ“ ვ. ი. ლენინმა გადმოგვცა პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა, მიუთითა, რომ ადგილობრივი კომიტეტი, რომელშიც უნდა იყვნენ სავსებით შეგნებული სოციალ-დემოკრატები, „უნდა ხელმძღვანელობდეს ადგილობრივი მოძრაობის ყველა მხარეს და განაგებდეს პარტიის ყველა ადგილობრივ დაწესებულებას, ძალებსა და სახსრებს“ (5, 288). ადგილობრივ კომიტეტებს დაექვემდებარებოდნენ საქარხნო ქვეკომიტეტები, რაიონული ჯგუფები და კომიტეტთა ფილიალები. მათი ძირითადი მიზანი იყო შეესრულებინათ შუამავლის როლი კომიტეტსა და მასზე დაქვემდებარებულ ძირეულ პარტიულ რგოლებს შორის.

რაიონულ და საქარხნო კომიტეტებს ვ. ი. ლენინი ახასიათებდა, როგორც აღმასრულებელ აგენტთა ქსელს. მათი მთავარი ამოცანა იყო დაუფლებოდნენ მთელ მშრომელ მასებს, განსაკუთრებით კი ქალაქის მშრომელ მასებს (5, 296).

1903 წელს, ბოლშევიკური პარტიის შექმნით, დაიწყო ახალი ეტაპი რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. პროლეტარიატმა პირველად მიიღო ორგანიზაცია, რომელსაც ახალ ისტორიულ პირობებში შესწევდა უნარი — დაერაზმა და შეეკავშირებინა რუსეთის პროლეტარიატი მარქსისტული იდეების საფუძველზე.

ბოლშევიკების პარტიამ მისცა რუსეთის პროლეტარიატს დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციის მეცნიერული პროგრამა, პოლიტიკურად დარაზმა ის და წაიყვანა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პარტიის პოლიტიკა პასუხობდა მასების ძირითად ინტერესებს. ამიტომ უჭერდა მას მხარს ხალხის უმრავლესობა. ბოლშევიკების პარტია მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე წარდგა, როგორც ახალი პარტიის ნიმუში, როგორც ბრძოლის, რევოლუციური მოქმედების, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების და სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის პარტია.

ვ. ი. ლენინმა დაამუშავა პარტიისა და მისი ძირეული ორგანიზაციების შესახებ მწყობრი მეცნიერული თეორია. მაგრამ ლენინი ამ თეორიას არ თვლიდა რაღაც ხელუხლებელ გაყინულ დოგმად. იგი გვასწავლიდა, რომ მარქსისტული თეორიის დაუფლება — ეს ნიშნავს შეითვისო ამ თეორიის არსი და ისწავლო ამ თეორიის გამოყენება რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკული საკითხების გადაჭრისას, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა პირობებში (7, 44). პროლეტარიატის დიდი ბელადი ასევე უყურებდა თეორიას პარტიის შესახებ. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არ შეიძლება პარტიული ორგანიზაციის აბსოლუტურად სწორი რევოლუციური პროცესის ყველა საფეხურისათვის გამოსადეგი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ძიება და შემუშავება, რომ „ორგანიზაციის ფორმა და მუშაობის მეთოდები უნდა განისაზღვროს ამა თუ იმ კონკრეტული ისტორიული ვითარების თავისებურებებით და ამოცანებით“ (8, 662).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი მოძღვრებას პარტიისა და მისი პირველადი ორგანიზაციების შესახებ ხვეწდა და ავითარებდა რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებაზე დაყრდნობით. იგი რამდენჯერმე დაუბრუნდა პარტიის ძირეული რგოლის აგების სტრუქტურასა და მის ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობას. პარტიის ძირეული რგოლების შესახებ სწორი აზრის ჩამოყალიბების გზაზე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა რუსეთის პირველი რევოლუცია (1905 — 1907). ამ დროს ჩამოყალიბდა პარტუჯრედები, რომელთაც 1934 წლამდე იარსებეს. ნაშრომებში „პარტიის რეორგანიზაციის შესახებ", „მუშათა დეპუტატების საბჭოები თუ პარტია?", „პირდაპირ გზაზე" და სხვ., ვ. ი. ლენინმა თანმიმდევრულად გაატარა აზრი იმის შესახებ, რომ საფაბრიკო-საქარხნო უჯრედი არის ის საფუძველი, რომელზედაც აგებულია ბოლშევიკური პარტიის მთელი შენობა.

როგორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობით შეშინებული ცარიზმი იძულებით დათმობაზე წავიდა და გამოსცა 17 ოქტომბრის მეფის მანიფესტი, რომლითაც ხალხს მცირეოდენი პოლიტიკური უფლებები მიანიჭა. სწორედ ამ პერიოდში ვ. ი. ლენინი წერს თავის ცნობილ სტატიას „პარტიის რეორგანიზაციის შესახებ", რომელშიც მოითხოვა პარტიული მუშაობის გარდაქმნა 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ შექმნილი ვითარების შესაბამისად. იგი მოუწოდებდა პარტიულ ორგანიზაციებს — ესარგებლათ მომენტით და გაბედულად, გადაჭრით განესაზღვრათ „ახალი გეზი", შემოქმედებითად შეემუშავებინათ ორგანიზაციის ახალი ფორმები, კონსპირაციული აპარატის გვერდით შეექმნათ ახალ-ახალი, ღია და ნახევრადღია პარტიული (და პარტიის მომხრე) ორგანიზაციები (9, 15). ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ ახალ პირობებში სოციალ-დემოკრატიული წრეები უნდა შეცვლილიყო ორგანიზაციის უფრო მაღალი ფორმით — პარტუჯრედებით, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ წრეებთან შედარებით შემადგენლობით უფრო ფართო, უფრო „თავისუფალი" ორგანიზაციები იქნებოდნენ (9, 21). პარტუჯრედებს მოხერხებულად უნდა შეეხამებინათ ლეგალური და არალეგალური მუშაობა, განემტკიცებინათ მასებთან კავშირი და მოემზადებინათ შეიარაღებული აჯანყება.

ვ. ი. ლენინმა რეაქციის მძიმე და რთულ პერიოდში, როცა მას დაძაბული ბრძოლა უხდებოდა ლიკვიდატორებთან, ოტზოვისტებთან და შემრიგებლებთან, კვლავაც ხაზგასმით მოითხოვა პარტიული მუშაობის, კერძოდ, პარტუჯრედების მუშაობის გარდაქმნა. იგი მოითხოვს პარტიული ცენტრების მტკიცე არალეგალურ ორგანიზაციებად ჩამოყალიბებას. რეაქციის წლებში ბურჟუაზია, სარგებლობდა რა მშრომელ მასებში რევოლუციური განწყობილების დაქვეითებით, ყოველგვარ საშუალებას იყენებდა, რათა მუშები და მუშათა ორგანიზაციები მოეწყვიტა მარქსისტული პარტიისაგან. უფრო მეტიც — დაეპირისპირებინა ისინი პარტიისათვის. ვ. ი. ლენინი ითვალისწინებდა შექმნილ ვითარებას და ბოლშევიკებს მოუწოდებდა მოეწყოთ უწინარეს ყოვლისა ის, რაც დღევანდელი დღის ამოცანას წარმოადგენდა, „ურომლისოდ, წერდა ვ. ი. ლენინი, „ფუჭი სიტყვები იქნება ლაპარაკი კოორდინირებულ პოლიტიკურ გამოსვლაზე, — სახელდობრ: მტკიცე პროლეტარული ორგანიზაცია, რომელიც ყველგან გასწევს პოლიტიკურ აგიტაციას მასებში თავისი რევოლუციური ლოზუნგების გულისათვის" (10, 258).

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ რეაქციის პერიოდში ბოლშევიკების პარტიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სურდა შეენარჩუნებინა თავისი რიგების ერთიანობა და სულიერი სიწმინდე, უნდა შეექმნა პარტიული ცენტრების მტკიცე არალეგალური ორგანიზაცია, სისტემატური არალეგალური გამომცემლობა და, რაც მთავარია, ადგილობრივი, განსაკუთრებით საქარხნო პარტიული უჯრედები, რომელთაც თვით მოწინავე მუშები უხელმძღვანელებდნენ — მხოლოდ ასეთ საფუძველზე უნდა აეგოთ რევოლუციური მოძრაობის ურყევი და მტკიცე ბირთვი (10, 8). პარტიული მუშაობის გარდაქმნის შესახებ ვ. ი. ლენინის შეხედულებები დაედო საფუძვლად რსდმპ მეხუთე კონფერენციის (1908 წ. სექტემბერი) რეზოლუციას ორგანიზაციულ საკითხზე. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ პარტიის სააგიტაციო-პროპაგანდისტული და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა მასებში „მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი და ნაყოფიერი, თუ თითოეულ სამრეწველო საწარმოში იარსებებს წმინდა პარტიული, თუნდაც მცირერიცხოვანი, მუშათა კომიტეტები, მჭიდროდ დაკავშირებული მასებთან, და თუ მთელი მუშაობა ლეგალურ ორგანიზაციებში იწარმოებს არალეგალური პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით“ (8, 250—251). ამრიგად, პარტიული მუშაობის გარდაქმნის უმთავრესი არსი ის იყო, რომ ფაბრიკა-ქარხნებში შექმნილიყო პარტიის ძირეული რგოლები, რომელთა საშუალებით პარტია დაუკავშირდებოდა მასებს.

მასებთან პარტიის კავშირის მთავარ შინაარსად და მთავარ ამოცანად ვ. ი. ლენინი თვლიდა მასებისათვის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას, მასებში მრავალმხრივი სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაწევასა და მასების ორგანიზაციას. პოლიტიკა, ამბობდა ვ. ი. ლენინი, სიტყვის სერიოზული მნიშვნელობით, მხოლოდ მასებს შეუძლიათ შექმნან, მაგრამ მასები თუ უპარტიოდაა, თუ ისინი არ მიდიან მტკიცე პარტიის მხარდამხარ, არის შეუგნებელი უფორმო მასა, რომელიც თავს ვერ დააღწევს ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. ამიტომ პარტიამ უნდა იმუშაოს იქ, სადაც მასაა. „კომუნისტების მთელი ამოცანაა, — წერდა ვ. ი. ლენინი, შეეძლოთ დაარწმუნონ ჩამორჩენილები, შეეძლოთ იმუშაონ მათ შორის, და არა ის, რომ გაემიჯნონ მათ გამოგონილი ბალღური „მემარცხენე“ ლოზუნგებით“ (3, 48).

ვ. ი. ლენინი ბევრს ზრუნავდა იმისათვის, რომ კომუნისტთა პარტიას ესწავლა მასების რევოლუციური მოძრაობისათვის სწორი ხელმძღვანელობა. მან შეიმუშავა მასების ხელმძღვანელობისადმი კლასობრივი მიდგომის პრინციპები. 1905 წლის რევოლუციის დასაწყისში სტატიაში „ახალი ამოცანები და ახალი ძალები“, ვ. ი. ლენინი წერდა: „რაც უფრო ფართოვდება სახალხო მოძრაობა, მით უფრო მჟღავნდება სხვადასხვა კლასის ნამდვილი ბუნება, მით უფრო არსებითია პარტიის ამოცანა უხელმძღვანელოს კლასს, იყოს მისი ორგანიზატორი და არა კუდში მისჩანჩალებდეს მოვლენებს“ (11, 246). პარტია მასების ხელმძღვანელი, მასწავლებელი და ორგანიზატორია, იგი ასწავლის მასებს, მაგრამ მათგანაც სწავლობს. ასწავლო მასებს — ნიშნავს იმას, რომ დაარწმუნო მასები პარტიის პოლიტიკის სისწორეში. სწავლობდეს მასებისაგან კი ნიშნავს იმას, რომ პარტიამ ყოველი კარგი წამოწყება აიტაცოს და გამოიყენოს თავისი შეიარაღებისათვის. პარტიამ უნდა შეისწავლოს ყოველი სასარგებლო აზრი, ყოველი ღირებული წინადადება და კოლექტივის ყოველი წევრის შემოქმედებითი ინიციატივა, რათა ისინი კოლექტიური გამოცდილების საკუთრებად გახადოს.

ვ. ი. ლენინმა, დაამუშავა რა პრობლემა პირველადი პარტიული ორგანი-

ზაციების როლისა და ამოცანების შესახებ, ხაზგასმით მიუთითა, რომ პარტია მშრომელ მასებში თავის პოლიტიკას ატარებს პირველადი ორგანიზაციების საშუალებით. პარტუჯრედებმა მშრომელებში უნდა აწარმოონ განუწყვეტელი, რეგულარული მუშაობა. ვ. ი. ლენინის აზრით თითოეული ორგანიზაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ბოლშევიკურად, თუ იგი მასებში მუდმივ რეგულარულ მუშაობას ეწევა. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა პარტიის ყველა წევრისაგან ეცხოვრათ მუშათა ცხოვრების შუაგულში, ცოდნოდათ მათი ცხოვრების მთელი ავ-კარგი, შეუცდომლად გადაეჭრათ ყველა ამოცანა. თუ პარტიამ არ დაიმსახურა მასების ნდობა, წერდა ვ. ი. ლენინი, თუ მან სწორად არ გამოხატა ის, რაც მასებს შეუგნიათ, იგი ვერ შეძლებს გაიყოლიოს პროლეტარიატი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების მომზადების და განხორციელების პერიოდში პარტიის კავშირი მასებთან პრაქტიკულად განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სისტემის ჩამოყალიბებას.

ვ. ი. ლენინი ახალი ტიპის პარტიის ძირეული რგოლების ორგანიზაციული სრულყოფისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მათ ჩამოყალიბებას ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნის მიხედვით. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ერთ საწარმოში მომუშავე კომუნისტები აუცილებლად გაერთიანებულიყვნენ ერთ პარტუჯრედში. პარტიის ძირეული რგოლების ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნის მიხედვით მოწყობის სისწორე დაადასტურა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომმა პერიოდმაც.

ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მითითებით, კომუნისტურმა პარტიამ, როდესაც იგი მმართველი პარტია გახდა, გააფართოვა ადგილობრივი პარტიული ორგანოების ფუნქციები, მათვე დააკისრა პასუხისმგებლობა ადგილებზე პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ახალი საზოგადოების მშენებლობაში პარტია ასრულებდა რა ხელმძღვანელ როლს, იგი საბჭოთა ხალხს უჩვენებდა სწორ, მეცნიერულად დასაბუთებულ გზას. კერძოდ, რაზმავდა მშრომელებს, ნერგავდა მათში რკინისებურ დისციპლინას, აერთიანებდა მათ ერთ ნაკადად და წარმართავდა საერთო მიზნისაკენ. მთელ ამ საქმიანობას პარტია ძირეული რგოლების საშუალებით წარმართავდა სოციალისტური მშენებლობის დასაწყისშივე. ვ. ი. ლენინი კომუნისტებისაგან მოითხოვდა, რომ ესწავლათ მეურნეობის გაძღოლა, გამხდარიყვნენ სამეურნეო მუშაკები. ე. ი. სოციალისტური მშენებლობის ახალი ამოცანები მოითხოვდნენ პარტუჯრედების მუშაობის კვლავ გარდაქმნას. ამიტომ იყო, რომ რკპ (ბ) მერვე კონფერენციამ (1919 წლის დეკემბერში) მიიღო პარტიის ახალი წესდება, რომელშიც ფორმულირებული იყო საწესდებო დებულება „პარტიული უჯრედის შესახებ“. მასში ნათქვამია, რომ პარტიული ორგანიზაციის საფუძველია პარტუჯრედი. უჯრედი მტკიცდება რაიონული საქალაქო ან სამაზრო კომიტეტის მიერ, არა უმცირეს სამი კაცისა. პარტუჯრედის ამოცანაა გაატაროს მასებში პარტიული ლოზუნგები და გადაწყვეტილებები... აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში (8, 596).

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ადგილობრივი პარტუჯრედებიდან ხდებოდა ადმინისტრაციულ-სამეურნეო კადრებისა და პროფკავშირული მუშაკების დაწინაურება. კომუნისტები მათი რეკომენდაციებით იგზავნე-

ბოდნენ სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა მნიშვნელოვან უბნებზე. ვ. ი. ლენინი სამოქალაქო ომის მძიმე პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კომუნისტების კავშირს მშრომელ მასებთან. სადაც უნდა ლაპარაკობდეს კომუნისტი, — ამბობდა ლენინი, უნდა ფიქრობდეს მასებზე, უნდა ლაპარაკობდეს მათთვის. რკპ (ბ) IX ყრილობის შემდეგ (1920 წ.) პარტიამ მიზნად დაისახა ყველა სამრეწველო საწარმოში შეექმნათ პარტუჯრედი. ყრილობის გადაწყვეტილებით, არ უნდა ყოფილიყო არც ერთი სამრეწველო საწარმო, სადაც არ იმუშავებდა პარტუჯრედი, სადაც არ იქნებოდა ჩვენი პარტიის გავლენა (12, 45).

სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ, როცა ქვეყანა მშვიდობიან მშენებლობაზე გადავიდა, საჭირო გახდა ახალი ვითარების შესაბამისი, ყოველმხრივ აწონილი და მოფიქრებული, მეცნიერულად გააზრებული პარტიის გენერალური ხაზის შემუშავება, ამიტომ იყო, რომ პარტიის X ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა განაცხადა — ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას უაღრესად რთული ამოცანები, რომელთა გადაჭრა პარტიას არ შეუძლია თავისი რიგების სიწმინდისა და ერთიანობის გარეშე, მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების გარეშე.

რკპ (ბ) X ყრილობამ შეიმუშავა პარტიული მუშაობის ახალი მეთოდები და ფორმები. მიღებულ გადაწყვეტილებებში მკაფიოდ და ნათლადაა განსაზღვრული პარტიული უჯრედების როლი. ყრილობამ მოუწოდა პარტუჯრედებს, რომ პროპაგანდისტულ-აღმზრდელობითი მუშაობა უნარიანად შეეხამებინათ სამეურნეო მუშაობასთან. ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საფაბრიკო და საქარხნო კომუჯრედების გაძლიერებას საბჭოთა დაწესებულებებიდან კომუნისტების გადაყვანის გზით. უჯრედების გაძლიერება არ უნდა მომხდარიყო მათი რაოდენობის უბრალო გადიდებით, საჭირო იყო მათი მუშაობის შინაარსის გამდიდრება — პროპაგანდისტულ-აღმზრდელობითი და საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესება. კომუჯრედებს უნდა მიეღწიათ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტ კომუნისტს ემუშავა უშუალოდ დაზგასთან, გუთანზე და სხვა. უჯრედებს სპეციალურ თათბირებზე უნდა შეემუშავებინათ სამოქმედო გეგმა, მიეღწიათ, რომ არცერთი კომუნისტი არ დარჩენილიყო პარტიული მუშაობის გარეშე. კომუჯრედებს ყრილობამ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახა უპარტიო მასებთან კავშირი. მათ პარტიისა და მთავრობის ყველა გადაწყვეტილება და დადგენილება უნდა განეხილათ ღია პარტიულ კრებაზე და ამ გზით შეეყვანათ უპარტიო მასები საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობის კურსში (8, 671—674).

პარტიის XI ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმას, რომ მთელი ჩვენი ავანგარდი დაკავშირებულიყო მთელ პროლეტარულ მასასთან, მთელ გლეხურ მასასთან. თუ ვინმე ამ პატარა ბორბლებს დაივიწყებს, თუ მას მარტო ადმინისტრირება გაიტაცებს, უბედურება იქნება (13, 351). მშრომელ მასებში, ყველა შრომით კოლექტივში პოლიტიკური ბირთვის როლი პარტუჯრედებს უნდა შეესრულებინათ.

პარტუჯრედის როლისა და ამოცანების შესახებ ლენინური იდეა წარმოადგენს მძლავრ მაორგანიზებელ ძალას. მან შემდგომი განვითარება ჰპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებში.

ჩვენს ქვეყანაში ახალი საზოგადოების მშენებლობის ისტორიის ყოველ ეტაპზე პარტიის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ახალი შინაარ-

სით ივსებოდა. პარტია არ ჯერდებოდა მიღწეულს, სწავლობდა ცხოვრებას გაკვეთილებით, ითვალისწინებდა ახალ გამოცდილებას და სკკპ ყრილობიდან ყრილობამდე ხვეწდა პარტუჯრედის სტრუქტურას, ანდიდრებდა მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. მაგ. 30-იანი წლების შუახანებში, როდესაც ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე ახალი გრანდიოზული და მასშტაბური ამოცანები დადგა, როდესაც პარტუჯრედის ჩამოყალიბება-განვითარებაში მოხდა ღრმა თვისებრივი ნახტომი, პარტიამ მოახდინა გარდაქმნები, პარტუჯრედები შეცვალეს პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

თანამედროვე რეალური სოციალიზმის პირობებში საბჭოთა საზოგადოების განვითარება-განმტკიცებასთან ერთად იზრდებოდა, ვითარდებოდა და მტკიცდებოდა პარტია, უფრო სრულყოფილი ხდებოდა მისი პირველადი ორგანიზაციები.

სოციალიზმის მშენებლობის ყოველ ეტაპზე ყოველთვის დიდი იყო პარტიის ხელმძღვანელი როლის მნიშვნელობა, მაგრამ პარტიის როლი განსაკუთრებით გაიზარდა თანამედროვე პირობებში.

პარტია „ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიდ აღმშენებლობით საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმისათვის“ (14, 8). პარტიას მოჰყავს მოქმედებაში მშრომელი მასების გიგანტური ძალები.

პარტიული ხელმძღვანელობის ეფექტიანობა უშუალოდაა დამოკიდებული რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებზე, მათ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობის ხარისხზე.

პარტიის წესდების 42-ე მუხლის თანახმად ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ძირითადი მოვალეობაა: პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა მასებში, კომუნისტთა, ყველა მშრომელთა დარაზმვა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განსახორციელებლად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა, მშრომელთა კომუნისტური შეგნების ამაღლება, ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებისა და მეთოდების მტკიცედ დაცვა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, ხელმძღვანელი კადრების შერჩევა და განაწილება და სხვა (15, 21—22).

ჩვენი პარტია დაუღალავად ზრუნავს, რომ პარტიული ორგანიზაციები ღრმად ჩასწვდნენ ცხოვრებისაგან დღის წესრიგში დაყენებულ ამოცანებს, დაადგნენ გეგმიანობის დამკვიდრების, ინიციატივის გააქტიურების და პასუხისმგებლობის გაზრდის, პრინციპულობის, მოჩვენებითობის, სასხდომი ფუსფუსის მტკიცე ამოძირკვის კურსს.

ლენინური პარტიის და მისი თითოეული ორგანიზაციის ხელმძღვანელი როლის ზრდის, მათი მუშაობის გარდაქმნა-გაუმჯობესებისათვის ზრუნვის საუკეთესო მაგალითია ის ღონისძიებები, რომელსაც საქართველოს კომპარტია ახორციელებს—პარტიული მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ისეთ ფუძემდებლურ მიმართულებებს, როგორიც არის კადრების შერჩევა და განაწილება, მუშაობის სტილის გაუმჯობესება, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღება და სხვა.

საქართველოს კომპარტიის მუშაობის გარდაქმნა-გაუმჯობესებას სათავე დაუდო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის საეტაპო მნიშვნელობის დადგენილებამ.

საქართველოს კომპარტიის მუშაობას ახასიათებს შემოქმედებითი მიდგომა საქმისადმი, ინიციატივიანობა და ახლის გრძნობა, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია დღევანდელ საქმეს ხვალინდელი დღის საზომით მიუდგეს, მემკვიდრეობითობის ძალა დაინახონ მის განვითარება-გაღრმავებაში, მტკიცედ დაუჭირონ მხარი ბრძოლას, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენების — მექრთამეობის, პროტექციონიზმის წინააღმდეგ.

1972 წლიდან განვლილ პერიოდში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები მრავალი ექსპერიმენტის და ახალი წამოწყების ინიციატორები გახდნენ. როგორც საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა აღნიშნა, ჩვენი რესპუბლიკის „ზოგიერთი ექსპერიმენტისა და სიახლის მიმართ, მეტადრე ეკონომიკის პარტიული ხელმძღვანელობის სფეროში, იდეოლოგიურ პრაქტიკაში, ინტერესს იჩენს ქვეყნის ბევრი პარტიული ორგანიზაცია“ (16).

ჩვენი რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში შეძენილმა გამოცდილებამ განაპირობა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის თბილისში ჩატარება, კონფერენცია მოეწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 1983 წლის 7—9 აპრილს.

კონფერენციამ იმსჯელა პარტიული მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე — „პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლება მშრომელთა საზოგადოებრივ და საწარმოო აქტიურობის განვითარებაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მუშაობის სტილის სრულყოფაში“. საქართველოს პარტიული ორგანიზაციები დიდი პასუხისმგებლობით მოემზადნენ ამ კონფერენციისათვის. რესპუბლიკის პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი პარტიის ძირეული რგოლების მუშაობის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე.

კონფერენციამ საყურადღებო მასალები მოგვცა პარტიული მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის მთელ რიგ საკითხებზე.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა-გაუმჯობესებამ, მათი როლის და გავლენის ზრდამ შრომით კოლექტივებზე, უზრუნველყო საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარების მნიშვნელოვანი თვისებრივი და რაოდენობრივი ძვრები. რესპუბლიკის მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი მარტო განვლილ XI ხუთწლედში გაიზარდა 27 პროცენტით, ხოლო ეროვნული შემოსავალი — 27,5 პროცენტით (16).

განსაკუთრებული ხანა, რომელსაც გადის საბჭოთა საზოგადოება და მთელი მსოფლიო, პარტიისაგან, თითოეული კომუნისტისაგან მოითხოვს შემოქმედებას, ნოვატორობას, უნარს — გასცდეს დრომოჭმული წარმოდგენების ფარგლებს, დაჩქარების სტრატეგია არ განხორციელდება თუ არა მიზანშიმართული ხელმძღვანელობა, თუ არა თანმიმდევრობა და მტკიცე პოლიტიკური

კურსის განხორციელება. „ყოველთვის, როცა ქვეყნის წინაშე ახალი ამოცანები დგება, პარტია პოულობს მათი გადაწყვეტის გზებს, გარდაქმნის, სახეს უცვლის ხელმძღვანელობის მეთოდებს, რითაც ავლენს უნარს, იყოს ქვეყნის ბედისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმისათვის ისტორიული პასუხისმგებლობის სიმაღლეზე (17, 118).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1987 წ.) პლენუმზე მთელი პირდაპირობით და პარტიული პრინციპულობით ითქვა იმ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაზე, რომელიც 70—80-იანი წლების მიჯნაზე შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში. ქვეყანამ გარკვეული ეტაპზე, აღნიშნა პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, მოუკლო წინსვლის ტემპს, თანდათან გროვდებოდა სიძნელეები და გადაუჭრელი პრობლემები, თავი იჩინა უძრაობისა და სხვა სოციალიზმისათვის უცხო მოვლენებმა (18, 9). ამ ნეგატიური მოვლენების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი ის იყო, რომ პარტიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ვერ შესძლეს დროულად და კრიტიკულად შეეფასებინათ საზოგადოებაში და კომუნისტების ნაწილის საქციელში ნეგატიურ ტენდენციათა მომძლავრების საშიშროება, მიეღოთ გადაწყვეტილებები, რომლებსაც დაჟინებით მოითხოვდა ცხოვრება.

მრავალმა პარტიულმა ორგანიზაციამ კი ვერ შესძლო პრინციპული პოზიციის შენარჩუნება, ყველა მათგანი როდი ებრძოდა შეუპოვრად ნეგატიურ მოვლენებს, განუკითხაობას, ურთიერთთავდებობას, დისციპლინის შესუსტებას, ლოთობის გავრცელებას და სხვ. (18, 17).

დაჩქარება — რთული და მრავალმხრივი ამოცანაა, იგი უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს არა მარტო ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებას, იგი მიზნად ისახავს მთელი ჩვენი საზოგადოების საქმიანობის თვისებრივ გარდაქმნას.

დაჩქარების, გარდაქმნის კურსის რეალიზაცია მოითხოვს ახლებურ აზროვნებას და მოქმედებას.

დაჩქარების კონცეფცია მოითხოვს პარტიის, მისი ყოველი რგოლის და განსაკუთრებით კი პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, რადგან, „პარტიის წარმატებული საქმიანობა, კომუნისტთა აქტიურობის ზრდა განუყრელად არის დაკავშირებული პირველადი ორგანიზაციების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებასთან“ (19, 112).

სკკპ XXVII ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის ივნისისა (1986 წ.) და იანვრის (1987 წ.) პლენუმებმა გაითვალისწინა რა ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების მასშტაბები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობას უფრო ფართო მოთხოვნები წაუყენა. ახლანდელი ეტაპი, საზოგადოების თვისებრივად გარდაქმნის ეტაპი, ნათქვამია პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში სკკპ XXVII ყრილობისადმი, პარტიისაგან, მისი ყოველი ორგანიზაციისაგან მოითხოვს, „ცხოვრობდეს თავისი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების ძიების, განახლების ატმოსფეროში“ (17, 120). ამის გაკეთება შეიძლება ყველა კომუნისტის მეცადინეობით, თვით პარტიის შიგნით მთელი პარტიული ცხოვრებისა და მუშაობის გარდაქმნით.

სკკპ XXVII ყრილობამ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს მიზნად დაუსახა აქტიურად იბრძოლონ ყრილობის კურსის განხორციელებისათვის,

უფრო ფართოდ გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები, გაზარდონ ადმი-ნისტრაციაზე კონტროლის უფლება, დახვეწონ და სრულყონ საკადრო პოლი-ტიკა, პარტიული მუშაობის ცენტრში დააყენონ ადამიანი, ადამიანური ფაქტორი, ცოცხალი საქმისაკენ შემობრუნება გიხადონ პარტიული მუშაობის ძირფე-სვიანი გარდაქმნის მთავარ მიზნად (1, 46).

ლენინურ მოძღვრებას ახალი ტიპის პარტიის და მისი პირველადი პარ-ტიული ორგანიზაციების, როგორც პარტიის საფუძვლის შესახებ, უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს ყოველგვარი ოპორტუნიზმისა და სკკპ ის-ტორიის ფალსიფიკატორებთან ბრძოლაში. ლენინური იდეა, პარტიის ისტო-რიული გამოცდილება მტკიცე საფუძველია კომუნიზმის მშენებლობაში პარ-ტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომი ამაღლებისათვის.

ახორციელებს რა საზოგადოების პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, საბ-ჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც თანმიმდევრულად გამოიყე-ნებს ნაცად ლენინურ პრინციპებს, ნათქვამია სკკპ პროგრამის ახალ რედაქ-ციაში. დაუცხრომლად დაამკვიდრებს ყველა პარტიული ორგანიზაციისა და შრომითი კოლექტივის საქმიანობაში შემოქმედებით მიდგომას, ვერგილიანო-ბას, დიდ პასუხისმგებლობას და პრინციპულობას, ყველას ჩაუნერგავს იმის უნარს, რომ ობიექტურად და თვითკრიტიკულად აფასებდნენ მიღებულ შედე-გებს (19, 119).

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1986 წლის 16 ივნისი, თბ., 1986.
2. კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტ. I, თბ., 1953.
3. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31.
4. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2.
5. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6.
6. სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976.
7. საკ. კპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, თბ., 1948.
8. სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, გამოცემა მე-7, ნაწ. 1, თბ., 1954.
9. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10.
10. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15.
11. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8.
12. Первичная партийная организация после Октябрьской революции. Документы КПСС. М., 1950.
13. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33.
14. სსრ კავშირის კონსტიტუცია, ძირითადი კანონი. თბ., 1977.
15. სკკპ წესდება, თბ., 1986.
16. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, გაზ. „კომუნისტი“, 1986 წ. 25 იანვარი.
17. სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986.
18. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1987 წ. 27—28 იანვარი. თბ., 1987.
19. სკკპ პროგრამა. ახალი რედაქცია, თბ., 1986.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ДЖАМРИШВИЛИ Р. А.

## В. И. ЛЕНИН О РОЛИ И ЗАДАЧАХ ПЕРВИЧНЫХ ПАРТИЙНЫХ ОРГАНИЗАЦИЙ

### Резюме

В статье рассматривается борьба В. И. Ленина за создание марксистской теории о роли и задачах первичных партийных организаций. Автор говорит об огромной работе, проделанной В. И. Лениным по созданию первичных партийных организаций накануне и в годы первой революции в России, о творческой работе КПСС по развитию ленинского учения, о первичных партийных организациях.

R. JAMRISHVILI

## LENIN ON THE ROLE AND TASKS OF THE PRIMARY PARTY ORGANIZATIONS

### Summary

The article shows Lenin's struggle for the creation of marxist theory in connection with the role and tasks of the primary party organizations. The author writes about the great work accomplished by Lenin in creating the primary party organizations before and during the years of the first revolution in Russia, and about the creative work of the CPSU, which is developing Lenin's teaching in this respect.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета
280, 1988
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სერგო ორჯონიკიძე — პარტიის ერთიანობისათვის შეუდრეკელი მებრძოლი

**(დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)**

ს. ჩაგუნავა

სერგო ორჯონიკიძე ვ. ი. ლენინის უახლოესი თანამებრძოლია. მისი ცხოვრება და საქმიანობა უშუალოდ დაკავშირებულია პარტიის მოღვაწეობასთან. პარტიისათვის ყველაზე რთულ პერიოდებში ს. ორჯონიკიძე ვ. ი. ლენინთან ერთად იბრძოდა მისი პრინციპების დაცვისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია სერგო ორჯონიკიძის მოღვაწეობა რეაქციისა და რევოლუციური აღმავლობის დროს. სტოლიპინის რეაქციის შავბნელ პერიოდში, როცა მონარქიამ დროებით შეძლო რევოლუციის დამარცხება, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაჩნდნენ ანტიპარტიული დაჯგუფებანი — ლიკვიდატორები, ოტზოვისტები, ტროცკისტები, შემარიგებლები და სხვანი. ისინი ცდილობდნენ პარტიის ერთიანობის დარღვევას, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ტროცკისტები, რომელთაც ეხმარებოდნენ შემარიგებლები, ვ. ი. ლენინს ბრძოლა უხდებოდა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთიანობის შენარჩუნებისათვის.

სერგო ორჯონიკიძეს განსაკუთრებული როლი მიუძღვის პარტიული ცენტრების აღდგენისა და პრაღის პარტიული კონფერენციის მომზადების საქმეში. იგი მეთაურობდა რუსეთის საორგანიზაციო კომისიას, რომელმაც მოამზადა ასეთი კონფერენცია.

1910 წლის იანვრის „გამაერთიანებელი“ პლენუმის შემდეგ პარტიისათვის ბრძოლამ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. მენშევიკ-ლიკვიდატორებმა აშკარად დაიწყეს ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ, პლენუმის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. მათ შეინარჩუნეს თავიანთი ფრაქციული ორგანოები და ფრაქციული ცენტრები. მენშევიკური გაზეთები „ნაშა ზარია“ და „ვოზროჟდენიე“ თავიანთ ფურცლებზე აშკარად იწყებენ ლიკვიდატორობის ქადაგებას. მათ საზიანოდ მიაჩნიათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის არსებობაც კი.

ლიკვიდატორები ახერხებენ შეაფერხონ და ჩაშალონ ცენტრალური კომიტეტის რუსეთში მოქმედი კოლეგიის მოწვევა, რომლის შემადგენლობა პლენუმის დადგენილებით შვიდ კაცამდე იქნა გაფართოებული. ცენტრალურმა კომიტეტმა ვერ მოახერხა მუშაობის დაწყება იმის გამო, რომ ლიკვიდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორებმა უარი განაცხადეს მასში მონაწილეობაზე, ხოლო ცენტრალურ კომიტეტში შემავალი ბოლშევიკები 1910-11 წლებში დააპატიმრეს. ლენინის დაჟინებითი მოთხოვნა — კოლეგიაში ლიკვიდატორების ნაცვლად მენშევიკ-პარტიელები შეეყვანათ, შემარიგებლებმა არ შეასრულეს, ლიკვიდატორულ გაზეთ „გოლოს სოციალ-დემოკრატაში“ აქსელროდის, დანის, მარტოვისა და მარტინოვის ხელმოწერით თავსდება წერილი, რომელშიაც ისინი ილაშქრებენ პლენუმის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. იმავე გაზეთში 16 მენშევიკ-ლიკვიდატორის ხელმოწერით თავსდება „ღია წერილი“, რომელშიაც გამართლებულია ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის ჩაშლა რუსეთში.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ორგანოს „სოციალ-დემოკრატის“ ფურცლებზე ლენინმა ამხილა მენშევიკთა ეს გამთიშველი მოქმედება და მოუწოდა ყველა პარტიულ ჯგუფს დაეცვა პარტია ლიკვიდატორთა შემოტევისაგან. „პარტიის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება, — წერდა ვ. ი. ლენინი — გამომჟღავნებულია. ყველანი, ვისთვისაც კი ძვირფასია რსდმპ პარტიის არსებობა, აღსდექით პარტიის დასაცავად!“ (1, 199).

მენშევიკ-ლიკვიდატორებმა ჩაშალეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევა რუსეთში. ლენინი დაჟინებით მოითხოვდა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს მოწვევას, რომელსაც უნდა ეპოვა გამოსავალი პარტიაში შექმნილი არანორმალური მდგომარეობიდან, მაგრამ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულმა ბიურომ, რომელშიაც 1910 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ აშკარად ჩამოყალიბდა ლიკვიდატორული უმრავლესობა, უარი განაცხადა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევაზე საზღვარგარეთ და ამრიგად, მენშევიკ-ლიკვიდატორებმა ჩაშალეს პარტიის ცენტრების მუშაობა. ვ. ი. ლენინი იძულებული გახდა მიეღო სასწრაფო ზომები იმისათვის, რომ მოეწვია ცენტრალური კომიტეტის თათბირი და გადაეწყვიტა ცკ-ის პლენუმისა და საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის საკითხი, სწორედ ასეთი თათბირი შედგა ვ. ი. ლენინის ინიციატივით პარიზში, 1911 წლის ივნისში, თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება საზღვარგარეთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის თათბირის მიერ მიღებულმა დადგენილებამ სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა ადგილობრივ ორგანიზაციებში. 1911 წლის 1 სექტემბრისათვის ათამდე უმნიშვნელოვანესმა პარტიულმა ორგანიზაციამ ნდობა გამოუცხადა ცენტრალური კომიტეტის წევრთა საზღვარგარეთულ თათბირს და დაიწყო პრაქტიკული მუშაობა კონფერენციის მოსამზადებლად.

თათბირის გადაწყვეტილებას მიესალმნენ და თავიანთი რეზოლუციები გაგზავნეს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ორგანო „სოციალ-დემოკრატში“ პეტროგრადის, კიევის, როსტოვის, ეკატერინოსლავის, ბაქოს, თბილისის და სხვა ორგანიზაციებმა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მხარს უჭერენ თათბირის გადაწყვეტილებას, სრულიად რუსეთის კონფერენციის მოწვევის შესახებ.

პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის ბრძოლის საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს გაზეთებმა „ზვეზდამ“ და „რაბოჩაია გაზეტამ“, რომელთა მუშაობას წარმართავდა ვ. ი. ლენინი. „რაბოჩაია გაზეტა“ წარმოადგენდა ბოლშევიკების პოპულარულ ორგანოს, რომელიც დაარსებული იქნა გაზეთ „პროლეტარის“ დახურვის შემდეგ. მასში, ისე როგორც გაზეთ „ზვეზდაში“,

მონაწილეობდნენ მენშევიკ-პარტიელები. რსდმპ პრაღის პარტიულმა კონფერენციამ აღნიშნა „რაბოჩაია გაზეტას“ განსაკუთრებული დამსახურება პარტიულობისათვის ბრძოლის საქმეში და გამოაცხადა იგი რსდმპ ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის ოფიციალურ ორგანოდ.

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, რეაქციის პერიოდში, მუშათა წრიდან პარტიული კადრების დაწინაურებისა და მათი აღზრდის საქმეს. ამ მიზნით სწორედ 1911 წლის ივნისში პარიზის მახლობლად, დაბა ლონჟიუმოში, ვ. ი. ლენინის ინიციატივით, ეწყობა პარტიული სკოლა, წინააღმდეგ ფრაქციული სკოლისა, რომელიც არსებობდა კუნძულ კაპრზე (იტალია), სადაც გაერთიანებული იყვნენ ოპორტუნისტები, ულტიმატისტები და ღვთისმშენებლები, ბოგდანოვისა და სხვათა მეთაურობით, ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლენინური სკოლა წარმოადგენდა რევოლუციონერთა სამჭედლოს, რომელშიც გამოიწვრთნენ პარტიისა და მუშათა კლასის ცნობილი ორგანიზატორები და ხელმძღვანელები. ამ სკოლის მსმენელი იყო ლენინის უახლოესი თანამებრძოლი, მგზნებარე რევოლუციონერი ს. ორჯონიკიძე, რომელმაც აქ მოისმინა ლენინის 30 ლექცია პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე, 10 ლექცია — აგრარულ საკითხზე და 5 ლექცია — სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე. პარტიული სკოლის გახსნა და მისი მუშაობა მხედველობიდან არ გამოპარვია პოლიციის დეპარტამენტს, რომელიც 1911 წლის აგვისტოს ცირკულიარში იტყობინებოდა პარიზის მახლობლად, დაბა ლონჟიუმოში, პროპაგანდისტთა საერთო-პარტიული სკოლის გახსნის შესახებ. 1911 წლის 30 ნოემბრის ცნობა შეიცავდა დაწვრილებით შინაარსს სკოლის შემადგენლობისა და მუშაობის შესახებ. „...ამ სკოლაში, რომელიც მოქმედებდა ამა წლის 20 ივნისიდან 17 აგვისტომდე — იტყობინებოდა პოლიციის დეპარტამენტი — სულ ირიცხებოდა 17 მოსწავლე, რომელთაგან 13 კაცი მივლინებული იყო სკოლაში, როგორც იმპერიაში არსებული რსდმპ ორგანიზაციების დელეგატი, ხოლო დანარჩენი 4 კაცი ირიცხებოდა სკოლაში თავისუფალ მსმენელად“. (2).

მეორე დასმენაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ სკოლაში მეცადინეობს „ქართველი სერგო“, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. მაგრამ ს. ორჯონიკიძემ ვერ შეძლო სკოლის დამთავრება, რადგან მას პარტიამ, პირადად ვ. ი. ლენინმა, დააკისრა უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანის შესრულება. ვ. ი. ლენინის მოთხოვნით რსდმპ-ის ცენტრალური კომიტეტის ივნისის თათბირმა მიიღო დადგენილება, რომლითაც საზღვარგარეთულ საორგანიზაციო კომისიას ევალებოდა შეექმნა კონფერენციის მომწვევი რუსეთის კოლეგია.

მალე, ივნისის თათბირის შემდეგ, ლენინის წინადადებით, საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის რწმუნებულად გამოყოფილი იქნენ ს. ორჯონიკიძე და ი. შვარცი. მათ ევალებოდათ დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვნენ რუსეთში, აღედგინათ ჟანდარმების მიერ დარბეული ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, ჩაეტარებინათ კონფერენციისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, აერჩიათ დელეგატები რუსეთის საორგანიზაციო კომისიაში და მოეწვიათ მისი თათბირი. ამ კომისიას უნდა გამოეთქვა თავისი აზრი მომავალი პარტიული კონფერენციის შესახებ და უზრუნველეყო მისი მოწვევა. ს. ორჯონიკიძეს დაევალა, ჩაეტარებინა ასეთი მუშაობა უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში, ხოლო შვარცს — ურალში.

მეფის ოხრანკა, გულმოდგინედ ადევნებდა რა თვალყურს ბოლშევიკების მუშაობას რუსეთში და საზღვარგარეთ, მხედველობიდან არ ტოვებდა მათ საქმიანობას. მოსკოვის ოხრანკის განყოფილება ღებულობს ცნობას თავისი აგენტისაგან, რომ პარტიულმა სკოლამ მუშაობა დაამთავრა ლონჟიუმოში 1911 წლის 17 აგვისტოს და, რომ მისი მსმენელი ორჯონიკიძე, განსაკუთრებული დავალებით, მიემგზავრება რუსეთს. „სერგო" ეროვნებით ქართველი... რწმენით თავდადებული ლენინელია — ვკითხულობთ დასმენაში... მან მოიმიზეზა ყელისა თუ ყურის ტკივილი და ლონჟიუმოდან წავიდა პარიზს, ვითომდა ოპერაციის გასაკეთებლად. არის სრული საფუძველი იმისა, რომ იგი... გაგზავნილია რუსეთში ლენინის მიერ განსაკუთრებული ინსტრუქციებით" (3, 177).

1911 წლის ივლისში, ს. ორჯონიკიძე უკვე რუსეთშია, ეწევა უაღრესად დაძაბულ მუშაობას, ივლისსა და აგვისტოში შემოიარა უკრაინის ქალაქები — კიევი, ხარკოვი, ოდესა, ნიკოლაევი, პოლტავა, ლუგანსკი და ხერსონი, სადაც ატარებს ადგილობრივი ორგანიზაციის კრებებს, განუმარტავს მათ პარტიული კონფერენციის მოწვევის მნიშვნელობას და რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნის აუცილებლობას.

ს. ორჯონიკიძის ჩასვლამდე, კიევის ორგანიზაციამ განიხილა საერთო-პარტიული კონფერენციის საკითხი. მიღებული რეზოლუცია ემხრობოდა ც. კ-ის გვერდის ავლით, გოლოსელებსა და ვპერიოდელებთან კავშირში კონფერენციის მოწვევას, რაც ტროცკის ზეგავლენის შედეგი იყო და მის განზრახვას შეესაბამებოდა. მაგრამ როდესაც კიეველები გაეცნენ საქმის ნამდვილ ვითარებას, ს. ორჯონიკიძის მოხსენებისა და გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" მეშვეობით, უგზავნიან წერილს ტროცკის „პრავდას", არ გამოაქვეყნოს მათი რეზოლუცია, რომ ისინი კონფერენციის მოწვევის საქმეში უფრო კომპეტენტურად თვლიან ცენტრალურ ორგანოს. კიევის ორგანიზაციის კონსპირაციულ სხდომას, რომელიც ს. ორჯონიკიძემ მოიწვია, დაესწრნენ მენშევიკ-პლეხანოველებიც, მოსმენილი იქნა საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის რწმუნებულის მოხსენება, რის შედეგად კიევის კომიტეტმა მიიღო დადგენილება: „მხარი დაეჭირა კონფერენციის მოწვევისა და რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნისათვის და გამოჰყო თავისი წარმომადგენელი ორჯონიკიძის დასახმარებლად. კიევის ორგანიზაციამ პირველმა დაუჭირა მხარი ცკ-ის წევრების თათბირს და რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის იდეას", — სწერდა სერგო ორჯონიკიძე „სოციალ-დემოკრატის" რედაქციას და ლენინს. ორჯონიკიძეს უშუალო კავშირი ჰქონდა ლენინთან, უგზავნიდა რეზოლუციებს „სოციალ-დემოკრატის" რედაქციას და ღებულობდა ლენინისაგან სათანადო მითითებებს. კიევის კომიტეტისა და სხვა ორგანიზაციების რეზოლუციები გამოქვეყნებული იქნა გაზეთ „სოციალ-დემოკრატში" № 23, 1911 წლის 1/14 სექტემბერს. კიევის ორგანიზაციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „...რსდმპ კიევის კომიტეტი, რომელმაც მოისმინა და განიხილა საორგანიზაციო კომისიის აგენტის მოხსენება საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ, ერთხმად აღიარებს: 1) საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევა წარმოადგენს პარტიული ცხოვრების საარსებო მოთხოვნილებას მოცემულ მომენტში; 2) მიესალმება საორგანიზაციო კომისიის მიერ ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს... რსდმპ კიევის კომიტეტს საორგანიზაციო კომისიის რუსეთის კოლეგიის შექმნა აუცილებელ პირობად





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეარჩია საერთო-პარტიული კონფერენციის მოსაწვევი სამუშაოების წარმატებით ჩატარებისათვის. რსდმპ კიევის კომიტეტი, გზავნის თავის წარმომადგენელს, საორგანიზაციო კომისიის რუსეთის კოლეგიაში, ხოლო ერთ-ერთს თავის ამხანაგს აგზავნის საორგანიზაციო კომისიის აგენტის დასახმარებლად"[4]. კიევის კომიტეტის მიერ ს. ორჯონიკიძის დასახმარებლად გამოყოფილი მენშევიკ-პარტიელი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ეკატერინოსლავსა და სხვა მეზობელ ქალაქებში, ჩაატარა იქ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის კრებები, რომელზედაც განმარტებული იქნა პარტიული კონფერენციის მიზანი და მისი მნიშვნელობა, ამის შედეგად, „...ეკატერინოსლავის ჯგუფმა მხარი დაუჭირა ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირს. მიიღო ისეთივე რეზოლუცია, როგორიც მიიღო კიევის ორგანიზაციამ, კიევის კომიტეტის წარმომადგენელს მისცა რწმუნება, რომ მას რუსეთის საორგანიზაციო კომისიაში გაეწია ეკატერინოსლავის ორგანიზაციის წარმომადგენლობაც" (5).

კიევიდან, სერგო ორჯონიკიძე, გაემგზავრა დონის როსტოვში. დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდა მას, მოეგვარებინა დონის როსტოვის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. მეფის ოხრანკის აგენტურა პროვოკატორთა მეშვეობით მოქმედებდა როსტოვის პარტიული ორგანიზაციის წინააღმდეგ. აქ პოლიციამ მოახერხა დაეპატიმრებინა მთლიანად დონის როსტოვის პარტიული კომიტეტი, მათ რიცხვში, ჯაფარიძე და შკირიატოვი. ს. ორჯონიკიძემ შეარჩია საკმაოდ კონსპირაციული ადგილი დონის როსტოვის პარტიული ორგანიზაციის კრების ჩასატარებლად. აქ გააკეთა მოხსენება მომავალი პარტიული კონფერენციის მნიშვნელობაზე, მის როლსა და ამოცანებზე და გააცნო ორგანიზაციას პარტიაში არსებული ვითარება. კრებაზე გამოსულმა ადგილობრივი ორგანიზაციის წევრებმა ისაუბრეს იმ მძიმე პირობებზე, რომელშიაც დონის როსტოვის ორგანიზაციას უხდებოდა მუშაობა და გამოიტანეს რეზოლუცია, რომელიც მხარს უჭერდა ცენტრალური კომიტეტის თათბირის გადაწყვეტილებას პარტიული კონფერენციის მოწვევისა და რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ.

დონის როსტოვიდან ს. ორჯონიკიძე გაემგზავრა ბაქოში. ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომლის სათავეში იდგა სტეფანე შაუმიანი, უდიდეს დახმარებას უწევდა მას, რუსეთის საორგანიზაციო კომისიის ჩამოყალიბებისა და პარტიული კონფერენციის მოწვევის საქმეში. მიუხედავად მეფის ოხრანკის აგენტების დევნისა და მენშევიკ-ლიკვიდატორების ცდისა — მოეხდინათ არალეგალური პარტიული ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ბაქოს ორგანიზაციამ შეინარჩუნა თავისი სიცოცხლისუნარიანობა. ამ ორგანიზაციის მოსპობა შეუძლებელი იყო, „...რადგან ბაქოში სოციალ-დემოკრატიამ ღრმად გაიდგა ფესვები, და ამ ფესვების ამოგლეჯა შეუძლებელია — სწერდა ორჯონიკიძე „სოციალ-დემოკრატის" რედაქციას — მუშათა მოძრაობის ყველა გამოვლინებაში ბაქოს ორგანიზაცია აქტიურ მონაწილეობას იღებდა, იგი ბაქოში იყო მასობრივი პარტია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით" (4).

1911 წლის 3 აგვისტოს ბალახანში გაიმართა ბაქოს პარტიული კომიტეტის სხდომა, რომელზედაც ს. ორჯონიკიძემ გააკეთა მოხსენება პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. მან კომიტეტის წევრებს გააცნო ცენტრალური კომიტეტის თათბირის გადაწყვეტილება, პარტიული კონფერენციის მოწვევის აუცილებლობის შესახებ, რომელსაც საზღვარი უნდა დაედო დაქსაქსულობისათვის და განედევნა ლიკვიდატორები პარტიიდან. ს. ორჯონიკიძემ ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოს კომიტეტს გააცნო აგრეთვე ცკ-ის გადაწყვეტილება რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ, რომელსაც კონფერენციის მოწვევისათვის მთელი საორგანიზაციო მუშაობის ჩატარება უნდა ეკისრა. მეფის ოხრანკის აგენტები ბაქოს კომიტეტის ამ სხდომის შესახებ ატყობინებდნენ თავიანთ უფროსებს: ...„სერგო“ აგვისტოში დაესწრო ბაქოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას ბალახანში, როგორც პარიზიდან ქ. ბაქოში მოვლენილი ცკ-ის მომხსენებელი და საორგანიზაციო კომისიის წევრი. ამ სხდომაზე იგი გამოვიდა მოხსენებით საზღვარგარეთულ საქმეებზე“ (6).

რსდმპ-ის ბაქოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, თავის სხდომაზე, სერგო ორჯონიკიძის მოხსენების გამო, მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ ქვეყნის საერთო-პოლიტიკური მდგომარეობა, მუშათა მოძრაობის აღმავლობა, შინაპარტიული ამბები, აუცილებელს ხდიან საერთო-პარტიულ კონფერენციის, რაც შეიძლება სასწრაფოდ მოწვევას. რეზოლუცია მოუწოდებდა რსდმპ არალეგალური დროშის ერთგულ რუსეთისა და საზღვარგარეთულ ორგანიზაციებს მორალური და მატერიალური დახმარება გაეწიათ რუსეთის საორგანიზაციო კომისიისათვის. ბაქოს კომიტეტი, ამავე დროს, თვლიდა, რომ კონფერენციისათვის მზადების მთელი მუშაობა უნდა გადასულიყო რუსეთის საორგანიზაციო კომისიის ხელში, რომელიც შედგენილი იქნებოდა ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. „თავის მხრივ ბაქოს კომიტეტი მოუწოდებს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შესაქმნელად“ (5).

ბაქოდან ს. ორჯონიკიძე თბილისში ჩამოვიდა. ამ დროს თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში არასასურველი მდგომარეობა იყო შექმნილი: ლიკვიდატორული თბილისის საოლქო კომიტეტში არავითარ არალეგალურ მუშაობას არ ეწეოდნენ, პირიქით, ხელს უშლიდნენ არალეგალური პარტიული ორგანიზაციის აღდგენის საქმეს, ცდილობდნენ ჩაეშალათ ს. ორჯონიკიძის საქმიანობა თბილისში. გარდა ლიკვიდატორული ორგანიზაციებისა, თბილისში არსებობდა კიდევ სამი ჯგუფი. პირველი იყო რსდმპ თბილისის ჯგუფის „ხელმძღვანელი წრე“, რომელიც უმთავრესად მუშებისაგან შედგებოდა, და რომლის სათავეში იდგა ს. სპანდარიანი. ეს ჯგუფი, როგორც აღვნიშნეთ, 1911 წლის დამდეგს შეიქმნა და შედგებოდა რამდენიმე უჯრედისაგან. მისი წევრები რეგულარულად იკრიბებოდნენ, იღებდნენ და ეცნობოდნენ პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ „სოციალ-დემოკრატს“ და „რაბოჩაია გაზეტას“. „ხელმძღვანელი წრე“, ს. სპანდარიანის მეთაურობით, იბრძოდა არალეგალური პარტიული ორგანიზაციების აღდგენისათვის, მას უშუალო კავშირი ჰქონდა დამყარებული „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციასთან და პირადად ლენინთან. მეორე ჯგუფი, რომელიც „ტექნიკური კომისიის“ სახელწოდებით გამოდიოდა, ეწეოდა ლეგალური ლიტერატურის გავრცელებას. მესამე ჯგუფი, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა 45 კაცს, მუშაობას აწარმოებდა, ძირითადად, უპარტიო დაწესებულებებში. ამ უკანასკნელ ჯგუფს პირველ ხანებში კავშირი ჰქონდა თბილისის კომიტეტთან, მაგრამ შემდგომში მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა „ხელმძღვანელ წრესთან“. ს. ორჯონიკიძე ჩამოსვლისთანავე დაუკავშირდა სამივე ჯგუფს, მაგრამ ლიკვიდატორული თბილისის კომიტეტი, რომელიც მხარს უჭერდა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს და რომელშიაც ლიკვიდატორებმა

ძოიკალათეს, არ აძლევდა მას საშუალებას, გამოსულიყო სამივე ჯგუფის გაერთიანებულ კრებაზე. ს. ორჯონიკიძეს ლენინური დავალების შესრულების საქმეში დიდი დახმარება აღმოუჩინა ს. სპანდარიანმა, რომლის მეშვეობითაც მან მოახერხა „ხელმძღვანელი წრისა“ და ტექნიკური კომისიის გაერთიანებული კრების მოწვევა, ამ კრებას ესწრებოდნენ თბილისის კომიტეტის წარმომადგენლებიც, რომლებმაც მუშების შეკითხვაზე, თუ რაში გამოიხატებოდა მათი მუშაობა, ცინიკურად განაცხადეს, რომ ისინი კმაყოფილდებოდნენ ლეგალური ლიტერატურის გავრცელებით, ლიკვიდატორების წარმომადგენლმა — წერდა ს. ორჯონიკიძე გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციას, — „...ისეთი უსინდისო დემაგოგია გააჩაღა, რომ ამაზე შეჩერება თავის დამცირებად მიმაჩნია, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ამხ. თავმჯდომარე იძულებული იყო რამდენჯერმე მიეცა შენიშვნა ამ წარმომადგენლისათვის“ (5).

ს. ორჯონიკიძემ ვრცელი მოხსენება გააკეთა თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის კრებაზე, რომელიც შედგა კოჯრის გორაზე (ამჟამად კომკავშირის ხეივანი), მოხსენებაში ილაპარაკა პარტიაში არსებულ არანორმალურ მდგომარეობაზე და პარტიული კონფერენციის მოწვევის აუცილებლობაზე. რსდმპ-ის თბილისის ჯგუფის „ხელმძღვანელმა წრემ“ მთლიანად დაუჭირა მხარი ლენინურ გადაწყვეტილებას პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ. მიიღო სათანადო რეზოლუცია და გამოჰყო წარმომადგენელი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობაში. სერგო ორჯონიკიძის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ:

„...მოისმინა რა მოხსენება საერთო-პარტიული კონფერენციის შესახებ, რსდმპ თბილისის ჯგუფის არჩევითი ხელმძღვანელი წრე, მხურვალედ მიესალმება საორგანიზაციო კომისიის წამოწყებას და ყველა მის მოქმედებას, რომელიც მიმართულია პარტიული ცენტრებისა და ორგანოების აღდგენისაკენ. არჩევით ხელმძღვანელ წრეს მიაჩნია, რომ ბუნებრივი გამოსავალი პარტიული ცხოვრების შექმნილი კრიზისიდან არის საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევა, რომელიც საფუძველს ჩაუყრის რსდმ პარტიის დროშისადმი ყველა ერთგული ორგანიზაციების გაერთიანებას და აგრეთვე ბოლოს მოუღებს ყოველგვარ იდეურსა და ორგანიზაციულ მერყეობას (ლიკვიდატორობა, ოტზოვიზმი, ღვთისმშენებლობა და ა. შ.). ხელმძღვანელი წრე თავის მხრივ გააკეთებს ყოველივე შესაძლებელს, რათა ხელი შეუწყოს საორგანიზაციო კომისიის მოქმედებას საერთო-პარტიული კონფერენციის მოსაწვევად და მტკიცედ სჯერა, რომ დანარჩენი ადგილობრივი და საზღვარგარეთული ორგანიზაციები, რომლებიც რევოლუციური მარქსიზმის ნიადაგზე დგანან, გამოეხმაურებიან ჩვენი არალეგალური პროლეტარული პარტიის აღდგენისა და გაერთიანების ამ მოწოდებას“ (5).

საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევას მხარი დაუჭირა და ანალოგიური რეზოლუცია მიიღო თბილისის სოციალ-დემოკრატთა ლეგალურმა ჯგუფმა. თბილისიდან სერგო ორჯონიკიძე დაბრუნდა ბაქოში, ხოლო სექტემბრის დასაწყისში კვლავ მოუხდა წასვლა დონის როსტოვში, რადგან ლიკვიდატორებმა, ბუნდელებთან და ვპერიოდელებთან ერთად განიზრახეს ჩაეშალათ პარტიული კონფერენციისათვის ბოლშევიკებისა და მენშევიკ-პარტიელების მიერ გაწეული მუშაობა. ამ მიზნით მათ რუსეთში გამოგზავნეს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს, იგივე ტროცკისტული „პრავდის“ წარმომადგენელი, რათა მოეწვიათ დამოუკიდებელი ტროცკის-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტული კონფერენცია. ეს წარმომადგენელი გამოვიდა რამდენიმე ადგილობრივ ორგანიზაციაში — ბაქოში, კიევში, როსტოვში, სადაც შეეცადა შეექმნა დამოუკიდებელი საორგანიზაციო კომისია, მაგრამ ორგანიზაციები მას არ გაყვნენ.

ჟანდარმერია, როგორც ირკვევა, ძლიერ ყოფილა დაინტერესებული რუსეთის საორგანიზაციო კომისიისა და კერძოდ, სერგო ორჯონიკიძის მოღვაწეობით. აგენტები ფეხდაფეხ დასდევდნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს მისი ხელთ ჩაგდება. როსტოვში გამგზავრებისა და როსტოვის პარტიული ორგანიზაციის კრების მოწვევის გამო, დონის ოხრანკის განყოფილების უფროსი 1911 წლის 2 დეკემბრის მიმართვაში თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოსადმი, ატყობინებდა აგენტურის ცნობას იმის შესახებ, რომ „...ამა წლის სექტემბრის შუა რიცხვებში კავკასიიდან დონის როსტოვში ჩამოვიდა პარტიული კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის საზღვარგარეთული სოციალ-დემოკრატიის ვიღაც წარმომადგენელი და მოიწვია იქ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წევრთა კრება, რომელზედაც გამოვიდა წინადადებით, შეემუშავებინათ რეზოლუცია საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის საკითხზე.

ამ საზღვარგარეთელი წარმომადგენლის სიტყვებით ამგვარივე კრებები მოუწვევია მას თბილისსა და ბაქოში, სადაც მიუღიათ რეზოლუციები „საორგანიზაციო კომისიის“ კანონიერებისა და კონფერენციის იდეების ცხოვრებაში გასატარებლად მისი უფლებამოსილების შესახებ“ (7).

სერგო ორჯონიკიძეს, როგორც საზღვარგარეთის საორგანიზაციო კომისიის რწმუნებულს, რთულ ვითარებაში უხდებოდა მუშაობა. მუშაობას ართულებდა არა მარტო ის მდგომარეობა, რომ პოლიცია კვალდაკვალ სდევნიდა მას და ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებს და მათ შეპყრობას ცდილობდა; არც ის, რომ ადგილობრივი ლიკვიდატორები — ანტიპარტიულ მოქმედებას ეწეოდნენ, არამედ ისიც, რომ საზღვარგარეთის საორგანიზაციო და ტექნიკურ კომისიებში მოიკალათეს შემარიგებლებმა, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩაეშალათ რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნის საქმე. იმის გამო, რომ ი. ბ. სტალინი გადასახლებაში იმყოფებოდა, ს. სპანდარიანი კი ამ დროს მუშაობდა ამიერკავკასიასა და რუსეთში, საზღვარგარეთის საორგანიზაციო კომისიაში ბოლშევიკების პოზიციის დაცვა უხდებოდა მხოლოდ ვლადიმირსკის. საორგანიზაციო კომისიის სხდომები ხშირად მხოლოდ შემარიგებელთა თანდასწრებით ტარდებოდა. რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მუშაობას ართულებდა აგრეთვე ის მდგომარეობა, რომ ბრკოლდებოდა მიმოწერა ორგანიზაციებს შორის. ს. ორჯონიკიძის მიერ საზღვარგარეთის საორგანიზაციო და ტექნიკური კომისიების სახელზე გაგზავნილი წერილები უპასუხოდ რჩებოდა, ამავე დროს საჭირო იყო სახსრები რუსეთის სხვადასხვა მხარეებში მგზავრობისა და საორგანიზაციო კომისიის შექმნის დასაჩქარებლად. თანხებს კი აღარ უგზავნიდნენ. უპასუხოდ დარჩა წერილიც, რომელშიც იგი აღშფოთებას გამოთქვამდა საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის ასეთი გულგრილი დამოკიდებულების გამო.

ცენტრალური კომიტეტის ივნისის თათბირის გადაწყვეტილებას, სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მოწვევისა და რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ, მხარი დაუჭირეს პეტერბურგისა და მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციებმაც. პეტერბურგის არალეგალურად მო-

მუშავე სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფებმა თავიანთ კრებაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნული იყო: „...კრება გამოთქვამს თანხმობას მონაწილეობა მიიღოს, როგორც საორგანიზაციო კომისიის მიერ კონფერენციის მოსაწვევ მზადებაში, ასევე თვით კონფერენციაში“ (5). ამავე დროს პეტერბურგელი ამხანაგები პირდაპირ გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებას იმის შესახებ, რომ მთელი მოსამზადებელი მუშაობა და თვით კონფერენციის მოწვევა ყველაზე უფრო შეუძლია რუსეთში ადგილობრივ მუშაკებისაგან“... ამ მიზნისათვის სპეციალურად შექმნილ საორგანიზაციო კომისიას. ამიტომ მას მიაჩნია, რომ უწინარეს ყოვლისა, რუსეთში უნდა შეიქმნას საერთო-პარტიული კონფერენციის მომწვევი ასეთი დროებითი საორგანიზაციო კომისია იმ ადგილობრივი ჯგუფებისა და უჯრედების წარმომადგენელთაგან, რომლებიც ამჟამად სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას ეწევიან“ (5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1911 წლის სექტემბრის დამლევისათვის რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნისათვის გაწეული დიდი მუშაობა დაგვირგვინდა წარმატებით, რუსეთის სხვადასხვა მხრიდან პარტიული ორგანიზაციების დელეგატები გამოემგზავრნენ ბაქოსაკენ, სადაც უნდა მომხდარიყო რუსეთის საორგანიზაციო კომისიის დაფუძნება, მაგრამ ყველა დელეგატმა ვერ შეძლო მიღწევა ბაქომდე. პეტერბურგის ორგანიზაციის დელეგატი მეფის ოხრანკამ დააპატიმრა. ბაქოში შეძლო ჩამოსვლა და შეიკრიბა ხუთი ორგანიზაციის — კიევის, ეკატერინოსლავის, ბაქოს, თბილისის და ეკატერინბურგის დელეგატები.

სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის პირველი სხდომა გაიხსნა ბაქოში (საბუნჩი), 1911 წლის 29 სექტემბერს. მას ესწრებოდნენ: საზღვარგარეთის საორგანიზაციო კომისიის რწმუნებული ს. ორჯონიკიძე, ბაქოს ორგანიზაციიდან სტ. შაუმიანი, თბილისის ორგანიზაციიდან ს. სპანდარიანი, ეკატერინბურგიდან — ი. შვარცი, საორგანიზაციო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი ორგანიზაციის სხვა წარმომადგენლებიც. რუსეთის საორგანიზაციო კომისიას ჰქონდა სულ სამი სხდომა, პირველი სხდომა ჩატარდა ბაქოში, ხოლო ორი უკანასკნელი — თბილისში. პირველ სხდომაზე, თავმჯდომარის არჩევის შემდეგ, მოსმენილი იქნა დელეგატების მოხსენებები ადგილებიდან და აგრეთვე საზღვარგარეთის საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენლის ს. ორჯონიკიძის მოხსენება პეტერბურგში, მოსკოვში, როსტოვში, სორმოვოსა და ნიჟნინოვგოროდში პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. სხდომაზევე იქნა განხილული საკითხი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის კონსტიტუირების, მისი დაფუძნების შესახებ. იმავე ღამეს ბაქოში მიმდინარეობდა ბაქოს კომიტეტის სხდომა სტ. შაუმიანის მეთაურობით, ამ სხდომას ესწრებოდა ს. ორჯონიკიძე, პოლიციამ მიაგნო კომიტეტის სხდომის კვალს, ვარშემოერტყა მას და 30 სექტემბერს ღამით დააპატიმრა ბაქოს კომიტეტის მთელი შემადგენლობა, მათ შორის სტ. შაუმიანიც. ს. ორჯონიკიძე შემთხვევით გადარჩა დაპატიმრებას. ამის შემდეგ ს. ორჯონიკიძემ, კონსპირაციის მიზნით, პირველი სხდომის ოქმები მოსპო და წინადადება შეიტანა, სხდომები გადაეტანათ თბილისში. მეორე და მესამე სხდომა ჩატარებული იქნა ძველი ბოლშევიკი ქალის — ელენა სტასოვას ბინაზე.

საერთო-რუსეთის პარტიული კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის სხდომების ანგარიში ს. ორჯონიკიძემ გამოაქვეყნა

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ორგანოში — გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ (№ 25, 1911 წლის 8/21 დეკემბერს).

როგორც კიევის დელეგატმა აღნიშნა, ეკატერინოსლავში საქარხნო ჯგუფმა გამოუშვა პექტოგრაფზე დაბეჭდილი საპირველმაისო ფურცელი. დელეგატის განცხადების თანახმად, ეკატერინოსლავში, ბოლშევიკები და მენშევიკ-პარტიელები შეთანხმებულად მუშაობენ და მთელ თავიანთ ძალებს არალეგალურ რსდმპ აღორძინებისაკენ წარმართავენ, დაძაბულ ბრძოლას ეწევიან ლიკვიდატორების წინააღმდეგ. კიევის დელეგატმა აცნობა სხდომას, რომ ეკატერინოსლავის ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა ცენტრალური კომიტეტის თათბირის გადაწყვეტილებას პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ და მისცა რწმუნება მას (კიევის წარმომადგენელს), ეკისრა რუსეთის საორგანიზაციო კომისიაში ეკატერინოსლავის წარმომადგენლობაც. თავის ანგარიშში ს. ორჯონიკიძეს მოჰყავს ეკატერინბურგის დელეგატის მოხსენების მოკლე შინაარსი ურალის პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ და ხაზს უსვამს იმას, რომ ეკატერინბურგში, უფაში, პერმში და ურალის სხვა ქალაქებში არსებობს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფები სოციალ-დემოკრატებისა 40-50 კაცის შემადგენლობით, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ქარხნებთან. მაგრამ ურალის მდგომარეობის თავისებურება, მისი სიშორე ცენტრალური რუსეთიდან, ცარიზმის ოხრანკის რეპრესიები არ იძლევიან ამ ჯგუფების გაერთიანების საშუალებას. მიუხედავად ამისა, მუშები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი, ღებულობენ „რაბოჩაია გაზეტას“ და სხვა. ეყრდნობიან რა ძლიერ ლიტერატურულ ძალებს, აღნიშნავს ს. ორჯონიკიძე თავის ანგარიშში სხდომის შესახებ, ურალის ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს გამოუშვან არალეგალური საოლქო გაზეთი. მენშევიკები ურალში ცოტაა, ხოლო დანარჩენნი აწარმოებენ ერთსულოვან მუშაობას ბოლშევიკებთან. ურალის ორგანიზაციებმა სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მოწვევის საკითხში მხარი დაუჭირეს ცენტრალური კომიტეტის თათბირს და მიიღეს სათანადო რეზოლუცია.

ბაქოს ორგანიზაციის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სტ. შაუმიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ ბაქოს ორგანიზაციამ შეინარჩუნა არსებობა, მიუხედავად ცარიზმის ოხრანკის აგენტების რეპრესიებისა, მათ ვერ შეძლეს გაენადგურებინათ ბაქოს ორგანიზაცია, მან ღრმად გაიდგა ფესვი მასებში. ბაქოს ორგანიზაცია მონაწილეობას იღებდა მუშათა მოძრაობის ყველა გამოვლინებაში, ის წარმოადგენდა მასობრივ პარტიას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ს. ორჯონიკიძე თავის ანგარიშში წერს, რომ მას არ აქვს საშუალება წარმოადგინოს მთლიანად ბაქოს ორგანიზაციის მუშაობის მრავალფეროვანი სურათი, რომლითაც ასე მდიდარია მისი ცხოვრება.

ს. ორჯონიკიძის მიერ „სოციალ-დემოკრატში“ გამოქვეყნებული სხდომის ანგარიშის მიხედვით 1911 წლის დასაწყისში ბაქოში არსებობდა ორი პარალელური ორგანიზაცია, ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტი და მენშევიკთა ხელმძღვანელი კოლექტივი. პირველ ხანებში გაერთიანება ბრკოლდებოდა ლიკვიდატორთა ანტიპარტიული მოქმედების გამო, მაგრამ როდესაც მენშევიკ-პარტიელებმა პარტიულობის დაცვა დაიწყეს, მიუხედავად ლიკვიდატორთა წინააღმდეგობებისა, შესაძლებელი გახდა 1911 წლის დასაწყისში ორივე ორგანიზაცია თანაბარი წარმომადგენლობის საფუძველზე გაერთიანებულიყო. გაერთიანების ძირითად პლატფორმად აღიარებული იქნა ბრძოლის წარმოება

ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების წინააღმდეგ არალეგალური რსდმპ-ის აღდგენისათვის. ს. ორჯონიკიძის ანგარიშში მხილებულ იქნა აგრეთვე ამიერკავკასიის ლიკვიდატორული საოლქო კომიტეტის ანტიპარტიული მოქმედება, რომელიც ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროსა და ტროცკის „პრავდის" წარმომადგენელთან ერთად შეეცადა ბაქოში შეექმნა მეორე საორგანიზაციო კომისია, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო.

თბილისის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ს. სპანდარიანი, რომელმაც დაწვრილებით ილაპარაკა სოციალ-დემოკრატთა თბილისის ჯგუფის მუშაობაზე, მის წარმოშობაზე. ს. სპანდარიანმა წარმოადგინა ცნობა ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობაზე. ამ ცნობის თანახმად, თბილისში ს. დ. ჯგუფი ჩამოყალიბდა 1911 წლის დასაწყისში, რომელმაც ხელი მოჰკიდა ადგილობრივი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აღდგენის საქმეს, დააარსა რამდენიმე პარტიული უჯრედი. ჯგუფი თავდაპირველად იწოდებოდა „რსდმპ-ის თბილისის ორგანიზაციის აღდგენის საორგანიზაციო კომისიად", ამ ჯგუფმა გამოუშვა და ფართოდ გაავრცელა საპირველმაისო ფურცელი, აგრეთვე, ფურცელი რუსულ და სომხურ ენებზე. განზრახული ჰქონდათ, ფურცელი გამოშვებულიყო ქართულ ენაზეც. ჯგუფის მთელ მუშაობას უძღვებოდა უჯრედებიდან არჩეული ხელმძღვანელი წრე. საპირველმაისო ფურცლის გამოშვებასთან ერთად თავი წამოყო „თბილისის კომიტეტმა", რომელიც არავის აურჩევია და რომელსაც მანამდე არავინ იცნობდა. ჯგუფმა გადადგა ნაბიჯი „თბილისის კომიტეტთან" გასაერთიანებლად, მაგრამ ამ უკანასკნელმა, რომელიც ლიკვიდატორული შემადგენლობისა იყო, არ ისურვა ჯგუფთან ერთად მუშაობა არალეგალური სოციალ-დემოკრატიის აღდგენისათვის. ს. სპანდარიანის მიერ მხილებულ იქნა თბილისისა და საოლქო კომიტეტების ლიკვიდატორულ-დეზორგანიზატორული მუშაობა, რომლებმაც მუშათა წინაშე გამოავლინეს თავიანთი ანტიპარტიული სახე... მათ სავსებით ჩამოიშორეს რუსი მუშები, რომლებიც რკინიგზის სახელოსნოებში მუშაობდნენ, მაშინ როდესაც ისინი თავის დროზე თბილისის ორგანიზაციის სიამაყეს წარმოადგენდნენ (4).

პეტერბურგის, მოსკოვის, როსტოვის, სორმოვოს და ნიჟნი-ნოვგოროდის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ს. ორჯონიკიძემ, რომელმაც აღნიშნა პეტერბურგელი ამხანაგების მუშაობის მძიმე პირობები, სადაც მეფის ოხრანკის აგენტები ყოველდღიურად აპატიმრებდნენ პარტიულ მუშაკებს, მიუხედავად ამ მძიმე პირობებისა, პეტერბურგის თითქმის ყველა რაიონში არსებობდა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ წრეებს და მუშაობას აწარმოებდნენ სხვადასხვა მუშათა დაწესებულებებში. 1911 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა, რამდენიმე მასობრივი მიტინგის ჩატარება. ამ მიტინგებზე გამოდიოდნენ მუშები მიმდინარე ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე და მოუწოდებდნენ არალეგალური სოციალ-დემოკრატიული მუშაობის გაძლიერებისაკენ. ს. ორჯონიკიძე აღნიშნავდა, რომ მიმდინარე წელს პეტერბურგის ორგანიზაციამ ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი რამდენიმე ფურცელი გამოუშვა. „...კონფერენციის მოწვევის საკითხი ამხანაგებმა, რომლებიც თათბირის თვალსაზრისს იზიარებენ, დააყენეს მთელი სიფართოვით. საკითხი განიხილა პეტერის ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონმა, როგორც არალეგალურმა, ასევე სხვა მუშათა ორგანიზაციების მუშაკებმა და მიღებულ იქნა დიდი თანაგრძნობით“ (4).

რუსეთის საორგანიზაციო კომისიას მხარი დაუჭირეს მოსკოვის ბ[illegible] რაიონის ორგანიზაციებმა და გამოყვეს თავიანთი დელეგატი მის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

დელეგატების კითხვებზე მომხსენებლის მიერ პასუხის გაცემის შემდეგ დაყენებული იქნა საკითხი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის კონსტიტუირების შესახებ, ერთ-ერთმა დამსწრეთაგანმა შემოიტანა წინადადება „დაეცადათ“, რადგან, მისი აზრით, პასუხისმგებლობა მეტად მძიმე და დიდი იყო. კამათში გამოსული ყველა დელეგატი მოითხოვდა კრებას თავი გამოეცხადებინა რუსეთის საორგანიზაციო კომისიად. რეზოლუციაში „კონსტიტუირების შესახებ“ აღნიშნული იყო, რომ მიღებული იქნა ყველა ღონისძიება, რათა უზრუნველეყოფილიყო რუსეთში არსებული თითქმის ყველა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირში მონაწილეობა, რომ სხდომა მიმდინარეობს ერთ-ერთი უძველესი მუშათა პარტიული ცენტრის მოღვაწეთა და ძველ მუშაკთა მონაწილეობით (იგულისხმება ბაქოს ორგანიზაცია — ს. ჩ.) და რომ, ამდენად, თათბირი ნამდვილად წარმოადგენს პარტიაში არსებული მდგომარეობის სრულ ასახვას. აღნიშნულის შედეგად „...დელეგატთა (ბაქოს, თბილისის, კიევის, ეკატერინოსლავის, ეკატერინბურგის ორგანიზაციების) კრებას თავის მოვალეობად მიაჩნია ჩამოყალიბდეს კონფერენციის მომწვევ საორგანიზაციო კომისიად. მიიღოს ყველა ღონისძიება თავისი შემადგენლობის შესავსებად და ქმედითად მოჰკიდოს ხელი კონფერენციის მომზადებასა და მოწვევას“. (8, 118).

რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მეორე სხდომა გაიმართა თბილისში, ე. სტასოვას ბინაზე. დღის წესრიგში იდგა საზღვარგარეთის საორგანიზაციო და ტექნიკური კომისიებისადმი დამოკიდებულების საკითხი. ამ საკითხმა ცხარე კამათი გამოიწვია. თითქმის ყველა მონაწილე ამტკიცებდა, რომ თათბირმა გააკეთა უდიდესი საქმე რუსული ცენტრის აღდგენით, რომ საზღვარგარეთის საორგანიზაციო კომისიის არსებობა არავითარ სარგებლობას არ მოუტანს რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მუშაობას, პირიქით, ის ხელს შეუშლის ადგილობრივი ორგანიზაციების ჩაბმის საქმეს პარტიულ კონფერენციის მოწვევისათვის ბრძოლაში. ამიტომ კამათში გამოსული ამხანაგები მოითხოვდნენ მის დაშლას.

ს. ორჯონიკიძემ გაიზიარა დელეგატების უარყოფითი შეხედულება საზღვარგარეთის საორგანიზაციო კომისიაზე და მოითხოვა საზღვარგარეთის საორგანიზაციო კომისიის დაქვემდებარება რუსეთის საორგანიზაციო კომისიისადმი. რეზოლუციაც მიღებული იქნა მისი წინადადებით, რომელშიაც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ რუსეთის საორგანიზაციო კომისია იღებს თავის თავზე საერთო პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის მთელს მოსამზადებელ მუშაობას და მიუთითებს საზღვარგარეთის საორგანიზაციო და ტექნიკურ კომისიებს, „...რომ მომავალში რუსეთის საორგანიზაციო კომისიის თანხმობისა და მითითების გარეშე დაუშვებელია რაიმე ლიტერატურული თუ სხვა სახის გამოსვლები და აგრეთვე, პარტიული ფულის ხარჯვა“ (8, 168).

როგორც ვხედავთ, რევოლუციური სიტუაციის ობიექტურობის ლენინური დებულების გაგება აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ეს საკითხი შემდგომ შესწავლას საჭიროებს. ნაშრომში „II ინტერნაციონალის კრახი“, რევოლუციური სიტუაციის დახასიათებისას, გარკვეული მიზეზების გამო, ლენინი ყურადღებას ამახვილებს რევოლუციური სიტუაციის ნიშნებზე, რევოლუციურ სიტუაციას განსაზღვრავს, როგორც ობიექტურ ცვლილებათა (მისი ნიშნების) ერთობლიობას. მაგრამ, ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, თუ რა სფეროში ხდება ეს ობიექტური ცვლილებანი, რას ცვლიან ისინი და რა ხასიათდება ამ ძირითადი ნიშნებით.

რევოლუციური სიტუაცია არის ობიექტურ ცვლილებათა ერთობლიობა სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში, კლასობრივ ძალთა განლაგებაში, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის რევოლუციისათვის. ესაა პოლიტიკური სიტუაციის სახეობა და მისი ობიექტურობა გაგებულ უნდა იქნას, როგორც პოლიტიკური სიტუაციის ობიექტურობა. რევოლუციური სიტუაცია არის გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, რომელიც ობიექტურია არა მარტო მო-

ცემული სუბიექტისათვის, მოცემული კლასისათვის, პარტიისათვის და ა. შ., არამედ საერთოდ ყველა კლასისა და პარტიისათვის. რევოლუციური სიტუაცია ყალიბდება ობიექტურად. არც ერთ კლასს ან პარტიას არ შეუძლია თავისი ნება-სურვილის მიხედვით თავიდან აიცილოს ან გამოიწვიოს რევოლუციური სიტუაციის შექმნა. მისი ჩამოყალიბება და არსებობა არაა დამოკიდებული ცალკეული კლასებისა და პარტიების ნებაზე, მაგრამ, ამავე დროს, ის შედეგია ყველა კლასის, ყველა პარტიისა და ჯგუფის მოქმედებისა, წარმოადგენს „საერთო ტოლქმედს". ფ. ენგელსი აღნიშნავდა: „ისტორია ისე იქმნება, რომ საბოლოო შედეგი მუდამ მრავალ ცალკეულ ნებისყოფათა კონფლიქტიდან მიიღება... ამრიგად, არსებობენ უამრავი ურთიერთგადაჯვარედინებული ძალები, ძალთა პარალელოგრამების დაუსრულებელი ჯგუფი, საიდანაც გამომდინარეობს საერთო ტოლქმედი — ისტორიული მოვლენა" (3, 593).

რა თქმა უნდა, იდეოლოგიური, კერძოდ, პოლიტიკური ურთიერთობანი არ არსებობენ ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. სანამ ჩამოყალიბდებოდნენ, ისინი გაივლიან ადამიანთა ცნობიერებაში, მაგრამ მასების, კლასებისა და სხვა სოციალური ჯგუფების საზოგადოებრივ საქმიანობაში იდეოლოგიური საზოგადოებრივი ურთიერთობანი იძენენ არსებობის ობიექტურ ფორმას.

რევოლუციური სიტუაცია ობიექტურია ისევე, როგორც ყოველი პოლიტიკური სიტუაცია. ვ. ი. ლენინი წერდა ობიექტური პოლიტიკური სიტუაციის შეუბრალებელი ლოგიკის შესახებ (19, 236), მიუთითებდა, რომ „პოლიტიკას თავისი ობიექტური ლოგიკა აქვს, რომელიც ამა თუ იმ პირის თუ პარტიის განზრახვაზე არ არის დამოკიდებული" (20, 453). რევოლუციური სიტუაცია, ისევე როგორც ნებისმიერი პოლიტიკური სიტუაცია, ხასიათდება კლასობრივ ძალთა გარკვეული თანაფარდობითა და განლაგებით, რომელსაც ზუსტად ასახავს ლენინის ცნობილი მოკლე ფორმულა: „ზედაფენებს" აღარ შეუძლიათ, ხოლო „ქვედაფენებს" აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება.

რევოლუციური სიტუაცია პოლიტიკური გამოხატულებაა ახალ საწარმოო ძალებსა და დრომოჭმულ წარმოებით ურთიერთობებს შორის გამწვავებული წინააღმდეგობისა. წარმოების წესის წინააღმდეგობანი გარდუვალად აისახება სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში, მაგრამ ეს ასახვა არ არის ავტომატური და მყისიერი. რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბების დრო მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარების საკუთარ ლოგიკაზე, რომელიც მხოლოდ საბოლოო ანგარიშითაა განსაზღვრული ეკონომიკით.

რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბებისა და მომწიფების მექანიზმის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტურისა და სუბიექტურის დიალექტიკის სწორ განსაზღვრას ამ პროცესის დროს. ზოგიერთი ავტორის აზრით, რევოლუციური სიტუაცია რევოლუციური პროცესის განვითარების ისეთი ეტაპია, რომელიც იქმნება ობიექტური ფაქტორების მოქმედების შედეგად, ე. ი. ისინი, არსებითად, გამორიცხავენ სუბიექტური ფაქტორის მონაწილეობას რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბებაში. ასეთი თვალსაზრისის თანახმად, რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრების ერთობლიობა მიიღწევა რევოლუციური პროცესის განვითარების მომდევნო ეტაპზე, როცა ობიექტურ ცვლილებებს — რევოლუციურ სიტუაციას — ემატება სუბიექტური ცვლილებანი — რევოლუციის სუბიექტური ფაქტორი, რომე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც „უერთდება“ რევოლუციურ სიტუაციას; მათი „შეერთებით“ ვიღებთ საერთო-ეროვნულ კრიზისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგიკურად ასეთი სქემა უაღრესად მწყობრი, ნათელი და მოსახერხებელია, მაგრამ იგი ადეკვატურად ვერ ასახავს რევოლუციური პროცესის განვითარებას, რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბებისა და მომწიფების დიალექტიკას. უფრო სწორია იმ მკვლევართა (რ. ნ. ბლიუმი, ლ. გ. მოსკოვსკიხი, ტ. ვ. მიშატკინა, გ. ა. ტიტოვა და პ. მ. ეგიდესი, ე. დ. ჩერმენსკი და სხვ.) პოზიცია, რომლებიც რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბებასა და მომწიფებას განიხილავენ, როგორც ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა ურთიერთმოქმედების რთულ პროცესს.

ლენინური დებულება, რომ რევოლუციური სიტუაციის შექმნა დამოკიდებული არაა ცალკეული კლასების, პარტიებისა და ჯგუფების ნებაზე, არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბება ხდებოდეს ამ კლასებისა და პარტიების მონაწილეობის გარეშე. რევოლუციური სიტუაციის ობიექტურობის აბსოლუტიზაცია, რევოლუციის ობიექტურ და სუბიექტურ წანამძღვართა დაპირისპირება არ იქნება მართებული. რევოლუციური სიტუაციის ობიექტურობის ფაქტიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ მის ჩამოყალიბებაში ადამიანთა მოქმედება არავითარ როლს არ ასრულებს. სოციალური კანონების ობიექტურობა, მათი დამოუკიდებლობა ადამიანთა ცნობიერებისა და ნებისაგან არ ნიშნავს, რომ ისინი არსებობენ ამ ადამიანთა საქმიანობის მიღმა და მის გარეშე.

არ შეიძლება ერთმანეთისაგან გაუვალი კედლით გავმიჯნოთ და, მით უმეტეს, ერთმანეთს დავუპირისპიროთ, ერთი მხრივ, რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბება და, მეორე მხრივ, რევოლუციის სუბიექტური ფაქტორის მომწიფება, რევოლუციის პოლიტიკური არმიის ფორმირების პროცესი. მარქსისტულ-ლენინური პარტიის საქმიანობა სოციალისტურ რევოლუციასთან მასების მიყვანის გზებისა და ფორმების გამოსანახად, რევოლუციის პოლიტიკური არმიის შესაქმნელად, მშრომელთა უმრავლესობის მისამხრობად, ამავე დროს, ნიშნავს მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში. სუბიექტური ხასიათის ცვლილებანი ადამიანთა ჯგუფების, კლასების პოლიტიკურ შეგნებაში, მათი რწმენის, განწყობილების შეცვლა გარდუვალად ვლინდება მათ მოქმედებაში და იწვევს ცვილებებს არსებულ ობიექტურ პოლიტიკურ სიტუაციაში.

რევოლუციური სიტუაციის შექმნა უკვე თავისთავად მოწმობს რევოლუციის სუბიექტური ფაქტორის სიმწიფის გარკვეულ დონეს. რევოლუციური სიტუაცია იქმნება მაშინ, როცა ხალხის ფართო მასები გამოდიან მორჩილებიდან და აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება, როცა მათი უკმაყოფილება მიმართულია არსებული წყობილების წინააღმდეგ.

რევოლუციური სიტუაცია არაა რაღაც გაყინული, გაქვავებული მდგომარეობა. ის გადის სიმწიფის გარკვეულ სტადიებს (თუმცა შეიძლება ისეც მოხდეს, რომ რევოლუციური სიტუაციის მომწიფების პროცესი ძლიერ გაჭიანურდეს ან ბოლომდე არც მივიდეს). რევოლუციურ სიტუაციას აქვს დასაწყისი და ზედა, უმაღლესი საზღვარი. ნაშრომში „II ინტერნაციონალის კრახი“, რევოლუციური სიტუაციის დახასიათებისას, ვ. ი. ლენინი, არსებითად, ლაპარაკობს მის საწყის სტადიაზე, ხოლო საერთო-ეროვნული კრიზისის დახასიათებისას, ნაშრომში „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“, იგი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტობრივად, ეხება რევოლუციური სიტუაციის ზედა საზღვარს, როცა ის სავსებით მომწიფებულია. კრიზისის საერთო-ეროვნული ხასიათის აღნიშვნისას ლენინი ხაზს უსვამდა მის სიღრმეს, მიუთითებდა, რომ კრიზისი ეხება პოლიტიკის ძირითად საკითხებს, მოიცავს მთელ ქვეყანას, „ზედაფენებს“ და ქვედაფენებსაც.

სოციალური რევოლუციის ტიპების განსხვავებასთან ერთად, აუცილებელია განვასხვაოთ რევოლუციური სიტუაციის ტიპებიც. ერთმანეთისაგან განირჩევა სხვადასხვა ტიპის რევოლუციების კლასობრივი შინაარსი და კლასობრივ ძალთა თანაფარდობა, განსხვავებულია მათ წინაშე მდგარი ამოცანების სიღრმე და ხასიათი. ასეთ პირობებში რევოლუციური სიტუაციის მხოლოდ ზოგადი ნიშნების აღნიშვნა საკმარისი არაა. რევოლუციური სიტუაციის ტიპების განსხვავების პრობლემა უკვე დაისვა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში: მ. ტ. ანდრიუშენკო და ა. დ. კოსიჩევი ერთმანეთისაგან განასხვავებენ რევოლუციურ სიტუაციებს სოციალისტური და ბურჟუაზიული რევოლუციების წინ.

არანაკლებ საყურადღებოა რევოლუციური სიტუაციის ფორმის პრობლემა. რევოლუციური სიტუაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც რევოლუციის ფორმისა და განვითარების გზის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. რა თქმა უნდა, რევოლუციურ სიტუაციას ყველა შემთხვევაში აქვს ერთი და იგივე ძირითადი ნიშნები, მაგრამ არსებობს განსხვავება მათი გამოვლინების ფორმაში, ჩამოყალიბების ტემპსა და ვადებში, აგრეთვე განვითარების მთელ რიგ თავისებურებებში.

ცალკე შეიძლება გამოვყოთ რევოლუციური სიტუაციის პრობლემა, ე. წ. „აღმავალი ხაზის“ (მრავალსაფეხურიანი) რევოლუციის დროს, როცა ხელისუფლება თანმიმდევრულად გადადის უფრო პროგრესული კლასის (ან კლასის ნაწილის) ხელში. ასეთი რევოლუცია (მისი ტიპური მაგალითია საფრანგეთის 1789 — 1794 წწ. რევოლუცია), არსებითად, შედგება დროის მცირე მონაკვეთში ერთიმეორის მიყოლებით განხორციელებული რამდენიმე პოლიტიკური რევოლუციისაგან, ყოველ მათგანს წინ უძღვის კლასობრივ ძალთა ხელახალი გადაჯგუფება, რევოლუციური სიტუაციის ხელახალი ჩამოყალიბება თუ სახეცვლილება.

უნდა შევეხოთ აგრეთვე რევოლუციური სიტუაციის ტერიტორიული საზღვრების პრობლემას. რევოლუციური სიტუაცია ყალიბდება რომელიმე სახელმწიფოს ფარგლებში და წარმოადგენს კლასობრივ ძალთა გარკვეულ თანაფარდობასა და განლაგებას ამ სახელმწიფოში. შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციური სიტუაცია არის შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური სიტუაციის სახეობა. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე რევოლუციური სიტუაციის მომწიფება არ მიმდინარეობს თანაბრად და ერთნაირად, შეიძლება არსებობდეს მნიშვნელოვანი განსხვავება ცალკეულ ნაწილებს შორის. მრავალეროვან სახელმწიფოში, როგორც წესი, არ შეიძლება ვილაპარაკოთ ერთ რევოლუციურ სიტუაციაზე, საერთო-სახელმწიფოებრივ რევოლუციურ სიტუაციაში გამოიყოფა ნაციონალური რევოლუციური სიტუაციები.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გვხვდება კატეგორიები „კონტინენტური რევოლუციური სიტუაცია“, „რეგიონალური რევოლუციური სიტუაცია“, „საერთაშორისო რევოლუციური სიტუაცია“. ზოგი ავტორი (ა. მ. კოვალიოვი, ტ. პ. ალატალუ, მ. ა. სელეზნიოვი) სპეციალურად ასაბუთებს ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციონალური (სახელმწიფოს ფარგლებში არსებული) რევოლუციური სიტუაციის ცნებასთან ერთად ზემოთ ჩამოთვლილი ცნებების შემოტანის აუცილებლობას (26; 33; 40). ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ის, რასაც უწოდებენ კონტინენტურ, რეგიონალურ, საერთაშორისო რევოლუციურ სიტუაციას, არსებითად, წარმოადგენს რამდენიმე სახელმწიფოში არსებული რევოლუციური სიტუაციების ჯამს. რევოლუციური სიტუაციის ერთდროული ჩამოყალიბება რამდენიმე, ერთმანეთის მეზობელ ქვეყანაში განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ისინი განვითარების მეტ-ნაკლებად ერთნაირ საფეხურზე იმყოფებიან, მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, ამასთან, როგორც წესი, განიცდიან რაიმე საერთო ექსტრაორდინალური ფაქტორის ზემოქმედებას, როგორიცაა, მაგალითად, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ან ომი. ამასთან, რევოლუციური სიტუაციის განვითარება თითოეულ ქვეყანაში მჭიდროდაა დაკავშირებული მეზობელ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასთან.

რევოლუციური სიტუაციის დახასიათებისას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რევოლუციური სიტუაციის ნიშნების პრობლემას. ვ. ი. ლენინმა მიუთითა რევოლუციური სიტუაციის სამ მთავარ ნიშანზე: 1. შეუძლებლობა გაბატონებული კლასებისათვის, შეინარჩუნონ უცვლელი სახით თავიანთი ბატონობა ანუ „ზედაფენების“ კრიზისი; 2. ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გამწვავება ჩვეულებრივზე მეტად; 3. მასების აქტივობის მნიშვნელოვანი გადიდება.

ვ. ი. ლენინის მიერ მოცემული სამი ძირითადი ნიშანი მიუთითებს რევოლუციური სიტუაციის უმთავრეს მომენტებზე. მაგრამ, გარდა ამ მთავარი ნიშნებისა, შეიძლება გამოყოფილ იქნას რევოლუციური სიტუაციის სხვა (სპეციფიკური) ნიშნები, რომლებიც ამა თუ იმ ტიპის რევოლუციურ სიტუაციას ახასიათებს და მის თავისებურებას შეადგენს. რა თქმა უნდა, მსგავსი ნიშნები „მეორეხარისხოვანი“ იქნება რევოლუციური სიტუაციის მთავარ ნიშნებთან შედარებით და, ძირითადად, ამ მთავარი ნიშნების გარშემო დაჯგუფდება, იქნება მათი დაკონკრეტება რევოლუციის ტიპის მიხედვით.

რევოლუციური სიტუაციის ნიშნების და, საერთოდ, რევოლუციური სიტუაციის ლენინური კონცეფციის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კატეგორიებს — „ზედაფენები“ და „ქვედაფენები“. ეს კატეგორიები ფართოდ გამოიყენება რევოლუციური სიტუაციის შესახებ არსებულ ლიტერატურაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი ხნის მანძილზე მათ შინაარსს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა (38). ქვედაფენები, ზოგადად, ესაა ხალხის მასები, მშრომელები, საზოგადოების ის ნაწილი, ვინც განიცდის ჩაგვრას და ექსპლოატაციას. რევოლუციური სიტუაციის ლენინური დახასიათებიდან გამომდინარეობს, რომ „ზედაფენებს“ განეკუთვნებიან ისინი, ვის ხელშიცაა ძალაუფლება, ვინც წარმართავს სახელმწიფო პოლიტიკას და ვის წინააღმდეგაც მიმართულია რევოლუცია. „ზედაფენები“ ფართო და ვიწრო აზრით უნდა განვიხილოთ. ფართო აზრით — ესაა გაბატონებული კლასები, მთავრობა, ხელისუფლების მექანიზმი მთლიანობაში; ვიწრო მნიშვნელობით — ესაა უშუალოდ მმართველი ჯგუფები, რომელთაც გადამწყვეტი ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ სახელმწიფოს პოლიტიკაზე და განსაზღვრავენ მას.

უაღრესად აქტუალურია ასევე რევოლუციური სიტუაციის მეორე ნიშნის პრობლემა. საქმე ისაა, რომ დღეისათვის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყნებში ნაკლებ მოსალოდნელია მოსახლეობის პირდაპირი ფიზიკური გაღატაკება, ე. ი. რევოლუციური სიტუაციის მეორე ნიშნის ჩამოყალიბება „ტრადიციული" სახით. ბუნებრივია, დგება თანამედროვე პირობებში ამ ნიშნის გამოვლინების თავისებურებათა საკითხი, რომელსაც დიდი ყურადღება ექცევა ლიტერატურაში. სამართლიანადაა გაკრიტიკებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით რევოლუციური სიტუაციის მეორე ნიშანი, სხვა ნიშნებთან შედარებით, ნაკლებმნიშვნელოვანია ან კარგავს თავის მნიშვნელობას. როცა რევოლუციური სიტუაციის მეორე ნიშანზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ „ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გამწვავება", მეცნიერული, მარქსისტული გაგებით, არ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ მასების პირდაპირ ფიზიკურ გაღატაკებასა და სიდუხჭირეს. ესაა კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ჩაგვრისა და გაჭირვების ზრდის ტენდენციის გამოვლინების კერძო ფორმა, ხოლო თვით ეს ტენდენცია ფართო სოციალური აზრით უნდა გავიგოთ. ამ გარემოებაზე ხაზგასმით მიუთითებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები (10, 233; 17, 240; 18, 65).

თანამედროვე პირობებში რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბება განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში დაკავშირებული იქნება მნიშვნელოვან თავისებურებებთან. საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურმა პირობებმა შეამცირა იმ ფაქტორთა მნიშვნელობა, რომლებიც განსაკუთრებით ფეთქებადი ძალით მოქმედებდნენ, იწვევდნენ ჩაგრული მასების გაჭირვებისა და უბედურების მკვეთრ გაძლიერებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემცირდა რევოლუციური სიტუაციის მეორე ნიშნის ჩამოყალიბების ტრადიციული ფაქტორების (ომები, ეკონომიკური კრიზისები) მნიშვნელობა. ჩვეულებრივ პირობებში მუშათა კლასის ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა, ფიზიკური გაღატაკება ნაკლებ მოსალოდნელია. მუშათა კლასს შესწევს საკმაო ძალა, რომ დაიცვას თავისი მონაპოვრები; ამასთან, ფაქტობრივად, ეს არ შედის კაპიტალისტთა ინტერესებში წარმოებისა და სამუშაო ძალის აღწარმოების საჭიროების თვალსაზრისითაც. რაც მთავარია, ყველასათვის ნათელია, რომ მშრომელთა პირდაპირი ფიზიკური გაღატაკება სასიკვდილო განაჩენი იქნებოდა კაპიტალისტური სისტემისათვის. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ მოისპო რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბების საფუძველი, რომ მუშათა კლასმა დაკარგა რევოლუციურობა და ინტეგრირებულია კაპიტალისტურ სისტემაში.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად, არ შეცვლილა და არც შეიძლება შეიცვალოს მისი არსი. არ შეცვლილა მუშათა კლასის მდგომარეობა, რომელიც კვლავ განიცდის ჩაგვრას და ექსპლოატაციას. თანამედროვე პირობებში კვლავ აგრძელებენ მოქმედებას ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ კაპიტალისტური სისტემის მიუღებლობას მშრომელთა ფართო ფენებისათვის. ჩაგვრისა და გაჭირვების ზრდის ტენდენცია, ფართო სოციალური აზრით, ყოველთვის იყო დამახასიათებელი კაპიტალისტური საზოგადოებისათვის. წავიდა ის დრო, როცა მუშათა კლასის ძირითადი მასა იბრძოდა მხოლოდ ყველაზე ელემენტარული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასის წინაშე დააყენა მთელი რიგი ახალი პრობლემები: გაიზარდა შრომის ინტენსივობა, ავტომატიზაციას შე-

დეგად მოჰყვა უმუშევართა რიცხვის სწრაფი გადიდება და სამუშაოს დაკარგვის მუდმივი საფრთხე. ექსპლოატაციის ძველი ფორმები შეიცვალა უფრო დახვეწილი და შენიღბული ფორმებით, რომელთაც ვ. ი. ლენინი ქანცის გაწყვეტის მეცნიერულ სისტემას უწოდებდა.

მხოლოდ ჩაგვრა, თავისთავად აღებული, არ წარმოშობს რევოლუციურ აქტივობას. თანამედროვე პირობებში მუშათა კლასს არსებული სისტემის წინააღმდეგ საბრძოლველად უბიძგებს არა მარტო მატერიალური საჭიროებანი, არამედ იმის შეგნება, რომ განიცდის ექსპლოატაციას და რომ სოციალიზმი საზოგადოების ორგანიზაციის ყველაზე სამართლიანი ჰუმანური ფორმაა.

უნდა ითქვას, რომ დღეს მუშათა კლასსა და მის მოკავშირეებს კაპიტალისტურ ქვეყნებში უპირისპირდება წინანდელთან შედარებით გაცილებით უფრო ძლიერი და გამოცდილი მოწინააღმდეგე. „მონოპოლისტური ბურჟუაზია, — აღნიშნულია სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში, — ცდილობს შეეგუოს შეცვლილ ვითარებას და გამუდმებით მიმართავს მანევრებს“ (24, 202). მონოპოლისტურ კაპიტალიზმს გააჩნია მძლავრი და მრავალფეროვანი საშუალებანი მშრომელთა მოსყიდვისა და სულიერი გახრწნისათვის, თვითკმაყოფილიობივატელის ჩამოყალიბებისათვის. მმართველი ზედაფენის სოციალური პოლიტიკის უმთავრესი მიმართულება ხდება „პოლიტიკურად ინერტული საზოგადოების“ ფორმირება. იმპერიალიზმის გიგანტური პროპაგანდისტული მანქანა ცდილობს შექმნას გაბატონებული კლასისა და ხალხის მასების საერთოვის ილუზია. თანამედროვე კაპიტალიზმის პოლიტიკური სტრუქტურის ელიტარული არსი, მონოპოლიების ბატონობის ანტიხალხური ხასიათი იფარება დემოკრატიის ნიღბით. ბურჟუაზია არ ერიდება არავითარ ხარჯებს, იყენებს იდეოლოგიური ზემოქმედების ყველა საშუალებას, რათა შეიქმნას მასობრივი სოციალური ბაზა, უზრუნველყოს „უმრავლესობის“ მხარდაჭერა, რომელზეც შეეძლება დაყრდნობა რთულ პოლიტიკურ სიტუაციებში.

გასაგებია, რომ მონოპოლისტური ბურჟუაზიის კლასობრივი სტრატეგია მნიშვნელოვნად აძნელებს „ზედაფენების“ მწვავე კრიზისის წარმოშობას და, აქედან გამომდინარე, რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბებასაც. მაგრამ მონოპოლისტური ბურჟუაზიის ყველა ცდა, შეეგუოს ახალ ვითარებას, განამტკიცოს კლასობრივი ბატონობა, განწირულია მარცხისათვის, საბოლოო ჯამში, მისი შედეგია კაპიტალიზმის შინაგანი ანტაგონიზმების გაღრმავება. სულ უფრო მძლავრად იჩენს თავს თანამედროვე სახელმწიფო-მონოპოლისტური სისტემის პოლიტიკური არამდგრადობის ზრდის ტენდენცია.

სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში ხაზგასმით აღნიშნულია კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავება (24, 202). სულ უფრო მეტად კარგავენ ეფექტიანობას მეთოდები, რომელთა მეშვეობით კაპიტალიზმი ახერხებდა შედარებით სტაბილურ დონეზე შეენარჩუნებია თავისი განვითარება ომისშემდგომ პერიოდში. იმპერიალიზმი თავს ვეღარ ართმევს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სოციალურ შედეგებს. „იმპერიალიზმის მმართველ წრეებს არ შეიძლება არ ესმოდეთ, რომ ასეთ მდგომარეობას შედეგად მოჰყვება სოციალური აფეთქებანი, პოლიტიკური დესტაბილიზაცია. მაგრამ ეს არ ხდის მათს პოლიტიკას უფრო აწონდაწონილს“ (24, 20).

შექმნილ ვითარებაში იზრდება სუბიექტური ფაქტორის როლი რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბებაში. თანამედროვე ეტაპზე, როცა მშრომელ-

თა ფართო ფენები ჯერ კიდევ არ არიან მზად უშუალოდ სოციალიზმისთვის ბრძოლის პროცესში ჩასაბმელად, კვლავინდებურად აქტუალური რჩება ლენინის მითითება კაპიტალისტურ ქვეყნებში კომუნისტური პარტიების წინაშე მდგარი უმთავრესი ამოცანის შესახებ — იპოვონ მოცემულ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში სოციალისტურ რევოლუციასთან მასების მიყვანის გზები, გამონახონ „პროლეტარულ რევოლუციაზე გ ა დ ა ს ვ ლ ი ს თუ მისდამი მ ი დ გ ო მ ი ს ფორმა“ (23, 93).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა კლასისა და მისი მოკავშირეების ბრძოლას ღრმა დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, მშრომელთა უფლებების გაფართოებისათვის, მშვიდობისა და განიარაღებისათვის, საბოლოო ჯამში, მიჰყავს მასები სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობის შეგნებამდე, მათ შეიძლება მნიშვნელოვნად დააჩქარონ რევოლუციური სიტუაციის შექმნა. „თუ როგორ წარიმართება შემდგომში შრომისა და კაპიტალის ძირეული წინააღმდეგობის განვითარება, რა დასკვნებს გამოიტანენ შექმნილი მდგომარეობიდან, ამას გვიჩვენებს მომავალი, მშრომელთა ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის და სოციალური პროგრესისათვის (24, 21).

ჩვენ განვიხილეთ რევოლუციური სიტუაციის კონცეფციის მხოლოდ ზოგიერთი საკითხი. რა თქმა უნდა, ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია ამ კონცეფციის ყველა ასპექტის რამდენადმე დაწვრილებით გაშუქება.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა რევოლუციური სიტუაციის კონცეფციის კატეგორიებისა და ცნებების სისტემის შექმნა. აუცილებელია დაძლეულ იქნეს უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულ ცნებათა თაობაზე, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ამ პრობლემის შემდგომ შესწავლას. რევოლუციური სიტუაციის კონცეფციის ცნებათა სისტემატიზაცია ხელს შეუწყობს მისი კატეგორიული აპარატის სრულყოფას და, საბოლოო ჯამში, განაპირობებს კვლევის ობიექტის უფრო ადეკვატურ ასახვას თეორიული ცოდნის სისტემაში. სკკპ ცკ ივნისის (1983 წ.) პლენუმზე ხაზი გაესვა, რომ „დისკუსიებს მეცნიერების კანონებისა და კატეგორიების გამო, მთელი მათი მნიშვნელობის მიუხედავად, არ უნდა ჰქონდეს თვითკმარი, სქოლასტიკური ხასიათი“ (25, 40), დაუშვებელია სქოლასტიკური თეორეტიკოსობის ნებისმიერი გამოვლინება, სინამდვილისაგან მოწყვეტილი ხელოვნური კონსტრუქციების აგება. ამასთან, თავი უნდა ავარიდოთ მეორე უკიდურესობასაც — ვიწრო ემპირიზმის გზას. რევოლუციური სიტუაციის მარქსისტულ-ლენინური კონცეფციის შემდგომი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ისტორიული გამოცდილების ღრმა შესწავლით, მსოფლიო რევოლუციური პროცესის ახალ მოვლენათა გაანალიზების საფუძველზე.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. კ. მ ა რ ქ ს ი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი. თბ., 1971, გვ. 24.
2. კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ლ. ფ ო ი ე რ ბ ა ხ ი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა („გერმანული იდეოლოგიის“ პირველი თავის ახალი პუბლიკაცია). თბ., 1968. გვ. 194.
3. კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, 2 ტომად, ტ. II. თბ., 1950.
4. Маркс К., Энгельс Ф. Соч., изд. 2-е, т. 4.
5. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 8.
7. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 9.
8. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 12.
9. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 21.
10. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 22.
11. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 29.
12. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 35.
13. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 36.
14. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 37.
15. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 38.
16. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 39.
17. ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც. ტ. 4.
18. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6.
19. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10.
20. ვ. ი. ლენინი თხზ., ტ. 11.
21. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21.
22. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25.
23. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31.
24. სკკპ XXVII ყრილობის მასალები. თბ., 1986.
25. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1983 წლის 14—15 ივნისი. თბ., 1983, გვ. 95.
26. Алаталу Т. П. Революционная ситуация и особенности ее созревания в Латинской Америке. Автореф. дис. ..канд. филос. наук., Л., 1977.—17 с.
27. Блюм Р. Н. Объективное и субъективное в революционной ситуации. Ученые записки (Тартуский гос. ун-т), вып. 187, Труды по философии. 10. Тарту, 1966, с. 90—99.
28. Большухин А. А. Категории объективного и субъективного в ленинской теории революционной ситуации. Ученые записки (Горьковский пед. ин-т иност. языков), вып. 31, Горький, 1967, с. 147—153.
29. Дукачев А. А. Разработка В. И. Лениным вопроса о соотношении объективного и субъективного факторов в социалистической революции (в период 1914—1917 годов). Автореф. дис. ..канд. философ. наук. М., 1969.— 20 с.
30. Ерыкалов Е. Ф. В. И. Ленин о революционной ситуации и основном законе революции. В кн.: Идеи Ленина живут и побеждают. Л., 1970, с. 20—39.
31. Желанина И. А. Историческая и революционная ситуация. — В кн.: Проблемы теории социальной революции. М.: Изд-во Моск. ун-та, 1976, с. 119—131.
32. Кертман Л. Е. Законы исторических ситуаций. Вопросы истории, М., 1971, № 1, с. 55—68.
33. Ковален А. М. Ленинская теория социалистической революции и современность. Автореф. дис. ...докт. филос. наук. М., 1963—56 с.
34. Косичев А. Д. Теоретическое обобщение В. И. Лениным опыта Октябрьской революции и строительства социализма в СССР. — М.: Изд-во Моск. ун-та, 1974, 314 с.
35. Ленинская теория социалистической революции и современность. 3-е изд., доп. — М.: Политиздат, 1980. 528 с.
36. Мишаткина Т. В. Диалектика объективного и субъективного в процессе формирования и развития революционной ситуации. Автореф. дис. ..канд. филос. наук. Казань, 1974. — 21 с.
37. Московских Л. Г. О соотношении объективного и субъективного в революционной ситуации. В кн.: КПСС—организатор претворения в жизнь ленинских идей коммунистического строительства на Дальнем Востоке. Владивосток, 1971, ч. II, с. 379—387.
38. Некоторые итоги выступлений по проблеме революционной ситуации. — Вопросы истории КПСС, М., 1968, № 7, с. 109—121.

39. Романов В. Ф. Ленинское учение об основном законе революции. — Челябинск, 1974. 148 с.
40. Селезнев М. А. Проблемы формирования региональных революционных ситуаций. В кн.: Проблемы теории и методологии мирового революционного процесса. Казань, 1981, с. 9—17.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

МАЦАБЕРИДЗЕ М. Б.

## НЕКОТОРЫЕ АКТУАЛЬНЫЕ ВОПРОСЫ МАРКСИСТСКО-ЛЕНИНСКОЙ КОНЦЕПЦИИ РЕВОЛЮЦИОННОЙ СИТУАЦИИ

### Резюме

В статье освещаются некоторые проблемы разработки концепции революционной ситуации, дается анализ основных понятий этой концепции, рассматривается диалектика объективного и субъективного в процессе назревания революционной ситуации, основные признаки революционной ситуации и своеобразия ее назревания в современных условиях.

M. MATSABERIDSE

## SOME REAL QUSTIONS ARISING FROM THE MARXIST-LENINIST CONCEPTION OF THE REVOLUTIONARY SITUATION

### Summary

The article examines the analysis of the basic concepts of the revilutionary situation, the dialiectics of an objective and subjective approach in the process of the development of the revolutionary situation, and the description of basic signs of this situation in modern contexts.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета

280, 1988
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОВРЕМЕННЫЙ РЕВИЗИОНИЗМ НА СЛУЖБЕ РЕАКЦИИ

ДЖИДЖАДЗЕ Ш. А.

В наши дни глобального противоборства двух социальных систем, одним из главных направлений классовой стратегии империализма является ставка на разложение коммунистического и всего революционного движения изнутри, путем использования всякого рода ревизионистов, ориентирующихся на подмену социалистической демократии политическим либерализмом буржуазного типа, и адептов реакционно-утопического и военно-казарменного «социализма».

Эта стратегическая линия — составная часть империалистической политики, направленной на «дезинтеграцию» марксизма мирового коммунистического движения и социализма.

Для ревизионизма характерна подмена марксизма-ленинизма как единого интернационального учения различными вариантами «национального» или «регионального» коммунизма, измена принципам пролетарского интернационализма, недооценка связи революционной борьбы внутри данной страны с классовой борьбой на международной арене, противопоставление независимости и автономии партии —пролетарской солидарности, тенденция к национализму и национал-шовинизму. Все разновидности ревизионизма сходятся на платформе национализма и антисоветизма.

Опыт КПСС и братских марксистско-ленинских партий убедительно подтверждает теоретический вывод марксизма-ленинизма о том, что борьба на два фронта — против ревизионизма, извращающего революционные принципы марксизма-ленинизма, и против догматизма и сектантства, находящихся в непримиримом противоречии с творческим развитием революционной теории — закономерность развития ленинской партии нового типа. Научный творческий анализ процессов общественного развития, выработка и осуществление последовательно революционной политики коммунистических партий невозможны без непримиримой и систематической борьбы против ревизионизма и догматизма.

Глубоко сознавая свою историческую ответственность перед мировым рабочим классом и его марксистско-ленинским авангардом, КПСС в новой редакции Программы партии заявила, что она «...будет и впредь:

— отстаивать революционные идеалы и марксистско-ленинские основы мирового коммунистического движения, творчески развивать теорию научного социализма, последовательно бороться против догматизма и, ревизионизма, любых влияний буржуазной идеологии на рабочее движение» (1, 182).

В статье предпринята попытка рассмотреть некоторые основные

направления праворевизионистской «критики» марксизма-ленинизма, показать вред и опасность идеологии и политической практики современного ревизионизма.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Сохраняя историческую преемственность с старым «традиционным» ревизионизмом конца XIX века и начала XX века, современный ревизионизм как по своей социальной природе, так и по теоретической сущности принципиально не отличается от предшествующего. Однако его особенностью является то, что он выступает не только против теоретических основ марксизма, но острие своей «критики» направляет главным образом против мировой системы социализма, против Советского Союза и КПСС. Поэтому современные ревизионисты внимание в основном заостряют на практических и политических вопросах. Вместе с тем они не могут обойти общие методологические вопросы марксистского мировоззрения, которые опеделяют деятельность коммунистических партий.

При анализе важнейших проблем современности ревизионизм не руководствуется научной методологией. В теоретических конструкциях неоревизионистов в качестве теоретической и методологической основы используются различные антимарксистские концепции, игнорируются объективные условия и тенденции общественного развития. Это приводит к субъективной, идеалистической интерпретации явлений действительности, к подмене марксистской диалектики софистикой и эклектизмом, к абстрактному противопоставлению теории и практики, отрыву их от друг друга, сползанию к буржуазному объективизму.

Социально-теоретическая сущность и политическая направленность ревизионизма наиболее выпукло обнаруживают себя в ряде основных проблем, касающихся современного общественного развития. Ревизионисты выступают против марксизма-ленинизма в вопросе об оценке процессов и явлений, характерных для капитализма второй половины XX века. Основываясь на антиленинскую трактовку новых явлений послевоенного развития капитализма (возросшая роль буржуазного государства в капиталистической экономике, широкое распространение государственного капитализма, завоевание рабочим классом в странах капитала новых позиций и т. д.), они выдвигают тезис об изменении природы современного капитализма, которому якобы присуща имманентная тенденция к «самоликвидации», вплоть до «трансформации» в социализм.

Исходным положением ревизионистов в вопросе о современном капитализме является допущение возможности созревания в недрах капитализма готовых форм социалистического экономического уклада. Марксистско-ленинское учение о том, что капитализм, особенно государственно-монополистический капитализм, создает все необходимые материально-технические предпосылки социализма, подменяется утверждением, будто государственно-монополистические тенденции уже свидетельствуют о наличии социалистических элементов в экономике. Для марксистов непреложным фактом является то, что государственно-монополистический капитализм ведет буржуазное общество к историческому концу. Как отмечал В. И. Ленин, «государственно-монополистический капитализм есть полнейшая *материальная* подготовка социализма, есть *преддверие* его, есть та ступенька исторической лестницы, между которой (ступенькой) и ступенькой называемой социализмом, *никаких промежуточных ступеней нет*» (2, 193).

По ревизионистской схеме переход от капитализма к социализму

совершается в тот или иной исторический срок в рамках капиталистического общества без социалистической революции и установления диктатуры пролетариата. При этом постулируется тезис, что подобный процесс не только возможен гипотетически, но якобы уже активно происходит в ряде капиталистических стран, под воздействием новых явлений и процессов, развивающихся в капиталистическом мире, прежде всего под влиянием роста государственно-монополистического капитализма, расширения экономической роли буржуазного государства. Как отмечал В. И. Ленин, «близость» такого капитализма (речь идет о государственно-монополистическом капитализме. —Ш. Д.) к социализму должна быть для действительных представителей пролетариата доводом за близость, легкость, осуществимость, неотложность социалистической революции, а вовсе не доводом за то, чтобы терпимо относиться к отрицанию этой революции и к подкрашиванию капитализма, чем занимаются все реформисты» (3, 68).

Самые различные по своему месту в истории, классовому характеру и последствиям события общественной жизни электрически соединены вместе в ревизионистской литературе во имя доказательства всеобщего процесса созревания и трансформации человечества к социализму.

Ревизионисты не ограничиваются чисто теоретической оценкой новых явлений, характерных для послевоенного развития капитализма, и процессов, протекающих в капиталистической надстройке. Они выдвинули вытекающую из этого анализа своего рода программу действий для рабочего движения в капиталистических странах, в которой явственно проступают давно разоблаченные В. И. Лениным идеи каутскианства, а именно — отказ от слома буржуазной государственной машины, как необходимого условия социалистической революции, и сугубо мирный, эволюционный процесс постепенного овладения существующим буржуазным механизмом власти и обобществления средств производства.

Извратив сущность современного капитализма, ревизионисты дали ложную оценку условий, форм и путей социалистического переустройства общества. Нарочито смешивая содержание социалистической революции с ее формами, ревизионисты софистическими методами пытаются выхолостить все революционное из марксистско-ленинской теории социалистической революции, заменить марксизм реформизмом. Сущность этих фальсификаций заключается в том, что марксистско-ленинское положение о многообразии форм перехода к социализму трактуется как возможность революционного и нереволюционного пути. В ревизионистских концепциях революционный путь отождествляется с вооруженным восстанием, вооруженной борьбой; революция — с определенными методами борьбы. С другой стороны, в ревизионистской литературе мирный путь развития революции противопоставляется революционному пути, как отличная от последнего нереволюционная форма перехода к социализму; мирный путь рассматривается не как разновидность революции, а как эволюционный, реформистский переход к социализму. Таким образом, вопрос о мирном или насильственном пути перехода к социализму, по сути дела, ревизионизмом, подменен вопросом о революционном и эволюционном, реформистском путях.

Ревизионистско-реформистская концепция нереволюционного, эволюционного пути к социализму противоречит основам марксистско-ленинского учения о классовой борьбе, ибо отрицает историческую необходимость установления диктатуры пролетариата при переходе

от капитализма к социализму. По утверждению ревизионистов, диктатура пролетариата связана исключительно с насильственным завоеванием и осуществлением власти, при котором исключена демократия, тогда как, возможность перехода к социализму мирными и демократическими средствами исключает необходимость любой формы диктатуры пролетариата. Первый путь оправдан для недемократических стран, или же экономически слаборазвитых стран, второй — обязателен для более развитых.

Рассматривая диктатуру пролетариата как лишь один из возможных способов революционного переустройства общества, в ревизионистской литературе делаются ссылки на положение марксизма-ленинизма о различных формах государственной власти пролетариата. Однако особенности существующих и возможных в будущем форм политического господства пролетариата не могут касаться самого главного — ее сущности, которая является общей для всех стран, вставших на путь социализма. В. И. Ленин всесторонне разработал идею многообразия путей и форм борьбы за социализм: «Все нации придут к социализму, это неизбежно, но все придут не совсем одинаково, каждая внесет своеобразие в ту или иную форму демократии, в ту или иную разновидность диктатуры пролетариата, в тот или иной темп социалистических преобразований разных сторон общественной жизни» (4, 123). Исторический опыт возникновения и становления мировой системы социализма полностью подтвердил эту ленинскую мысль, обогатив ее разнообразным конкретно-историческим содержанием.

Признание разнообразия политических форм пролетарской власти, в отличие от ревизионистского понимания, не меняет принципиального положения марксизма-ленинизма о диктатуре пролетариата. При всем огромном разнообразии конкретных политических форм переходного периода, указывал В. И. Ленин, «сущность будет при этом неизбежна одна: диктатура пролетариата» (3, 35).

Теоретически несостоятельны аргументы, приводимые правыми ревизионистами для обоснования тезиса об «устарелости», о мнимой неадекватности марксистско-ленинского учения о диктатуре пролетариата условиям развитого капитализма и ее применимости к экономически неразвитым странам. Не выдерживают критики и попытки ревизионистов свести диктатуру пролетариата только к «форме» власти, к «региональному» способу правления и отождествить диктатуру пролетариата с одной из ее исторических форм. Целевая установка ревизионистских доводов заключается в том, что они должны подвести к заключению: якобы марксистско-ленинское учение о диктатуре пролетариата не имеет общего значения и отражает специфические условия недемократических или же экономически слаборазвитых стран, где существуют кризисные ситуации, являющиеся не столько результатом развития капитализма и буржуазной демократии, сколько следствием их недостаточного развития и концентрации противоречий докапиталистических формаций.

Из оппортунистического отрицания необходимости социалистической революции и диктатуры пролетариата в эпоху «эволюционного преобразования» неизбежно вытекает проповедь стихийности в рабочем движении, умаление и даже отрицание руководящей роли коммунистической партии в борьбе за социализм. Извращение ревизионистами марксистско-ленинского учения о партии осуществляется в основном по двум линиям.

Во-первых, по линии ревизии ленинских принципов партийного

строительства, прежде всего — отрицания принципа демократического централизма и извращения существа внутрипартийной демократии. Во-вторых, по линии отрицания авангардной роли компартии в рабочем движении на современном этапе, попыток ликвидации компартий и замены их альтернативными формами их структуры и руководства.

Ликвидаторство правых ревизионистов в отношении партий рабочего класса связано с их националистическим отрицанием общих закономерностей социалистической революции и строительства социализма и с их основным антимарксистским положением об изменении природы современного капитализма. Ревизионистский тезис о стихийном самовызревании «элементов» социализма в недрах капиталистического строя является теоретическим обоснованием ликвидаторских идей ревизионистов.

Ревизионисты обратили в объект острых идеологических нападок руководящую роль КПСС в советском обществе, в его политической системе.

«В новых исторических условиях, когда перед страной встали ответственные задачи во внутреннем развитии и на международной арене, в жизни советского общества закономерно возрастает руководящая роль партии» (1,187), подчеркнуто в новой редакции Программы КПСС.

Возрастание руководящей роли партии обусловлено ростом масштабов, усложнением задач совершенствования социализма, ускорения социально-экономического развития страны, развитием политической системы общества, углублением демократии, потребностью в дальнейшей творческой разработке марксистско-ленинской теории, в поисках научно обоснованных ответов на вопросы, выдвигаемые жизнью. Это обусловлено и интересами укрепления сплоченности социалистических стран, упрочения единства международного коммунистического, рабочего и национально-освободительного движения, борьбы с буржуазной идеологией, реформизмом, ревизионизмом, догматизмом и сектантством, а также усложнением внешнеполитических условий в связи с нарастанием агрессивности империализма, необходимостью обеспечения безопасности страны, новых, более настойчивых усилий, направленных на обуздание сил агрессии, избавление человечества от угрозы ядерной катастрофы (1, 183—184).

Одно из главных направлений праворевизионистской атаки на марксизм-ленинизм состоит в попытках подорвать принцип пролетарского интернационализма, являющегося важнейшей составной частью научного коммунизма. Выступления ревизионистов направлены как против теоретических основ прлетарского интернационализма, так и против вытекающих из него практико-политических выводов. Ревизионисты пытаются подвести теоретическую базу под антисоветизм, а также теоретически обосновать тот факт, что они отвергают такую трактовку пролетарского интернационализма, критерием которого является отношение к Советскому Союзу, КПСС. Ревизионисты фальсифицируют весь комплекс вопросов, входящих в характеристику существа пролетарского интернационализма, характер организации и сущности мировой системы социализма, интернациональные взаимоотношения между социалистическими государствами и коммунистическими партиями, скатываясь на позиции так называемого «национального коммунизма» — националистической псевдотеории и практики, имевшего место в отдельных звеньях мирового коммунистического движения.

Исходной идейно-теоретической предпосылкой «национального коммунизма» является антимарксистская трактовка вопроса о соотношении основных закономерностей общественного развития, присущих всем странам, и национальных особенностей, присущих той или иной стране. Это особенно наглядно проявляется в нарушении диалектического подхода к проблеме взаимосвязи между национальной формой и классовым, интернациональным содержанием борьбы пролетариата, в искусственном противопоставлении их друг другу, отрицании первенствующего значения общих закономерностей по отношению к конкретным национально-специфическим формам их проявления. Тезис о преобладающем значении национальных особенностей превратился в средство ревизии основных положений марксизма-ленинизма и сползания на позицию буржуазного национализма.

В идеологическом противоборстве марксизма-ленинизма с ревизионизмом в последнее время большое место заняли вопросы об отношении к реальному социализму, к его историческому опыту, ценностям и перспективам, о сущности и путях социального прогресса. Извращая и грубо фальсифицируя самую суть реального социализма, замалчивая его впечатляющие исторические достижения, ревизионисты проповедуют антиленинские «модели будущего», повторяя азы буржуазных концепций «постиндустриального общества». Лучший ответ на эти и подобные измышления ревизионистов —реальный социализм.

В новой редакции Программы КПСС показана неодолимость социализма как общественного строя и мирового движения, расскрыты новые стороны и новые характеристики его силы и непобедимости. проанализированы основные ступени его развития в нашей стране и прогрессивное воздействие на социально-политические процессы в мире.

Прогресс социализма ознаменовался достижениями в развитии производственных сил, экономических и социальных отношений, социалистической демократии, культуры, международной социалистической интеграции. Возрастанию авторитета социализма в мире способствовало установление военно-стратегического паритета между СССР и США, Организацией Варшавского договора и Нато. СССР вступил в этап развитого социализма. Подытожив опыт СССР, других социалистических стран, КПСС в новой редакции своей Программы дала обогащенную характеристику социализма как превосходящей капитализм ступени прогресса человечества, его неоспоримых социально-экономических, политических, идейных и моральных преимуществ (1, 127).

Строго учитывая условия и тенденции общественного развития, компартии решительно отвергают спекулятивные попытки ревизионистов играть на периодически возникающие между отдельными коммунистическими партиями или социалистическими странами разногласия и расхождения по тем или иным вопросам.

Основываясь на ленинскую стратегию единства международного коммунистического и рабочего движения, КПСС считает, что наличие разногласий по отдельным вопросам не должно мешать интернациональному сотрудничеству и единству действий марксистско-ленинских партий. В тех случаях, когда между братскими партиями возникают расхождения по отдельным проблемам, КПСС считает полезным их обсуждения в целях выработки взаимоприемлемых выводов и оценок. Однако когда речь идет о революционной сути марксизма-ленинизма, о сущности и роли реального социализма, КПСС твердо отстаивала и отстаивает принципиальные позиции. Этим определяется и отношение

КПСС к любым попыткам выхолостить классовый смысл деятельности марксистско-ленинских партий, исказить революционный характер целей и средств борьбы за их достижение.

Весь ход общественного развития, исторический опыт борьбы, КПСС и братских компартий за социализм наглядно свидетельствуют, что отклонение от основ учения К. Маркса, Ф. Энгельса, В. И. Ленина ослабляют возможности международного коммунистического движения, единство и сплоченность всех революционных антиимпериалистических сил.

## ЛИТЕРАТУРА

1. Материалы XXVII съезда КПСС. М. Политиздат, 1986.
2. Ленин В. И. Полн. собр. соч., т. 34.
3. Ленин В. И. Полн. собр. соч., т. 33.
4. Ленин В. И. Полн. собр. соч., т. 30.

შ. ჯიჯაძე

## თანამედროვე რევიზიონიზმი რეაქციის სამსახურში

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია მარქსიზმ-ლენინიზმის შემარჯვენე რევიზიონისტული „კრიტიკის" ზოგიერთი ძირითადი მიმართულება, ნაჩვენებია თანამედროვე რევიზიონიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკური პრაქტიკის საშიშროება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, ყველა რევოლუციური ანტიიმპერიალისტური ძალის ერთიანობისა და შემჭიდროებისათვის; გამოაშკარავებულია მისი რეაქციული არსი.

S. JIJADZE

## MODERN REVISIONISM IN THE SERVICE OF REACTION

Summary

The article looks at some basic directions of the marxist-leninist critique of revisionism and the danger of the latter for international communist movements as well as all revolutionary, anti-imperialist forces.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета

280, 1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა სოციალისტური ერების კულტურული თანამშრომლობა სოციალიზმის სრულყოფის პირობებში (1976—1980 წწ.)

ნ. ბურძენიძე

ისტორიაში უპრეცედენტო ერთობის — საბჭოთა ხალხის — ჩამოყალიბებამ გააღრმავა ერებისა და ეროვნებათა კულტურული ურთიერთმოქმედების მსოფლიო პროცესი და იგი ახალ ისტორიულ ფაზაში შევიდა, სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ მიზანსწრაფვათა ერთიანობამ საბჭოთა ხალხი ობიექტური აუცილებლობის წინაშე დააყენა — სოციალისტური ერების მაღალი დონის შესაბამისად შეექმნა ერთიანი მსოფლმხედველობით გამსჭვალული მრავალეროვნული კულტურა.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ეტაპზე ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საბჭოთა ერების აყვავებისა და დაახლოების ბუნებრივი პროცესი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს, მიმდინარეობს ეროვნულ კულტურათა ინტერნაციონალიზაციისა და ერთიანი სოციალისტური კულტურის შექმნის პროცესი.

„ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ საბჭოთა მრავალეროვანი სოციალისტური კულტურის მიღწევებით, ითვისებს რა ეროვნული ფორმების და ფერების სიმდიდრეს, იგი უნიკალური მოვლენა ხდება მსოფლიო კულტურაში" (I, 89), — აღნიშნა ამხ. მ. გორბაჩოვმა პარტიის XXVII ყრილობაზე.

სოციალისტური ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების კულტურათა განვითარების დონის შეთანასწორების ამოცანა წყდება ერთიანი ინტერნაციონალური კულტურის მშენებლობის პირობებში, სხვადასხვა ერისა და ეროვნების კულტურათა კავშირის გაფართოება და დაახლოება არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნაა, არამედ ეპოქის სოციალური დაკვეთაცაა.

მრავალეროვანმა საბჭოთა კავშირმა, რომელიც სოციალისტურ ერთა სახელმწიფო ერთიანობის განსახიერებაა, სამართლიანად მოიხვეჭა თავისუფალ ხალხთა ძმობის დედაბოძის სახელი და ეს გახდა მისი ძალისა და ძლიერების წყარო, ახალ გამარჯვებათა საწინდარი სოციალიზმის სრულყოფისათვის ბრძოლაში.

ქვეყანაში შექმნილმა ერთიანმა სახალხო-სამეურნეო კომპლექსმა მტკიცე ბაზა შეუქმნა საბჭოთა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხებს მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის.

საბჭოთა ხალხის შინაარსით სოციალისტური, ეროვნული ფორმით მრავალფეროვანი, სულისკვეთებით ინტერნაციონალური ერთიანი კულტურის განვითარება სსრ კავშირის ხალხთა საუკეთესო მიღწევებისა და თავისთავადი

პროგრესული ტრადიციების ბაზაზე — ეროვნული კულტურების ზრდა და დაახლოება, მათი ურთიერთკავშირის განმტკიცება სულ უფრო ნაყოფიერს ხდის მათს ურთიერთ გამდიდრებას, უფართოეს შესაძლებლობებს აძლევს საბჭოთა ადამიანებს ეზიარონ ყოველივე საგულისხმოს, რაც კი რამ უშვია ჩვენი ქვეყნის ხალხთაგან თვითეულის ტალანტს (2, 55).

ხალხთა აყვავებისა და შეკავშირების ფართო, ნათელი გზა დასახა დიდმა ოქტომბერმა, რომელიც ყველა იმ ეპოქალური მონაპოვრის სათავედ იქცა, რაც ამჟამად ადამიანთა საზოგადოებას გააჩნია — მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოს, ერთა სოციალისტური მეგობრობისა და მსოფლიოს პროგრესული აზრის სახით. ამ გზით განვითარების სამოცდაათი წლის მანძილზე განმტკიცდა და ისტორიულ ქარცეცხლში გამოიწრთო ჩვენი სამშობლოს მშრომელთა უმაგალითო ინტერნაციონალური ძმობა.

„ათმილიონობით ადამიანის შეგნებაში დამკვიდრდა ხალხთა ურღვევი მეგობრობა, ყველა ხალხის ეროვნული კულტურისა და ეროვნული ღირსების პატივისცემა. საბჭოთა ხალხი თვისებრივად ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობაა, რომელიც შედუღაბებულია ეკონომიკური ინტერესების, იდეოლოგიისა და პოლიტიკური მიზნების ერთიანობით (1, 86).

პარტიის XXVII ყრილობის ტრიბუნიდან ითქვა: საბჭოთა მწერლები, კომპოზიტორები, თეატრისა და კინოს მუშაკები — ყველანი, ვისი ნიჭი და პროფესიული უნარიც ემსახურება ხალხს, დიდ მადლობას იმსახურებენ. ლიტერატურისა და ხელოვნების ნიჭიერი ნაწარმოებები — ეროვნული სიმდიდრეა.

მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის შექმნა და განვითარება განხორციელდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საფუძველზე, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა ლენინურმა მოძღვრებამ კულტურული რევოლუციის შესახებ. სწორედ ეს დაედო საფუძვლად საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულ კულტურათა ურთიერთკავშირისა და თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებას.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ერთიანი მრავალეროვნული სოციალისტური კულტურა ჯერ კიდევ არ არსებობდა. მისი ჩამოყალიბების პროცესი რთული და მძიმე გზით, მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. ყველაზე მნიშვნელოვან და არსებით პრობლემას ამ პერიოდში წარმოადგენდა ინტერნაციონალური თანამეგობრობისა და ხალხთა ერთობლივი ცხოვრების პრობლემა. კაცობრიობის ისტორიაში პირველად საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი, ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ერები და ეროვნებები ნებაყოფლობით გაერთიანდნენ სოციალისტური სახელმწიფოს სისტემაში თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთდახმარების პრინციპის საფუძველზე. რეაქციული ბურჟუაზიის მიერ ხალხთა შორის დიდი გულმოდგინებით აღმართული განკერძოების, ურთიერთმტრობის და სიძულვილის კედელი დაინგრა (3).

სოციალისტური მშენებლობის პირობებში კომუნისტურმა პარტიამ დიდმპყრობელურ შოვინიზმთან და ადგილობრივ ნაციონალიზმთან ბრძოლაში დიდ წარმატებას მიაღწია. პარტიამ საბჭოთა ხალხი აღზარდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მეგობრობისა და ერთობის პრინციპებით, რაც აუცილებელი პირობაა სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

დღესაც პარტია გადამწყვეტ ბრძოლას უცხადებს ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველნაირ გამოვლინებას. პარტიის XXVII ყრილობაზე ხაზგას-

მით ითქვა, რომ სოციალისტური კულტურის მიღწევები უნიკალური მოვლენა ხდება მსოფლიო კულტურაში. „მაგრამ საჭიროა, რომ ჯანსაღი ინტერესი ყოველივე ღირებულისადმი, რაც აქვს თვითეულ ეროვნულ კულტურას, არ გადაიქცეს ეროვნულ კულტურების ურთიერთმოქმედებისა და დაახლოების ობიექტური პროცესისაგან გამიჯვნის ცდად. ეს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მაშინაც, როცა ეროვნული თავისთავადობის ნიღბით ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთ ნაწარმოებში, მეცნიერულ შრომებში ცდილობენ იდილიური ტონებით წარმოგვიდგინონ რეაქციულ-ნაციონალისტური და რელიგიური გადმონაშთები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ჩვენს იდეოლოგიას, სოციალისტური ცხოვრების წესს, მეცნიერულ მსოფლმხედველობას“ (I, 90). საჭიროა პრინციპული ბრძოლა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველნაირი გამოვლინების წინააღმდეგ, რა სამოსელშიც უნდა იყვნენ ისინი გახვეულნი.

საბჭოთა კულტურის განვითარებისათვის დამახასიათებელია საბჭოთა ხალხის კულტურული საგანძურის მუდმივად მზარდი, ურთიერთგაცვლისა და კულტურული თანამშრომლობის ღრმა პროცესი.

საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებული ხალხთა თვისებრივად ახალი კულტურული ურთიერთკავშირი და თანამშრომლობა ხასიათდება ფორმათა მრავალგვაროვნებით.

საბჭოთა ეპოქაში კულტურული ურთიერთკავშირები და ურთიერთთანამშრომლობის ფორმები გაფართოვდა. არცერთ ქვეყანაში ეს პროცესი ისე ინტენსიურად არ მიმდინარეობდა ასეთი დიდი მასშტაბებით; დღეისათვის კი ეს პროცესი დამახასიათებელია არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, არამედ სოციალისტური სისტემის ქვეყნების ხალხებისათვისაც.

სოციალისტური კულტურის შინაარსის ერთიანობა კულტურული მშენებლობის მთელი პრაქტიკით მტკიცდება, რომლის გარეშეც შეუძლებელი ვახდებოდა სოციალისტური კულტურის შექმნა და განვითარება.

სოციალისტური ერების კულტურების ურთიერთმოქმედება მრავალმხრივი პროცესია. იგი ხორციელდება სხვადასხვა გზით სულიერი კულტურის თითქმის ყველა სფეროში — მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, კულტურულ დაწესებულებათა მოღვაწეობაში, კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში.

სოციალისტური კულტურის ინტერნაციონალიზმი განსაკუთრებით ნათელ გამოხატულებას პოულობს საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული კულტურის ურთიერთგამდიდრების პროცესში. წარმოების ნოვატორთა, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა მიღწევები, განათლებისა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა საუკეთესო მუშაკების გამოცდილება, ეროვნული რესპუბლიკების კულტურათა მთელი საგანძური წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის საერთო შრომის შედეგს.

სოციალისტური ერების კულტურათა დაახლოება და ურთიერთგამდიდრება არ არის მარტო სულიერ საგანძურთა ურთიერთგაცვლა, არამედ ისეთი პროცესი, რომლის დროსაც სულ უფრო და უფრო ვითარდება ეროვნულ კულტურათა საერთო ხაზი, საერთო მიმართულება და საერთო იდეური არსი.

ქართველი ხალხი თავის თვითმყოფად კულტურას ავითარებს სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ძმური თანამშრომლობის, კულტურათა ურთიერთგამდიდრებისა და კულტურული საგანძურის ურთიერთგაცვლის საფუძველზე.

ქართველი ხალხი ამაყად უდგას გვერდში ძმურ ოჯახად გაერთიანებულ საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებს და მათთან ერთად აშენებს ახალ ცხოვრებას, ქმნის ახალ კულტურასა და ტრადიციებს, დღეს უკვე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეულებრივი ნიშანდობლივი შტრიხია ის, რომ საქართველოს რესპუბლიკის ძლიერებისათვის, მისი დოვლათის გამრავლებისათვის ქართველებთან ერთად თანაბრად იღვწიან რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, ლიტველები და სხვ. ქართველის მარჯვენაც ქმნის რუსი, სომეხი, უკრაინელი, ესტონელი და სხვა ხალხების კეთილდღეობას, საკუთარი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და კულტურის საერთო აღმავლობაში. „ჩვენ ქვეყანაში ეროვნულ ურთიერთობას ახასიათებს როგორც ერებისა და ეროვნებების შემდგომი აყვავება, ისე მათი განუხრელი დაახლოება, რაც მიმდინარეობს ნებაყოფლობის, თანასწორობის, ძმური თანამშრომლობის საფუძველზე“ — აღნიშნულია პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში (2, 86).

როგორც საბჭოთა კავშირის ერებისა და ეროვნებათა განვითარების გამოცდილებამ ცხადყო, ეროვნულ კულტურათა დაახლოებამ ხელი შეუწყო საბჭოთა ხალხების იდეურ-ესთეტიკური დონის ამაღლებას და აუცილებელი წანამძღვრები შექმნა ყველა ხალხის ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის. „საბჭოთა კულტურა ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთგაგებასა და დაახლოებას, აქტიურად მონაწილეობს იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში. გამოხატავს რა სოციალისტური საზოგადოების იდეურ სიმდიდრეს და სულიერი ცხოვრების მრავალფეროვნებას, მის რეალურ ჰუმანიზმს, იგი ამდიდრებს მსოფლიო კულტურას, სულ უფრო სრულად ავლენს თავის თავს, როგორც კაცობრიობის სულიერი პროგრესის მძლავრ ფაქტორს, როგორც მომავალი კომუნისტური კულტურის პირველსახეს (2, 65).

X ხუთწლედი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე გარკვეული სოციალ-ეკონომიკური წარმატებებით ხასიათდება. სოციალისტურმა ერებმა და ეროვნებებმა სრული შესაძლებლობა მიიღეს სისტემატურად და მიზანდასახულად გამოეყენებინათ მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის მიღწევები თავიანთ საზოგადოებრივ პრაქტიკაში. ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საფუძველზე გაიზარდა და განვითარდა სოციალისტური კულტურის ინტერნაციონალური ნიშნები. ამასთანავე მიმდინარეობდა პროგრესული ტრადიციებისა და სოციალისტური მშენებლობის ახალი გამოცდილების შეთვისების პროცესი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საბჭოთა საზოგადოების სოციალ-პოლიტიკური და იდეური ერთობა.

ეროვნულ კულტურათა ურთიერთდაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების შედეგად სოციალიზმის სრულყოფის პროცესში უფრო განვითარდა ეროვნული ფორმები და საერთო ინტერნაციონალური ნიშან-თავისებურებანი.

პარტიის XXV ყრილობამ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა წინაშე მხატვრული სიტყვის ქმედითუნარიანობის ამაღლების, მისი შემდგომი სრულყოფის სერიოზული ამოცანები დასახა. მთავარი მოთხოვნა იყო შემოქმედებითი პროცესის კიდევ უფრო დაახლოება ცხოვრებისეულ სინამდვილესთან, ჩვენს ყოველდღიურობასთან, საბჭოთა საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემებთან, ადამიანთა სადარდელ-სასახარელთან, აქვე იგულისხმებოდა უკომპრომისო ბრძოლა ქვეყნად მშვიდობისა და ხალხთა კეთილდღეობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოწინავე ავანგარდთან ერთად ამ პერიოდში თავის შთამაგონებელ ცხოველმყოფელ სიტყვას ამბობენ ქართველი შემოქმედებიც.

ამ პერიოდში საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება კიდევ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ხალხის ცხოვრებას, იგი მთლიანად გამსჭვალულია პარტიულობისა და ხალხურობის სულისკვეთებით. იგი კომუნისტური პარტიის აღმზრდელობითი მუშაობის მძლავრ იარაღად იქცა. „ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქართველოს მწერალთა კავშირის მუშაობა ინტერნაციონალური ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის“. — აღნიშნულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 3 ივლისის დადგენილებაში — „საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმნისა და ლიტერატურული ურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მუშაობისა და ინტერნაციონალური ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების შესახებ“.

სოციალიზმის სრულყოფის პერიოდი ახალი ძალით კარნახობს საბჭოთა კულტურის სრული განვითარების აუცილებლობას, ყველა მისი ჰუმანისტური მხარის კიდევ უფრო მაღალ დონეზე აყვანას. კიდევ უფრო გაიზარდა მწერლის, ხელოვანის, რეჟისორის, მსახიობის პროფესიული პასუხისმგებლობა და ამავე დროს გაფართოვდა მისი თვალთახედვის ჰორიზონტი. შემოქმედებითმა პროცესმა უნდა მოიცვას მთელი ჩვენი ცხოვრების ყოფითი მხარეები, საზოგადოებრივი საქმიანობის მთელი პანორამა. ადამიანი დაზგასთან, ჩაის ბუჩქთან, პულტთან თუ თანამგზავრის საჭესთან, ყველაფერი ეს შემოდის ხელოვანის შემოქმედებით სამყაროში.

თანამედროვე გმირი ყოველთვის იბადებოდა პროგრესული სიახლეების დამკვიდრებისათვის ბრძოლის პროცესში. იგი ყალიბდება დრომოჭმულსა და ძველმოდურთან, ყოველივე ჩამორჩენილსა და მოძველებულთან კონფლიქტში. გმირი მაშინ იხატება სრულყოფით, როცა ხელოვანი მას ცხოვრებისეული სიმართლით აგვიწერს.

საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ საყოველთაო პოპულარობა, პატივისცემა დაიმსახურა მთელს მსოფლიოში. მაღალი პროფესიული ღირსებები, მორალურ-ზნეობრივი მიზანდასახულობა, კეთილშობილური მიზნები, სამართლიანობა, შთამბეჭდავი ხატოვანება ჭეშმარიტი მაღალმხატვრული ლიტერატურის დამახასიათებელი ნიშნებია, რითაც ასე უხვად არის დაჯილდოებული ჩვენი მწერლობა, საბჭოური, სოციალისტური კულტურა და ხელოვნება.

ლენინური ეროვნული პოლიტიკით ნასაზრდოები მეგობრობის იდეა გახდა უშრეტი წყარო ჩვენი მრავალეროვანი კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. ისტორიაში ძნელად მოიძებნება მაგალითები ჭეშმარიტი და შინაარსიანი მეგობრობისა, რომელსაც სათავე დაუდეს რუსი და ქართველი ერების საუკეთესო წარმომადგენლებმა. ეს მეგობრობა სოციალიზმის სრულყოფის პერიოდში სულ ახალ და ახალ სიმაღლეებს იძენს.

კომუნისტური პარტია თვალყურს ადევნებდა და ზრუნავდა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების იდეურ-თეორიული და მხატვრული დონის ამაღლებისათვის. ამხ. ე.ა. შევარდნაძემ 1980 წ. 15 მაისს გამართულ საქართველოს კპ ცკ-ის XX პლენუმზე ხაზგასმით აღნიშნა: „მტკიცედ გვწამს, რომ შეიქმნება მაღალმხატვრული და ღრმა იდეური ნაწარმოებები, რომლებიც მიეძღვნება სახელოვან რევოლუციურ მოვლენებს, ჩვენი ხალხის გმირულ

წარსულსა და მის დღევანდელ გამარჯვებებს, ქმნილებებს, რომლებიც ჩვენი თანამედროვის მდიდარ სულიერ სამყაროს და თავდადებულ შრომას ასახავენ, უმღერიან კომუნისტურ მშენებლობას და უნერგავენ მათ საუკეთესო ნიშან-თვისებებს“ (4, 9).

რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენცია აქტიურად ეხმაურებოდა პარტიის ყოველ მიმართვას, ღონისძიებებს, დადგენილებას და მთელი მეათე ხუთწლედის მანძილზე მრავალ მასშტაბურ ღონისძიებას ახორციელებდა. ამ პერიოდში დაიწერა მრავალი ნაწარმოები, ლექსი, პოემა, პიესა, შეიქმნა ბევრი მუსიკალური ნაწარმოები და მხატვრული ტილო, სადაც ასახულია შრომითი ჰეროიკა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაგალითები (5, 3).

ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგამოცდილების გაზიარების მიზნით X ხუთწლედში ჩატარდა მრავალი საკავშირო ღონისძიება და კონფერენცია, მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქართველოს მწერალთა კავშირის მუშაობა ინტერნაციონალური ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის. სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის მოღვაწეთა შეხვედრები სულ უფრო საქმიან ხასიათს იღებდა და ღრმა კვალს ტოვებდა რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. წარმატებით ჩატარდა საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში დევიზით „მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ინტერნაციონალიზმი განვითარებადი სოციალიზმის ეპოქაში“, რომელმაც თავისი მნიშვნელობით, ორგანიზაციის დონით, ფორმების მრავალფეროვნებითა და ღრმა შინაარსით მაღალი შეფასება დაიმსახურა, როგორც ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა კულტურულმა და პოლიტიკურმა მოვლენამ ქვეყნის ცხოვრებაში, რაც ხელს უწყობს ლიტერატურული კავშირის, ცხოვრებასთან ლიტერატურის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, ორგანიზაციულ, სამეურნეო და იდეოლოგიურ მუშაობას, მშრომელთა პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობას (6, 315). 1980 წ. გაიმართა მწერალთა საკავშირო შემოქმედებითი კონფერენცია — მიძღვნილი კომუნისტის სახის შექმნისადმი.ამავე პერიოდში ჩატარდა საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები საქართველოში.

აღნიშნული ღონისძიებები ერთობლივად ჩაატარეს მწერალთა და მხატვართა კავშირების საკავშირო და რესპუბლიკურმა ორგანიზაციებმა, რაც საბჭოეთის შემოქმედთა მეგობრობის ნათელ დადასტურებად აღიქვა ყველა მონაწილემ. ასეთივე შემოქმედებითი კონფერენციები და პლენუმები შემდგომში გაიმართა შუშენსკოესა და ხარკოვში, რომელთაგან ერთი მიეძღვნა ლენინიანას, ხოლო მეორე — მუშათა კლასის ცხოვრების მხატვრულ ასახვას. გაზეთმა „პრავდამ“ უაღრესად დადებითი შეფასება მისცა კონფერენციას: „ამგვარი ღონისძიებანი, უეჭველია, აფართოებს ხელოვნების შემოქმედების სფეროს, უფრო ეფექტიანსა და ქმედითს ხდის მის პროპაგანდას (7). ეს მეგობრობა დღეს ახალ და ახალ სიმაღლეებს იძენს, ახალ შენაკადებს შეიცავს, დროთა განმავლობაში ივი უფრო და უფრო მასშტაბური და მდიდარი ხდება.

თვით ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში საბჭოთა ხალხების კულტურის შემდგომი ინტერნაციონალიზაციის ამოცანაც, მათი უფრო ინტენსიური დაახლოება. ეს ამოცანა ითვალისწინებდა საბჭოთა ხალხების ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების გაძლიერებას კულტურის ყველა უბანზე. საბჭოთა ხალხის შინაარსით სოციალისტური, ეროვნული ფორმით მრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰალფეროვანი, სულისკვეთებით ინტერნაციონალური ერთიანი კულტურის განვითარება, სსრ კავშირის ხალხთა საუკეთესო მიღწევებისა და თავისთავადი პროგრესული ტრადიციების ბაზაზე ეროვნული კულტურების ზრდა და დაახლოება, მათი ურთიერთკავშირის განმტკიცება უფრო ნაყოფიერს ხდის მათს ურთიერთგამდიდრებას, ანიჭებს საბჭოთა ადამიანებს უფართოეს შესაძლებლობებს ეზიარონ ყოველივე ღირებულს, რაც კი რამ შეუქმნია ჩვენი ქვეყნის თითოეული ერის ნიჭს (7).

ბევრ საამაყოდ დასამახსოვრებელსა და მხურვალედ განცდილს გავიხსენებთ თანამედროვე ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში, რომელიც ახალი აღმავლობის გზაზე დგას. მისი მიღწევები კიდევ უფრო უწყობს ხელს საბჭოთა ხალხების კულტურული თანამშრომლობისა და თანამეგობრობის განვითარებას. ამ მხრივ აღსანიშნავია შ. რუსთაველის სახელობის თეატრის ორი სპექტაკლი — „კავკასიური ცარცის წრე“ და „რიჩარდ III“, რომელმაც განაცვიფრა მოსკოვის, ბაქოს, ერევნის, ხოლო საზღვარგარეთ — გერმანიის, იუგოსლავიის, მექსიკისა და დიდი ბრიტანეთის მაყურებლები. 1979 წელს სპექტაკლ „კავკასიური ცარცის წრის“ განხორციელებისათვის დამდგმელ დასს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ხალხთა შორის კულტურული დაახლოებისა და თანამშრომლობის შესანიშნავ ფორმად იქცა „მეგობრობის თეატრის“ სპექტაკლები, ხოლო რესპუბლიკის თეატრები დაუმეგობრდნენ საბჭოთა კავშირის მრავალ თეატრალურ კოლექტივს. „მეგობრობის თეატრი“, რომელიც X ხუთწლედის პირმშოა, დიდად უწყობს ხელს მოძმე ხალხთა ინტერნაციონალურ აღზრდას, თეატრალური კოლექტივებისა და თეატრმცოდნეების დამეგობრებას.

1979 წლის სექტემბერში დიდი წარმატება ხვდა წილად ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლებს მოსკოვში, გრიბოედოვის თეატრს ლენინგრადში და შ. რუსთაველის სახელმწიფო თეატრის გასტროლებს ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე.

კულტურული ცხოვრების წინსვლაში X ხუთწლედი გამოირჩევა იმითაც, რომ ტრადიციად იქცა ჩვენს რესპუბლიკაში ახალგაზრდული თეატრების საკავშირო ფესტივალები, რომლის მიზანია ახალგაზრდა მსახიობების, რეჟისორების, მხატვრების, კომპოზიტორების, თეატრმცოდნეების პროფესიული კულტურის ამაღლება, მათი დაახლოება, რაც თავისთავად ბევრს ნიშნავს შემოქმედებითი კოლექტივებისათვის. ფესტივალში მონაწილეობდნენ მოსკოვის, რიგის, ბაქოს, ერევნის, სოხუმის, თბილისის ახალგაზრდული თუ მოზარდმაყურებელთა თეატრები, თბილისის საოპერო სტუდია, სახალხო თეატრი და სცენისმოყვარულთა დასი. ფესტივალი სხვადასხვა წელს სხვადასხვა დევიზით მიმდინარეობდა.

სოციალისტური ქვეყნების კულტურული ურთიერთობის, ურთიერთგამდიდრების და მეგობრობის განმტკიცების ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა მოძმე სოციალისტური ქვეყნების დრამატურგიის ფესტივალები, აღნიშნულ პერიოდში ქართულმა თეატრმა თავი გამოიჩინა ბულგარეთისა და პოლონეთის დრამატურგიის ფესტივალებზე და საპატიო პირველი ადგილიც დაიმკვიდრა.

ამ პერიოდისათვის აღსანიშნავია აგრეთვე თბილისში გლდანის რაიონში დაარსებული ახალი სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელიც ნათლად მეტყველებს პარტიისა და ხელისუფლების დიდ ზრუნვაზე ქართული თეატრალური ხელოვნებისადმი.

დიდ წარმატებებს მიაღწია მეათე ხუთწლედში საბჭოთა კინ[illegible]ს იყო დაძაბული შემოქმედებითი შრომის, ძიების, მიღწევების [illegible]გან-ვითარების ახალ საფეხურზე რომ აიყვანეს მთელი საბჭოთა კინოხელოვნება, კიდევ უფრო დააახლოვეს დიადი საბჭოეთის ყველა ერის კულტურა, კიდევ უფრო შეამჭიდროვეს მათი თანამეგობრობა.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში გამოკვეთილია საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზები.

X ხუთწლედში ქართული კინო მიჰყვებოდა თავის მაგისტრალურ ხაზს, თავის ძირითად და მნიშვნელოვან მიმართულებებს,ურომლისოდაც კინოხელოვნებაზე დღეს მსჯელობა შეუძლებელია — ეს არის ქართული კინოს ოსტატთა სწრაფვა, რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდნენ თანამედროვეობის თემას, რაც მთლიანად კინემატოგრაფიული პრაქტიკის გათანამედროვეობასაც გულისხმობს. ამ პერიოდის ქართულ კინოზე საუბარი შეუძლებელია იმ ცვლილებების გარეშე, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში მოხდა. ისიც ცხადი და ნათელია, რომ ახალი ტიპის გმირის გამოჩენაც არ შეიძლება აიხსნას ამ მოვლენის გარეშე. ამ პერიოდის ჩვენს კინოში ყალიბდება ახალი ადამიანი — საქმიანი, მშრომელი, მცოდნე, მაღალი პარტიული პრინციპების მქონე. ამ თვისებების მატარებელია რ. ჩხეიძის ფილმის „მშობლიურო ჩემო მიწავ" მთავარი მოქმედი გმირი გიორგი თორელი.

ქართული კინოფილმების წარმატებამ ჩვენში და საზღვარგარეთ დიდი პოპულარობა მოუპოვა ქართველ კინორეჟისორებს. აღსანიშნავია თ. აბულაძის „ნატვრის ხე", რომელიც საუკეთესო ფილმად იქნა აღიარებული მთელ რიგ საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალებზე და ლანა ღოღობერიძის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", რომელიც დაჯილდოვდა აშხაბადში აზიის ქვეყნების ფესტივალზე, ხოლო სან-რემოს XXII საერთაშორისო კინოფესტივალზე „გრან-პრი" მოიპოვა.

ამ ორი ფილმის აღიარებაზე მეტყველებს აგრეთვე ისიც, რომ პირველმა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა, ხოლო მეორეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

საბჭოთა ხალხის ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების საქმეში უდიდესი როლი ენიჭება აგრეთვე სახვითი ხელოვნების დარგის მუშაკებსაც. ამის შესანიშნავი დასტურია საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეებში — მხატვართა დიდი შემოქმედებითი ფორუმები. პირველად ასეთი ფორუმი საქართველოში გაიმართა 1979 წელს. ასეთი კონტაქტები და ურთიერთშეხვედრები უდიდესი მნიშვნელობისაა, რაც ხელს უწყობს ეროვნულ კულტურების ურთიერთგამდიდრებას, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას და განვითარებას.

1980 წელს საქართველოში გაიმართა სსრკ მხატვართა კავშირისა და საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გაერთიანებული პლენუმი თემაზე „მრავალეროვანი საბჭოთა ხელოვნების კომუნისტური იდეურობა და ინტერნაციონალიზმი". სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების მაღალი ამოცანები განსაზღვრავდა ამ პლენუმის დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას, ამოცანებს, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ცნობილ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილებაში „იდეოლოგიური და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

კულტურის მიღწევათა ამ დათვალიერებაზე მოძმე რესპუბლიკების მხატვართა შემოქმედებასთან ერთად მაღალი შეფასება ხვდა წილად ქართველ მხატვრებს. კიდევ უფრო ამაღლდა ქართული ეროვნული ხელოვნების ავტორიტეტი არა მარტო რესპუბლიკისა და კავშირის მასშტაბით, არამედ საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთაც.

აღსანიშნავია, რომ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების საფუძველზე ამ პერიოდში რესპუბლიკაში გაიხსნა ახალი საგამოფენო დარბაზები და გალერეა-მუზეუმები. ჭეშმარიტად დიდებული კერები შეემატა საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს თბილისის „მხატვართა სახლის“, ცხაკაიას გალერეა-მუზეუმისა და კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში სახვითი ხელოვნების ცენტრის გახსნით.

ქართველ მხატვართა რიგები შეივსო ახალი ძალებით, რომელიც გამოირჩევა ახლებური თვალთახედვით, თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტით, შესრულების თავისთავადობით. მშვენიერ ტრადიციად იქცა მხატვართა როგორც პერსონალური, ასევე კოლექტიური საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენები, რომელშიც მონაწილეობენ ყველა თაობის მხატვრები, მათ შორის ბევრია ქალი ფერმწერი, ქალი გრაფიკოსი და სხვა (ნ. იანქოშვილი, ნ. კანდელაკი, რ. ფეტვიაშვილი, თ. თავაძე, ლ. შენგელია-აბაშიძე, დ. ნოდია და სხვა).

X ხუთწლედში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა მუსიკალური კულტურის სფეროშიც, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მდგომარეობა მთელ რიგ შემოქმედებით ორგანიზაციებში და მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნული მუსიკალური ხელოვნების წინსვლასა და განვითარებას.

განსაკუთრებული წარმატებებია მოპოვებული ქართული საშემსრულებლო ხელოვნების ფრონტზე, რომლის სახელსა და ღირსებას წლების მანძილზე იცავდნენ შესანიშნავი ქართველი მომღერლები, პიანისტები, მევიოლინეები.

X ხუთწლედში რადიკალურად გარდაიქმნა ისეთი შემოქმედებითი კოლექტივების მუშაობა, როგორიცაა საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ჯ. კახიძე. ამაღლდა ამ კოლექტივის პროფესიული დონე, გაფართოვდა რეპერტუარი, კლასიკურ და თანამედროვე სიმფონიური მუსიკის გვერდით დიდი ადგილი დაეთმო ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში სიმფონიურმა ორკესტრმა დიდი წარმატებებით ჩაატარა კონცერტები პოლონეთში. საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებით მოღვაწეობს საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმებიანი კვარტეტიც, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო კოლექტივადაა მიჩნეული მთელს საბჭოთა კავშირში.

ეროვნულ კულტურას, ქართველი ხალხის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული მემკვიდრეობის პროპაგანდას საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბით დიდი სამსახური გაუწია ისეთმა ცნობილმა კოლექტივებმა, როგორიცაა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლი (სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით), ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „რუსთავი“ (ხელმძღვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ერქომაიშვილი) და „გორდელა" (ხელმძღვანელი თ. ქევხიშვილი), სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი.

ამავე პერიოდში შემოქმედებით ასპარეზზე დაწინაურდა კიდევ ერთი შესანიშნავი კოლექტივი — გორის მუსიკალური სასწავლებლის გოგონათა გუნდი შ. მოსიძის ხელმძღვანელობით. ასეთი სახის ქალთა საგუნდო კოლექტივის დაბადება თვალსაჩინო სიახლე და მონაპოვარი გახდა ქართული მუსიკალური კულტურისათვის, ამ კოლექტივმა კარგა ხანია გადალახა საბჭოთა კავშირის საზღვრები.

თვით ცხოვრება ამტკიცებს, რომ საბჭოთა ახალგაზრდობის ჰარმონიული აღზრდა, პერსპექტიული შემოქმედებითი კადრებისადმი მხარდაჭერა და წახალისება შეადგენს ჩვენი პარტიისა და მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს. ამას ადასტურებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმი, სადაც ხაზგასმით აღინიშნა: „ახალგაზრდობა ჩვენი იმედი, ჩვენი მომავალია და იმაზე, თუ რა თვისებებს იძენს დღეს იგი, თუ რა გეზი აქვს მას აღებული, დიდად არის დამოკიდებული რესპუბლიკის ბედი მეოცე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და მომავალი საუკუნის დამდეგს მისი განვითარების პერსპექტივები. ამიტომ კომკავშირი, ახალგაზრდობა, მათი ინტერესები ყოველთვის უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში" (6, 181). ამ პერიოდში საქართველოს შემოქმედებითი ორგანიზაციების მთელი მუშაობაც აქეთკენ იყო მიმართული.

საქართველოს უმაღლეს და საშუალო მუსიკალურ სასწავლებლებში ყველა პირობაა შექმნილი ნიჭიერ ახალგაზრდა მუსიკოსთა გამოსავლენად, მათი იდეური და ესთეტიკური დონის ასამაღლებლად. ამ მიზნით საქართველოს მუსიკალურ კერებში მრავალი ღონისძიება განხორციელდა, გააქტიურდა სასწავლო ტრადიციების გადასინჯვა და გარდაქმნის პროცესი თანამედროვეობის მზარდი მოთხოვნილებების შესაბამისად, გაცხოველდა გამოცდილების გაზიარება და კოლეგიალური კონტაქტები. მაგ. ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიამ დაამყარა მეგობრული და პროფესიული ურთიერთობა მოძმე რესპუბლიკისა და დემოკრატიული ქვეყნების უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებთან. ამ გზას მიჰყვებიან აგრეთვე რესპუბლიკის სხვა მუსიკალური სკოლები, სასწავლებლები, რომელთა აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობდნენ შემოქმედებით შეჯიბრებაში საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობასთან.

ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების სტიმულირებისა და გამოვლინების მიზნით ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად იმართება სხვადასხვა სახისა და მასშტაბების შემოქმედებითი დათვალიერებები, ფესტივალები, კონკურსები, რომლებიც დიდ პერსპექტივებს სახავენ ნიჭიერი მუსიკოსების წინაშე, ავლენენ ჭეშმარიტ ტალანტებს, გზას უხსნიან მათ ფართო სარბიელისაკენ. ამგვარ ფორუმებზე ყოველთვის დიდი წარმატებით გამოდიან ქართველი პიანისტები, ინსტრუმენტალისტები, მომღერლები... ამის შედეგია ის, რომ თითქმის ყოველწლიურად იზრდება ქართველ მუსიკოს-ლაურეატთა რიცხვი. დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილია მარინე იაშვილის, ელისო ვირსალაძის, მარინე მდივანის, თამარ გაბარაშვილის, ლიანა ისაკაძის, მედეა ამირანაშვილის, ლამარა ჭყონიას, ცისანა ტატიშვილის და სხვათა სახელები. მეათე ხუთწლედში საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის წოდება მიენიჭათ შესანიშნავ ახალგაზრდებს, პიანისტებს: ნინო ჭიაქაძეს, მანანა დოიჯაშვილს, მარინე ხვიტიას, ეთერ ანჯაფარიძეს, მევიოლინე ნანა იაშვილსა და რუსიკო გვასალიას, მომ-

ღერლებს — მაყვალა ქასრაშვილს, საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული კვარტეტის წევრებს, ვაჟთა ვოკალურ ანსამბლ „რუსთავს“. 1975 წ. გლინკას სახელობის ვოკალისტთა VII საკავშირო კონკურსში ლაურეატის წოდება მოიპოვეს ლიანა კალმახელიძემ და ელდარ გეწაძემ. სწორედ ეს ახალგაზრდები და როგორც დავინახეთ, მათ შორის ბევრი ქალი-შემსრულებელი დგას ამ პერიოდში მუსიკალური კულტურის ავანგარდში. ისინი იცავენ ქართული ხელოვნების ღირსებას.

ამ პერიოდში ქართულმა საოპერო მუსიკამ გზა გაიკვალა საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზეც. დიდი წარმატებით დაიდგა ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ კიევში, ლენინგრადში და პოლონეთის ქალაქ ლოძში, „დაისის“ დადგმა განხორციელდა ხარკოვში, სვერდლოვსკში და ქალაქ პლოზენში. ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ ამღერდა ერევანში, მინსკში, ტარტუში, რიგაში და ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოლომოუცში, „სამი ნოველა“ კი მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის მუსიკალურ თეატრსა და ბრატისლავის საოპერო თეატრში.

ეროვნული მუსიკალური კულტურის სახელისა და ავტორიტეტის ზრდას დიდად შეუწყო ხელი ქართული მუსიკის კონცერტებმა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში. აქ განსაკუთრებით თავი ისახელეს მუსიკოსებმა ელისო ვირსალაძემ, მარინე იაშვილმა, ნანა იაშვილმა, ლიანა ისაკაძემ, მანანა დოიჯაშვილმა და სხვებმა.

საბჭოთა ხალხების ძმურ კავშირს, მათი კულტურების ურთიერთგამდიდრების ღრმა პროცესს ცხადყოფს რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები საქართველოში და ქართული მეცნიერების დღეები მოსკოვში, უკრაინელ ლიტერატორთა დეკადები საქართველოში და ქართველ ლიტერატორთა — უკრაინაში, ამიერკავკასიის რესპუბლიკების კულტურის დღესასწაულები, რომლებიც გაიმართა ბაქოში, ერევანსა და თბილისში. საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში და იტალიაში გამართულ საბჭოთა კულტურის დღეებში, რაც აგრეთვე წარმოადგენდა საბჭოთა სოციალისტური კულტურის მჭიდრო, ურღვევი ერთიანობის ნათელ გამოხატულებას, ძმური პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გამოვლინებას.

ამრიგად, სოციალისტური ერების კულტურათა დაახლოებაში, ურთიერთკავშირსა, თანამშრომლობასა და თანამეგობრობაში საპატიო ადგილი უკავია საქართველოს შემოქმედებით ინტელიგენციას. მისი წვლილი განუზომლად დიდი და საინტერესოა სოციალიზმის სრულყოფის პერიოდში არა მარტო სულიერ საგანძურთა ურთიერთგაცვლისა და ურთიერთგამდიდრების თვალსაზრისით, არამედ ეროვნულ კულტურათა შემდგომი განვითარების დიდმნიშვნელოვან და უაღრესად საჭირო საქმეში.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. მ. ს. გ ო რ ბ ა ჩ ო ვ ი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბილისი, 1986.
2. სკკპ პროგრამა (ახალი რედაქცია), თბილისი, 1986.
3 ნ. ჩ ა ფ ი ძ ე. ქართველ და მოძმე ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების ისტორიის პრობლემები. თბილისი, 1982.
4. საქართველოს კპ ცკ-ის XV პლენუმის მასალები, თბილისი, 1981.




ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1980, № 9.
6. იდეოლოგიური მუშაობის საკითხები. თბილისი, 1983.
7. გაზ „პრავდა“, 1980 წ. 15 VI მოწინავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н. БУРДЗЕНИДЗЕ

## КУЛЬТУРНОЕ СОТРУДНИЧЕСТВО СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ НАЦИЙ В УСЛОВИЯХ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ СОЦИАЛИЗМА (1976—1980 г.г.)

Резюме

В статье показано развитие культурных связей между народами Советского Союза и различные формы и методы интернационализации национальной культуры в процессе создания единой социалистической культуры.

В статье прослеживается как все эти формы укрепляют духовные связи между социалистическими нациями и способствуют созданию общего направления советской культуры.

N. BURDZENIDZE

## THE CULTURAL COLLABORATION OF THE SOVIET SOCIALIST NATIONS IN THE PERFECTIVE OF SOCIALISM (1976—1980)

Summary

The article shows the development of cultural relations between peoples of the Soviet Union and the diverse forms and methods of internalizing national culture while creating the united socialist culture.

It also discusses how the above strengthens the spiritual relations between the socialist peoples and helps to formulate the general direction of Soviet culture.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета

280, 1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ეროვნული უმცირესობების პარტიულ-საბჭოთა პრესისადმი 1921—1925 წლებში

გ. კვაჭანტირაძე

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე, გარდამტეხ ეტაპზე, როდესაც სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროგრამა თანამიმდევრულ განხორციელებას მოითხოვს, განსაკუთრებით იზრდება პრესის სააგიტაციო, პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მუშაობის როლი.

სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, ამავე წლის თებერვალში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ხელმძღვანელებთან შეხვედრის მასალებში, მათზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებებსა და გამოსვლაში მთელი სიცხადითაა წარმოჩენილი გარდაქმნის, დაჩქარების პირობებში პრესის მოქმედების ვრცელი, კონკრეტული პროგრამა. იგი გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნის რევოლუციური პროცესისადმი პრესის მკვეთრ შემობრუნებას.

პარტიულ-საბჭოთა პრესის განვითარების აუცილებელი პირობაა პარტიული ხელმძღვანელობა. იგი უზრუნველყოფს ჩვენი პრესის სამართლიანობასა და პოპულარობას, მის ქმედითობასა და ავტორიტეტს. კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის ეს სფერო მტკიცედ ემყარება პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს. როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, კომუნისტურ პარტიას მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი „მიაჩნია აღმშენებლობის ინსტრუმენტად, უწყებრიობასა და კუთხურობასთან შეუთავსებელი საერთო-პარტიული თვალსაზრისის გამომხატველად და ყოველივეს, რაც პრინციპული მოსაზრებებით და საქმის გაუმჯობესების ინტერესებით არის ნაკარნახევი, პარტია კვლავაც დაუჭერს მხარს“. (1, 137).

პარტიულ-საბჭოთა პრესის განვითარების ყველა ეტაპზე კომუნისტური პარტია განუხრელად ზრუნავს დროის სულისკვეთებით პრესის მუდმივი სრულყოფისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში მისი იდეურ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი როლის ამაღლებისათვის.

განუზომლად დიდია კომუნისტური პარტიის ზრუნვა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე პერიოდული პრესის შექმნისა და განმტკიცებისათვის. სწორედ ამ უდიდესი ზრუნვის შედეგია, რომ ამჟამად ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა

კავშირის ხალხთა 55 ენაზე გამოდის 9 ათას გაზეთზე და 5 ათას ჟურნალსა და პერიოდულ გამოცემაზე მეტი, მათ შორის იმ ხალხთა 18 ენაზე, რომლებსაც ოქტომბრის რევოლუციამდე საკუთარი დამწერლობა არ გააჩნდათ. რამდენად მრავლისმეტყველია ეს ციფრები თვალნათლივ ჩანს იქიდანაც, რომ მეფის რუსეთში, სადაც ათეულობით ერი და ეროვნება სახლობდა, 1916 წელს გაზეთები და ჟურნალები გამოდიოდა მხოლოდ 15 ენაზე.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდი მრავალეროვანი საბჭოთა პრესის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია. იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის მშვიდობიან მშენებლობაში მშრომელთა აქტიური ჩაბმისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ბელადი ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პრესას, ამტკიცებენ და სრულყოფენ პრესისადმი პარტიულ ხელმძღვანელობას.

1921—1925 წლები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების, პარტიულ-საბჭოთა პრესის შექმნისა და სრულყოფის პერიოდია. ამ წლებში ეყრება საფუძველი რესპუბლიკაში მცხოვრები არამკვიდრი მოსახლეობის პრესას, იხვეწება მისი მუშაობის ფორმები და მეთოდები, ხელწერა და სტილი.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ამ პერიოდში არამკვიდრი მოსახლეობის პარტიულ-საბჭოთა პრესის ხელმძღვანელობის სფეროში მნიშვნელოვანი გამოცდილება დააგროვა. ამ გამოცდილების შესწავლა და განზოგადება გვეხმარება პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გამოცდილების შემოქმედებითად ათვისებაში, საშუალებას გვაძლევს უფრო უკეთ გამოვიყენოთ ბეჭდვითი სიტყვის ძლიერი ძალა თანამედროვე ეტაპზე.

1921—1925 წლების საქართველო მრავალეროვანი ქვეყანა იყო. იგი კომპაქტურად იყო დასახლებული სხვადასხვა ერისა და ეროვნების მცხოვრებლებით. ყველა ისინი თავიანთ დედაენაზე ლაპარაკობდნენ, თავიანთი ზნე-ჩვეულებანი გააჩნდათ. რესპუბლიკაში ძირეულ სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა მათი დარაზმვა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღსადგენად, კულტურული რევოლუციის განსახორციელებლად, მენშევიკური ხელისუფლებისაგან მემკვიდრეობით დატოვებული ეროვნული შუღლის აღმოსაფხვრელად. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად, უპირველეს ყოვლისა, რესპუბლიკაში მცხოვრები არამკვიდრი მოსახლეობის პარტიულ-საბჭოთა პრესა იყო მოწოდებული.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთა პრესა სერიოზულ დროებით სიძნელეებს განიცდიდა, რაც გაპირობებული იყო ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით.

პრესის დროებითი სიძნელის ობიექტურ ფაქტორს წარმოადგენდა მენშევიკური მმართველობის შედეგად განადგურების პირამდე მიყვანილი ქვეყნის ეკონომიკა, რაც განაპირობებდა პერიოდული გამოცემების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისუსტეს; ფოსტა-ტელეგრაფის, გამავრცელებელი ექსპედიციის, მოუგვარებელი გზებისა და ტრანსპორტის უწესრიგო მუშაობა, რაც პრესის ნორმალური საქმიანობის გაშლას უშლიდა ხელს; თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებული ჟურნალისტების მცირერიცხოვნება, რაც აქვეითებდა პრესის იდეურ-პოლიტიკურ დონეს.

მაგრამ რესპუბლიკის პრესის დროებით სიძნელეს განსაზღვრავდა აგრეთ-

ვე სუბიექტური ხასიათის ფაქტორებიც. ეს იყო, ერთი მხრივ, ბეჭდვითი ორგანოებისადმი ჯერ კიდევ სუსტი პარტიული ხელმძღვანელობა, და, მეორე მხრივ, რედაქციების სუსტი კავშირი ისედაც მცირერიცხოვან ჟურნალისტებთან და მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთა პრესის ხელმძღვანელობას ახორციელებდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ხოლო 1921 წლის 1 აპრილიდან, რკპ (ბ) X ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად, საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება თავდაპირველად საგამომცემლო-ლიტერატურული, ხოლო მოგვიანებით ბეჭდვითი სიტყვის ქვეგანყოფილების საშუალებით. რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობათა პრესას ჯერ ხელმძღვანელობდნენ საქ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი თურქული და სომხური (2), ხოლო 1921 წლის 1 აპრილიდან საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებასთან დაარსებული ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილება სომხური, თურქული და გერმანული სექციებით (3). მოგვიანებით აჭარის საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებასთან ჩამოყალიბდა ეროვნულ უმცირესობათა სექცია სომხური, თურქული და ბერძნული განყოფილებებით (4).

საქართველოს კომუნისტური პარტია პარტიულ-საბჭოთა პრესისაგან მოითხოვდა მაღალ იდეურობას, მებრძოლ პარტიულობას, პრინციპულობას და სათანადო დახმარებას უწევდა მას სწორი იდეური მიმართულების გამომუშავებაში. საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რესპუბლიკაში მცხოვრები არამკვიდრი მოსახლეობის პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, გამოცდილი, პოლიტიკურად მომზადებული, მტკიცე პარტიული კადრებით ჟურნალ-გაზეთების რედაქციების განმტკიცებას.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ცენტრალური კომიტეტის მდივანს მ. ორახელაშვილს დაევალა რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთა პრესისადმი ხელმძღვანელობა; საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრს ა. ნაზარეტიანს გაზეთ „პრავდა გრუზიის" რედაქტორობა; საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის წევრს ს. რუდაკოვს გაზეთ „იზვესტიის" რედაქტორობა; საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს ფ. მახარაძეს, სახალხო კომისრებს ს. ქავთარაძესა და მ. ტოროშელიძეს პრესის რედაქციებისათვის სახელმძღვანელო სტატიების რეგულარულად მოწოდება, ამასთან ერთად ს. ქავთარაძეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანოს, გაზეთ „პრავდის" კორესპონდენტობა; გამოიყო გამოცდილი პარტიული მუშაკები გაზეთ „რაბოჩაია პრავდას", „პარტიული ცხოვრების" განყოფილების სახელმძღვანელოდ და საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორგანოს, გაზეთ „სპარტაკის" რედაქციის სახელმძღვანელოდ. (5).

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ქმედითი ღონისძიებები განახორციელა ჟურნალისტთა და მუშსოფლკორთა იდეურ-პოლიტიკური და თეორიული განათლების დონის ასამაღლებლად, მათი პროფესიული დაოსტატების დასახვეწად.

ამ მიზნით თბილისში, 1921 წელს „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს საქართველოს განყოფილებასთან" გაიხსნა ჟურნალისტთა მოსამზადებელი კუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რსები ქართული და რუსული განყოფილებებით. კურსების მსმენელებს უტარდებოდათ თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები (6).

ჟურნალისტთა და მუშსოფლკორთა აღზრდის პრაქტიკულ სკოლას, მათი სწავლების ამაღლების მნიშვნელოვან შემოქმედებით ლაბორატორიებს წარმოადგენენ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან ჩამოყალიბებული მუშსოფლკორთა და ახკორთა ბიუროები, კურსები და წრეები, აგრეთვე კედლის გაზეთები, მუშათა და გლეხთა კლუბებთან, წარმოება-დაწესებულებებთან გახსნილი მუშსოფლკორთა კურსები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებითა და რეკომენდაციით მომავალი ჟურნალისტები სასწავლებლად იგზავნებოდნენ საბჭოთა ჟურნალისტიკის პირველ სამჭედლოში — ჟურნალისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტში. მათ სტიპენდია და უფასო საერთო საცხოვრებელი ეძლეოდათ (7).

ცხადია, ჟურნალისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტს იმ პერიოდში შესაძლებლობა არ ჰქონდა დაეკმაყოფილებინა ქვეყნის მზარდი მოთხოვნილება ჟურნალისტთა კადრებზე. ამის ნათელი დადასტურებაა ინსტიტუტში სასწავლებლად საქართველოდან წარგზავნილთა მცირე რაოდენობაც. ამიტომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ეძებდა გზებს და ადგილზე ახორციელებდა ქმედით ღონისძიებებს რესპუბლიკაში მცხოვრები არამკვიდრი მოსახლეობის პრესაში მომუშავე ჟურნალისტთა და მუშსოფლკორთა კადრების აღსაზრდელად.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით და მითითებით 1921 წლის ივლისიდან პოლიგრაფიული წარმოების კავშირთან არსდება კორექტორთა მოსამზადებელი ექვსთვიანი კურსები, ხოლო განათლების სახალხო კომისარიატთან ასოთამწყობთა კურსები (8). 1923 წლის 20 ნოემბერს, თბილისში პოლიგრაფიულ წარმოებასთან გაიხსნა ვ. ბოლქვაძის სახელობის პოლიგრაფიული სკოლა, რომელშიც სპეციალური საგნების 11 მასწავლებელი და ხელობის 3 ინსტრუქტორი ასწავლიდა. აღსანიშნავია, რომ პოლიგრაფსკოლაში სპეციალური საგნების სწავლებასთან ერთად ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა თეორიული დონის ამაღლებას, რაც ხელს უწყობდა მათ აქტიურ ჩაბმას წარმოებაში ტექნიკური პროგრესის დასანერგად (9).

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკების მოსამზადებელი კურსები და პოლიგრაფიული სკოლა წარმოადგენდა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის კერას. მათში გაერთიანებულნი იყვნენ რესპუბლიკაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

1924 წლის თებერვალში თბილისში გაიხსნა მუშათა ბეჭდვითი სიტყვის კლუბი, რომელიც მუშკორებმა თავიანთი ძალებით მოაწყეს. კლუბთან ჩამოყალიბდა მუშკორების სექცია და შეიქმნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო 500-ზე მეტი წიგნით (ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე). კლუბთან ჩამოყალიბებულ 6 წრეში მუშკორები სწავლობდნენ რკპ (ბ) ისტორიას, რევოლუციური მოძრაობისა და პროფმოძრაობის ისტორიებს (10).

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის კლუბებთან არსებობდა აგრეთვე საგაზეთო საქმისა და ენების შემსწავლელი წრეები, სექციები და კურსები. პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულმა წრემ 1924 წლის ივნისში ოცამდე მუშკორი მოამზადა (11), ასეთივე წრეები არსებობდა მუშათა ბეჭდვითი სიტყვის კლუბში ბათუმში (12).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1924 წლის 30 მარტს მუშათა ბეჭდვითი სიტყვის კლუბთან გაიხსნა მუშკორთა კურსები, სადაც მეცადინეობა მიმდინარეობდა ქართულ, რუსულ და სომხურ სექციებში (13).

1924 წლის ივლისში საქართველოს კპ (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების მიერ გახსნილი იყო სოფლკორთა კურსები 20 მსმენელისათვის (14).

რკპ (ბ) XI ყრილობამ ყურადღება გაამახვილა პრესის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე. ყრილობის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გასატარებლად საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებამ 1922 წლის სექტემბერში ჩაატარა ორი თათბირი. თათბირებმა მიუთითეს პარტიულ-საბჭოთა პრესის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე. მიღებული იქნა დადგენილებები, რომ პრესას განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ადგილობრივი მშენებლობის, სამეურნეო ცხოვრების და უპარტიო მუშებთან კავშირის განმტკიცების საკითხების გაშუქებისათვის, მუშსოფლკორთა შემადგენლობის გაწმენდისა და გაჯანსაღებისათვის (15). რესპუბლიკაში მცხოვრები არამკვიდრი მოსახლეობის პარტიულ-საბჭოთა პრესის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, მისი მატერიალური ბაზის განმტკიცების, პრესის მუშაობის ხელისშემშლელი მიზეზების გამორკვევისა და მათი აღმოფხვრის მიზნით საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების კოლეგიის გადაწყვეტილებით 1923 წლის 18 სექტემბრიდან რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე მოეწყო დისკუსია. დისკუსიამ გამოავლინა რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთა პრესის მუშაობის ნაკლოვანებები.

ჩატარებული დისკუსიის შედეგად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტს და გაზეთის რედაქციებს გაუგზავნა ცირკულარული წერილები, რომლებშიც აღნიშნული იყო პრესის მუშაობის ნაკლოვანებები და მოცემული იყო შესაბამისი რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად (16). საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი აუცილებლად საჭიროდ თვლიდა რედაქციებს მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ პარტიულ, საბჭოთა, პროფესიულ და სამეურნეო ორგანოებში მომუშავე ამხანაგებთან, მოეზიდათ ისინი პრესაში სამუშაოდ, ამ საქმეში ჩაებათ აგრეთვე მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში მომუშავე უპარტიო ამხანაგები, ყოველნაირად წაეხალისებინათ მუშები, ადგილი დაეთმოთ პრესის ფურცლებზე მათი ლიტერატურული და მხატვრული სიტყვისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევდა ყველა რედაქციას მტკიცედ აეღოთ კურსი თავიანთი ხარჯების დაფარვისა და დეფიციტურობის აღმოსაფხვრელად, რის მისაღწევადაც საჭირო იყო მოეწესრიგებინათ პრესის გავრცელებისა და ხელისმოწერის საქმე.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის ქვეგანყოფილებამ 1923 და 1924 წლებში ჩაატარა რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთა პრესის გამოკვლევა. გამოკვლევამ ნათელჰყო პერიოდული პრესის მუშაობის ნაკლოვანებები, გამოცდილი კვალიფიციური კომუნისტ-ჟურნალისტების ნაკლებობა, პრესის მატერიალური ბაზის სისუსტე და ა. შ. (17).

საქართველოს კომუნისტური პარტია შეუნელებელი ყურადღებით ეკიდებოდა ახალგაზრდული პრესის მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. საქართველოს კომპარტიის II და IV ყრილობის გადაწყვეტილებებში აღნიშნული იყო, რომ კონტრრევოლუციური და შოვინისტური აგიტაციის მასალაგმავად

გაძლიერებულიყო ლიტერატურისა და გაზეთების გამოცემა ახალგაზრდობისათვის და მათი მუშაობისათვის ქმედითი დახმარება გაეწია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს (18).

ბიბლიოთეკა

1925 წლის დასაწყისში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებაში გაიმართა თათბირი ალკკ პრესის მდგომარეობის შესახებ. თათბირმა კონკრეტული ამოცანები დასახა კომკავშირული პრესის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. თათბირმა წინადადება მისცა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ბეჭდვითი სიტყვის ქვეგანყოფილებას, რომ დეტალურად შეესწავლა ახალგაზრდული პრესის მდგომარეობა.

1925 წლის 25—30 სექტემბერს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შემდგარმა საოლქო და სამაზრო კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებების გამგეების თათბირმა ერთხელ კიდევ აუცილებლად ცნო პარტიული კომიტეტების მხრივ კომკავშირული პრესის საქმიანობისადმი უფრო მეტი ყურადღების მიქცევა (19).

საქართველოს კომპარტიამ ყოველგვარი ზომები მიიღო კორესპონდენტთა ხელშეუხებლობის დასაცავად, მათთვის წერის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში დამარცხებული ექსპლოატატორული კლასის წარმომადგენლები, აგრეთვე საბჭოთა ორგანიზაციებში მოკალათებული მტრულად განწყობილი ელემენტები აშკარად ავიწროებდნენ და დევნიდნენ მუშსოფლკორებს.

მუშკორთა დევნის დამახასიათებელი მაგალითია გაზეთ „რაბოჩია პრავდას" მუშკორის უკანონო დევნა და შევიწროება.

ამ საქმის გამო გამართულმა სასამართლო პროცესმა, ერთი მხრივ, საბჭოთა საზოგადოების მტრებს დაანახვა, რომ მშრომელთა სასამართლო მტკიცედ იცავდა მუშსოფლკორებს მტრული ელემენტების ყოველგვარი ხელყოფისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა პარტიულ-საბჭოთა პრესის ამოცანა — დაუნდობელი ბრძოლა ეწარმოებინა ყოველგვარი უკანონობის, თვითნებობისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, ხელი შეეწყო საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის (20).

საქართველოს კომპარტიის მიერ რესპუბლიკაში მცხოვრები ერების შეუხებლობის საქმეში აქტიურად ჩააბეს პროკურატურა, მილიცია, მუშგლეხინი, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები (21).

საქართველოს კომპარტიის მიერ რესპუბლიკაში მცხოვრები ერებისა და ეროვნებების პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებამ, მუშსოფლკორთა მოძრაობის განვითარებამ, თავისი შედეგები გამოიღო. 1921—1925 წლებში საქართველოში გამოდიოდა პრესა აფხაზურ, ოსურ. რუსულ, სომხურ, თურქულ, ბერძნულ და გერმანულ ენებზე. რესპუბლიკაში მცხოვრები არამკვიდრი მოსახლეობის დაახლოების, მათ შორის ახალი ძმური ურთიერთობების დამყარების დიდმნიშვნელოვან საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებდა რესპუბლიკაში რუსულ ენაზე გამოცემული ჟურნალ-გაზეთები. ისინი ერთდროულად ეროვნული პრესის ფუნქციებსაც ასრულებდნენ, რამდენადაც აქტიურად მონაწილეობდნენ ეროვნული პრობლემების მოგვარებაში, იბრძოდნენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ამაღლებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე 1921 წლის

2 მარტიდან დაიწყო რუსულ ენაზე გაზეთ „პრავდა გრუზიის“ გამოცემა. გაზეთის პირველი ორი ნომერი გამოვიდა „კავკაზსკაია პრავდას“ სახელწოდებით. 1922 წლის 3 მაისს გაზეთის გამოცემა დროებით შეწყდა. მისი ფუნქციები იკისრა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანომ, გაზეთმა „პრავდა ზაკავკაზიამ“. მაგრამ სამხარეო გაზეთი ჯეროვნად ვერ აშუქებდა პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხებს საქართველოში. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თხოვნით რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტისადმი 1922 წლის 1 ივნისიდან კვლავ განახლდა გაზეთ „პრავდა გრუზიის“ გამოცემა, რომელიც ამავე წლის 20 ივნისიდან რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტის ორგანოს, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ გამოსვლის გამო, 1923 წლის 9 მარტიდან გადაკეთდა მასობრივ მუშათა გაზეთად „რაბოჩაია პრავდა“.

1921 წლის 22 თებერვლიდან ჯერ სოჭში, ხოლო შემდეგ სოხუმში რუსულ ენაზე გამოდიოდა აფხაზეთის რევკომისა და რკპ (ბ) საორგანიზაციო ბიუროს ორგანო, გაზეთი „გოლოს ტრუდოვოი აბხაზიი“, რომელიც 1924 წლის 9 ოქტომბრიდან გადაკეთდა საქ. კპ (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, ცენტრალური აღმასკომისა და პროფკავშირების ყოველდღიურ ორგანოდ, გაზეთად „ტრუდოვაია აბხაზია“.

1921 წლიდან ბათუმში რუსულ ენაზე გამოდიოდა საქ. კპ (ბ) აჭარის პარტიული კომიტეტისა და აღმასკომის ორგანო, გაზეთი „იზვესტია“, 1922 წლიდან აჭარის პარტკომისა და ცენტრალური აღმასკომის ორგანო, გაზეთი „ტრუდოვოი ბატუმ“, რომელიც 1925 წლიდან გადაკეთდა გაზეთად „ტრუდოვოი ადჟარისტან“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით 1921 წლის 13 აპრილიდან 13 ივლისამდე თბილისში გამოდიოდა საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორკვირეული გაზეთი „სტრანიჩკა“ (ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე). ამავე პერიოდში „სტრანიჩკა“ გამოდიოდა ბათუმში 4 ენაზე (ქართულ, რუსულ, თურქულ და ბერძნულ ენებზე), აგრეთვე ქუთაისში, სიღნაღსა და ახალციხეში“ (22).

1922 წლის 22 ივნისს კ. ლიბკნეხტისა და რ. ლუქსემბურგის გარდაცვალების 3 წლისთავის აღსანიშნავად თბილისში რუსულ-ქართულ ენაზე გამოიცა საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, გაზეთი „სპარტაკი“. იგი პირველად ერთდღიური გამოცემის სახით გამოვიდა. 1922 წლის 5 ნოემბრიდან (№ 10) გაზეთი ხან ყოველკვირეულად და ხან კვირაში ორჯერ, ხოლო 1922 წლის 12 ნოემბრიდან (№ 18) — 1924 წლის 3 აპრილამდე სისტემატურად ყოველკვირეულად გამოდიოდა. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს გადაწყვეტილებით 1924 წლის 3 აპრილიდან 1925 წლის 31 ოქტომბრამდე გაზეთი გამოდიოდა კვირაში ორჯერ (23).

1922 წელს კომკავშირის ხუთი წლისთავის აღსანიშნავად, თბილისში რუსულ ენაზე გამოვიდა გაზეთი „ავანგარდ“ და რამდენიმე ერთდროული გამოცემა. ხოლო 1923 წელს გაზეთი „კრასნაია მოლოდიოჟ“.

1923 წლის აპრილიდან თბილისში რუსულ ენაზე გამოდის ყოველკვირეული კომკავშირული გაზეთი „სპარტაკ“, რომელიც 1923 წლის ოქტომბრიდან გადაკეთდა კომკავშირულ გაზეთად „იუნოშესკაია პრავდა“.

1925 წლის 6 ივლისიდან თბილისში რუსულ ენაზე დაიწყო გამოსვლა საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის ცენტრალური და თბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისის საბჭოების ორკვირეულმა ორგანომ, გაზეთმა—„იუნი პიონერ“ („ნორჩი პიონერი“).

1921 წლის 27 მარტს შემდგარმა საქ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა სომხურმა სექციამ, თავის სხდომაზე განიხილა საკითხი საქართველოში სომხური პრესის გამოცემის თაობაზე. სხდომამ დაადგინა გამოცემულიყო თბილისში სომხურ ენაზე საქართველოს კპ (ბ) ცკ ორგანო გაზეთი „კარმირ ასტღ“ („წითელი ვარსკვლავი“) და მის პასუხისმგებელ რედაქტორად დანიშნულიყო ს. ხანოიანი (24). გაზეთი იწყებს გამოსვლას იმავე წლის აპრილიდან. იგი 1923 წლის 23 თებერვლიდან გადაკეთდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანოდ, გაზეთად „მარტაკოჩ“ („მებრძოლი ხმა“). 1921—1922 წლებში საქ. კპ (ბ) ცკ ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილების სომხური სექცია თბილისში სომხურ ენაზე სცემდა გაზეთებს „ზანგ“ („ზარი“), „კარმირ უღი“ („წითელი გზა“), „არემვტაინ ძაინ“ („აღმოსავლეთის ხმა“), „გიუღი აღქატუთიუნ“ („სოფლის ღარიბობა“), „ვრასტანი ტპაგრიჩ“ („საქართველოს მბეჭდავი“), „კარმირ აქლორ“ („წითელი მამალი“). გარდა თბილისისა, სომხური გაზეთის გამოცემა ბათუმშიც აუცილებელი საჭიროებით იყო ნაკარნახევი, იქ მცხოვრები სომეხი მუშათა კლასის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. საქ. კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების სომხურმა სექციამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამ მნიშვნელოვან საქმეს. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1922 წლის დასაწყისში ბათუმში სომხურ ენაზე გამოიცა გაზეთი „ბატუმი ბანვორ“ („ბათუმის მუშა“), რომლის პასუხისმგებელ რედაქტორად დაინიშნა აბრამიანი. გაზეთის ტირაჟი 2000 ცალს აღწევდა (25).

1924 წლიდან ახალქალაქში სომხურ და ქართულ ენაზე გამოდიოდა რაიონული გაზეთი „რანჩპარ“ („მიწის მუშა“).

გაზეთების გარდა რესპუბლიკაში აღდგენითი პერიოდის სხვადასხვა წლებში თბილისში სომხურ ენაზე იცემოდა ჟურნალები; „დარბნოც“ („სამჭედლო“, 1922 წ.), „გეღარვესტ“ (ხელოვნება“, 1921 წ.), „დირქერუმ“ („პოზიციებზე“, 1924 წ.), „კარმიჩ წილერ“ („წითელი ყლორტები“ 1923—1925 წწ.), „ნორ აშხარჰ“ („ახალი ქვეყანა“ 1922 წ.), „ნორ კიანქ“ („ახალი ცხოვრება“, 1922 წ.), „პასკერ“ („თავთავი“, 1922 წ.), „ხათაბალა“ (1925 წ.), „წარაითიუნ“ („სამსახური“, 1922—1925 წწ).

საქ. კპ (ბ) ც კ აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილების თურქული სექციის ნაყოფიერი და შრომატევადი მუშაობის შედეგად რესპუბლიკის მუსულმანური მოსახლეობის (აზერბაიჯანელები, თურქები) მომსახურების მიზნით 1922 წლის დასაწყისში თბილისში თურქულ ენაზე გამოსვლას იწყებს საქ. კპ (ბ) ცკ ორგანო, გაზეთი „იენი ფიქირ“ („ახალი აზრი“). გაზეთი 1922 წლის 26 მაისამდე გამოდიოდა, რის შემდეგაც მატერიალური სახსრების უქონლობის გამო მისი გამოცემა დროებით შეწყდა. მის ნაცვლად, საქ. კპ (ბ) ცკ ინიციატივით, ბაქოდან გამოწერილი იქნა მუსულმანური გაზეთი, რომელშიც რესპუბლიკის საგაზეთო ტრესტი სისტემატურად გზავნიდა ადგილობრივ მასალებს გამოსაქვეყნებლად. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ რესპუბლიკის მუსულმანურ მოსახლეობაში მუშაობის წარმოება ადგილობრივი გაზეთის გარეშე შეუძლებელი იყო. საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნული საკითხის შესწავლა დაავალა აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას, რომელმაც ამ მიზნით შექმნა კომისია

ა. თუმანოვის, ალი-საბრისა და ა. კვირიკაძის შემადგენლობით. კომისიამ აუცილებლად ჩათვალა გაზეთის გამოცემის განახლება (26).

1922 წლის ივლისიდან გაზეთის „იენი ფიქირ“ გამოცემა კვლავ განახლდა და ამიერკავკასიის მუსულმანური მოსახლეობის ფართოდ მომსახურების მიზნით იმავე წლის ბოლოს გადაკეთდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ყოველდღიურ ორგანოდ. ამასთანავე საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით აჭარის საოლქო კომიტეტმა, ახალციხის, ახალქალაქისა, ბორჩალოსა და თბილისის სამაზრო კომიტეტებმა სპეციალური კორესპონდენციები გამოყვეს გაზეთში რესპუბლიკის მუსულმანური მოსახლეობის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ მასალების სისტემატური მიწოდების უზრუნველსაყოფად (27).

გაზეთის „იენი ფიქირ“ გარდა ბათუმში 1921 წლის დასაწყისში გამოსვლა დაიწყო საქ. კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის ორგანომ, გაზეთმა „იშტირაქ“ („ერთობა“), რომელიც 1923 წლის დასაწყისში გადაკეთდა გაზეთად „იენი ჰაიათ“ („ახალი ცხოვრება“).

1921 წლის 20 აპრილიდან სოხუმში აფხაზურ ენაზე გამოდიოდა საქ. კპ (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ორგანო, გაზეთი „აფსნი ყაფშ“ („წითელი აფხაზეთი“).

ცხინვალში 1923 წლიდან ოსურ ენაზე გამოდიოდა საქ. კპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და ალმასკომის ორგანო, გაზეთი „წითელი ოსეთი“, რომელიც 1924 წლის 1 იანვრიდან გადაკეთდა გაზეთად „ხურზარინ“ („განთიადი“). გაზეთის რედაქტორი იყო ა. პლიტე (ა. პლიევი). იგი იბეჭდებოდა 500—1500 ეგზემპლარის რაოდენობით ლათინური შრიფტით. 1925 წლის 26 მაისიდან ცხინვალში ოსურ ენაზე გამოდიოდა გაზეთი „პიონერი კალას“ („პიონერის ხმა“).

საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ბერძნული სექცია 1921 წლის 1 მაისიდან ბათუმში ბერძნულ ენაზე სცემდა გაზეთს „კომუნისტ“ (სარედაქციო კოლეგია ი. ფოტიადის, პ. პისტოპულოს, მ. ანასტასიადის შემადგენლობით). იგი ერთადერთი კომუნისტური გაზეთი იყო ბერძნულ ენაზე მთელს ჩვენს ქვეყანაში. გაზეთის მკითხველი იყო არა მარტო რესპუბლიკის, არამედ რესპუბლიკის გარეთ მცხოვრები ბერძნული მოსახლეობა. გაზეთის 1700 ეგზემპლარიდან 1500 ვრცელდებოდა ჩვენი ქვეყნის 153 დასახლებულ პუნქტში — სოჭში, ტუაპსეში, ნოვოროსიისკში, კრასნოდარში, სტავროპოლში, ყირიმში, ციმბირში, თურქესტანში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ა. შ. რესპუბლიკაში გაზეთი ბათუმისა და ბათუმის ოლქის გარდა ვრცელდებოდა თბილისისა და ბორჩალოს მაზრებში, წალკის, ბორჯომის რაიონში მცხოვრებ ბერძენ მოსახლეობაში . დასაწყისში გაზეთი მართალია „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს საქართველოს განყოფილების“ თანხებით იცემოდა, მაგრამ 1922 წლიდან იგი მხოლოდ ინდივიდუალური ხელმოწერის თანხებით არსებობდა და სახელმწიფოს მხრივ არავითარ დოტაციას არ ღებულობდა. 1925 წლის 15 იანვრიდან, რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ბერძენი მშრომელების თხოვნით გაზეთი ოთხ გვერდზე იბეჭდებოდა.

საქართველოს კპ (ბ) ცკ აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილების გერმანული სექციის ინიციატივით 1923 წლის 1 მაისიდან თბილისში გამოცემას იწყებს გაზეთი „ლანდ არბაიტ“ („მიწის მუშა“).

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა რესპუბლიკაში მცხოვრები არამკვიდრი მოსახლეობის პრესის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს, აქტიურად აბამდა პრესის მუშაობაში ამ საქმის მცოდნე სპეციალისტებსა და სხვა პასუხისმგებელ მუშაკებს, აგზავნიდა ადგილებზე ინსტრუქტორებს დახმარების აღმოსაჩენად.

1921 წლის 14 ოქტომბერს საქ. კპ (ბ) ცკ აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილების თურქულმა სექციამ თავის სხდომაზე განიხილა საკითხი გაზეთის „იშტირქ“ მუშაობის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა გაზეთის არადამაკმაყოფილებელი იდეურ-პოლიტიკური დონე, სარედაქციო კოლეგიის სუსტი მუშაობა. შედგა გაზეთის ახალი სარედაქციო კოლეგია შევკი კაპანჩი ზადეს, ნურეტდინ ჰაჯი ოღლისა და სედატ ეტნე რეშიდის შემადგენლობით. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება მატერიალური დახმარება გაწეოდა გაზეთს, მოეხდინათ ასოთამწყობთა პრემიალური დაკმაყოფილება, უზრუნველყოფილიყო გაზეთის გამოშვება კვირაში არანაკლებ ორჯერ (28).

1922 წლის 22 აგვისტოს საქ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შედგა მუსულმანი პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების თათბირი. სხვა საკითხებთან ერთად თათბირმა განიხილა გაზეთის „იენი ფიქირ“ მუშაობა. თათბირმა სასურველად ცნო საგაზეთო მუშაობაში პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების აქტიური ჩაბმა, მაზრებში კორესპონდენტთა შერჩევა, გაზეთისათვის დამატებითი სუბსიდიის გამოყოფა, გლეხობისათვის უფრო გასაგებ ენაზე დაწერილი მასალების გამოქვეყნება.

თათბირის დადგენილება ორი დღის შემდეგ, 24 აგვისტოს, განიხილა საქ. კპ (ბ) ცკ პრეზიდიუმმა და მხარი დაუჭირა მას. ცენტრალურმა კომიტეტმა გაზეთს გამოუყო დამატებითი დოტაცია 20 მილ. მანეთის რაოდენობით, ქმედითი ღონისძიებები განახორციელა გაზეთის იდეური მხარის გასაუმჯობესებლად, მიუთითა გაზეთის სარედაქციო კოლეგიას უფრო მეტი ყურადღება მიექცია სოფლად მუშაობისათვის, საგაზეთო სტილის გაუმჯობესებისათვის (29).

1922 წლის სექტემბერში საქ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში მოწვეული იქნა სპეციალური თათბირი მუსულმანური პრესის საკითხებზე. თათბირმა განიხილა მუსულმანური პრესის მუშაობის კონკრეტული საკითხები და დასახა სათანადო ღონისძიებები მისი მუშაობის გასაუმჯობესებლად (30).

1925 წლის 8 ნოემბერს შედგა საქართველოს კპ (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის VII პარტიული კონფერენცია. კონფერენციამ აღნიშნა გაზეთ „ხურზარინის“ მუშაობის ნაკლოვანი მხარეები. გაზეთში სუსტად შუქდებოდა პარტიული ცხოვრება ცალკეულ ადგილებზე, იგი არადამაკმაყოფილებლად ვრცელდებოდა. კონფერენციამ მიუთითა სოფლკორთა მოძრაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ.

1925 წლის 2 დეკემბერს საქ. კპ (ბ) ცკ აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების კოლეგიამ მოისმინა გაზეთ „ხურზარინის“ რედაქტორის ჩ. ბეგიზოვის მოხსენება გაზეთის მუშაობის შესახებ. კოლეგიამ დაადგინა გაზეთს გამოყოფოდა მატერიალური დახმარება, იმავე წლის დეკემბერში ჩატარებულიყო კამპანია გაზეთის გასავრცელებლად, გაზეთი რეგულარულად შედგომოდა პერიოდული დამატების გამოცემას, რომელშიც გაშუქდებოდა პარტიული განათლების საკითხები (31).

ამრიგად, საქართველოს კომპარტიის მიერ რესპუბლიკაში მცხოვრები

არამკვიდრი მოსახლეობის პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებამ, მუშსოფლკორთა მოძრაობის განვითარებამ, რედაქციების [illegible]ულმა და საქმიანმა მუშაობამ, პრესის შინაარსისა და იდეური მხარის ამაღლებამ, ხალხის პოლიტიკური აქტივობის, სულიერი და კულტურული მოთხოვნილების ზრდამ, ხალხის უფართოეს მასებში პარტიულ-საბჭოთა პრესის ავტორიტეტის ამაღლებამ გამოიწვია პრესის ტირაჟის გაზრდა. მაგალითად გაზეთ „რაბოჩაია პრავდას“ ტირაჟი სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში გაიზარდა 4500 ეგზემპლარიდან 11500 ეგზემპლარამდე, „ტრუდოვაია აბხაზიას“ — 1500-დან 3500-მდე, „აფსნი ყაფშის“ —300-დან 400-მდე და ა. შ.

სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში რესპუბლიკაში მცხოვრები არამკვიდრი მოსახლეობის პარტიულ-საბჭოთა პრესისადმი საქართველოს კომპარტიის სწორი პარტიული ხელმძღვანელობა გადამწყვეტი ფაქტორი გახდა პრესის იდეურ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი დონის ამაღლების საქმეში. რესპუბლიკაში მცხოვრები არამკვიდრი მოსახლეობის ენებზე ჟურნალ-გაზეთების გამოცემამ, მათი ტირაჟის განუხრელმა ზრდამ, ჟურნალისტებისა და საგაზეთო მუშაკების კვალიფიციური კადრების აღზრდის სისტემის დახვეწამ, პრესის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებამ, მის მუშაობაში მშრომელთა ფართო ფენების ჩაბმამ, მუშსოფლკორთა მოძრაობის მასობრივ მოძრაობად გადაქცევამ, დამახასიათებელი სტილისა და ხელწერის გამომუშავებამ გადააქცია რესპუბლიკაში მცხოვრები არამკვიდრი მოსახლეობის პარტიულ-საბჭოთა პრესა მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების მებრძოლ პროპაგანდისტად და აგიტატორად, პარტიის ერთგულ თანაშემწედ სამეურნეო და კულტურული ამოცანების გადაწყვეტის, რესპუბლიკაში მცხოვრები არამკვიდრი მოსახლეობის მშრომელთა მასების კომუნისტური აღზრდის საქმეში.

## ლიტერატურა


1. სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986.
2. მლისფპა, ფ. 14, ან. 1, ს. 2, ფ. 1.
3. იქვე, ს. 141, ფ. 23.
4. იქვე, ს. 316, ფ. 4.
5. იქვე, ფ. 14, ან. 1, ს. 4, ფ. 74; ს. 3, ფ. 22; ს. 207, ფ. 64; ს. 1370, ფ. 108.
6. იქვე, ფ. 14, ან. 1, ს. 140, ფ. 70.
7. ЦГАОР СССР, ф. 5214, оп. 2, ед. хр. I, лл. 55, 331.
8. საქ. სსრ ცსა, ფ. 300, ან. 2, ს. II, ფ. 42; ს. 16, ფ. 17.
9. პოლიგრაფსკოლა ოქტომბრის 10 წლისთავზე, გვ. 13.
10. საქ. სსრ ცსა, ფ. 825, ანაწ. I, ს. 296. ფ. 36—38.
11. გაზ. „კომუნისტი“, 1924 წ. 5 ივნისი.
12. მლისფპა, ფ. 14, ანაწ. I, ს. 626, ფ. 23.
13. Газ. «Рабочая правда», 30 марта, 5 апреля 1924 г.
14. მლისფპა, ფ. 14, ანაწ. I, ს. 1458, ფ. 230-33.
15. მლისფპა, ფ. 14, ანაწ. I, ს. 207, ფ. 64; ს. 530, ფ. 270, ს. 555, ფ. 24, ს. 981, ფ. 335.
16. მლისფპა, ფ. 14, ანაწ. I, ს. 906, ფ. 154.
17. მლისფპა, ფ. 14, ანაწ. I, ს. 906, ფ. 50, ს. 866, ფ. 24, ს. 1145, ფ. 16.
18. ჟურნ. „უწყებები“, 1923 წ. № 1, გვ. 27.
19. მლისფპა, ფ. 14, ანაწ. 1, ს. 1370, ფ. 108.
20. გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 20 მარტი, 23 აგვისტო.
Газ. «Рабочая правда», 23 октября 1923 г.




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. მლისფება, ფ. 13, ანაწ. 1, ს. 427, ფ. 9, ფ. 14, ანაწ. 1, ს. 1678, ფ. 1; ფ. 17, ანაწ. 1, ს. 565, ფ. 16.
22. მლისფება, ფ. 14, ანაწ. 1, ს. 141, ფ. 47.
23. მლისფება, ფ. 14, ანაწ. 1, ს. 982, ფ. 281.
24. მლისფება, ფ. 14, ანაწ. 1, ს. 141, ფ. 5.
25. მლისფება, ფ. 14, ანაწ. 1, ს. 316, ფ. 4.
26. მლისფება, ფ. 14, ანაწ. 1, ს. 206, ფ. 614.
27. მლისფება, ფ. 14, ანაწ. 1, ს. 906, ფ. 65.
28. მლისფება, ფ. 14, ანაწ. 1, ს. 148, ფ. 8.
29. მლისფება, ფ. 14, ანაწ. 1, ს. 207, ფ. 66.
30. მლისფება, ფ. 14, ანაწ. 1, ს. 362, ფ. 31.
31. მლისფება, ფ. 14, ანაწ. 1, ს. 1686, ფ. 10.

КВАЧАНТИРАДЗЕ Г. А.

## РУКОВОДСТВО КОМПАРТИИ ГРУЗИИ ПАРТИЙНО-СОВЕТСКОЙ ПРЕССОЙ НАЦИОНАЛЬНЫХ МЕНЬШИНСТВ В 1921—1925 г. г.

### Резюме

В 1921 — 1925 годах Коммунистическая партия Грузии проделала большую работу в деле организации и развития партийно-советской прессы наций и народностей, проживающих в республике. В результате повышения идеологического уровня прессы отношения между нациями стали ближе и шире.

G. KVACHANTIRADZE

## THE LEADERSHIP OF THE COMMUNIST PARTY OF GEORGIA OF NATIONAL MINORITIES BY THE SOVIET PARTY PRESS FROM 1921 to 1925

### Summary

From 1921 to 1925 the Georgian Communist Party achieved a difficult task in organizing and developing the Soviet party press of national minorities living in our republic.

As a result of the higher ideological devel of the press, the relationship between nations became closer and broader.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета

280, 1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს შემდგომი გაუმჯობესებისათვის (1976—1980 წ. წ.)

გ. შველიძე

მოსახლეობის მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ობიექტური აუცილებლობა სოციალისტური წყობილების არსით, ამ საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლით არის განპირობებული. მოსახლეობის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება ყოველთვის იყო, არის და კვლავაც იქნება კომუნისტური პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის უმაღლესი მიზანი. „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა უმაღლეს აზრად საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია ის, რომ განუხრელად, თანდათან აუმჯობესებდეს ხალხის კეთილდღეობას, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა მხარეს, ქმნიდეს პიროვნების ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობ პირობებს" (6, 15).

პარტიის შექმნისათვის ბრძოლის პერიოდში ვ. ი. ლენინი ხალხის კეთილდღეობისა და ყოველმხრივ განვითარების უზრუნველყოფას მიიჩნევდა პარტიის მოღვაწეობის მთავარ ამოცანად. ამიტომ იყო, რომ პარტიამ თავის პირველსავე პროგრამაში (1903 წ.) ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახა შექმნას „საზოგადოებრივ-საწარმოო პროცესის გეგმაზომიერი ორგანიზაცია საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობისა და ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად" (3, 42).

მეორე პროგრამამ (1919 წ.) დაადასტურა და უცვლელად დატოვა პირველი პროგრამის ეს მოთხოვნა. ამასთან, ახალი კონკრეტული ამოცანები დაუსახა პარტიას სახალხო განათლების, საბინაო მშენებლობის, შრომის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სფეროებში.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დღეებიდან პარტია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინა მშრომელი მოსახლეობის მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. მაგრამ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობანი ამ მიმართულებით, გარკვეული მიზეზების გამო, შეზღუდული იყო.

სოციალიზმის მთლიანად და საბოლოოდ გამარჯვების შედეგად ასეთი შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამ ეტაპზე პარტია ემყარება ლენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოება ვითარდება „საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილ-

დღეობისა და თავისუფალი ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად" (2, 51), და მიზნად ისახავს განახორციელოს სერიოზული ცვლილებანი შრომის სფეროში, რადგან კომუნიზმზე გადასვლა შესაძლო გახდება მხოლოდ მაშინ „როდესაც შრომა არა მარტო ცხოვრების საშუალება იქნება, არამედ — თვით პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება გახდება" (1, 18).

თანამედროვე პირობებში „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ამოცანად აყენებს ავიყვანოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა თვისებრივად ახალ საფეხურზე, უზრუნველვყოთ მატერიალური, სოციალური და კულტურული დოვლათის მოხმარების ისეთი დონე და სტრუქტურა, რომლებიც ყველაზე სრულად შეესატყვისება ჰარმონიულად განვითარებული, სულიერად მდიდარი პიროვნების ჩამოყალიბების, საბჭოთა ადამიანების უნარისა და ნიჭის სრული გამოვლენის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნებს საზოგადოების ინტერესებისათვის" (4, 234) — ჩაწერილია სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა, პარტიის XXVII ყრილობამ დასახა უდიდესი საპასუხისმგებლო ამოცანა — უზრუნველვყოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარდაქმნა, დაჩქარების სტრატეგიული კურსის განხორციელება. პარტიამ, საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი დასახულ გეზს, ენერგიულად შეუდგა მის განხორციელებას და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს, მაგრამ როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე აღინიშნა, „გარდაქმნის საქმე უფრო ძნელი აღმოჩნდა — საზოგადოებაში დაგროვილი პრობლემების მიზეზები კი — უფრო ღრმა, ვიდრე მანამდე გვეგონა, რაც უფრო მეტად ვუღრმავდებით გარდაქმნისათვის მუშაობას, მით უფრო ნათელი ხდება მისი მასშტაბურობა და მნიშვნელობა, ვლინდება ახალ-ახალი გადასაჭრელი პრობლემები, რომლებიც წარსულმა დაგვიტოვა მემკვიდრეობად". (14, 7).

პლენუმმა ერთხელ კიდევ გააანალიზა ის პრობლემები, რომლებიც წინ უძღოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმს, ამხილა ნეგატიური პროცესების მიზეზები და მიუთითა იმ ამოცანებზე, რომლებიც დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის წინსვლას. მათ შორის უმნიშვნელოვანეს ამოცანადაა მიჩნეული „სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარება, შრომის, ყოფის, დასვენების, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების კარგ პირობებზე საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილების სულ უფრო სრული დაკმაყოფილება" (14, 21).

თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური სტრატეგია ემყარება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შემდგომ გაღრმავებას. იგი მიზნად ისახავს მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკურ რეკონსტრუქციას და განვითარების ინტენსიურ რელსებზე გადაყვანას, საბჭოთა ეკონომიკის მიერ ორგანიზაციისა და ეფექტიანობის უმაღლესი დონის მიღწევას. ყოველივე ეს კი საბოლოოდ ადამიანის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას ემსახურება.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის შინაარსს შეადგენს საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით.

სოციალიზმის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ კვეცავს საზოგადოების წევრთა პირად მოთხოვნილებებს, არამედ, პირიქით, ზრდის მას.

ეს არის სოციალისტური საზოგადოების განვითარების ბუნებრივი შედეგი და ამავე დროს მისი შემდგომი განვითარების ძირითადი პირობა. ამიტომაა, რომ სოციალიზმის გამარჯვების კვალობაზე ეკონომიკის დარგში პრაქტიკული მუშაობის ცენტრში პარტიამ დააყენა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. პარტიის მთავარი საზრუნავი გახდა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდა, მათი მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება, როდესაც „ყველაფერი კეთდება ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის" (7).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანის განსაზღვრისას პარტიამ თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია კიდევ უფრო გაეუმჯობესებინა საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, რისთვისაც დასახა სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ფართო პროგრამა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მეათე ხუთწლედისათვის პროგრამას რომ ამუშავებდა, თავისი ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედად კვლავ საბჭოთა ადამიანის—მშრომელის კეთილდღეობისათვის ზრუნვა გაიხადა. გამომდინარე აქედან, სკკპ XXV ყრილობამ მეათე ხუთწლედის მთავარ ამოცანად დასახა „... თანამიმდევრულად განვახორციელოთ კომუნისტური პარტიის კურსი, რათა საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ყოველნაირი გაუმჯობესების საფუძველზე ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე" (5, 223).

სკკპ XXV ყრილობა ითვალისწინებდა, რომ მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდა არ ნიშნავდა ცხოვრების დონის რეალურ ამაღლებას და ამიტომ განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ყოველდღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან. ამოცანად სახავდა განხორციელებულიყო ძირეული ძვრები როგორც წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობაში, ისე საქონლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

სკკპ XXV ყრილობამ უდიდესი ამოცანები დაუსახა მძიმე მრეწველობის საწარმოებს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების შემდგომი გაფართოების დარგში. ამასთან, მიუთითა, რომ „ბ" ჯგუფის მყარი აღმავლობა და საქონლის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება შეუძლებელი იქნებოდა თანამედროვე მეცნიერებისა და კონსტრუქტორული აზრის მიღწევების დანერგვის გარეშე, მსუბუქი და კვების მრეწველობის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ტექნიკური ბაზის განმტკიცების გარეშე.

ამიტომ იყო, რომ გეგმაში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა წარმოების ინტენსიფიკაციის გაღრმავებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მომჭირნეობის ყოვლმხრივი რეჟიმის საფუძველზე. მართალია, ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ფაქტორების როლის გაძლიერებას სკკპ და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ, მაგრამ მან უპირატესი მნიშვნელობა შეიძინა მეათე ხუთწლედში.

მეათე ხუთწლედი უნდა გამხდარიყო აგრეთვე სოფლის მეურნეობის აღმავლობის გადამწყვეტ ღონისძიებათა განხორციელების ხუთწლედად.

... ხუთწლედში საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო საერთაშორისო ეკონომი-

კური თანამშრომლობის როლი, გაღრმავებულიყო სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია და შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესი.

მეათე ხუთწლედის არსს რომ განსაზღვრავდა, სკკპ XXV ყრილობამ მიუთითა, რომ „ეს არის ხარისხისა და მაღალი ეფექტიანობის ხუთწლედი, ეკონომიკის შემდგომი ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის" (5, 161) და დასახა ამოცანა — უფრო ეფექტიანად გამოგვეყენებია ქვეყანაში შექმნილი მძლავრი საწარმოო-ტექნიკური პოტენციალი, გაგვეზარდა ეროვნული შემოსავალი და საბოლოო პროდუქტის წარმოება, რომელიც უშუალოდ ხმარდებოდა მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

მოსახლეობის შემოსავლის ზრდის მთავარ გზად, ისევე როგორც წინათ, მეათე ხუთწლედშიაც პარტიამ მიიჩნია შრომის მიხედვით ანაზღაურების გადიდება, რისთვისაც გათვალისწინებულ იქნა შემოსავლის მთელი მატების სამი მეოთხედი. პარტიის ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა არა მარტო მშრომელთა მოხმარების გეგმაზომიერ გადიდებას, არამედ ხელფასისა და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების მასტიმულირებელი როლის გაძლიერებასაც, რაც წარმოებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების საბოლოო შედეგებით იქნებოდა განპირობებული.

„ეკონომიკის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ხალხის მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი, თანმიმდევრულად განვავითაროთ სოციალისტური ცხოვრების წესი, კიდევ უფრო სრულვყოთ საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა" (5, 290), ნათქვამია სკკპ XXV ყრილობის მიერ დამტკიცებულ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში. ამ ამოცანის რეალიზაციისათვის გათვალისწინებული იყო მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები.

დასახა რა სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანები, სკკპ XXV ყრილობამ მიუთითა, რომ საჭირო იყო მოკავშირე რესპუბლიკების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლება საწარმოო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებაში, ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების გაფართოებაში, სადაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი და ეროვნული თავისებურებანი, ბუნებრივი, შრომითი და სხვა რესურსების რაც შეიძლება სრული და რაციონალური გამოყენება.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ დაამტკიცა, შემუშავებულ იქნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტი, რომლის ძირითად კონცეფციას საფუძვლად დაედო რესპუბლიკის საერთო-ეკონომიკური პოტენციალის ზრდის დაჩქარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, საშუალო საკავშირო დონისაგან მისი სამეურნეო განვითარების შედეგებით ჩამორჩენის თანდათან შემცირების ბაზაზე.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტი განხილული და მოწონებული იქნა საქართველოს

კპ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე 1977 წლის 18 ნოემბერს და გადაეცა უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ 19 ნოემბერს განიხილა აღნიშნული გეგმის პროექტი და დაამტკიცა „კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის შესახებ“, რომელშიაც მოწონებულ იქნა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ხუთწლიანი გეგმა ხუთწლეულის წლების, რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები მიზნად ისახავდა დაჩქარებულიყო რესპუბლიკის ეკონომიკის, უპირატესად კი წარმოების იმ დარგების განვითარება, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე უზრუნველყოფდნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას. გეგმის კონკრეტული დავალებები ითვალისწინებდა და ასახავდა ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის თავისებურებებს, გათვალისწინებული იყო მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების ფართო პროგრამა, რომლის განხორციელების შედეგად საგრძნობლად გაიზრდებოდა მშრომელთა რეალური შემოსავალი და შეიქმნებოდა პირობები, მისი უფრო ეფექტური გამოყენებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებას. გათვალისწინებული იყო ყველა რაიონში სახალხო მეურნეობისა და კულტურის ჰარმონიული განვითარება ტერიტორიული ნიშნების მიხედვით, მხედველობაში იყო მიღებული რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების წინაშე დასახული სოციალური და ეკონომიკური ამოცანები.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მრავალმხრივი და რთული ამოცანები პარტიული, საბჭოთა სამეურნეო ორგანოების, ყველა მშრომელის მეტ ორგანიზებას და აქტიურ მუშაობას მოითხოვდა, საჭირო იყო, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასახული გეგმები თანმიმდევრულად და განუხრელად განხორციელებულიყო. სწორედ ეს წარმოადგენდა პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითად შინაარსს, მის მთავარ მიმართულებას.

* * *

სკკპ XXV ყრილობის მიერ მეათე ხუთწლედისათვის დასახული სოციალური განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების პროგრამის განხორციელების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მასობრივი მოთხოვნილების საქონლით მოსახლეობის დაკმაყოფილებას. ამიტომ იყო, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახალხო მეურნეობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც აწარმოებდნენ ამ საქონელს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

1976 წლის აგვისტოში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი რესპუბლიკის მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ასამოქმედებელი ობიექტების მშენებლობის მდგომარეობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელშიაც აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ამ მიმართულებით.

ამასთანავე, დადგენილებაში აღინიშნა რესპუბლიკის მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ასამოქმედებელი ობიექტების მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებებიც და მიეთითა შემკვეთ ორგანიზაციებს არსებითად გაეუმჯობესებინათ მუშაობა მშენებლობებზე კაპიტალური დაბანდებების უფრო ეფექტური გამოყენებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებით მიუთითა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო, თბილისის ლენინის, სიღნაღის, ლანჩხუთის, მახარაძის რაიონულ კომიტეტებს, რომლებიც ჯეროვან მოთხოვნილებას არ იჩენდნენ სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და შემკვეთებისადმი დადგენილი გეგმების შესრულებისა და ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების დროზე გადაწყვეტისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მშენებლობის სამინისტროებსა და მშენებლობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს მკაცრი კონტროლი დაეწესებინათ მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ობიექტების მშენებლობებზე, სისტემატურად განეხილათ კოლეგიის სხდომებზე ამ მშენებლობათა სამუშაოების შესრულების მიმდინარეობა.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ყურადღება გამახვილებული იქნა იმაზე, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ განეხორციელებინათ ღონისძიებები მშენებლობათა და საწარმოთა კოლექტივებში ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად, რათა ამაღლებულიყო პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა კაპიტალური დაბანდების ათვისების დადგენილი გეგმების შესრულებისათვის ძირითადი ფონდების დროულად ამოქმედებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის (9).

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესების ამოცანის გადაწყვეტაში მსუბუქი მრეწველობის დარგების განვითარებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ საქონლის გამოშვების გადიდებას მძიმე მრეწველობის საწარმოებში. ჩვენს რესპუბლიკაში პრაქტიკულად არ იყო ისეთი მანქანათმშენებელი ან ელექტროტექნიკური საწარმო, რომელიც საოჯახო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქონელს არ ამზადებდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ბაზარზე მიწოდების კომისიამ განიხილა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში სახალხო მეურნეობის საქონლის ათვისებისა და წარმოებაში დანერგვის საკითხები. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკაში განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკები, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და საწარმოთა ხელმძღვანელები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა მუ-

შაობაში სახალხო მოხმარების პროდუქციის წარმოების ათვისებასა და მასობრივი გამოშვების საქმეში იყო სერიოზული ნაკლოვანებები.

კომისიამ შეუწყნარებლად მიიჩნია სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებაში არსებული ჩამორჩენა და დაავალა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებსა და საწარმოებს, რომლებიც უშვებდნენ სახალხო მოხმარების საქონელს, განეხორციელებინათ ეფექტური ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მაქსიმალურად გამოეყენებინათ ყველა საშუალება დასახული ამოცანის შესასრულებლად.

კომისიამ დაავალა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს, გაეანალიზებინა, თუ რატომ არ სრულდებოდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებანი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი ზრდისა და ამ საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხებზე, შეემუშავებინა ამ საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრის წინადადებანი და განსახილველად წარედგინა ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში (11).

1979 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეისწავლა, განიხილა და მიიღო სათანადო დადგენილება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 29 მარტის დადგენილება „საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების ზოგიერთ საწარმოში 1976—1980 წლებში მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების განვითარებისა და მისი ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ".

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში გაწეული მუშაობის შედეგად მიღწეულ იქნა გარკვეული წარმატებანი მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების, ასორტიმენტის გაფართოების, განახლების და მისი ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. მაგრამ, ამასთანავე, მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოებისა და ბაზრისათვის მიწოდების საქმეში ჯერ კიდევ აღინიშნებოდა ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე 1979 წლის 17 ნოემბერს განხილულ იქნა საკითხი „პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნის შესაბამისად სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების შესახებ".

პლენუმზე აღინიშნა, რომ თბილისის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სკკპ XXV ყრილობის, საქ. კპ XXV ყრილობის, სკკპ და საქ. კპ ცენტრალური კომიტეტების შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებით, წარმატებით ასრულებდნენ X ხუთწლედის დავალებებს.

თბილისის მრეწველობის მიერ გამოშვებული სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის 60%-ზე მეტს შეადგენდა მასობრივი მოთხოვნილებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ X ხუთწლედში 1979 წლისათვის რესპუბლიკის დედაქალაქში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება გაიზარდა 25,8%-ით და ფულადი გამოსახულებით მიაღწია 1, 2 მილიარდ მანეთს.

პლენუმმა ღირსეულად შეაფასა მიღწევები და შექენილი დადებითი გამოცდილება, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. აღინიშნა, რომ პარტიის რაიკომები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის როდი აძლევდნენ პრინციპულ შეფასებას ფაქტებს, როცა ცალკეული სამეურნეო ხელმძღვანელები არასწორად ეკიდებოდნენ სამომხმარებლო საქონლის წარმოების ორგანიზაციას, საგეგმო დისციპლინისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა დაცვას, ჯეროვნად ვერ ამაღლებდნენ მათ პასუხისმგებლობას პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ასევე, სრულად ვერ იყენებდნენ იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებს.

პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ფართო ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოების მოცულობის გადიდების უზრუნველსაყოფად (11).

როდესაც ლაპარაკია მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოებასა და მოსახლეობისათვის მიწოდებაზე, გვერდს ვერ ავუვლით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საკითხს.

ეს საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მუდმივი ყურადღების ცენტრში იყო, ამ საკითხზე ფართო სჯა-ბაასი გაიმართა 1976 წლის აგვისტოში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული კომიტეტების აღმასკომების თავმჯდომარეები, საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, აგროსამრეწველო სავაჭრო გაერთიანების პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე დასმული საკითხის განხილვამ ფართო ხასიათი მიიღო. აღინიშნა ამ საქმეში მოპოვებული საკმაოდ დიდი მიღწევები, მხილებული იქნა ნაკლოვანებები და დაისახა ღონისძიებანი უახლოეს მომავალში მათ გამოსასწორებლად.

მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასევე, საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „1978 წელს რესპუბლიკის არასასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებსა და საწარმოებში ხორცის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ", რომლის შესრულების მიმდინარეობა განიხილა ცენტრალურმა კომიტეტმა 1978 წლის ივნისის ბოლოს და მიიღო სათანადო დადგენილება, რომელშიც აღინიშნა როგორც მიღწეული წარმატებები, ისე ამ საქმეში არსებული მთელი რიგი ნაკლოვანებებიც.

საქ. კპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიულ, საბჭოთა და საწარმოო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დაესახათ და განეხორციელებინათ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დარგში არსებული ნაკლოვანებების დროულად გამოსწორებისათვის.

მოსახლეობის სახალხო-სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდუალური მეურნეობები, რომელთა განვითარებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის შემდგომი განვითარების, პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების შესახებ".

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების გაფართოების დარგში გადამწყვეტი სიტყვა სამომხმარებლო კოოპერაციას ეკუთვნოდა, რომელიც თავის რიგებში 1979 წლისათვის 1.200 ათასზე მეტ მეპაიეს აერთიანებდა და მომსახურებას უწევდა ვაჭრობის ობიექტებს, საზოგადოებრივი კვების საწარმოებს, პურსაცხობებს, კვების მრეწველობის საწარმოებს.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ერთობლივმა დადგენილებამ, იმის შესახებ, რომ 1978 წლის 1 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე მოწყობილიყო დათვალიერება-კონკურსი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისათვის.

დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესდა წამახალისებელი ჯილდოები.

პირველი მოთხოვნილების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობისათვის მისი მიყიდვის საკითხები სისტემატური მსჯელობის საგანი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თითქმის ყველა პლენუმზე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში.

* * *

საქართველოს კომუნისტური პარტიის მუდმივი ყურადღების ცენტრში იყო მოსახლეობის მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესების საკითხები. ამის მკაფიო დადასტურებაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მნიშვნელოვანი დადგენილებები ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე, რომელთა განხორციელების შედეგად მეათე ხუთწლედისათვის ერთგვარი ძვრები მოხდა ამ სფეროში.

1976 წლის დასაწყისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მორიგ პლენუმზე განეხილათ მოსახლეობის მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი სამუშაოები. შეიქმნა პლენუმის მოსამზადებელი სპეციალური კომისია.

საკითხის განხილვაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კომუნისტებს, ყველა მშრომელს მიმართა თხოვნით, უშუალო მონაწილეობა მიეღოთ პლენუმის სამზადისში თავიანთი სასარგებლო რეკომენდაციებით და საკუთარი წვლილი შეეტანათ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. მიმართვის ტექსტი გამოქვეყნდა პრესაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ მიმართვას ფართოდ გამოეხმაურა არა მარტო მომსახურების სფეროში დასაქმებულნი, არამედ ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენის, ეროვნების, ასაკის, პროფესიის და განათლების ადამიანები, ომისა და შრომის ვეტერანები, ძველი კომუნისტები და პარტიის ახალგაზრდა წევრები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოსამზადებელმა კომისიამ, პრობლემის ღრმად და ყოველმხრივ შესასწავლად, ადგილებზე არსებული ვითარების სწორი და ობიექტური ინფორმაციის მისაღებად შექმნა ბრიგადები, რომლებშიაც გაერთიანდნენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სპეციალისტები, შრომის ვეტერანები, ნოვატორები, წარჩინებული ადამიანები, რომელთაც სათავეში ჩაუდგნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, საკავშირო და რესპუბლიკური უმაღლესი საბჭოების დეპუტატები.

გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩამოყალიბდა და გაიგზავნა ჯგუფები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

პლენუმის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები, სამეცნიერო-კვლევითი კოლექტივები.

ასეთი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, 1977 წლის 28—29 იანვარს ჩატარდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმი.

პლენუმმა ერთ-ერთ პირველ საკითხად განიხილა რესპუბლიკის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებიდან.

პლენუმის მიერ მიღებულ ვრცელ დადგენილებაში აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

ამასთან ერთად, საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება ჯერ კიდევ არ პასუხობდა სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნილებებს.

პლენუმმა ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროს ხელმძღვანელთა ყურადღება გაამახვილა იმ მდგომარეობაზე, რომ რესპუბლიკა ჯერ კიდევ ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე რჩებოდა ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საქონელბრუნვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის მხრივ, რომ ყოველდღიურად იზრდებოდა მოსახლეობის მოთხოვნილება საქონელსა და მომსახურებაზე, რაც სავსებით შეესაბამებოდა ცნობილ მარქსისტულ დებულებას — დაკმაყოფილებული მოთხოვნილება წარმოშობს ახალ მოთხოვნილებას (13, 575—590).

პლენუმმა გაბედულად წამოაყენა იმ რადიკალურ პრობლემათა და ამოცანათა მთავარი მიმართულებანი, რომელთა გადაწყვეტაც ხელს შეუწყობდა წარმატების მოპოვებას, დაისახა ამ პრობლემების განხორციელების მაგისტრალური გზები, რომელთა გადაწყვეტისათვის საჭიროდ იყო მიჩნეული ყველა რგოლში და უბანზე უმკაცრესი პასუხისმგებლობის, წესრიგის, შრომითი და საწარმოო დისციპლინის დამყარება და განმტკიცება, მუშაობის სწორი ორგანიზაცია გადამწყვეტ უბნებზე, ტრესტებსა და სამმართველოებში, ბაზებსა და საწყობებში, მაღაზიებსა და სახელოსნოებში.

ეს პლენუმი თავისი მნიშვნელობით, საკითხთა გარშემო მსჯელობის სიღრმით, აქტუალობით, ამოცანათა კომპლექსურობით, მნიშვნელოვანი იყო რესპუბლიკის მომსახურების დარგების კოლექტივების ცხოვრებაში. ვაჭრო-

ბისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგებისადმი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ასეთი დიდი ყურადღება, მზრუნველობა, დასახული ამოცანების გადაწყვეტისა და მოგვარებისადმი ასეთი მიზანსწრაფვა, პარტიული მიდგომა უჩვეულო იყო. ეს იყო ამ დარგებში მუშაობის გაუმჯობესებისათვის იმ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შეჯამება, რომელსაც უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაცია განსახილველი პრობლემების შესწავლისადმი მეცნიერული მიდგომით რომ ეწეოდნენ.

ფართო მასშტაბი მიიღო და მთელი სიგრძე-სიგანით გაჩაღდა მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

1977 წლის 2 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების პარტიული კომიტეტების მდივნებთან, რომელზედაც განიხილეს ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის შედეგები და იმსჯელეს იმ ამოცანებზე, რომლებიც ისახებოდა სოფლის მშრომელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

ამავე წლის თებერვლის ბოლოს საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა გაფართოებული თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მომმარაგებელი ორგანიზაციების, სავაჭრო ბაზების მუშაკები. თათბირი მიეძღვნა V პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საკითხებს.

1977 წლის მარტში ჩატარდა აფხაზეთისა და აჭარის საოლქო პარტიული აქტივის კრებები, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომლებზედაც განხილულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის შედეგები და საოლქო პარტიული ორგანიზაციების ამოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის შედეგების განხილვა მიმდინარეობდა საქალაქო, რაიონულ და პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც წარმატებებთან ერთად აღინიშნებოდა და უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა იმ ნაკლოვანებათა მხილებას, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობდა მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში.

ბევრი პარტიული კომიტეტი შემოქმედებითად მიუდგა ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. მათ დაიწყეს ახალი ფორმებისა და საშუალებების ძიება და ნახულობდნენ კიდეც პლენუმის მასალების ფართო პროპაგანდისა და შესწავლისათვის, გადაწყვეტილებათა სწრაფად განხორციელებისათვის.

1977 წლის 25 თებერვალს გაიმართა საქართველოს ალკკ ორგანიზაციის აქტივის კრება, ხოლო მეორე დღეს 26 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მოწინავე ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეკრება, რომელშიაც მონაწილეობდა ექვსი ათასზე მეტი კაცი. მას ესწრებოდნენ ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, მომსახურების სხვა სფეროების საუკეთესო დამრიგებლები, ახალგაზრდა სპეციალისტები, მოწინავე ობიექტების ხელმძღვანელები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების შესაბამისი დარგების სტუდენტები და მოსწავლეები, ახალგაზრდა მეცნიერები, მომსახურების სფეროს სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, კომ-

კავშირული მუშაკები, მუშათა კლასისა და გლეხობის, ინტელიგენციისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტივის კრებისა და რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებმა მოიწონეს საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის შედეგები და აღუთქვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ძალასა და ენერგიას არ დაიშურებდნენ, უმოკლეს დროში რეალობად აქციონ მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომ მათი განხორციელებისათვის ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე ახალგაზრდები დადგებოდნენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეში რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ ფართო საუბარი გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობაზე, რომელიც 1977 წლის თებერვალში ჩატარდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკაში სავაჭრო და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის დასახულმა ღონისძიებებმა სათანადო ძვრები გამოიწვია. საწარმოებმა და დაწესებულებებმა დიდი მუშაობა გასწიეს და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს, მაგრამ ეს მიღწევები მაინც ვერ აკმაყოფილებდა მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებებს, ჯერ კიდევ სათანადოდ არ სრულდებოდა პლენუმის მითითებები ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში სათანადო წესრიგის დამყარების შესახებ.

ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში დარღვევებისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისია. კომისიამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა. მიაკვლია დისციპლინის განმტკიცებისათვის, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საინტერესო ფორმებს; აგრეთვე, დიდ მუშაობას ეწეოდა საქ. სსრ ვაჭრობის სამინისტროს დანაშაულებათა პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევებზე ოპერატიული რეაგირების ცენტრალური კომისია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საოლქო, საქალაქო, რაიონულმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრი ეფექტური ღონისძიება განახორციელა ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი სრულყოფა-განვითარებისათვის. ყოველივე ამან დადებითი შედეგი გამოიღო.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ „...ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში დასახული პროგრამა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებანი თითქმის ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით შესრულდა“. (9, 6).

რაც შეეხებოდა ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას, მან გარკვეული შედეგი გამოიღო, მაგრამ როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებანი ამ მხრივ მთლიანად არ იყო შესრულებული და მისი განხორციელებისათვის ბრძოლა აქტუალურ ამოცანად რჩებოდა.

* * *

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალები, რომლებიც ეხება სკკპ ერთ-ერთი მოწინავე რაზმის — საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობას მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების გაუმჯობესებისათვის მეათე ხუთწლედში, საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება ამ მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესების მიზნით: 1) მნიშვნელოვნად ამაღლდეს მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა დარგის პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა დარგში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. გაძლიერდეს ადმინისტრაციაზე პარტიული კონტროლის კომისიების საქმიანობა და მათი პასუხისმგებლობა.

უფრო მეტად იქნენ ჩაბმული მომსახურების სფეროში სამუშაოდ პარტიის წევრი ქალები. ამასთან, გაიზარდოს დარგში მომუშავე მოწინავე ახალგაზრდობის სკკპ რიგებში მიღება.

2) მოსახლეობის მასობრივი მოთხოვნილების საქონლით უზრუნველყოფის, მისი ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელ მუშაკებს. მათი მონაწილეობით და არა მარტო საწარმოს ხარჯებიდან მოხდეს გამოშვებული უხარისხო პროდუქციით სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

3) საწარმოთა, დაწესებულებათა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ხელმძღვანელი პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც გულგრილად და არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან მინდობილ საქმიანობას, იძულებითი წესით გადაყვანილი უნდა იქნან რიგით სამუშაოებზე სპეციალობის მიხედვით და აეკრძალოთ ხელმძღვანელ-პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობა (რაც დაფიქსირებული უნდა იქნეს შრომის წიგნაკში).

4) ბოლო პერიოდში ერთგვარი წესრიგი მყარდება საკოლმეურნეო ბაზრებში: გაიხსნა კოლმეურნე გლეხებისაგან პროდუქტების მიმღები და მარეალიზებელი ბიუროები, ხდება შემოტანილი პროდუქტების აღრიცხვა, სათანადო სპეციალური ცნობის გარეშე ბაზარში არ დაიშვება პროდუქტების შეტანა და რეალიზაცია და სხვა, მაგრამ საჭირო იქნება ბაზრებთან შექმნილი პროდუქტების მიმღები ბიუროები ქალაქის ბაზრებში კი არ ელოდებოდნენ პროდუქტების მიღებას, არამედ გეგმაზომიერად, სათანადო წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ცალკეული რაიონების სოფლების მიხედვით ადგილებზე მიიღონ პროდუქტები (შეიძლებოდა წინასწარ სპეციალური გრაფიკის შედგენაც) და სარეალიზაციოდ გადაიტანონ საკუთარი სპეციალური ტრანსპორტით, ეს ღონისძიება გაათავისუფლებდა კოლმეურნეებს ნამეტი პროდუქციის ბაზარზე ჩატანისა და რეალიზაციის მძიმე ტვირთისაგან, მეტი დრო დარჩებოდათ საკოლმეურნეო შრომითი საქმიანობისათვის და რაც მთავარია, ხელს შეუწყობდა ბაზრებში პროდუქტების გაიაფებას.

5) გაფართოვდეს და სისტემატური ხასიათი მიეცეს მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზე შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საზოგადოებრივი კონტროლიორების საქმიანობას.

6) მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მომსახურების

სისტემაში ფართოდ დაინერგოს პლასტმასისა და სხვა ქიმიური ნაწარმის მასალებით ძვირადღირებული მერქნისა და სხვა მასალის შეცვლა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

### ლიტერატურა

1. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 11, თბ., 1950.
2. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6.
3. სკკპ რეზოლუციებში..., ნაწ. 1, თბ., 1954.
4. სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986.
5. სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976.
6. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1985 წლის 23 აპრილი. თბ., 1985.
7. გაზ. „კომუნისტი", 1985 წ. 16 ოქტომბერი.
8. გაზ. „კომუნისტი", 1977 წ. 4 თებერვალი.
9. გაზ. „კომუნისტი", 1981 წ. 23 იანვარი.
10. გაზ. „კომუნისტი", 1976 წ. 29 აგვისტო.
11. გაზ. „კომუნისტი", 1976 წ. 7 აგვისტო.
12. გაზ. „კომუნისტი", 1979 წ. 25 ნოემბერი.
13. საქართველოს კპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ტ. 4 (რუსული გამოცემა), თბ., 1980.
14. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წლის 27—28 იანვარი. თბ., 1987.

ШВЕЛИДЗЕ Г. Е.

## ДЕЯТЕЛЬНОСТЬ КП ГРУЗИИ ПО ДАЛЬНЕЙШЕМУ УЛУЧШЕНИЮ ПРОИЗВОДСТВА ТОВАРОВ НАРОДНОГО ПОТРЕБЛЕНИЯ И СЛУЖБЫ БЫТА (1976 — 1980 г. г.)

Резюме

В труде автор рассматривает основные задачи, сформулированные XXV съездом КПСС по дальнейшему улучшению производства товаров народного потребления и службы быта. Анализ проведен на материалах Грузии, в свете важнейших партийных, правительственных и профсоюзных документов.

G. SHVELIDZE

## THE ACTIVITY OF THE COMMUNIST PARTY OF GEORGIA IN FURTHERING THE IMPROVEMENT OF THE PRODUCTION OF CONSUMER GOODS AND SERVICES

Summary

The author describes the basic tasks formulated by the XXV Congress of the CPSU to further the improvement of consumer goods production and services relevant to our way of life. The analysis is connected with the reality of Georgia in the light of the most important documents of Party, Goverment and the Trade Unions.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета

280, 1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ადგილობრივი მასალების გამოყენება სკკპ ისტორიის სწავლების პროცესში

დ. ჯიბლაძე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც თავის რიგებში 19 მილიონზე მეტ კომუნისტს აერთიანებს, საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი ძალაა, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განუყოფელი ნაწილია, მისი მებრძოლი რევოლუციური რაზმია. სკკპ ისტორია არის მარქსიზმ-ლენინიზმი მოქმედებასა და განვითარებაში. ჩვენი კომუნისტური პარტიის მიერ განვლილი ისტორიული გზის შესწავლა აიარაღებს კომუნისტებს, ყველა მშრომელს საზოგადოებრივი განვითარების კანონების, კლასობრივი ბრძოლის კანონების, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების კანონების ცოდნით.

პარტიის ისტორიის შესწავლა კანონიერი სიამაყის გრძნობას აღუძრავს ყველა კომუნისტს, ყველა საბჭოთა ადამიანს თავისი პარტიისათვის, მისი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებისათვის და იწვევს მზადყოფნას გამოიყენოს პარტიის უმდიდრესი გამოცდილება ახალი დიდი ამოცანების გადასაწყვეტად.

სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში აღნიშნულია: „საბჭოთა ხალხის ისტორიული მიღწევები ახალი საზოგადოების მშენებლობაში, დიდ სამამულო ომში გამარჯვება... საბჭოთა კავშირის გავლენის ზრდა მსოფლიო განვითარების მიმდინარეობაზე განუყრელად არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიის მოღვაწეობასთან, იგი მასების ისტორიული შემოქმედების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია, ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა. მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული პარტია განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების პერსპექტივას, უზრუნველყოფს ხალხის აღმშენებლობითი საქმიანობის მეცნიერულ ხელმძღვანელობას, ორგანიზაციულ, გეგმაზომიერ და გამიზნულ ხასიათს ანიჭებს კომუნისტურ მშენებლობას“ (1, 284—285).

პარტია განუწყვეტლივ ამდიდრებს კომუნისტთა ცოდნას მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით, ამით უფრო აქტიურსა და ეფექტიანს ხდის მასების მონაწილეობას სოციალიზმის შემდგომი სრულყოფის საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალ რეგიონალურ რაზმთაგან ერთ-ერთი უძველესი მებრძოლი რაზმია საქართველოს კომუნისტური პარტია, რომლის რიგებში ახლა 383 ათასზე მეტი კომუნისტია (2, 56). ჩვენი პარტიის რეგიონალური რაზმების ბრძოლის უნარიანობაზე, მათს აქტიურობაზე დამოკიდებულია ლენინის პარტიის ძალა და ძლიერება, კომუნისტური მშენებლობის ტემპები და წარმატებები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა წარმატება განუყრელადაა დაკავშირებული დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სახელთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობასთან. საქართველოს კომუნისტური პარტია ვ. ი. ლენინისა და ცენტრალური კომიტეტის საიმედო დასაყრდენი იყო ბრძოლისა და მოღვაწეობის ყველა პერიოდში, ყველა ეტაპზე. შემთხვევით არ იყო, რომ ვ. ი. ლენინმა, პარტიის III ყრილობამ, ასე მაღალი შეფასება მისცა კავკასიის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას: „... კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყო იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას“ (3, 101). ამ ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციის ისტორია განუყრელადაა დაკავშირებული ლენინის დიადი პარტიის ისტორიასთან და მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ასევეა სხვა რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციებიც, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემადგენლობაში შედიან.

სოციალიზმის შემდგომი სრულყოფის პირობებში კიდევ უფრო იზრდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი.

წარმოადგენდნენ რა ჩვენი ერთიანი ლენინური პარტიის შემადგენელ ნაწილებს, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები დიდ პოლიტიკურსა და ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდნენ და ეწევიან მშრომელთა მასების დასარაზმავად კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა განხორციელებისათვის. მათი საქმიანობის შესწავლა განუყოფელია ჩვენი დიადი ლენინური პარტიის ისტორიის შესწავლისაგან.

ადგილობრივი ისტორიულ-პარტიული მასალების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორ სრულდებოდა ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში ჩვენი კომუნისტური პარტიის საერთო ხაზი, საერთო დირექტივები ადგილებზე და რა სპეციფიკური ხასიათის ამოცანებს წყვეტდნენ ისინი სხვადასხვა ეტაპზე.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ისტორიის მასალების გამოყენებით საერთო ისტორიული ფაქტები და მოვლენები უფრო ადვილად გასაგები და ასათვისებელი ხდება. სკკპ ისტორიის ლექტორები, პროპაგანდისტები ალბათ დაგვეთანხმებიან, რომ მსმენელები უფრო დიდი ინტერესით ისმენენ და უფრო კარგად სწავლობენ იმ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია მათი რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის თუ რაიონის პარტიული ორგანიზაციის წარსულთან.

ადგილობრივი ისტორიულ-პარტიული მასალების გამოყენებას რომ დიდი შემეცნებითი და პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ეს დავას არ იწვევს. საჭიროა მეთოდური დახმარება გავუწიოთ ლექტორებსა და პოლიტგანათლების ქსელის პროპაგანდისტებს ამ მასალების შერჩევასა და სწორად გამოყენებაში. რასაკვირველია, ადგილობრივი მასალები დამხმარეა, ხოლო ძირითადია საერთო-პარტიული წყაროები და მასალები. ადგილობრივი მასალები ძირითადად გამოიყენება იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ახორციელებდნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები პარტიის ყრილობების, კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, პარტიის სხვა ორგანოების დირექტივებსა და მითითებებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლექციების გადატვირთვა ადგილობრივი მასალებით სასურველი არ არის, რადგან მას შეუძლია მიგვიყვანოს ადგილობ-

რივი მასალების როლის არასასურველ გაზვიადებამდე. ამ მასალებით ისეთი დოზით უნდა ვისარგებლოთ, რომ მათ არ დაჩრდილონ საერთო-პარტიული მოვლენები. ადგილობრივი მასალები უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როცა [illegible] ლოგიკური აუცილებლობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ისტორიის სწავლებისას საერთო ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურასთან ერთად უნდა მივუთითოთ ადგილობრივი მასალების ამსახველი ლიტერატურაც: კერძოდ, რესპუბლიკის, ოლქის პარტიული ორგანიზაციის ისტორიის ნარკვევები, დოკუმენტების კრებულები, მონოგრაფიები, მუზეუმების ექსპოზიციები, ძველ ბოლშევიკ-რევოლუციონერთა მოგონებები და სხვ.

როცა ეს შესაძლებელია, უნდა მოეწყოს პარტიის ისტორიის შემსწავლელთა შეხვედრები რევოლუციური მოძრაობის მონაწილეებთან, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების ვეტერანებთან, პირველი ხუთწლედების გმირებთან, სხვა გამოჩენილ ადამიანებთან.

ოქტომბრის რევოლუციამდელი პერიოდის შესწავლისას, ადგილობრივი მასალებით უნდა ვუჩვენოთ მუშათა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის პირველი ნაბიჯები, ლენინური „ისკრის" როლი ახალი ტიპის რევოლუციური პარტიის შექმნის საქმეში.

პარტიის გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ათასობით რიგითი რევოლუციონერი, რომელთა სახელები ნაკლებადაა ცნობილი. სასურველია მათი რევოლუციური დამსახურების შესახებ იცოდნენ ადგილობრივმა კომუნისტებმა, მოსახლეობამ, ახალგაზრდებმა. ისინი უნდა წარმოვაჩინოთ ყოველგვარი გაზვიადების გარეშე. განვმარტოთ, რატომ არსებობს მათი მემორიალები, მათი სახელობის რაიონები, ქუჩები, მოედნები, დაწესებულებები. სასურველია აგრეთვე, სტუდენტებს წარმოდგენა ჰქონდეთ თავიანთი უნივერსიტეტის, ინსტიტუტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით დამსახურებაზე.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებამდე ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცეოდა პარტიის ისტორიის სწავლების მეთოდიკას. მაგრამ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ეს ნაკლი საგრძნობლად გამოსწორდა. გამოიცა არაერთი დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელო საზოგადოებრივ მეცნიერებათა, კერძოდ, სკკპ ისტორიის სწავლების მეთოდიკაში, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ქართულ ენაზე ასეთი ლიტერატურა ჯერ კიდევ ცოტაა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში გამოვიდა რამდენიმე წიგნი და ბროშურა, სტატია, რომლებიც ეხებიან პარტიის ისტორიის შესწავლის მეთოდიკის კონკრეტულ საკითხს. მათ შორის აღსანიშნავია გ. ს. ციციშვილის შრომა — „მეთოდური რჩევა-დარიგებანი სკკპ ისტორიის შემსწავლელი სტუდენტებისათვის", იმავე ავტორის „მეთოდური მითითებები სკკპ ისტორიაში სადიპლომო შრომის დამუშავებისათვის", შ. გვენეტაძის „სკკპ ისტორიაში სტუდენტთა ცოდნის ამაღლებისა და შემოწმების მეთოდიკის საკითხებისათვის" და სხვ. მისასალმებელია აგრეთვე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ მეთოდური მითითებების გამოცემა: «Об использовании местных историко-партийных материалов в преподавании истории КПСС в вузах Грузинской ССР» (თბილისი, 1980), რომელიც შედგენილია პროფესორ გ. ბრეგაძისა და დოცენტ პ. გიორგაძის მიერ. წიგნის რედაქტორია პროფესორი ვ. მერკვილაძე. ეს მეთოდური მითითებანი რუსულ ენაზეა.

ჩვენი სტატიის მიზანს არ შეადგენს დასახელებული ნაშრომის ავკარგია-

ნობის განხილვა. ჩვენ ის დავასახელეთ, როგორც პირველი დადებითი ცდა ამ ხარვეზის შესავსებად. კარგი იქნება, რომ იგი ქართულ ენაზედაც გამოიცეს, სადაც გათვალისწინებული იქნება რუსული გამოცემის ზოგიერთი ნაკლიც.

ამ სტატიაში ჩვენ გვსურს პრაქტიკულად ვუჩვენოთ ადგილობრივი ისტორიულ-პარტიული ლიტერატურის გამოყენების მაგალითი სკკპ ისტორიის ერთი თემის შესწავლისას — „ბოლშევიკების პარტია 1905—1907 წლების რევოლუციაში". სტატიაში, ძირითადად, გამოყენებულია „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების" მასალები ამ თემაზე. მასალები ჭარბად არის მოცემული, რაც ლექტორებს, პროპაგანდისტებს საშუალებას მისცემს თავისი სურვილის მიხედვით შეარჩიონ და გამოიყენონ ლექციების, საუბრების ჩატარებისას.

* * *

1905 წლის „სისხლიანი კვირის" ამბებს ფართოდ გამოეხმაურა საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა. 18 იანვარს თბილისში დაიწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. 17 იანვარს ღამით დააპატიმრეს რსდმპ კავკასიის კავშირის წევრები ა. გ. წულუკიძე, ფ. ი. მახარაძე, მ. ზ. ბოჭორიძე და სხვები, მაგრამ ამან მუშები ვერ შეაჩერა. პირველნი გაიფიცნენ რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები..., რომლებსაც საქართველოს მუშათა მოძრაობაში მუდამ მოწინავე პოზიციები ეკავათ. 19 და 20 იანვარს გაფიცვა მოედო ქალაქის ყველა ფაბრიკასა და ქარხანას. 19 იანვარს დიდუბეში, ბათუმის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელშიაც 2000-ზე მეტმა რკინიგზელმა მუშამ მიიღო მონაწილეობა. პოლიციამ და კაზაკებმა მიტინგი გარეკეს.... კვირას, 23 იანვარს თბილისში რევოლუციური დემონსტრაციები გაიმართა. ამ დღეს გოლოვინის პროსპექტზე (ამჟამად რუსთაველის პროსპექტი) პოლიცია და კაზაკები თავს დაესხნენ დემონსტრანტებს... დახოცეს და დაჭრეს რამდენიმე კაცი, დააპატიმრეს 40-ზე მეტი მოწინავე მუშა.

17 იანვარს ბათუმში დაიწყო ნავსადგურის მუშათა და რკინიგზელთა გაფიცვა, 20 იანვარს გაიფიცნენ სანაქოს მუშები, 24—26 იანვარს გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ქალაქში მასობრივი კრებები და მიტინგები იმართებოდა. 27 იანვარს გაფიცვა გამოაცხადეს ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეებმა. მათ ჩამოხსნეს მეფის პორტრეტი, ეზოში გაიტანეს და დახიეს. მეცადინეობა შეწყვიტეს სხვა სკოლებმაც.

ქუთაისში გაფიცვა დაიწყო 20 იანვარს. 24 იანვარს მათ შეუერთდა მოწინავე ინტელიგენცია და მოსამსახურენი. ქალაქის ბაღში მოწყობილ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 2000-ზე მეტმა კაცმა.

გაიფიცნენ მუშები სოხუმში, ფოთში, ჭიათურაში, ტყიბულში, ზორაპანში, მიხაილოვოში და სხვა დასახლებულ პუნქტებში. გაფიცვა კარგად იყო ორგანიზებული ჭიათურაში, იგი ორ თვეს გაგრძელდა. რსდმპ ჭიათურის ორგანიზაციის ინიციატივით შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი, რომელიც ეწეოდა რევოლუციურ აგიტაციას, ავრცელებდა პროკლამაციებსა და ფურცლებს. ჭიათურის მაღაროელთა ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა. ამას გამოეხმაურა გაზეთი „პროლეტარი". „ჭიათურელი მუშები გამოდიან როგორც ერთიანი, დარაზმული ორგანიზებული რევოლუციური ძალა, რომელიც მზად არის პირველ დაძახებისთანავე ბარიკადებზე დადგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფიცვების დროს განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ რკინიგზელები. 8 თებერვალს შეწყდა სარკინიგზო მოძრაობა რიონ-ბათუმისა და სამტრედია-ფოთის ხაზებზე. ქუთაისის გუბერნიაში რკინიგზაზე სამხედრო წესები შემოიღეს (4, 136—137).

მუშათა რევოლუციური მოძრაობის უშუალო გავლენით საქართველოში დაიწყო და წარმატებით ვითარდებოდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაახასიათა როგორც ყველაზე უფრო მოწინავე გლეხური მოძრაობა. ბოლშევიკური ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობდნენ სოფლად მუშაობას, რევოლუციურ ბრძოლაში გლეხთა ჩაბმას, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას. უნდა აღინიშნოს, რომ გლეხობა ცნობდა მუშათა კლასის ჰეგემონიას, მიყვებოდა მას ბრძოლაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იანვარ-თებერვლის მანძილზე გლეხთა მოძრაობა გავრცელდა ოზურგეთის, ქუთაისის, შორაპნის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში, თბილისის გუბერნიის 9 მაზრაში. ამრიგად, საქართველოს თითქმის მთელი გლეხობა ჩაბმული იყო ბრძოლაში ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ.

თებერვალ-მარტში გლეხები უკვე აღარ ცნობდნენ მეფის ხელისუფლებას, აუქმებდნენ მის ადგილობრივ ორგანოებს, სპობდნენ, ხშირად კი წვავდნენ სოფლის კანცელარიებს, აძევებდნენ საძულველ მოხელეებს. აჯანყებულნი ხელთ იგდებდნენ მემამულეთა მიწებს, საძოვრებს, ტყეებს და გლეხებს უნაწილებდნენ. ბევრ ადგილას სავსებით პარალიზებული იყო ხელისუფლების ორგანოების მუშაობა. გლეხობა ქმნიდა სახალხო მმართველობას, თავისი წრიდან ირჩევდა ათისთავებს, ასისთავებს, რევოლუციურ კომიტეტებს. ოზურგეთის მაზრაში (გურია) უკვე იანვარში აღარავინ აღარ მიმართავდა მეფის მოხელეებს. ურიადნიკები, მამასახლისები და მეფის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები სოფლებიდან განდევნეს. მაზრის ყველა (25) სასოფლო საზოგადოებას ხალხის მიერ არჩეული რევოლუციური კომიტეტები ხელმძღვანელობდნენ. 2 თებერვალს ოზურგეთის მაზრის უფროსი მოახსენებდა ზემდგომ ორგანოებს, რომ მაზრაში ყველაფერი კომიტეტების ხელშია, რომ მაზრის რვა ბოქაულიდან ერთი მოკლულია, ორი დაჭრილი, დანარჩენები კი მიიმალნენო. „სიტყვის, კრებებისა და კავშირების თავისუფლება უკვე ფაქტია გურიაში", წერდა 1905 წლის მარტში გაზეთი „ვპერიოდი".

გურიაში ძალაუფლება ფაქტობრივად ხელში აიღეს გლეხთა კომიტეტებმა. გლეხთა კომიტეტები იქმნებოდა საქართველოს სხვა სოფლებშიაც (4, 137—141).

საქართველოს გლეხობამ წამოაყენა შემდეგი ძირითადი მოთხოვნები: დროებითვალდებულ გლეხთა მიწიანად განთავისუფლება სახელმწიფოს ხარჯზე. გლეხებისათვის მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემა და „ჩამონაჭრების" დაბრუნება, გლეხებისათვის გამოსასყიდი ფასის დაბრუნება, საუფლისწულო და საეკლესიო-სამონასტრო მიწების კონფისკაცია და მათი უსასყიდლოდ გადაცემა გლეხობისათვის, ყოველგვარი სახელმწიფოებრივი, მემამულური და საეკლესიო ბეგარის მოსპობა, ყველა პირდაპირი გადასახადის გაუქმება, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, 16 წლამდე ასაკის ბავშვთა საყოველთაო-სავალდებულო და უფასო სწავლება, მუდმივი ჯარის მოსპობა, ხალხის საყოველთაო შეიარაღება და სხვ.

10 მარტს ოზურგეთისაკენ დაიძრნენ ჯარები გენერალ ალიხანოვ-ავარსკის სარდლობით. გორისა და დუშეთის მაზრებში გაგზავნეს ე. ვეიდენბაუმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისია. მიტინგებზე რევოლუციური გლეხები აყენებდნენ მოთხოვნებს, რომლებიც ანალოგიური იყო გურიის გლეხთა მოთხოვნებისა.

ლენინური გაზეთი „ვპერიოდი" წერდა, რომ გლეხთა მოძრაობა გურიაში „უმაგალითო იყო თავისი სიმტკიცითა და შეგნებულობით", რომ ის იყო „სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მთლიანად ერწყმოდა სრულიად რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას"... ქუთაისში, — წერდა გაზეთი „ვპერიოდი", — ყველა საშუალო სკოლა და სამოქალაქო სასწავლებელი დახურულია მოსწავლეთა გაფიცვის გამო. მოსწავლეებმა პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენეს, მათ პოლიტიკური დემონსტრაციაც გამართეს.

ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობდა ვლადიმერ მაიაკოვსკიც, რომელიც მაშინ ქუთაისში სწავლობდა (4, 143—144).

რევოლუციურ მოძრაობაში სულ უფრო ფართოდ მონაწილეობდნენ დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლები. 2 მარტს გაიფიცნენ ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლები, მეორე დღეს — ბათუმის სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლეები. 4 მარტს, მთაწმინდაზე, თბილისის მოსწავლეთა კრებამ (ესწრებოდა 400-მდე მოსწავლე) დაადგინა, შეეწყვიტა სწავლა და მოეწყო დემონსტრაცია. კრებას ესწრებოდნენ მასწავლებლებიც და თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებიც, გავრცელდა პროკლამაციები, წარმოითქვა მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები. 21 მარტს ქუთაისის გუბერნიის სკოლებში სწავლა შეწყდა. მასწავლებელთა საგუბერნიო თათბირმა მიიღო დადგენილება სწავლებაში არსებული წესების გაუქმებამდე სკოლებში მუშაობის შეწყვეტის შესახებ. მოსწავლე ახალგაზრდობის დემონსტრაციები მოეწყო ბათუმში, ოზურგეთსა და ხონში (5, 20—21).

პარტიის III ყრილობაზე, რომელიც 1905 წლის 12—27 აპრილს გაიმართა, რსდმპ კავკასიის კავშირმა 8 დელეგატი გაგზავნა. ყრილობა გახსნა პარტიის უხუცესმა წევრმა მ. გ. ცხაკაიამ. მან გაუზიარა ყრილობის დელეგატებს მუშათა და გლეხთა ბრძოლის გამოცდილება და აღნიშნა, რომ კავკასიაში გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები შეიარაღებული აჯანყების მომზადების გზაზე. კავკასიაში ახლა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯარებში მუშაობას. თბილისში, ბაქოში, ბათუმსა და ქუთაისში ბევრი პოლკის ჯარისკაცებს მოედო „რევოლუციური ბაცილა".

ვ. ი. ლენინმა თავის სიტყვაში ყრილობაზე აღნიშნა, რომ პარტიის პრაქტიკულ გამოცდილებაზე პასუხს მოგვცემს მეორე მომხსენებელი ამხ. ბარსოვი (მ. გ. ცხაკაია — დ. ჯ.), რომელიც საუცხოოდ იცნობს ყველაზე მოწინავე გლეხურ მოძრაობას — გურიაში. ვ. ი. ლენინის წინადადებით გლეხთა საკითხზე მეორე თანამომხსენება გააკეთა რსდმპ კავკასიის კავშირის დელეგატმა მ. გ. ცხაკაიამ. მან დაახასიათა ქართველ გლეხთა აუტანლად მძიმე მდგომარეობა და აღნიშნა, რომ თუ წინათ პროლეტარული პარტიის გავლენა სოფლად სუსტი იყო და გლეხთა მოძრაობა სტიქიურ ხასიათს ატარებდა, ახლა, პარტია სათავეში ჩაუდგა ამ მოძრაობას, იგი უკვე ორგანიზებულ, შეგნებულ ხასიათს იღებს. ამ მხრივ ყველაზე მეტი გამოცდილება ჰქონდათ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტს და გურიის ბოლშევიკურ ჯგუფს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს ქუთაისის გუბერნიაში, სადაც გლეხთა მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო გაქანება მოიპოვა.

საქართველოს ბოლშევიკები რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით განუხრელად ასრულებდნენ პარტიის III ყრილობის გადა-

წყვეტილებებს და ვ. ი. ლენინის მითითებებს, აქტიურად იბრძოდნენ იმისათვის, რომ ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა გადაზრდილიყო ძლევამოსილ შეიარაღებულ აჯანყებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ოქტომბრის სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვით დაწყებული, რევოლუციის აღმავლობა შემდგომ განვითარდა 1905 წლის ნოემბერსა და დეკემბერში. ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა სრულიად რუსეთის გაფიცვას მხურვალედ გამოეხმაურნენ და მხარი დაუჭირეს საქართველოში. 15—18 ნოემბერს ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა გაფიცვა გამოცხადდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთში, ჭიათურაში, ოზურგეთში, ახალციხეში, თელავში, თიანეთში და სხვა დასახლებულ პუნქტებში. ეს გაფიცვები ერთ თვეზე მეტს გრძელდებოდა.

1905 წლის შემოდგომაზე რევოლუციური ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა სოფლადაც. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში კვლავ იფეთქა გლეხთა აჯანყებებმა.

მეფისნაცვალი თავის მოხსენებაში მეფეს სწერდა: „სოფლად ყველგან იმართება მიტინგები, მანიფესტაციები, რომლებზეც აშკარად უწევდნენ პროპაგანდას ისეთ იდეებს, როგორიცაა თანასწორობა, კაპიტალიზმის მოსპობა და მართვა-გამგეობის არსებული წესის შეცვლა იმ თვალსაზრისით, რომ თვით ხალხმა აიღოს ხელში ძალაუფლება. გლეხმა მოსახლეობამ განდევნა სოფლის კანონიერი ხელისუფალნი და აღარ მიმართავდა დახმარებისათვის მთავრობის ადგილობრივ აგენტებს... სოფლად გაჩნდნენ თვითნებურად მოქმედი ასისთავები და ათისთავები... ისინი ხალხის სახელით ასამართლებდნენ და სჯიდნენ, მოსახლეობისაგან ჰკრეფდნენ გამოსაღებს რაღაც „სახალხო" ორგანიზაციების სასარგებლოდ, რომ სრულიად უგულებელყოფდნენ კანონიერად დაყენებულ ხელისუფალთ... უეჭველია, რომ მთელი მოძრაობა აშკარა რევოლუციური ხასიათისა იყო და თანაც მკაფიოდ გამოხატულ სოციალ-დემოკრატიულ ელფერს ატარებდა" (6, 25—26).

გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა არმიაშიც. პარტიულმა ორგანიზაციებმა მტკიცე, ნაცადი მუშაკები გაგზავნეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის გარნიზონებში, ფოთსა, სოხუმსა და გორში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებში. მუშაობა განსაკუთრებით გამოცოცხლდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე".

1905 წლის ზაფხულს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტთან შეიქმნა სამხედრო ორგანიზაცია, რომელსაც „ჯარისკაცთა კავშირი" ეწოდა. იგი დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიაში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებში, 13 ნოემბერს გაფიცვა გამოაცხადეს თბილისის საარტილერიო საწყობის ჯარისკაცებმა. 21 ნოემბერს გაიმართა თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა მიტინგი. მიტინგის მონაწილენი ამბობდნენ: „...დღემდე... ჯარისკაცებს არ ესმოდათ, რომ რევოლუცია ხალხის კეთილდღეობას ემსახურება, რომ ახლა თუ ოფიცერი გიბრძანებს, ხალხს დაუშინეთო, უწინარეს ყოვლისა, ოფიცერი უნდა მოკლათ და შემდეგ აჯანყებულ ხალხს შეუერთდეთ" (7).

რსდმპ III ყრილობამ მიიღო განსაკუთრებული რეზოლუცია „კავკასიის ამბების გამო", რომელიც ვ. ი. ლენინმა დაწერა. რეზოლუციაში ნათქვამი

იყო: „რდსმპ III ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უთვლის კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და ავალებს პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ, რათა... რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ ცნობები კავკასიაში საქმეთა ვითარების შესახებ, აგრეთვე ყოველი ღონისძიებით დროულად გაუწიონ დახმარება კავკასიას“ (4, 153).

1905 წლის გაზაფხულზე გაფიცვები მოედო თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, სოხუმის, ფოთისა და სხვა ქალაქების მუშებს. 6 აპრილს თბილისიდან მიღებულ დეპეშაში ეწერა: გაიფიცა ყველა მემანქანე, მატარებელთა შემდგენი, გადამბმელი და მეისრე. შეწყვეტილია ყველა მატარებლის მოძრაობა.

მოძრაობას შეუერთდნენ საქართველოს მთიანი და განაპირა რაიონები: რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, ხევსურეთი, თიანეთი, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრები, ყველგან იმართებოდა კრებები და მიტინგები, რომლებზედაც განიხილავდნენ გლეხთა მოთხოვნებს. თავს ესხმოდნენ და ანადგურებდნენ მემამულეთა კარმიდამოებსა და მთავრობის დაწესებულებებს. სოფლებიდან აძევებდნენ მეფის მოხელეებს. პოლიცია და კაზაკები იარაღს იყენებდნენ მიტინგების მონაწილე გლეხთა წინააღმდეგ. 4 აპრილს გაიმართა თიანეთის მაზრის ტოლაანთსოფლის გლეხთა კრება, რომელსაც ახლომახლო სოფლების (ნაქალაქევის, ბორჯომის, საყდრიონისა და სხვ.) გლეხებიც ესწრებოდნენ, ორიათასზე მეტი კაცი შეგროვდა... კრებას თავს დაესხნენ პოლიცია და კაზაკები. ორი გლეხი მოკლეს და თორმეტი დაჭრეს.

გლეხთა მოძრაობის ჩასახშობად კავკასიის მთავარმართებელმა საქართველოს ყველა მაზრაში გაგზავნა დამსჯელი რაზმები, რომლებიც სასტიკ ეგზეკუციებს ატარებდნენ. გლეხებს ართმევდნენ პირუტყვს, პურსა და სხვა პროდუქტებს. იმათ, ვინც პროტესტს აცხადებდა ამ თვითნებობის წინააღმდეგ, აპატიმრებდნენ. მაგალითად, სოფელ მჭადიჯვრის გლეხებს (დუშეთის მაზრა) წაართვეს და მემამულეს გადასცეს მთელი მოსავალი. ამის პასუხად მჭადიჯვარში მიტინგი გაიმართა, რომელსაც ათასზე მეტი კაცი ესწრებოდა. ისინი მოითხოვდნენ ჩამორთმეული მარცვლეულის დაბრუნებას. მაზრის უფროსმა უბრძანა კაზაკებს ტყვია დაეშინათ უიარაღო გლეხებისათვის. დახოცეს და დაჭრეს 30-ზე მეტი კაცი. ასევე გაუსწორდნენ ხელისუფალნი 8 აგვისტოს გლეხებს თელავის მაზრის სოფელ გრემში, სადაც დახოცეს და დაჭრეს 14 კაცი.

ხალხის ამ შეიარაღებულ გამოსვლებში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გურიის გლეხთა წითელი რაზმების გმირული ბრძოლა სოფელ ნასაკირალში.

16 ოქტომბერს წითელმა რაზმმა იარაღი აჰყარა ჩოხატაურის პოლიციელებს. სახალხო მოძრაობის ჩასახშობად ოზურგეთის მაზრის უფროსი დამსჯელი რაზმით, რომლის შემადგენლობაში 120 ჯარისკაცი და 13 ჩაფარი იყო, ჩოხატაურში წავიდა. 20 ოქტომბერს ჩოხატაურში დამსჯელი ოპერაციის დამთავრების შემდეგ, შავი რაზმი ოზურგეთში ბრუნდებოდა, მაგრამ კაზაკებისა და პოლიციელების რაზმს ნასაკირალთან დახვდნენ შეიარაღებული გლეხები. გაიმართა გააფთრებული ბრძოლა, გლეხებმა დახოცეს 10 კაზაკი და ჩაფარი, 14 ტყვედ წაიყვანეს, დანარჩენები კი გაიქცნენ.

ეს იყო პარტიზანული მოქმედება, გამოწვეული მასების რევოლუციური მოძრაობით და არა ცალკეულ პირთა შურისძიებით.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების სარაიონთაშორისო კრებამ, რომელიც მოწვეული იყო 13 ოქტომბერს თბილისის მუშათა რაიონში ნაძალადევში, მიიღო გადაწყვეტილება, დაუყოვნებლივ შეერთებოდნენ სრულიად რუსეთის პოლიტიკურ გაფიცვას.

1905 წლის დეკემბრის ბოლოს, ღამით, შორაპნის მაზრის წითელრაზმელთა ერთი ჯგუფი უეცრად დაესხა თავს მაზრის უფროსის სამმართველოს, ხანმოკლე ბრძოლის შედეგად განაიარაღეს და დააპატიმრეს ჩაფრები და სახელმწიფო ხაზინიდან გაიტანეს 201. 639 მანეთი. ამის შესახებ სტატიაში „პარტიზანული ომი“ ვ. ი. ლენინი წერდა: „კონფისებული სახსრები ნაწილობრივ მოხმარდება პარტიას, ნაწილობრივ იხარჯება სპეციალურად შეიარაღებაზე და აჯანყების მომზადებაზე... მსხვილი ექსპროპრიაციები (კავკასიაში, როდესაც წაიღეს 200 ათასზე მეტი და მოსკოვში, 375 ათასი მანეთი) ხმარდებოდა სწორედ რევოლუციურ პარტიებს (8,245).

შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად დიდი მუშაობა ჩაატარა ბოლშევიკების ჯგუფმა გუდაუთის რაიონში ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით. იგი, 1905 წლის შემოდგომიდან, პარტიის დავალებით, იმყოფებოდა სოხუმის ოლქში, რომლის სანაპირო პუნქტებიდან შემოჰქონდათ საზღვარგარეთ შესყიდული იარაღი.

24 დეკემბერს, როდესაც გუდაუთის რაიონში წარმოებდა იქ შემოტანილი იარაღის გადმოტვირთვა, ს. ორჯონიკიძე დააპატიმრეს.

გუდაუთელი ბოლშევიკები იარაღითაც და შეიარაღებული ძალებითაც დახმარებას უწევდნენ სოჭის ოლქში მოქმედ აჯანყებულებსაც.

პროლეტარიატის 1905 წლის დეკემბრის გმირულმა შეიარაღებულმა აჯანყებამ მძლავრი ბიძგი მისცა რევოლუციური ბრძოლის შემდგომ აღმავლობას საქართველოში.

თბილისში ჩამოყალიბდა საგაფიცვო კომიტეტები, შეიქმნა ცენტრალური საგაფიცვო ბიურო, რკინიგზელთა საგაფიცვო კომიტეტები — თბილისში, ბათუმში, სამტრედიაში, ფოთში, ჭიათურაში, შორაპანში, ბორჯომსა და სხვა ქალაქებში.

12 დეკემბერს თბილისში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა. გაფიცულ რკინიგზელებსა და ფაბრიკა-ქარხნების მუშებს შეუერთდნენ ფოსტა-ტელეგრაფის, ქალაქის გამგეობის და მთელ რიგ სხვა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები. შეწყდა მეცადინეობა სასწავლებლებში, დაიკეტა მაღაზიები. საგაფიცვო ბიურომ ხელთ იგდო ფოსტა-ტელეგრაფის მართვა, თავისი კონტროლი დაუწესა რკინიგზას. შემდეგში საგაფიცვო ბიურო ხელმძღვანელობდა შეიარაღებულ აჯანყებას არა მარტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოშიც, რაც რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახს წარმოადგენდა.

კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიქმნა შეიარაღებული აჯანყების შტაბი, რომელიც ნაძალადევში იმყოფებოდა. შტაბი აერთიანებდა და წარმართავდა მებრძოლი რაზმების მოქმედებას, იქვე თავმოყრილი იყვნენ აჯანყებული მუშების ძირითადი შეიარაღებული ძალები, მაგრამ ისინი საკმარისი არ იყვნენ ქალაქის დასაკავებლად. სადაც სამხედრო სარდლობას დიდძალი ჯარი ჰყავდა.

18 დეკემბერს ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. ნაძალადევში შეიჭრნენ ცხენოსანთა, კაზაკთა და სხვა სამხედრო ნაწილები ტყვიამფრქვევებითა და არტილერიით. მებრძოლი რაზმები უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ.

მეფის ჯარების მიერ ნაძალადევის განადგურებამ ხელისუფალთა მოლოდინი ვერ გაამართლა, აჯანყებულთა წინააღმდეგობა ვერ გატეხა და შეიარაღებული ბრძოლა თბილისში გრძელდებოდა. 20 დეკემბერს შეიარაღებული რაზმები თავს დაესხნენ საპოლიციო უბნებს, 22 დეკემბერს — კაზაკთა პოლკის ყაზარმებს, რომლებიც სალდათის ბაზრის რაიონში მდებარეობდა. ბომბების აფეთქების შედეგად დახოცეს რამდენიმე კაზაკი. პასუხად კაზაკებმა ალყა შემოარტყეს მთელ უბანს, ტყვია დაუშინეს ქუჩებსა და სახლებს. დახოცეს 60-ზე მეტი და დააპატიმრეს 186 კაცი. შენობები და დუქნები ცეცხლს მისცეს ან დაარბიეს.

საგაფიცვო ბიუროს ბიულეტენი, რომელიც 23 დეკემბერს გამოქვეყნდა, აღწერდა 21—22 დეკემბერს თბილისში მომხდარ ამბებს და მოუწოდებდა მოსახლეობას, უკან კი არ დაეხიათ, არამედ გაეძლიერებინათ ბრძოლა. ამ მოწოდების შემდეგ გახშირდა რაზმელთა შეიარაღებული შეტაკებები კაზაკთა ნაწილებთან და შავრაზმელებთან. ნაძალადევის შტაბის დარბევის შემდეგ რაზმელთა შტაბი დიდუბეში გადაიტანეს. 23 დეკემბერს კაზაკთა დიდი შენაერთი ტყვიამფრქვევებითა და არტილერიით შეიჭრა დიდუბეში. რაზმელები თავგანწირულად იბრძოდნენ, მაგრამ ბრძოლა აქაც უთანასწორო იყო და იგი აჯანყებულთა დამარცხებით დამთავრდა. კაზაკთა და შავრაზმელთა თარეში კიდევ უფრო გაძლიერდა. ცეცხლს უკიდებდნენ იმ სახლებს, სადაც ხელისუფალთა ვარაუდით, რაზმელები იმყოფებოდნენ.

1905 წლის დეკემბერსა და 1906 წლის იანვარში შეიარაღებული ბრძოლა თითქმის მთელ საქართველოში მიმდინარეობდა. როცა მთავრობამ თბილისის აჯანყებული მუშების წინააღმდეგ ჯარის ნაწილები გაგზავნა, გურიის გლეხებმა მრისხანე პროტესტი განაცხადეს. 1905 წლის 22 დეკემბერს ლანჩხუთში გაიმართა სახალხო მიტინგი. რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს თბილისში დაუყოვნებლივ გაეუქმებინათ სამხედრო წესები, საწინააღმდეგო შემთხვევაში, — ნათქვამი იყო მიტინგის რეზოლუციაში, — ჩვენ მზად ვართ იარაღით ხელში გვერდში ამოვუდგეთ თბილისის პროლეტარიატს და სისხლით დავიცვათ სისხლით მოპოვებული თავისუფლება (4, 194—195). ანალოგიური რეზოლუცია მიიღო ნიგოითის საზოგადოების მიტინგმა.

დეკემბრის დამლევს რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა თბილისის პროლეტარიატის დასახმარებლად გაგზავნა 700 შეიარაღებული რაზმელი ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის და ქუთაისის მაზრების წითელი რაზმებიდან. ასე იქმნებოდა და იწრთობოდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. გორის მაზრაში — ცხინვალსა და სოფელ ტყვიავში 16 დეკემბერს რაზმელებმა განაიარაღეს პოლიციელები. „გორი ხალხის ხელშია“. — მოახსენებდა მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს და ითხოვდა სამხედრო დახმარებას. რკინიგზის ხაზზე, გორისა და დუშეთის მაზრებში, აგრეთვე განაიარაღეს პოლიცია და ჟანდარმები. აჯანყებულებმა ბრძოლით დაიკავეს სადგური გრაკალი და ქარელი. მეფისნაცვალმა გორისა და დუშეთის მაზრებში სახედრო წესები გამოაცხადა.

დასავლეთ საქართველოში თითქმის ყველგან ხდებოდა შეიარაღებული გამოსვლები, მაგრამ ისინი არ ყოფილა ერთმანეთთან შეთანხმებული და განცალკევებულად იფეთქებდა ხოლმე.

შორაპნის მაზრაში მოქმედმა 500-კაციანმა რაზმმა, ჭიათურელი რაზმელების დახმარებით, 4 დეკემბერს განაიარაღა ყვირილის სამაზრო პოლიცია და საპყრობილიდან გაანთავისუფლა პოლიტიკური პატიმრები, დეკემბრის პირ-

ველ რიცხვებში აჯანყებულებმა დაიკავეს სამაზრო სამმართველოები ს- ნაკსა და ზუგდიდის მაზრებში და იქაც განაიარაღეს პოლიცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 დეკემბერს ტყიბულში 150 რაზმელმა გამართა ბრძოლა ბესარაბიის 29-ე ქვეითი პოლკის ასეულთან. 30 დეკემბერს დაბა ონში (რაჭის მაზრა) წითელმა რაზმელებმა დაიკავეს მაზრის სამმართველო, ხაზინა და ფოსტა, იქ რევოლუციური ხელისუფლება გამოაცხადეს.

შორაპნის მაზრაში რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ხელმძღვანელობით შექმნილი იყო „სამხედრო-რევოლუციური შტაბი", რომელსაც სამუელ (ნოე) ბუაჩიძე მეთაურობდა. 30 დეკემბერს მებრძოლმა რაზმმა იერიში მიიტანა ტენგინის პოლკის მე-11 და მე-12 ასეულებზე, რომლებიც ყვირილასა და ხარაგოულში იყვნენ დაბანაკებული რკინიგზის ხაზის დასაცავად. ბრძოლა რაზმელთა გამარჯვებით დამთავრდა. ტყვედ წამოყვანილი ჯარისკაცები ჭიათურაში გაგზავნეს. წიფის სადგურის რაიონში განაიარაღეს ეისკის კაზაკთა პოლკის ასეული, რომელიც გვირაბს იცავდა. სურამის გვირაბი რომ გადაეკეტათ, რაზმელებმა ერთმანეთს დაახჯახეს ორი ორთქლმავალი. მატარებლების მოძრაობა თბილის-ქუთაისსა და ბათუმ-ფოთს შორის შეწყდა. ამ ოპერაციებში მონაწილეობას იღებდნენ მიხაილოვის, ქუთაისის, სამტრედიისა და ჩოხატაურის გლეხთა მებრძოლი რაზმები.

თბილისში დეკემბრის ამბების შემდეგ სურამის უღელტეხილის დაუფლებისათვის ბრძოლა საქართველოში გაჩაღებული რევოლუციური ბრძოლის ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი იყო. ამ ამბებთან დაკავშირებით, მთავარსარდლის 8 იანვრის ბრძანებაში სამხედრო ოლქის ჯარებისადმი აღნიშნულია: ქუთაისის გუბერნიაში მძიმე მდგომარეობაა, რევოლუციური მოძრაობა „...ამბოხების ხასიათს იღებს, მთავრობის მოხელეები გადაყენებულნი არიან, საერობო პოლიცია განიარაღებულია და შეცვლილია საკუთარი მილიციით, სარკინიგზო მიმოსვლა არათუ შეწყვეტილია, არამედ ზოგიერთ უბანზე ლიანდაგიც აყრილია. ყველა სადგური დაკავებულია მეამბოხეთა შეიარაღებული რაზმების მიერ, რომლებიც ჩხრეკენ ყველას,ართმევენ იარაღს, პაკეტებს, განაიარაღებენ ჟანდარმებს, სრულიად არ უშვებენ ოფიცრებს; ბოლოს, მეამბოხეთა ბანდებმა სურამის უღელტეხილი რომ დაიკავეს, ამოცანად დაისახეს შეწყვიტონ ყოველგვარი კავშირი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს შორის, ამასთან, თვით გვირაბი ორთქლმავალით ჩახერგეს, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა; ჩემს მიერ გაგზავნილ რაზმს, რომელსაც უნდა გაენთავისუფლებინა წიფის სადგურში მყოფი ტენგინელთა ასეული, სროლა აუტეხეს მეამბოხეებმა, რომლის დროს დახოცეს სამი კაზაკი, დაჭრეს ერთი, დახოცეს კაზაკთა შვიდი ცხენი" (4, 195—198).

ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა კავკასიის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას და რსდმპ კავკასიის კავშირის მოღვაწეობას. ვ. ი. ლენინი კავკასიას ისეთ მოწინავე მხარეთა რიცხვს მიაკუთვნებდა, „სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული" (9, 125).

შეიარაღებული აჯანყება საქართველოში, ისევე როგორც მოსკოვის აჯანყება, ცარიზმმა ულმობელი სისასტიკით ჩაახშო. მძვინვარებდნენ დამსჯელი ექსპედიციები, მეფის ჯალათები მხეცურად უსწორდებოდნენ რევოლუციონერ მუშებსა და გლეხებს.

დამარცხების მიუხედავად, შეიარაღებული აჯანყება სერიოზული გაკვე-

თილი იყო პარტიისათვის, მუშათა კლასისათვის, ხალხის მასებისათვის. მან ცხადყო, რომ „ცარიზმის შეიარაღებული წინააღმდეგობა შეიარაღებული ძა-ლით უნდა შეიმუსროს და დაითრგუნოს“ (10, 642).

ასეთია ის ძირითადი ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 1905—1907 წწ. რევოლუციის დროს საქართველოში. ამ ფაქტების მოტანა ლექციებისა და საუბრების დროს უეჭველად უფრო მიმზიდველს გახდის მათ. ამავე დროს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საჭიროა ამ მასალების ზომიერად გამოყენება ლექციებსა, სემინარებსა და სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობაში, რათა არ დაიჩრდილოს სკკპ ისტორიის კურსის ძირითადი საკითხები და პრობლემები.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბილისი, 1986.
2. „საქართველოს კომუნისტი“, 1986, № 2.
3. სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, მეშვიდე გამოცემა.
4. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1971.
5. მ. ჯ ი ჯ ე ი შ ვ ი ლ ი. 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბილისი, 1975.
6. Всеподданейшая записка по управлению Кавказским Краем ген. адьютанта графа Воронцова-Дашкова, 1907.
7. საქ. სსრ ცსა, ფ. 125, აღწ. 2, ს. 45, ფურც. 5.
8. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 11.
9. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10.
10. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8.



Джибладзе Д. Н.


## ИСПОЛЬЗОВАНИЕ МЕСТНЫХ МАТЕРИАЛОВ В ПРОЦЕССЕ ПРЕПОДАВАНИЯ ИСТОРИИ КПСС

### Резюме


Автор пишет о необходимости использования местных историко-партийных материалов и о полезности методических указаний при изучении истории КПСС.



D. DJIBLADSE


## A UTILIZATION OF LOOAL MATERIALS IN THE PROCESS OF TEACHING CPSU HISTORY

### Summary


The author writes about the necessity of using the local historical and Party materials and about the need for methodical instruction with regard to the teaching the CPSU history.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета

280, 1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კომკავშირული მუშაობის ორგანიზაცია და თანამედროვე ფორმები (მეთოდური დახმარება)

ნ. ჯეირანაშვილი

ჩვენი დიადი ქვეყნის, სოციალისტური სამშობლოს ისტორიასთან განუყრელადაა დაკავშირებული ლენინური კომკავშირის გმირული გზა...

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ერთი დიდი საკითხი არ წყდება ახალგაზრდობის მონაწილეობის გარეშე. კომკავშირს, ყველა ჭაბუკსა და ქალიშვილს, ჩვენში აქვს განუსაზღვრელი შესაძლებლობანი შემოქმედებითი ძალებისა და ინიციატივის გამოსავლინებლად.

პარტია კვლავაც აამაღლებს კომკავშირის როლს მოზარდი თაობის აღზრდაში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანების პრაქტიკულ გადაწყვეტაში. ახორციელებს რა კომკავშირისადმი ხელმძღვანელობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მისი რიგების, ახალგაზრდობის კავშირის თვითმოქმედი ხასიათის ორგანიზაციულ-პოლიტიკურ განმტკიცებას. „მთელი ჩვენი გამოცდილება გვასწავლის, რომ გარდატეხის ჟამს, ყველაზე ძნელი, ყველაზე გაბედული ამოცანების გადაწყვეტისას, პარტია მუდამ მიმართავდა კომკავშირს, ახალგაზრდობას, მათ ენთუზიაზმს და სოციალიზმის საქმის ერთგულებას, მოღუნებისადმი შეურიგებლობას, პროგრესულის ქომაგობას და დღეს, როცა ვლაპარაკობთ დემოკრატიული ცვლილებების საჭიროებაზე, გარდაქმნის ამოცანათა გადაწყვეტაში ხალხის რეალური მონაწილეობის გაფართოებაზე, ახალგაზრდა თაობის პოზიციის საკითხი უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს, ამასთან, კომკავშირთან მუშაობაში მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ შრომითს, იდეურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ წრთობას, უფრო სწრაფად და გადაჭრით გავთავისუფლდეთ ყოველივე უსარგებლოსაგან ახალგაზრდობასთან მუშაობაში, უწინარეს ყოვლისა, დამრიგებლური კილოსა და ადმინისტრირებისაგან, არ არის ახალგაზრდა ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბების, მისი მოქალაქეობრივი პოზიციის ფორმირების სხვა რეალური გზა, გარდა მისი რეალური ჩაბმისა ყველა საზოგადოებრივ საქმეში". — აღნიშნავდა ამხ. მ. ს. გორბაჩოვი 1987 წლის იანვრის პლენუმზე (2,49).

ხელმძღვანელობენ რა პრაქტიკულად სკკპ 27-ე ყრილობის, საკავშირო ალკკ მე-20 ყრილობის, საქ. კომპარტიის 27-ე ყრილობის, საქ ალკკ 33-ე ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან, რათა მომავალი თაობა აღიზარდოს კომუნისტური იდეურობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონა-

ლიზმის სულისკვეთებით. კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობა, მისი წევრების მაღალი მორალური და იდეური შეგნებულობა და ორგანიზებულობა ბევრად განსაზღვრავს მის ერთგულებას კომუნისტური პარტიის იდეებისადმი.

ზრუნვა კომკავშირის რიგების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, მისი სიწმინდისათვის, იმისათვის, რომ თითოეული კომკავშირელი ღირსეულად ატარებდეს და ამართლებდეს ლენინური კომკავშირის წევრობის წოდებას, კომკავშირის, ყველა მისი ორგანიზაციის ცხოვრების ძირითადი კანონია. მაგრამ, ცოტა როდია ჯერ კიდევ ისეთი შემთხვევები, როდესაც ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში ყოველთვის ჯეროვნად ვერ იცავენ ამ პრინციპს, ცდილობენ გაზარდონ კომკავშირის რიგები, კომკავშირში იღებენ გამოუკლევლად ყველა მსურველს, მათი საქმიანობის, პოლიტიკური და მორალური თვისებების ინდივიდუალური შესწავლის პრინციპის დაუცველად, რის შედეგადაც ზოგჯერ კომკავშირის რიგებში ხვდებიან მოუმზადებელი, პოლიტიკურად მოუმწიფებელი, კომკავშირისათვის შესაფერისი თვისებების არმქონე ახალგაზრდები.

სწორედ ეს მანკიერი სტილი დაგმო საკავშირო ალკკ მე-20 ყრილობამ და მოითხოვა კომკავშირში შემსვლელთა ინდივიდუალური შერჩევის პრინციპების მტკიცედ დაცვა.

აღნიშნული ნაკლოვანებანი დამახასიათებელია ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაციისათვისაც. მათ შორის, უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირულ ორგანიზაციებშიც ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როდესაც არაკომკავშირელ სტუდენტებს მასიურად, ყოველგვარი გარკვევის გარეშე (თუ ისინი რატომ არ შევიდნენ ალკკ რიგებში), იღებენ კომკავშირის რიგებში. ასეთი ფორმალური დამოკიდებულება ამ საქმისადმი იწვევს კომკავშირული ორგანიზაციების ავტორიტეტის შელახვას. ვ. ი. ლენინი კი გვასწავლის, რომ საჭიროა ყოველთვის ფრთხილად მოვეკიდოთ ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის რიგების შევსებას, რათა მისი ავტორიტეტი არ შეილახოს.

კომკავშირის რიგებში მისაღებ კანდიდატთა გამოცდისა და აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა კომკავშირული დავალება. რით უნდა ვიხელმძღვანელოთ კომკავშირული დავალების მიცემის დროს? უპირველეს ყოვლისა, დავალება უნდა გამოირჩეოდეს ცხოვრებისეული მოთხოვნის აქტუალურობით. შემსრულებელი დავალების შესრულების დროს უნდა გრძნობდეს მორალურ კმაყოფილებას, დარწმუნებული იყოს, რომ მასზე დაკისრებული დავალების შესრულება, გარკვეულად, სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ამავე დროს, კომკავშირულმა ორგანიზაციამ წინასწარ უნდა განსაზღვროს შეძლებს თუ არა ახალგაზრდა მიცემული დავალების შესრულებას—ხომ არ აღემატება მის ძალებს? და ბოლოს, საჭიროა სისტემატური კონტროლი, თუ როგორ ასრულებს იგი კომკავშირულ დავალებას. თუ სტუდენტმა იგრძნო, რომ მის მიმართ ყოველგვარი კონტროლი მოდუნებულია და მისი მუშაობით არავინ არაა დაინტერესებული, ადვილი შესაძლებელია, მან დაკარგოს ხალისი დავალების შესრულებისადმი, რაც არცთუ იშვიათად ხდება.

პერსონალური კომკავშირული დავალებების გარდა, პრაქტიკაში უფრო ხშირია კომკავშირელთა კოლექტიური დავალებანი. ასეთი დავალებანი აერთიანებს რამდენიმე კომკავშირელს, რომელიც აჩვევს ახალგაზრდობას კოლექტივიზმს — დავალების კოლექტიურ შესრულებას, წარმოაჩენს ლიდერებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ორგანიზებულობით. ამასთან ერთად, კოლექტიური დავალების შესრულების დროს თითოეულ კომკავშირელში ძლიერდება პირადი პასუხისმგებლობა როგორც ამხანაგებისადმი, ისე კოლექტივისადმი. ზოგჯერ ხდება პირიქითაც. ასე მაგალითად, ვთქვათ, ფაკულტეტის კომკავშირის ბიურომ ხუთ რიგით სტუდენტ-კომკავშირელს დაავალა შეამოწმოს მთელი თვის მანძილზე სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში სანიტარული წესრიგის, მორიგეობის, სტუდენტთა ბიბლიოთეკის, სასადილოს, კლუბის და მაღაზიის მუშაობის საერთო სურათი. ხოლო შემოწმების საერთო შედეგები კი წერილობით მოახსენონ ალკკ ბიუროს სხდომას. ასეთ შემთხვევაში დავალებას ორიოდე კომკავშირელი ასრულებს, ხოლო დანარჩენი კი ფორმალურად აწერს ხელს მოხსენებით ბარათს. ასეთ შემთხვევაში ძნელია დავადგინოთ, თუ რომელმა სტუდენტმა შეასრულა მიცემული დავალება და რომელმა არა. იმისათვის, რომ დავალება ყველა კომკავშირელმა კეთილსინდისიერად შეასრულოს, საჭიროა, დავალების შესრულების მკაცრი კონტროლი და ანგარიშგება.

კომკავშირელთა მიერ კომკავშირული დავალებების შესრულების ხარისხიანობის გაუმჯობესების ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია შეჯიბრება. იგი ამაღლებს კომკავშირელთა პასუხისმგებლობას, აჩქარებს დავალების შესრულებას, ამტკიცებს დისციპლინას და აფართოებს კომკავშირელის პირად ინიციატივას.

შეჯიბრება შეიძლება მიმდინარეობდეს სხვადასხვა ფორმით.

განვიხილოთ შეჯიბრების ერთ-ერთი ვარიანტი:

სტუდენტთა მესამე შრომითი სემესტრის პერიოდში ორი ან სამი ფაკულტეტის კომკავშირელები თავიანთ კრებებზე იღებენ გარკვეულ შრომით ვალდებულებას, შემდეგ სამივე ფაკულტეტის აქტივისტები ხვდებიან და იხილავენ მოლაპარაკების პროექტს, ჩამოაყალიბებენ შეჯიბრების მიზანს, განსაზღვრავენ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას და დროს, აგრეთვე დაადგენენ გამარჯვებულის კრიტერიუმს.

შეჯიბრების მსვლელობისას პერიოდულად მიმდინარეობს ურთიერთკონტროლი, აქტივისტების შეხვედრები, საერთო კომკავშირული კრებები და ა. შ.

და ბოლოს, გამარჯვებული კომკავშირული რაზმი ჯილდოვდება ვიმპელებით, ფასიანი საჩუქრებით, ტურისტული საგზურებითა და სხვა მრავალი მასტიმულირებელი საშუალებებით, მათი წარმატებები შუქდება რადიო-ტელევიზიით, ახალგაზრდული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და სხვ.

ამრიგად, კომკავშირულ დავალებათა განაწილება კომკავშირელთა შორის მნიშვნელოვანი უბანია შიდაკომკავშირული ცხოვრების ორგანიზაციაში, რაც საბოლოო ჯამში, აქტიურად აბამს თითოეულ კომკავშირელს კომკავშირული ცხოვრების ფერხულში, შინაარსიანს და ხალისიანს ხდის ყოველდღიურ ცხოვრებას, ამაღლებს შრომისა და სწავლის ნაყოფიერებას.

სტუდენტის ძირითადი საქმიანობა სწავლაა. დღეს, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, ერთიორად გაიზარდა სტუდენტისადმი ცოდნის მოთხოვნა და იგი წლითიწლობით კიდევ უფრო იზრდება.

დღეს, როდესაც კომუნისტური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი ასე რადიკალურად აყენებს საბჭოური სწავლების სისტემის გარდაქმნის აუცილებლობას, უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციის წინაშე დგას ამოცანა, კიდევ უფრო დახვეწოს ფორმები და მეთოდები სტუდენტთა აღზრდისა და პასუხისმგებლობის გაზრდის საქმეში.

მართლაც, ბევრი უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეძლეს აქტიურად მონაწილეობდნენ სასწავლო პროცესის [illegible] გაუმჯობესებასა და მის სწორად ორგანიზაციაში.

ამ მხრივ უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა სასწავლო-აღმზრდელობითი კომისიების შექმნა, რომლებიც მოწონებული იქნა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ. ამ კომისიების ძირითადი მიზანია გაზარდონ აკადემიურ ჯგუფებში კომკავშირელთა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, გამოავლინონ სტუდენტთა ჩამორჩენის მიზეზები, აამაღლონ საერთო დისციპლინის დონე. კომისიები შეისწავლიან და განაზოგადებენ მოწინავე აკადემიური ჯგუფების გამოცდილებას, ორგანიზაციას უკეთებენ და თვალყურს ადევნებენ სტუდენტთა ინდივიდუალურ მუშაობას, რომ მაღალი იყოს სტუდენტთა სწავლებისა და მომზადების დონე, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შემოწმდეს, თუ როგორ მუშაობს სესიების წინ და სესიების მსვლელობისას სტუდენტთა ბიბლიოთეკები, სამკითხველო დარბაზები, კაბინეტები და სასწავლო ლაბორატორიები, საერთო საცხოვრებლის სასწავლო ოთახები, სასადილოები და სტუდენტთა ბუფეტები, ასევე, საერთო საცხოვრებლის მომსახურების დონე, რეგულარულია თუ არა პროფესორ-მასწავლებელთა კონსულტაციები და სხვ. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ სხვა მრავალი „წვრილმანი“ დიდ როლს ასრულებს სტუდენტის დროის ბიუჯეტზე, მის განწყობასა და მორალურ მხარეზე.

უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტი, ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაცია ღრმად უნდა სწვდებოდეს და სწავლობდეს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, ავლენდეს ნაკლოვანებებს, დაუყოვნებლივ იღებდეს ზომებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სტუდენტთა გამოცდილების გაზიარებას, რომლებიც ფლობენ სწავლის, წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის რაციონალურ მეთოდებს, მათი მაგალითი მსჯელობის საგნად უნდა გაxადონ კურსბიუროებმა, ფაკულტეტის ბიუროებმა და საუნივერსიტეტო კომიტეტმა. ხშირად, ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში ავიწყდებათ, რომ სტუდენტის ძირითადი საქმიანობა სწავლაა, და სწორედ მოწინავე სტუდენტებს ზედმეტად ტვირთავენ კომკავშირული დავალებებით, იმ დროს, როცა დანარჩენი კომკავშირელები თითქმის დავლების გარეშე რჩებიან. ასევე, ხშირად, უმნიშვნელოა მოწინავე სტუდენტი-კომკავშირელების წამახალისებელი სტიმულები. საჭიროა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა თავიანთ მუშაობაში გააქტიურონ ყურადღება სწორედ ამ კუთხით, რათა ამაღლდეს სტუდენტთა პროფესიული მომზადების საერთო დონე.

როგორც ალკკ კომკავშირის XX ყრილობაზე აღინიშნა, სამწუხაროდ, სასწავლებლების კომკავშირული აქტივის ცხოვრებაში ფეხი მოიკიდა მეტად მავნე პრაქტიკამ, კერძოდ, თუ სტუდენტ-კომკავშირელს რაიმე კომკავშირული დავალება მიეცა, მან იგი უნდა შეასრულოს ლექცია-სემინარების გაცდენის ხარჯზე, რაც დასაგმობია და მისი პრაქტიკული განხორციელების გაგრძელება მნიშვნელოვნად შეასუსტებს სტუდენტი-კომკავშირელის ცოდნის საერთო დონეს.

სტუდენტის აკადემიური ჩამორჩენა მოულოდნელად არ ხდება, იგი მთელი სემესტრის განმავლობაში ინერტულობის შედეგია. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ფაკულტეტების ბიუროებმა პარტბიუროსთან ერთად

რეგულარული კონტროლი დააწესონ ასეთი სტუდენტისადმი, სისტემატურად შეამოწმონ მათი სემინარული მუშაობა, სთხოვონ პროფესორ-მასწავლებლებს, დამატებითი კონსულტაცია-მეცადინეობების ჩატარება, ჩამორჩენილ სტუდენტებს შეფად გამოუყონ ფრიადოსანი სტუდენტები, აცნობონ ჩამორჩენილ სტუდენტთა სკოლებს, შრომით კოლექტივებს, საიდანაც მოვიდნენ ისინი უმაღლეს სასწავლებელში, მშობლებს და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ზუსტად დაყენებული შესრულების შემოწმება ხელს უწყობს კომკავშირული დისციპლინის განმტკიცებას, კომკავშირელთა აქტიურობას. იგი გვეხმარება, რომ წარმატებით ვებრძოლოთ უპასუხისმგებლობასა და მოშვებულობას, ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას, კომკავშირული ცხოვრების ნორმებისა და პრინციპების ნებისმიერ დარღვევებს.

საკავშირო ალკკ წესდება კომკავშირული გადაწყვეტილებების შესრულებას კომკავშირის, ალკკ წევრობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად თვლის, რომ თითოეული კომკავშირელი ვალდებულია არა მარტო ფორმალურად დაემორჩილოს კომკავშირულ გადაწყვეტილებებს, არამედ მთელი ძალ-ღონე მოახმაროს მათს პრაქტიკულ განხორციელებას.

კომკავშირის კომიტეტის მუშაობა კონტროლის ორგანიზაციისა და შესრულების შემოწმების საქმეში სამი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს: კონტროლი ალკკ ცენტრალური კომიტეტის დირექტივების განხორციელებისადმი, საკუთარ დადგენილებათა შესრულების შემოწმება, პირველადი ორგანიზაციებისადმი დახმარება მათ მიერ მიღებულ დადგენილებათა ქმედითობის ამაღლებაში.

კომკავშირული ორგანიზაციის ორგანიზატორული, პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ უზრუნველყოს თითოეული საწარმოს, საამქროს, ბრიგადის, კურსის, ჯგუფის, თითოეული კომკავშირელის მიერ აღებული დავალების წარმატებით შესრულება.

კომკავშირული ორგანიზაციები კონტროლის ფორმად იყენებენ პლენუმებსა და ბიუროებზე კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების ანგარიშების მოსმენას, დადგენილებებისა და დირექტივების შესრულების შედეგების განხილვას. გარდა ამისა, კომკავშირული ორგანიზაცია იყენებს შესრულების შემოწმებისა და კონტროლის სხვა საშუალებებსაც. კერძოდ, ეწყობა კომკავშირული აქტივისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა გასვლა საწარმოებსა და დაწესებულებებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რათა ადგილებზე იქნას შესწავლილი საქმის რეალური მდგომარეობა და მოხდეს პრაქტიკული დახმარების გაწევა.

კომკავშირის რაიონული კომიტეტები, უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული კომიტეტები თუ მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების კომკავშირული კომიტეტები, ყოველმხრივ სრულყოფენ რა თავიანთი საქმიანობის სტილსა და მეთოდებს, ყურადღებას ამახვილებენ ახალგაზრდებში ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაზე, დასახულ ღონისძიებათა შესრულების შემოწმებაზე: რაიკომები და კომკავშირის კომიტეტები ახალგაზრდულ კოლექტივებს რაზმავენ იმ საპასუხისმგებლო ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც დგას სამრეწველო საწარმოების, უმაღლესი სასწავლებლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე. საქმით უზრუნველყოფენ პარტიის მიერ

დასახული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულება. სწორედ ამიტომ კომკავშირის რაიკომისა და კომიტეტის ბიუროს, კომკავშირული აქტივის კრების თითოეული დადგენილება უნდა იყოს საქმის მდგომარეობის ღრმა შესწავლის, საკითხის საფუძვლიანი, კოლექტიური განხილვის შედეგი. ნებისმიერი დადგენილების ქმედითობა და ავტორიტეტი ბევრადაა დამოკიდებული მასზე, თუ რამდენად დროულად და დასაბუთებულადაა დაყენებული საკვანძო საკითხები, ობიექტურადაა თუ არა ნაჩვენები საქმის მდგომარეობა, მართებულადაა დასახული თუ არა კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები.

„ადამიანთა შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — კიდევ ეს, მხოლოდ ეს არის ამჟამად მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის ღერძი" (3, 321).

მრავალი კომკავშირული ორგანიზაციის გამოცდილება მოწმობს, რომ გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მიზანსწრაფული, კვალიფიციური და ქმედითი, როდესაც მის მომზადებაში კომკავშირული აპარატის მუშაკებთან ერთად მონაწილეობენ ალკკ კომიტეტის წევრები, აქტივისტები, ახალგაზრდული ბრიგადის დამკვრელები, სტუდენტები და სხვ. მხოლოდ კოლექტიურად შემუშავებული დადგენილება შეიცავს შესწავლილი საკითხის ყოველმხრივ ანალიზს, დადებითი გამოცდილების განზოგადებას, ფაქტების პრინციპულ შეფასებას, ნაკლოვანებათა კრიტიკულ განხილვას, ობიექტურ დასკვნებსა და კონკრეტულ, გონივრულ წინადადებებს საქმის გაუმჯობესებისათვის.

კომკავშირული დადგენილების მომზადების ძირითადი მოთხოვნების დაუცველად იგი ზოგჯერ შეიძლება გადაიქცეს ძნელ შესასრულებელ კეთილ სურვილად.

„მუდმივი კონტროლი საშუალებას გვაძლევს არა მარტო მივაღწიოთ დავალების შესრულებას, არამედ მათი განხორციელებისას თავიდან ავიცილოთ კიდეც შესაძლო შეცდომა და დაუდევრობა" (5).

კომკავშირული კომიტეტები გამუდმებით სრულყოფენ და ეძიებენ შესრულების კონტროლისა და შემოწმების ახალ ფორმებს, სწავლობენ, განაზოგადებენ და ნერგავენ ამ საქმეში დაგროვილ გამოცდილებას. ეს ძნელი და შრომატევადი, მაგრამ მეტად საჭირო საქმე, კომკავშირის კომიტეტების ორგანიზატორული მუშაობის სტილისა და მეთოდების ამაღლების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

კომკავშირულ-მასობრივი მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბანს წარმოადგენს მიღებულ დადგენილებათა შესრულების პერიოდული შემოწმება. რისთვისაც სპეციალურად იქმნება ავტორიტეტული კომისია. ამასთან ერთად, კომკავშირული ორგანიზაციები თვალყურს ადევნებენ ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას, ქმედით ღონისძიებებს ახორციელებენ მათი პრაქტიკულად განხორციელებისათვის. მართალია, კომკავშირულ კომიტეტებთან, ბიუროებთან და პირველად ორგანიზაციებთან სპეციალურად არ იქმნება სახალხო კონტროლის ორგანოები, მაგრამ მათ საქმიანობაში კომკავშირელები და ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ. კერძოდ, სახალხო კონტროლის ორგანოებში, რომლებიც ყალიბდება პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციებთან, კომკავშირულების წარგზავნა ხდება სათანადო რეკომენდაციებით. კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები და მათი ბიუროები სპეციალურად იხილავენ სახალხო კონტროლის ორგანოებში სამუშაოდ კომკავშირელთა შერჩევა-გაგზავნის საკითხებს და ყოველთვის მხარდაჭერასა და ნდობას იმსახურებენ ის პირები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი პატიოსნებით, სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით. უფრო მეტიც, სახალხო კონტროლის ორგანოებში წარგზავნილ კომკავშირელებს, მათ საქმიანობას სათანადო კონტროლსაც უწევენ კომკავშირული კომიტეტები. ისინი პერიოდულად ისმენენ ინფორმაციებს მათი მუშაობის შესახებ და საჭირო რჩევა-დარიგებებსაც აძლევენ შემდგომი საქმიანობისათვის. მარტო რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებში 30 ათასზე მეტი კომკავშირელია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა კეთილსინდისიერად, მონდომებით, მთელი შესაძლებლობით იბრძვის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში შეცდომების, დამახინჯებების, დარღვევების, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში ნამდვილი მართლწესრიგის დამყარებისათვის.

რა თქმა უნდა, ჩვენი სახალხო კონტროლიორ-კომკავშირელები მარტო ნაკლოვანებების მხილებითა და გამომზეურებით როდი კმაყოფილდებიან. ისინი, როგორც ამას წესდება მოითხოვს, მეტად დიდ და ნაყოფიერ აღმზრდელობით მუშაობასაც ეწევიან იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებსაც აკონტროლებენ. ბევრ ნაკლსა და გულგრილობით თუ დაუდევრობით გამოწვეულ შეცდომებს ადგილზე ასწორებენ. მუშაობის ამა თუ იმ აქტუალურ საკითხებზე ატარებენ თათბირებს, საუბრებს, მოხსენებებს და მტკიცედ რაზმავენ მშრომელებს გამართული მუშაობისათვის, მათ წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით და ხარისხიანად შესრულებისათვის. სახალხო კონტროლის ორგანოებს დიდ დახმარებას უწევენ აგრეთვე „კომკავშირული პროჟექტორები“, რომლებიც შექმნილია კომკავშირულ კომიტეტებთან და ზოგიერთ მსხვილ პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებთან. „კომკავშირული პროჟექტორები“, გარდა იმისა, რომ დროულად ამხელენ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს და სახავენ მათი გამოსწორების კონკრეტულ გზებს, სათანადო სიგნალებსა და ცნობებსაც აწვდიან პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს შემჩნეულ დანაშაულებათა თუ სერიოზული ხარვეზების შესახებ და შესაბამისი ორგანოებიც დროზე ღებულობენ ზომებს მათი გამოსწორებისათვის.

* * *

ახალგაზრდის, კომკავშირელი-სტუდენტის ნიშან-თვისებათა შორის, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა სულიერი სახე, მისი მომავლის ნათელი პერსპექტივები, ვ. ი. ლენინი ასახელებს განათლებულობას, ცოდნას, მაღალ კულტურას, კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულებას, კომუნისტურ ზნეობას, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას.

„სწორედ ახალგაზრდობამ უნდა გადაჭრას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ვინაიდან ცხადია, რომ მუშაკების ის თაობა, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებაშია აღზრდილი, უკეთეს შემთხვევაში შეძლებს გადაჭრას ექსპლოატაციაზე აგებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი კაპიტალისტური ყოფა-ცხოვრების საფუძველთა მოსპობის ამოცანა" (2, 17).

დღეს, როდესაც განუხრელად მიმდინარეობს ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა დარგში, სფეროში, უბანზე, განახლების, სოციალ-ეკონომიური განვითარების დაჩქარების შეუქცევადი პროცესი, რომელსაც დასაბამი მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე და კიდევ უფრო დაკონკრეტდა, მეცნიერულად დასაბუთდა პარტიის 27-ე ყრილობაზე და სკკპ ცკ-ის 1987 წლის იანვრის პლენუმზე, ყველას ეხება და ყველაფერში ვლინდება. ძველებურად აზროვნება, მუშაობა, ცხოვრება უკვე აღარ შეიძლება. გარდაქმნის აუცილებლობა დრომ მოიტანა. ეს მნიშვნელოვანი საკითხი, ცხადია, მთელი სიმწვავითა და სერიოზულობით დგას უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების წინაშეც, სადაც გარდაქმნა-განახლება, უწინარეს ყოვლისა, სწავლების ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებას ნიშნავს.

„ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს მტკიცე რწმენით, — თქვა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა 1986 წლის სექტემბერში გამართულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა თათბირზე, — რომ დაჩქარების, გარდაქმნის, საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახლებური მდგომარეობის მიღწევის კურსის რეალიზაცია წარმოუდგენელია იდეურ-თეორიული და იდეურ-პოლიტიკური ცოდნისადმი ლტოლვის გააქტიურების გარეშე, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის ღონისძიებების საიმედო მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე....." (4).

კომკავშირელთა იდეური აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული სწავლების შინაარსის განუწყვეტლად გამდიდრებას, სკკპ გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების შესწავლას, ეს საშუალებას აძლევს კომკავშირელებს თანამედროვე მეცნიერულ დონეზე, პარტიის პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირში, დაეუფლონ რევოლუციურ თეორიას. სწავლების აქტუალობა ასევე ხელს უწყობს ცოდნის ქმედითობის ამაღლებას კომკავშირული კომიტეტებისა და ბიუროების მუშაობის პრაქტიკის გაანალიზებაში, კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანების უკეთ გაგებაში. თუმცა თეორიის დაუფლება შეუძლებელია დასრულებულად ჩაითვალოს, თუ იგი არ გაგვარკვევს პოლიტიკურ ამოცანებში და არ გვიჩვენებს მათ გადაწყვეტის გზებს. ამიტომ, წამოყენებულია მოთხოვნა, რომ პარტიის თეორიისა და პოლიტიკის შესწავლა ხორციელდებოდეს კომუნისტური მშენებლობის, იდეოლოგიური ბრძოლის პრაქტიკასთან ორგანულ ერთიანობასა და მჭიდრო კავშირში. პარტიამ წამოაყენა მოთხოვნა — ცოდნა გადაიქცეს ადამიანის აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად, მოქმედების სახელმძღვანელოდ ჩვენი საზოგადოების განვითარების აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში, მშრომელთა შორის აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის ჩატარებაში. მხოლოდ ასეთ სწავლებას შეუძლია ქმედითი გავლენა მოახდინოს ადამიანების შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებაზე.

ცნობილია, რომ საბჭოთა ახალგაზრდობის, მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის კომპლექსური ღონისძიებები ტარდება სკოლებსა, ტექნიკუმებსა, უმაღლეს სასწავლებლებსა და წარმოება-დაწესებულებებში, შრომით კოლექტივებში. ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც კი ახალგაზრდა სწავლობს და შრომობს, ამ მეტად კეთილშობილ საქმეში ფრიად სე-

რიოზულ როლს ასრულებს კომკავშირული პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების მთელი სისტემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომკავშირული კომიტეტები, ბიუროები, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები განუხრელად ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ სკკპ 27-ე ყრილობის შუქზე“. ჩვენი ქვეყნის 18,5 მილონზე მეტი ახალგაზრდა მეცადინეობს მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემის წრეებსა და სემინარებში. კომკავშირულ ორგანიზაციებთან შექმნილია და მუშაობს 25 ათასზე მეტი ლექტორთა ჯგუფი. დიდი პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდობის უნივერსიტეტები, ლექტორიუმები. კომკავშირის ისტორიის კარდინალურ საკითხებზე ტარდება სამეცნიერო სესიები და კონფერენციები, ეწყობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდა. მომავალ კვალიფიციურ სპეციალისტთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. ჩვენი ქვეყნის 40 მილიონზე მეტი მოსწავლე, 4 მილიონამდე ქალიშვილი და ჭაბუკი სწავლობს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, 9,7 მილიონ სპეციალისტს ამზადებენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები.

ისე, როგორც მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში, საქართველოშიც კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით თავის დროზე კომპლექტდება კომკავშირელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების წრეები, სემინარები, ლექტორთა ჯგუფები, აგიტკოლექტივები. კომკავშირულ პოლიტგანათლების სისტემაში ყოველწლიურად 390 ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა იმაღლებს პოლიტიკური ცოდნის დონეს. ამჟამად, კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელში მთავარ ყურადღებას ამახვილებენ ქალიშვილებისა და ჭაბუკების მიერ პარტიის 27-ე ყრილობის დოკუმენტების, საქ. ალკკ მე-20 ყრილობის დოკუმენტების, ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლების ღრმად შესწავლაზე.

კომკავშირული პოლიტიკური განათლების მთელი სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო და არის ის, რომ მტკიცედ დაამკვიდროს ჩვენი ახალგაზრდობის შეგნებაში საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეები, ჩაუნერგოს ჩვენი სამშობლოსადმი სიამაყის, სოციალიზმის მონაპოვართა დაცვისათვის მზადყოფნის გრძნობა. მომავალი თაობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამ სფეროში კი დიდი ზემოქმედებითი ძალა აქვს სამშობლოს ისტორიის, პარტიისა და ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების საფუძვლიან შესწავლას.

„ჩვენ დავაგროვეთ უდიდესი სულიერი სიმდიდრე, — აღინიშნა საკავშირო ალკკ მე-20 ყრილობაზე, როგორც არ ახსოვს ისტორიას, ჩვენს საზოგადოებაში შეიქმნა ზნეობრივი ნორმებისა და საზოგადოებრივ ღირსებათა ყველაზე მოწინავე, ყველაზე ჰუმანური სისტემა“ (6).

ახალგაზრდობის, მთელი კომკავშირის ცხოვრებაში სამუდამოდ მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, ვ. ი. ლენინის ტიტანური მოღვაწეობისა და ცხოვრების ღრმად შესწავლის პრაქტიკა. ყოველწლიურად ეწყობა კომკავშირულ ორგანიზაციებში ლენინური გაკვეთილი, რომელიც ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ასწავლის ახალგაზრდობას შრომითი კოლექტივების წინაშე დასახული ამოცანები განიხილონ ლენინის ანდერძის შესაბამისად და კიდევ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უფრო განავითარონ კომუნისტური შრომისა და სწავლის საუკეთესო ტრადიციები.

კომკავშირული პოლიტიკური განათლების სისტემაში ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის, მისი საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლების, საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ, სისხლსავსე შემოქმედებით ცხოვრებასთან უფრო დაახლოებისა და პრაქტიკული კავშირის განმტკიცების საკითხებს, რადგანაც სწორედ ამ გზით ხდება მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ღირსეული შევსების — ახალგაზრდობის ფორმირება, მისი მომავალი, უფრო მაღალი იდეალებისა და რთული ცხოვრებისათვის მომზადება.

„ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, — ამბობდა დიდი ილია, — იზრდება. ცხოვრება, რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის... მუდამ მიდის წინ და მოაქვს განახლება ყველაფრისა და ამ განახლების მომტანია ჩვენი ახალგაზრდობა (8, 231). მაშასადამე, ცხოვრების განახლება, მშრომელთათვის უკეთესი მერმისის შექმნა დამოკიდებულია მომავალ თაობაზე, ახალგაზრდობაზე, და ამიტომ იგი როგორც ინტელექტუალურად, ისე იდეურ-პოლიტიკურად, ეთიკურად, წინა თაობაზე უფრო ამაღლებული უნდა იყოს, რომ ხორცი შეასხას პროგრესული კაცობრიობის სანუკვარ ოცნებებს.

ჩვენს ეპოქაში, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაში, როცა სულ უფრო მწვავდება კლასობრივი წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებში და ფართოვდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როცა პრინციპულად გამწვავდა შეურიგებელი, უკომპრომისო ბრძოლა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას შორის, ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმეში დიდ როლს ასრულებს პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა, ჩვენს ქვეყანაში ყოველდღიურად რვა ათასი დასახელების ჟურნალი და გაზეთი გამოდის 170 მილიონი ეგზემპლარის რაოდენობით, მოქმედებს 164 რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და საოკრუგო ტელერადიოკომიტეტი, ტელევიზიის 126 სტუდია.

როგორც ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა სკკპ 27-ე ყრილობაზე, „პარტია კვლავაც აქტიურ მხარდაჭერას და დახმარებას გაუწევს პრესას, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალებას, განსაკუთრებით ყურადღება დაეთმობა ტელევიზიის განვითარებას, ამასთან, იდეურ-აღმზრდელობითსა და პოლიტიკურ მუშაობაში გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას ფუჭი ლაქლაქის, პირადულობისა და ფორმალიზმის გამოვლინება, ყოველივე ეს კი ხელს უწყობს ჩვენს იდეოლოგიურ მტრებს თავიანთ შავბნელ საქმიანობაში" (1, 137).

მართლაც, რაც დრო გადის, ბურჟუაზიული პროპაგანდის მოქმედების არე სულ უფრო და უფრო იზრდება. განსაკუთრებით გაიზარდა რადიოსადგურების „ამერიკის ხმის", „თავისუფალი ევროპის", „ბიბისის", „ტელავივის ხმისა" და სხვა ბურჟუაზიული რადიოსადგურების ანტიკომუნისტური პროპაგანდის რადიუსი. სოციალიზმის მტრები ყველანაირი ხერხის გამოყენებით ცდილობენ მიიპყრონ საბჭოთა ახალგაზრდობის ყურადღება, ისინი ოსტატურად, მოდური მუსიკის აკომპანიმენტით ახდენენ ანტიკომუნიზმის პროპაგანდას.

არანაკლებ მოხერხებულად იყენებენ ბურჟუაზიული იდეოლოგები ეგრეთწოდებულ იაფფასიან ვიდეოფილმებს, რომელიც ათასნაირი ხვრელე-

ბით ვრცელდება ჩვენს ქვეყანაში. ყოველივე ეს კი არცთუ იშვიათად, აღწევს თავის მიზანს. ასეთი პროპაგანდის მსხვერპლნი, უპირველეს ყოვლისა, ხდებიან ისეთი ახალგაზრდები, რომელთაც არ გააჩნიათ სწორი პოლიტიკური ორიენტაცია. ამიტომ, საჭიროა იდეოლოგიური მუშაობის იმ მრავალრიცხოვანმა ფორმებმა და მეთოდებმა, რომელიც ჩვენში არსებობს, კვლავაც ხელი შეუწყონ საბჭოთა კავშირში, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში დღემდე არსებული წარსულის ფსიქოლოგიისა და ზნე-ჩვეულებების — ჩამორჩენილობის, შეზღუდულობის, ცალკერძოების და სხვა ნეგატიური მოვლენების დაძლევასა და აღმოფხვრას.

სტუდენტ-კომკავშირელების მყარი პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს. მარქსიზმ-ლენინიზმი ჭეშმარიტი რევოლუციური მსოფლმხედველობაა. მან დაასაბუთა ყველაზე ჰუმანური მიზანი, რომელიც ოდესმე დაუსახავს კაცობრიობას, — ქვეყნად სამართლიანი სოციალური წყობილების შექმნა. იგი გვიჩვენებს საზოგადოებრივი განვითარების — როგორც ერთიანი, მთელი თავისი მრავალმხრივობითა და წინააღმდეგობრიობით, კანონზომიერი მეცნიერული შესწავლის გზას, გვასწავლის სწორად ვერკვეოდეთ ეკონომიკური და პოლიტიკური ძალების ხასიათსა და თანამოქმედებაში, ვირჩევდეთ სწორ მიმართულებებს, ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს, გულდაჯერებულად ვგრძნობდეთ თავს ისტორიის მკვეთრი შემობრუნების მომენტებში.

„აუცილებელი ფაქტია, რომ ჭკვიანურ და ალალმართალ სიტყვას უდიდესი გავლენის ძალა აქვს, მაგრამ იგი ასჯერ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ ღონისძიებებს უერთდება; მხოლოდ ასე შევძლებთ დავძლიოთ გულისგამაწყალებელი ჭკუისსწავლება, შთავბეროთ სიცოცხლის სუნთქვა მოწოდებებსა და ლოზუნგებს, როცა სიტყვა წყდება რეალურ საფუძველს, ეს სერიოზულად აუფასურებს იდეოლოგიურ ძალისხმევას“ (1, 138—139). აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ კომკავშირულ ორგანიზაციებთან, მათთან ერთად შეიმუშაონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის კომპლექსური გეგმები.

როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგეების 1986 წლის ოქტომბერში გამართულ საკავშირო თათბირზე ითქვა — დროა საზოგადოებათმცოდნე მეცნიერებმა მჭიდროდ აუბან მხარი პარტიის თანამედროვე პოლიტიკას, მათი მეცნიერული ნაშრომები უნდა გადაიქცეს პრაქტიკულ რეკომენდაციებად, დასაბუთებულ სოციალურ პროგნოზებად (4).

და სწორედ ამგვარი მოთხოვნილებისას განსაკუთრებით ნათლად ჩანს, რომ უმაღლესი სკოლის სალექციო-სასემინარო მეცადინეობის სისტემა აშკარად მოძველდა. სემინარი უნდა ეწყობოდეს დასმული საკითხების ირგვლივ ცოცხალი საუბრის, მსჯელობის, განხილვა-გარჩევის, დისკუსიის ფორმით, დიალოგით. არ უნდა გვაშინებდეს მწვავე, რთული საკითხების განხილვა, სტუდენტები თავის აზრს თამამად უნდა გამოთქვამდნენ, ამით მათ გამოუმუშავდებათ დამოუკიდებელი აზროვნებისა და მსჯელობის უნარი, შეეჩვევიან დიალოგში აქტიურ მონაწილეობას, შეიქმნას საკითხის საფუძვლიანი განხილვა-შესწავლის მაქსიმალური შესაძლებლობა.

სამწუხაროდ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების შესწავლის დღევანდელი ფორმა იმდენად უკვე მოძველებულია, რომ იგი ვერ უძლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერავითარ კრიტიკას. როგორც ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა საკ. ალკკ 20-ე ყრილობაზე — „ჩვენთან სტუდენტებსაც აძლევენ შესაძლებლობას დისკუსიები მოაწყონ, საზოგადოებრივ დისციპლინებში სემინარულ მეცადინეობებზე. გავაწამეთ ჩვენი ახალგაზრდობა ქადაგებით. მაგრამ მარტო პოლიტიკურ პროცესში, ცხოვრებისა და საზოგადოების ყველა საქმეში მონაწილეობით შეიძლება გახდე ლენინის საქმისათვის, სოციალიზმისათვის ნამდვილი მებრძოლი, გაიზარდო ადამიანურად და პოლიტიკურად" (6).

მაგრამ, ამისათვის უპირველესად საჭიროა თვით ლექტორი იყოს ყოველმხრივ მომზადებული, სემინარულმა მუშაობამ მომავალ სპეციალისტს უნდა გამოუმუშაოს საჯარო გამოსვლებისა და პოლემიკის კულტურის ჩვევები, კომუნისტური იდეალების დასაბუთებული დაცვის, არამარქსისტული, ბურჟუაზიული თეორიებისა და კონცეფციების სწრაფი კრიტიკის უნარი. „ჭეშმარიტების ძიება — თქვა თათბირზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, — უნდა მიმდინარეობდეს სხვადასხვაგვარი თვალსაზრისების შედარების, პაექრობისა და განხილვის, ფესვგადგმული სტერეოტიპების მსხვრევის გზით" (4). ყოველივე ამისათვის კი საჭიროა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლექტორების პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურის აუცილებელი გაუმჯობესება, რათა სტუდენტი-კომკავშირელი გრძნობდეს ლექტორის ცოდნის სიმტკიცეს, ლექტორი უწინარესად, პირადი მაგალითით უნდა უნერგავდეს მათ სანიმუშო მოქალაქეობრივ თვისებებს.

ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესმა სკოლამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, სწავლა-აღზრდის საქმე უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკას, გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი, ამაღლდა კომკავშირული ორგანიზაციის ავტორიტეტი, მაგრამ, ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული ნაკლოვანებები და გადაუჭრელი პრობლემები, მოძველდა სწავლებისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის მთელი რიგი ფორმები და მეთოდები, რაც ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა 1986 წლის ოქტომბერში გამართულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა საკავშირო თათბირზე. მან თქვა: — „უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერები ჯერ კიდევ დიდ ვალშია საზოგადოების წინაშე" (4). ნათქვამიდან გამომდინარე, საჭიროა განათლებისა და აღზრდის პროცესისადმი ახლებური მიდგომა, საფუძვლიანი გარდაქმნა. ცხადია, საუნივერსიტეტო კომკავშირულმა ორგანიზაციებმაც თავიანთი ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობა უნდა წარმართონ სრულიად ახლებურად. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაფართოვდეს, კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის მასშტაბები. სასწავლო პროცესში, დროა სტუდენტური კომკავშირული ორგანიზაცია დადგეს თავის მოწოდების სიმაღლეზე, დაიბრუნოს შელახული ავტორიტეტი. კურსბიუროები, ფაკულტეტის ბიუროები და საუნივერსიტეტო კომიტეტები დაკომპლექტდეს უპირველეს ყოვლისა, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული, განათლებული და ფრიადოსანი სტუდენტებით, რომლებსაც სათანადო ავტორიტეტი აქვთ მოხვეჭილი როგორც სტუდენტობაში, ისე პროფესორ-მასწავლებლებში. გზა უნდა გადავუღობოთ ისეთ კომკავშირელებს, რომლებიც ცდილობენ კომკავშირული ორგანიზაცია გამოიყენონ თავიანთი მომავალი „კარიერის" საფუძვლად, ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი კომკავშირელი „აქტივისტები", რომლებიც თითქოსდა დაკავებულნი არიან კომკავშირული დავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებებით და ამ მიზნით აცდენენ ლექცია-სემინარებს, სინამდვილეში კი დროს უქმად ფლანგავენ, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, სტუდენტები, რომლებიც არ გამოირჩევიან არც სწავლით, არც სამეცნიერო მუშაობით, უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ხვდებიან პასუხსაგებ კომკავშირულ თანამდებობებზე. ასეთი ფაქტები კი უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე, ილახება კომკავშირის ავტორიტეტი. კომკავშირულ ბიუროებში ასეთი შემთხვევითი, „ვაიკომკავშირელების" მოხვედრა, სამწუხაროდ, თვით ფაკულტეტების დეკანატებისა და პარტბიუროების ხელშეწყობითაც ხდება ხოლმე.

ამ მეტად მნიშვნელოვან მანკიერებაზე ითქვა საკ. ალკკ კომკავშირის მე-20 ყრილობაზე. კერძოდ, ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა — „ჩვენდა სამწუხაროდ კომკავშირშიც გაჩნდა „ელიტი", რასაც ძალზე მტკივნეულად აღიქვამს ახალგაზრდობა. განა დასაშვებია, როცა უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც კი ვინმე აღმოჩნდება კომკავშირულ აქტივში, მას უკვე ლექციებზე თავისუფალი დასწრების უფლებას აძლევენ — ეს კი მთელი სტუდენტი ახალგაზრდობის გაკვირვებას იწვევს. აქტივისტები სამაგალითონი უნდა იყვნენ შრომაში. კაცმა რომ თქვას, რა არის შრომა სტუდენტურ წლებში? ეს არის „ცოდნის დაუფლება". მოდის სესიებისა და ჩათვლების დრო, დეკანატები და რექტორატებიც კი იღებენ ასეთი „თავისუფალი დასწრების სტუდენტთა" სიებს — ჩათვლა დაუწერეთ, გაითვალისწინეთ, რომ აქტივისტია. ეს სამარცხვინო მოვლენაა კომკავშირში. რა პრივილეგიებია ეს? კომკავშირულ აქტივს ერთი პრივილეგია აქვს — მთელი თავისი ქცევით უნდა ამტკიცებდეს, რომ აქვს მორალური უფლება მეთაურობდეს სტუდენტ-ახალგაზრდობას" (6).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 19 პირველადი, 100 პირველადის უფლების მქონე და 515 საჯგუფო კომკავშირული ორგანიზაციაა, სულ კი უნივერსიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციაში ირიცხება 9528 სტუდენტი-კომკავშირელი, მოქმედებს 112 სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელიც აერთიანებს 3537 სტუდენტს (7).

ამხელა კომკავშირული ორგანიზაცია ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი არაა. უნივერსიტეტის კომკავშირელებმა არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის გმირულ ისტორიაში. არაერთხელ გამოიჩინეს თავი მესამე შრომით სემესტრებში. მარტო 1986 წლის შრომით სემესტრში მოძმე ბელორუსიის რესპუბლიკის დაბა იარცევოში 300 უნივერსიტეტელი კომკავშირელი შრომობდა, რომლებმაც 380 000 მანეთის ღირებულების სამშენებლო სამუშაო შეასრულეს (7).

უნივერსიტეტელ კომკავშირელთა სახელოვან მიღწევებზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება. მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ თსუ კომკავშირის კომიტეტის სრულიად ახალ ინიციატივას, რომელსაც მხარი დაუჭირა თსუ პარტიულმა კომიტეტმა, რექტორატმა და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, და თვით საქ. ალკკ 33-ე ყრილობამ. საქმე ეხება უნივერსიტეტის სტუდენტთა ბაზების საერთო საცხოვრებლებში სტუდენტთა თვითმმართველობის ახალ ფორმას, რომელიც 1986 წლის სექტემბრიდან დაინერგა. თავდაპირველად ბევრი სკეპტიკოსი ამ სიახლეს ეჭვის თვალით უყურებდა. პირველ ხანებში მართლაც იყო ბევრი ხელისშემშლელი პირობები, მაგრამ თანდათანობით თვითმმართველობის საბოლოო ფორმა გამოიკვეთა და რეალობად იქცა. დღეს სტუდენტური ქალაქის თითქმის ყველა საშტატო ერთეულში უნივერსიტეტის სტუდენტი-კომკავშირელია. მნიშვნელოვნად ამაღლდა დისცი-

პლინის, სანიტარული წესრიგის, ვაჭრობის, კვების, კულტურული დასვენების დონე. გაიზარდა სტუდენტთა მატერიალური პირობები, გარდაქმნის ეს ახალი ფორმა მოიწონეს და გადაწყვიტეს თავიანთ ცხოვრებაში დანერგონ ჩვენი რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტმა-კომკავშირელებმაც. ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში, კომკავშირის თბილისის კომიტეტისა და თსუ კომიტეტის თაოსნობით დაინერგა სრულიად ახალი ორიგინალური ფორმა, კერძოდ, კიროვისა და საბურთალოს რაიონის საკოლმეურნეო ბაზრების მომსახურე პერსონალი დაკომპლექტდა თსუ უნივერსიტეტის საღამოს ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებით. ახალმა ექსპერიმენტმა გარკვეული პროგრესი მოგვცა ჩვენი დედაქალაქის მომსახურების სფეროში.

ვფიქრობთ, ასევე დროულია სტუდენტი-კომკავშირელების უფრო ფართო მონაწილეობა ფაკულტეტების სასწავლო-სამეცნიერო პროცესებშიც, რაც კიდევ უფრო აამაღლებს სასწავლო პროცესისა და აკადემიური მოსწრების საერთო დონეს. აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია უფრო გაბედულად ჩავრთოთ სტუდენტობა დეკანატის, კათედრების, პარტბიუროსა და პროფბიუროს საქმიანობაში, უფრო მეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ მათ ახლებურ აზრს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დავნერგოთ სანიტარულ-ჰიგიენური და მომსახურეობის სხვა სფეროებში სტუდენტთა თვითმმართველობა, როგორც სტუდენტურ ქალაქში, ასევე უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებშიც, მორიგე-კომენდანტის, დამლაგებლის, მეხანძრის, სასადილოებისა და ბუფეტების მომსახურე პერსონალის თანამდებობაზე მივიღოთ ჩვენივე სასწავლებლის სტუდენტები, შევქმნათ „ხელმარჯვე" სტუდენტ-კომკავშირელთა ბრიგადები, რომლებსაც გარკვეული ხელფასით უზრუნველვყოფთ, ეს ბრიგადები თვითონ შეაკეთებენ სასწავლო ინვენტარს, ელექტროგაყვანილობას და სხვ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსებში გამწვანებისა თუ გარემოს სისუფთავის საერთო სურათი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. უკვე რამდენიმე წელია, რაც ბიოლოგიის ფაკულტეტის კორპუსის წინ მდებარე საკმაოდ დიდი მიწის ფართობი გადახრიოკებულია. მიზანშეწონილად და დროულად მიგვაჩნია თუ შეიქმნება კომკავშირელ-ბოტანიკოსთა ახალგაზრდული ე. წ. ბრიგადა, რომელიც უხელმძღვანელებს მაღლივი კორპუსების ტერიტორიის გამწვანება-დეკორაციის საქმეს.

ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის ნავარაუდევია მწყობრში ჩადგეს მთელ კავშირში ერთ-ერთი უნიკალური ბიბლიოთეკა, ვფიქრობთ, სწორედ კომკავშირულმა საუნივერსიტეტო ორგანიზაციამ უნდა მიიღოს ყველაზე დიდი მონაწილეობა მის ექსპლოატაციაში, კერძოდ, ჩვენი უნივერსიტეტის კომკავშირულმა ორგანიზაციამ თვითონ უნდა ითავოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კოლექტივთან ერთად წიგნების გადმოზიდვა-დაბინავების მეტად რთული პროცესი....

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს საუნივერსიტეტო ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გარდაქმნას და ლოზუნგის — „უნივერსიტეტი ჩემი მეორე ოჯახია" — რეალობად გადაქცევას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986.
2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ 1987 წლის იანვრის პლენუმის მასალები, თბ., 1987.
3. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33.
4. გაზ. „კომუნისტი“ 22. X. 1986.
5. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ 2. V. 1986.
6. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ 19. IV. 1987.
7. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“ 27. X. 1986.
8. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. 9.

ДЖЕИРАНАШВИЛИ Н. А.

## ОРГАНИЗАЦИЯ И ФОРМЫ КОМСОМОЛЬСКОЙ РАБОТЫ (МЕТОДИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО)

### Р е з ю м е

В работе дан материал об организационно-политической работе комсомольских организаций, о непосредственном участии студентов-комсомольцев в учебном процессе, о выполнении и контроле комсомольских поручений, о студенческом самоуправлении и т. д.

N. A. JEIRANASHVILI

## THE ORGANIZATION OF THE VARIOUS FORMS OF KOMSOMOL ACTIVITY — METHODOLOGICAL GUIDANCE

### S u m m a r y

The author analyses the organization and political activity of the Komsomol and how students take part in the stulying process, comsomol work, student self-goverment, and so on.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

რ. გრძელიძე. ოქტომბრის რევოლუცია და ეროვნული საკითხი . . . . . . 5
ა. ებრალიძე. ვ. ი. ლენინი რუსეთის 1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის შესახებ . . . . . . . . . 19
რ. ჯამრიშვილი. ვ. ი. ლენინი პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და ამოცანების შესახებ . . . . . . . . 32
ს. ჩაგუნავა. სერგო ორჯონიკიძე — პარტიის ერთიანობისათვის შეუდრეკელი მებრძოლი (დაბადებიდან 100 წლისთავის გამო) . . . . . . . . 46
ა. კუხიანიძე. დაჩქარება და გარდაქმნა: ზოგიერთი ამოცანა და პრობლემა (რუს.) . 69
მ. მაცაბერიძე. რევოლუციური სიტუაციის მარქსისტულ-ლენინური კონცეფციის ზოგიერთი აქტუალური საკითხი . . . . . . . . 70
შ. ჯიჯაძე. თანამედროვე რევიზიონიზმი რეაქციის სამსახურში (რუს.) . . . . 90
ნ. ბურჯანაძე. საბჭოთა სოციალისტური ერების კულტურული თანამშრომლობა სოციალიზმის სრულყოფის პირობებში (1976—1980 წწ.) . . . . . . 91
გ. კვაჭანტირაძე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ეროვნული უმცირესობების პარტიულ-საბჭოთა პრესისადმი 1921—1925 წლებში . . 103
გ. შველიძე. საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს შემდგომი გაუმჯობესებისათვის (1976—1980 წწ.) . . . . . . . . . 115
დ. ჯიბლაძე. ადგილობრივი მასალების გამოყენება სკკპ ისტორიის სწავლების პროცესში . . . . . . . . . . 129
ნ. ჯეირანაშვილი. კომკავშირული მუშაობის ორგანიზაცია და თანამედროვე ფორმები (მეთოდური დახმარება). . . . . . . . . 141

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## СОДЕРЖАНИЕ

Р. Грдзелидзе. Октябрьская революция и национальный вопрос . . . 18
А. Эбралидзе. В. И. Ленин о революционно-демократической диктатуре рабочего класса и крестьянства в российской буржуазно-демократической революции 1905—1907 гг. . . . . . . . . . 31
Р. Джамришвили. В. И. Ленин о роли и задачах первичных партийных организаций . . . . . . . . . . 45
С. Чагунава. Серго Орджоникидзе —несгибаемый борец за единство партии (К 100-летию со дня рождения) . . . . . . . 59
А. Кухианидзе. Ускорение и перестройка: некоторые задачи и проблемы 61
М. Мацаберидзе. Некоторые актуальные вопросы марксистско-ленинской концепции революционной ситуации . . . . . . 83
Ш. Джиджадзе. Современный ревизионизм на службе реакции . . . 84
Н. Бурдзенидзе. Культурное сотрудничество советских социалистических наций в период совершенствования социализма . . . . . 102
Г. Квачантирадзе. Руководство Компартии Грузии партийно-советской прессой национальных меньшинств в 1921—1925 гг. . . . . 114
Г. Швелидзе. Деятельность Компартии Грузии по дальнейшему улучшению производства товаров народного потребления и службы быта (1976—1980 гг.) . . . . . . . . . . . 128
Д. Джибладзе. Использование местных материалов в процессе преподавания истории КПСС . . . . . . . . . . 140
Н. Джеиранашвили. Организация и формы комсомольской работы (Методологическое руководство) . . . . . . . . 155

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# CONTENTS

R. Grdzelidze, The October Revolution and the National Question 19
A. Ebralidze, Lenin on the Revolutionary-Democratic Dictatorshiip of the Working Class and Peasants in the Russian Bourgeoi-Democratic Revolution of 1905 to 1907 . . . . . . . . . 31
R. Jamrishvili, Lenin of the Role and Tasks of the Primary Party Organizations . . . . . . . . . . . . . 45
S. Chagunava, S. Orjonikidze — an Inelexible Fighter for the Unity of the Party — to the 100th Anniversary of his Birthaday . . . . 60
O. V. Kukhianidze, An Acceleration and Reconstruction; Some Tasks and Problems . . . . . . . . . . 69
M. Matsaberidze, Some Real Questions Arising from the Marxist-Leninist Conception of the Revolutionary Situation . . . . . . . 83
S. Jijadze, Modern Revisionism in the Service of Reaction . . . . 90
N. Burdzenidze, The Cultural Collaboration of the Soviet Socialist Nations in the Perfecting of Socialism (1976—1980) . . . . . 102
G. Kvachantiradze, The Leadership of the Communist Party of Georgia of National Minorites by the Soviet Party Press from 1921 to 1925 114
G. Shvelidze, The Activy of the Communist Party of Georgia in Furthering the Improvement of the Production of Consumer Goods and Services 128
D. Djibladze, A Utilization of Looal Materials in the Process of Teaching CPSU History . . . . . . . . . . 140
N. A. Jeiranashvili, The Organization of the Various Forms of Komsomol Activity — Methodological Guidance . . . . . . . 155

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ქანთარია
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი
კორექტორი ნ. ჩახაია, მ. ქარსელაძე

გადაეცა წარმოებას 28. 09. 87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 06. 88.
უე 07892. საბეჭდი ქაღალდი № 70×108 1/16. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 14. სააღრ.-საგამომც. თაბახი 11,92.
ტირაჟი 300.
**ფასი 90 კაპ.**

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.